ყოველკვირეული

# ალია

N7 /735/ 15-21 თებერვალი 2016 წ PRESS ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE
გამოდის 1995 წლიდან

## ახალი საბანკო მაქინაცია, რომელიც ბანკებმა თავიანთ სასარგებლოდ და კლიენტთა საზიანოდ გამოიგონეს!

ვინც ამ ინტერვიუს წაიკითხავს, ისინი ამ საფრთხეს თავიდან აიცილებენ. საქმე ბანკის ათეულ ათასობით კლიენტს ეხება



10

## ვალერი ხაზურძანია: „ჯეიმს აპატურაი საცემია!“

მაშინ ამ მუხლით შეიძლება დაიჭირონ კახი კალაძე, შეუძლიათ, დამიჭირონ მე...



16

## „ქვეყანაში დაშვებული უნდა იყოს თავისუფალი სავალუტო რეჟიმი, ანუ მოქალაქეებს უნდა მიეცეთ საშუალება, გამოიყენონ ის ვალუტა, რომელსაც უფრო ენდობიან“



„არასწორია, როცა სახელმწიფო მოქალაქეებს აიძულებს, ყოველდღიურ მიმოქცევაში გინდა თუ არა ლარში გადაიხადონ. სრული დოლარიზაციაც რომ გამოიწვიოს ამან, ამაშიც არაფერი არ იქნება პრობლემა. პირიქით, მოქალაქეებისთვის უფრო კარგი იქნება“

14

### „დათო ამკინძავი „ალიადან“ რეკავს „ასავალ-დასავალში“

რატომ გააგრცელა შარშანდელი ვიდეო სააგენტო „ნიუპოსტმა“ მაინცდამაინც ახლა?

„ალია“: კანონის ძალით ყველა ასეთი თავდამსხმელის დასჯას მოვითხოვთ, თანაც კატეგორიულად!

5

### ბიძინა ივანიშვილის საბედისწერო შეცდომები



13

### თბილისის მერი „ოცნებას“ უპირისპირდება?!.

ამ გაუთავებელ ექსპერიმენტებში კი ჩვენ ვიჭყლიტებით, ხალხი!!!



26

### რატომ დაიჭირა საქმე ბიძინა ივანიშვილმა ვანო მერაბიშვილის კომპანიასთან?



### როდიდან არის აკრძალული გაყინული ქათმის ხორცის ჭამა?



28

### „ამიერიდან ქალბატონ იუსტიციის მინისტრს თეა მურუსიძედ მოვიხსენიებ!“

რატომ დაუპირისპირდნენ სინამდვილეში ერთმანეთს ლევან მურუსიძე და მამუკა ახვლედიანი?



33

### უმრავლესობის დეპუტატი საკუთარ მინისტრს სისხლის სამართლის დანაშაულში სდებს ბრალს

ვის შეიწირავს თოფაძე-წინასწარმეტყველის განცხადება?



9

### „რაც ყველა დროის დეპუტატებმა მიიღეს, ეს ფულში რომ გავზომოთ, გადადის ათეულობით მილიარდში! არადა, სულ არის ლაპარაკი 1000 კაცზე...“

„რაც უფრო გადის დრო, ყველა მომდევნო პარლამენტი წინაზე უარესი ხდება“



29

## პაატა იმნაძის სკანდალური განცხადება



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი პაატა იმნაძე ციხისძირში ხეების გადარგვის სამუშაოებთან დაკავშირებით განვითარებულ პროცესებს ეხმაურება:

– არ ვიცი, როგორ ვთქვა, არასოდეს პოლიტიკასთან ასოცირებულ თემებს არ ვეხმაურები, ეს სუფთა პროფესიულია, არ შეიძლება ეპიდემიური გართულებებისას ვიღაცას შენი არ სჯეროდეს იმიტომ, რომ პოლიტიკურად „სხვისიანი" ეგონები, მაგრამ 3 ხის გადარგვა რომ პრობლემა გახდა, 300 ხის გაჩეხა ლუგარის ლაბორატორიის წინ (აეროპორტის გახრიოკებულ გზასთან) რამდენიმე საათში იმიტომ, რომ კარგი შენობა ტრასიდან არ ჩანსო, რასაც, ფაქტობრივად, ჩემი ჩამოცილებაც მოჰყვა მაშინ ამ ლაბორატორიიდან (ღიად განვაცხადე ამერიკელ პარტნიორებთან, ამ უგუნურებას მე როგორ გავაკეთებდი-მეთქი), არავითარი გამოხმაურება არც ერთი „ბუნების დამცველისგან" რომ არ მოჰყოლია? უნდა მჯეროდეს ახლა ამ ბუნების დამცველების? – წერს პაატა იმნაძე სოციალურ ქსელში. (exclusivenews.ge)

## ახლა „ასკანელი ძმების" დამფუძნებელი შევა პარლამენტში „ოცნების" სიით და ის მოირგებს კანონმდებლობას ნაბადივით — შენ დაუკააა

„ასკანელი ძმების" ერთ-ერთი დამფუძნებელი, „კახური ტრადიციული მეღვინეობის" ხელმძღვანელი ზურაბ ჩხაიძე 2016 წელს პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურებას გეგმავს.

როგორც „ქართული ოცნების" კულუარებში აცხადებენ, აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

თავად ზურაბ ჩხაიძე აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებს.

– პირველად მესმის, ეს არის აბსოლუტური სისულელე, არანაირი პერსპექტივა მაგ აზრს არ აქვს, – განუცხადა „აქცენტს" ჩხაიძემ.

ცნობისთვის, ჩხაიძე საგურამოში ბიძინა ივანიშვილისა და უმრავლესობის შეხვედრასაც ესწრებოდა, თუმცა რა სტატუსით, უცნობია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბიზნესმენის მეუღლე ია მაქაცარია ამჟამად თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის პოსტ იკავებს.

ასევე, ცნობილია ის ფაქტი, რომ მაქაცარია დაახლოებულია ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკა ხვედელიძესთან. (accent.com.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მაიკლ კოფმანი: საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება საკმაოდ არარეალური სცენარია



კენანის ინსტიტუტის მკვლევარ მაიკლ კოფმანის შეფასებით, ახლო პერსპექტივაში საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება საკმაოდ არარეალური სცენარია.

– საქართველო გარკვეულ სიგნალებს ეძებს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მას სამოქმედო გეგმას მიანიჭებს, რაც, როგორც იცით, ალიანსში მიწვევას ნიშნავს. ეს საკმაოდ არარეალური სცენარია ახლო პერსპექტივაში. ნაცვლად ამისა, ნატო ცდილობს საქართველოსთვის ინტეგრაციის სხვა საშუალებები წამოსწიოს წინ და ეს ქვეყანა უფრო მნიშვნელოვანი შეღავათებით უზრუნველყოს, რაც, ერთგვარად, იქნება მიდგომის – „გაერთიანება, ფაქტობრივი გაერთიანების გარეშე" ასახვა, – განაცხადა კოფმანმა.

კითხვაზე, იყო თუ არა ჯეიმს კლაპერის განცხადება ერთგვარი გაფრთხილება საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომ მან მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს, თუ რეკომენდაცია აშშ-ის მთავრობისადმი უფრო მეტად იაქტიუროს რეგიონში რუსული გავლენების გასანეიტრალებლად, კოფმანი ამბობს, რომ ჯეიმს კლაპერის მიერ სენატში გაკეთებული ყოველწლიური მოხსენება მსგავსს არაფერს გულისხმობდა.

– მას არაფერი ასეთი არ ჰქონია მხედველობაში. კლაპერმა ივარაუდა, რომ იმდენად, რამდენადაც ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივით საქართველოს მოსახლეობა იმედგაცრუებულია, ფაქტობრივად, საქართველო, მომავალში, შესაძლებელია, შეუდგეს დასავლეთთან ინტეგრაციის საპირისპირო გზას და ერთადერთი ალტერნატიული ორბიტა აქ მხოლოდ რუსული ორბიტაა. რუსეთის გავლენა და ზეწოლის საშუალებები მეზობელ საქართველოზე საკმაოდ ძლიერია. კლაპერმაც სწორედ ეს იგულისხმა, რომ თავის დროზე, რუსეთს იქ გავლენის სრული აღდგენა არ გაუჭირდება, – განაცხადა კოფმანმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქვეყანა კი არა, ყანა ვართ" — ნიკა გვარამია



„რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ციხისძირში ხეების გადარგვის პროცესს „ფეისბუკის" პირადი გვერდიდან ეხმაურება:

„კანონიერია თუ უკანონო, მოძრავია თუ უძრავი, ახალ ადგილზე უკეთესად იხარებს თუ ძველი სჯობდა – არ ვიცი, მაგრამ ეს საკითხები რომ გახდა მეინსტრიმული ჩვენს დისკურსში, უკვე ცხადია, რომ ქვეყანა კი არა, ყანა ვართ.

ჩვენი არაფორმალური მმართველი ხეების გადარგვის ადგილზე საქმეს ურჩევს მწვანეებს და ოდესის გუბერნატორი მიუნხენის კონფერენციაზე – პუტინს. იგრძენით განსხვავება. ესაა და ეს. უარესი რაღა უნდა იყოს", – წერს გვარამია სოციალურ ქსელში.

ამავე საკითხს ეხმაურება „ტაბულას" დირექტორი თამარ ჩერგოლეიშვილიც:

„ბიძინა და გიგანტური ხეები:

– ის არ ჩასულა დიცსა და დვანში, როდესაც ჩვენს მოქალაქეებს რუსები საცხოვრებელი სახლებიდან ყრიდნენ.

– ის არ მისულა ვერეს ხეობაში 13 ივნისის წყალდიდობის შემდეგ.

– საკუთარი ქარხნის, თუ აუზის ტერიტორიაზეც კი არ მივიდა, როდესაც იქ ვეფხვმა კაცი მოკლა და შეჭამა.

– ის არ ჩასულა აჭარაში სტიქიის დროს.

მაგრამ ჩააკითხა გიგანტურ ხეებს, როცა ისინი მყისიერად ვერ დაითრია", – წერს ჩერგოლეიშვილი პირად გვერდზე. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლევან გაჩეჩილაძემ შესაძლოა, საჯარო რეესტრს უჩივლოს



ლევან გაჩეჩილაძე საჯარო რეესტრისგან „მაესტროს" დირექტორად დარეგისტრირებას 15 თებერვალსაც დაელოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარს შეიტანს.

როგორც გაჩეჩილაძის ადვოკატი ირაკლი კორძახია აცხადებს, საჯარო რეესტრს განცხადებით მიმართა. მისი თქმით, განცხადებას დაურთო საქალაქო სასამართლოს განჩინება, სადაც არ დაკმაყოფილდა ბაია გადაბაძის მოთხოვნა „მაესტროს" პარტნიორთა კრების ოქმის მოქმედების შეჩერების თაობაზე. კორძახიას განმარტებით, აღნიშნულ განცხადებაზე პასუხი საჯარო რეესტრმა ორშაბათს უნდა გასცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეესტრის მიმართ საჩივარი მომზადდება.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ლევან გაჩეჩილაძის „მაესტროს" დირექტორად დარეგისტრირების საკითხი 10 თებერვალს შეაჩერა.

უწყების განმარტებით, საჯარო რეესტრმა წარმოება 30 კალენდარული დღის ვადით, ეთერ (ბაია) გადაბაძის სარჩელის საფუძველზე შეაჩერა, რომელმაც სააგენტოს განცხადებით მიმართა სასამართლოში მიმდინარე დავის გადაწყვეტამდე შპს „სტუდია მაესტროს" დირექტორის ცვლილება არ განხორციელდეს. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გივი თარგამაძე: ოქტომბერში ჩვენ გავაფორმებთ გამარჯვებას



საპარლამენტო უმცირესობის წევრები ციხისძირში ჩავიდნენ. როგორც „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა გივი თარგამაძემ განაცხადა, ციხისძირში „ნაციონალურმა მოძრაობამ" და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოახერხეს ხეების გადარგვის პროცესის შეჩერება. თარგამაძე ასევე ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ბიძინა ივანიშვილს „მზის შუქზე გააშიშვლებს".

– ჩვენ ერთი ეპიზოდი მოვიგეთ, ჩვენ მოვიგებთ ბრძოლას, მოვიგებთ ამ ომს და ჩვენ გამოვიყვანთ ამ არსებას მზის შუქზე, გავაშიშვლებთ და ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ 7 მილიარდი დოლარის ფუღურო...

ოქტომბერში ჩვენ გავაფორმებთ გამარჯვებას და საბოლოდ ვეტყვით მას, რომ რამდენი თანხაც არ უნდა ჰქონდეს ყულაბაში ის ყველაფერს ვერ იყიდის, – განაცხადა გივი თარგამაძემ. (ipress.ge)

## „სააკაშვილმა და სოფო ნიჟარაძემ ნოდარ მელაძე ათასგვარი ეპითეტით რომ შეამკეს, მაშინ ვერ დავინახე ნაცების შეშფოთება"



„უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, გია გაჩეჩილაძის განცხადებაზე ატეხილი აჟიოტაჟი კონკრეტული პიროვნებების მხრიდან სხვა არაფერია, თუ არა ორმაგი სტანდარტების დანერგვა საზოგადოებაში.

– მაინტერესებს, ერთი ამბავი რომ ატყდა მედიის გარკვეული ნაწილის მიერ გაჩეჩილაძის ნათქვამ ერთ ფრაზაზე – „სოფლელი ჟურნალისტი", სააკაშვილმა და მისმა მეგობარმა სოფო ნიჟარაძემ „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტ ნოდარ მელაძეს ჩასვრილი და სუნიანი რომ ეძახა და სხვა ათასგვარი ეპითეტით რომ შეამკო, მაშინ ვერ დავინახე „ნაცების" ბელადის ამ გამონათქვამის გამო შეშფოთება, წუხილი, გაღიზიანება, გულდაწყვეტა და ა.შ. „ასავალ-დასავალის" ჟურნალისტი რომ სცემეს ნაცზონდერებმა, ვერც მაშინ დავინახე შეშფოთება.

არ ვარგა ორმაგი სტანდარტების დანერგვა, – წერს მჟავანაძე სოციალურ ქსელში. (რეპორტიორი)

## „არის საშიშროება, რომ აფხაზეთს ელექტროენერგია ვეღარ მივაწოდოთ"



ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე „ენგურჰესის" დირექტორის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს, რომლის თანახმადაც, აფხაზეთს, შესაძლოა, ელექტროენერგია ვეღარ მიეწოდოს.

როგორც კახა კალაძემ განაცხადა, „ენგურჰესზე" რეალურად წყლის ნაკლებობა ფიქსირდება, რადგან წელს არ იყო წყლის ისეთი შემოდინება, როგორც გასული წლების განმავლობაში.

მისივე ინფორმაციით, ამ დროისთვის ორი კვირის მარაგია იმ ელექტროენერგიის დარჩენილი, რომელიც აფხაზეთს მიეწოდება.

– საშიშროება არის იმისა, რომ ვერ შევძლოთ მათთვის ელექტროენერგიის მიწოდება. ეს ინფორმაცია მათ აქვთ. ერთობლივად ვმუშაობთ, რომ ეს პრობლემა მოვაგვაროთ, – აღნიშნა კალაძემ.

კითხვაზე, აფხაზეთს უფასოდ ვეღარ მიეწოდება ელექტროენერგია, თუ ზოგადად მიწოდების პრობლემაა, კალაძემ აღნიშნა, რომ საუბარია, ზოგადად, მიწოდებაზე.

მინისტრმა, ასევე, აღნიშნა, რომ „ენგურჰესს", გარდა აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის მიწოდებისა, სხვა პრობლემა არ აქვს. (pia.ge)

## სირიაში საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა



სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა. 30 წლის ბესლან მუხტაროვი თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში ცხოვრობდა. სოფლის რწმუნებულ ალსკარ სარდაროვის განცხადებით, მუხტაროვი წლების განმავლობაში თურქეთში მუშაობდა და მისთვის უცნობია, როდის გადავიდა სირიაში. „კურიერის" ინფორმაციით, ბესლან მუხტაროვი პროფესიით ექიმი იყო და სირიაში დაჭრილებს მკურნალობდა. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, მუხტაროვი სირიაში 2015 წლის ოქტომბერში წავიდა, დეკემბერში კი გარდაიცვალა, თუმცა ამის შესახებ მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი.

არსებული მონაცემებით, სირიაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებს საქართველოს 18 მოქალაქე შეეწირა. გარდაცვლილები როგორც კახეთის, ისე აჭარისა და ქვემო ქართლის მკვიდრები არიან. (პირველი რადიო)

## ზუგდიდში „გალფის“ მენეჯერს მანქანა დაუწვეს



ზუგდიდში კომპანია „გალფის“ მენეჯერ ნუგზარ ნემსაძეს საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში ავტომანქანა დაუწვეს.

ოჯახის წევრები მომხდარის მიზეზს ვერ ასახელებენ. მანქანის პატრონი ტექნიკურ გაუმართაობას გამორიცხავს.

ერთ-ერთი ვერსიით, მანქანას ბენზინი აქვს გარედან გადასხმული, რადგან ოჯახის წევრების თქმით, დათვალიერების შედეგად, მანქანის შიდა სალონი ნაკლებადაა დაზიანებული. მათი ვარაუდით, ცეცხლი სწორედ მანქანას გარედან, წინა მხარეს აქვს მოკიდებული. (ნიუპოსტი)

## მოახლოებულ არჩევნებს დიდი გავლენა ექნება საქართველო-აშშ-ის ურთიერთობებზე — მაკკეინი



საქართველოში რუსული პროპაგანდის გაზრდასთან დაკავშირებით ამერიკის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ გაკეთებულ განცხადებას ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი გამოეხმაურა.

სენატორის თქმით, პუტინი საქართველოს ოკუპაციას განაგრძობს და ქვეყნის ტერიტორიაზე გავლენას აძლიერებს.

მაკკეინის თქმით, საქართველო-აშშ-ის ურთიერთობაზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ის ფაქტი, რამდენად თავისუფლად და სამართლიანად ჩატარდება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები:

– რუსეთი აგრძელებს საკუთარი ტერიტორიის გაზრდას. განაგრძობს საზღვრების გადაწევას საქართველოს ტერიტორიის შიგნით. მოახლოებულ არჩევნებს დიდი გავლენა ექნება ბევრ ფაქტორზე, მათ შორის საქართველო-აშშ-ის ურთიერთობებზე. ჩვენ ველოდებით თავისუფალ და გამჭვირვალე არჩევნებს და თანამშრომლობას საქართველოს ხელისუფლებასთან. ჩვენ ვიცით, რომ პუტინი განაგრძობს საქართველოს ოკუპაციას და აძლიერებს გავლენას საქართველოს ტერიტორიაზე, – აცხადებს ჯონ მაკკეინი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჟურნალისტმა შემთხვევით ქადაგიძის მრჩევლის კულუარული საუბარი მოისმინა

ჟურნალისტმა ნინო ბურჭულაძემ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატთან დაკავშირებით სტატუსი გამოაქვეყნა.

– კობა გვენეტაძეზე გამახსენდა –... დაახლოებით 10 დღის წინ მარჯანიშვილზე „ანტრეში“, სადაც მე დათოს მოლოდინში „კოფეს“ მივირთმევდი, ბატონი ბაქრაძე (აი, ის, 5 ენა რომ იცის და თან ქადაგიძის მრჩეველი რომ არის) ემუსაიფებოდა ერთ ჩემთვის უცნობ პირს......ეს უკანასკნელი გადიოდა კონსულტაციას, თუ ვისი ლობირების იმედი უნდა ჰქონოდა საჭიროების შემთხვევაში. აღმოჩნდა, რომ როგორმე უნდა დაემსახურებინა გედი ფოფხაძის კეთილგანწყობა. ხოლო პრეზიდენტის ადმინისტრაციაში თავად ბაქრაძე მოაგვარებდა. გარდა ამისა, საკმაოდ საინტერესოდ საუბრობდნენ ლარის კურსის სამომავლო დაჭერაზე. აგრეთვე, სხვა შესაძლო კანდიდატებზე და მათ შუქჩრდილებზე. ვინაიდან „ანტრე“ პატარაა და თავადაც ხმამაღლა საუბრობდნენ, მინდოდა-არ მინდოდა, მაინც ვუსმენდი. ეხლა ვიცანი, რომ ბაქრაძის მოსაუბრე კობა გვენეტაძე ყოფილა – ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი, – წერს ჟურნალისტი.



შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის 3 კანდიდატი შეარჩია. აქედან ორი კანდიდატი ნინო ბურჭულაძის სტატუსში მოხსენებული ბაქრაძე და გვენეტაძე არიან.

შერჩევა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის გამოთავისუფლებული ადგილისთვის მოხდა.

„ფოსტალიონი“ 9 თებერვლის სტატიაში ამის შესახებ წერდა და იმ ექსპერტების ვინაობის მოძიებასაც ცდილობდა, ვინც აღნიშნული კანდიდატების შერჩევაში მიიღო მონაწილეობა და რომლებსაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა, გიორგი აბაშიშვილმა მადლობა გადაუხადა გაწეული სამუშაოსთვის, თუმცა გვარები არ დაუსახელებია.

11 თებერვალს კი საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს ეროვნული ბანკის წევრობის კანდიდატად კობა გვენეტაძე დაასახელა. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „აიფონ“-ის მორიგი ტუტუცური გამოხტომა მართლმადიდებლობის მოძულეებისთვის ნამდვილ ზეიმად იქცა!



მღვდელი, რომელმაც, „აიფონ პლუსის“ მტკიცებით, მათ მაღაზიაში ტელეფონები აკურთხა, ამბობს, რომ აკურთხა არა ტელეფონები, არამედ მაღაზია.

ვაკის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის მღვდელმა იოანე საბანიძემ ტელეკომპანია „ერთსულოვნების“ ეთერში სტუმრობისას განაცხადა, რომ მასთან მივიდა მაღაზიის მენეჯერი გიორგი მაჭავარიანი და სთხოვა, რომ სურდა მაღაზიის კურთხევა, რაზეც მამა იოანე დასთანხმდა.

მისივე თქმით, სიუჟეტის ძირითადი ნაწილი მას შემდეგ გადაიღეს, რაც მამა იოანემ მაღაზია დატოვა. მანამდე კი მან ვიდეოკამერა შენიშნა და როდესაც იკითხა, რატომ და ვინ იღებდა მაღაზიის კურთხევის რიტუალს, აუხსნეს, რომ, რადგან ეს პირველი მაღაზია იყო, რომელსაც მართლმადიდებლური წესით აკურთხებდნენ, სურდათ, გადაეღოთ რიტუალი, რომ ხელმძღვანელი პირებისთვის ეჩვენებინათ.

– როდესაც მღვდლები ვაკურთხებთ მაღაზიას, ან აფთიაქს, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ წამალს ვაკურთხებთ, ან სახლის კურთხევისას – სკამს ან მაგიდას, იკურთხება ხალხი და შენობა, – განმარტავს მამა იოანე.

როდესაც ვიდეოს შესახებ შეიტყო, მღვდელმსახურმა სცადა გიორგი მაჭავარიანი ენახა და ეთხოვა, ვიდეო ინტერნეტიდან აეღოთ, თუმცა მაღაზიის მენეჯერი მას დაემალა.

მამა იოანეს თქმით, გულნატკენია, რომ წინასწარ არ გააფრთხილეს, რისთვის სჭირდებოდათ კურთხევის რიტუალის კადრები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ დასთანხმდებოდა.

– მართლმადიდებლური მრევლიც არის ჩართული, ვთხოვ ყველას, რომ დაანებონ თავი და არ აჰყვნენ. ის ბიჭი ახლა ძალიან ცოდოა, შევძელი მასთან გუშინ საუბარი და ძალიან დაბნეულია, პატარა ბიჭია, მას დაავალეს და გაუაზრებლად გააკეთა, – აღნიშნა მამა იოანემ. (daijesti.pia.ge)

**დიდი ეჭვი გვაქვს, „პატარა ბიჭს“ არაფერი შეშლია და ყველაფერი სწორედ ისე გაკეთდა, როგორც ჩაფიქრებული იყო, რადგან „აიფონ პლუსისგან“ სხვა უაზრო პროვოკაციაც კარგად გვახსოვს, როცა პარიზის ტერაქტებიდან სულ რამდენიმე დღეში ვიდეო გაავრცელეს, სადაც „ეფლის“ მაისურებში ჩაცმული და სათამაშო ავტომატებით შეიარაღებული „აიფონპლუსელები“ „ალაჰ აკბარს“ გაჰყვიროდნენ.**

**მაშინ ბევრი უარყოფითი კომენტარი დაიწერა, ეს როგორ გააკეთა „აიფონ პლუსმაო“, ახლა კი ძალიან ბევრი გამოხტა, ვინც იდეის ავტორებს კი არ მოჰკითხა პასუხი, სასულიერო პირი ლამის ჯვარს აცვა.**

**საერთოდაც, ყოველთვის ასეა, როცა დამნაშავე საკადრის პასუხს არ მიიღებს, მეორედ უარეს საძაგლობას ჩაიდენს და აგერ, ბატონო, შესანიშნავი მაგალითი — „აიფონ პლუსის“ მორიგი ტუტუცური პროვოკაციით დიდად გაიხარეს მათ, ვისაც ერთი სული აქვს, მართლმადიდებლობა დააკნინოს და გაათახსიროს!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როგორ უნდა მოიქცეთ, თუ დამსაქმებელი თქვენს უფლებებს არღვევს

თუ სამსახურში ვერ სარგებლობთ კუთვნილი შვებულებით, ან არ მოგცეს კუთვნილი სახელფასო ანაზღაურება, ან უკანონოდ დაგითხოვეს სამსახურიდან...

შრომის პირობების ინსპექტირების სამსახური, დღესდღეობით მისთვის მინიჭებული უფლებებით, სამართლებრივ დახმარებას ვერ გაგიწევთ, თუმცა დამსაქმებელთან მედიატორის როლს შეასრულებს და რჩევა-რეკომენდაციებს გაგიწევთ. რეკომენდაციების იგნორირების შემთხვევაში კი თქვენი მოთხოვნისთვის ბრძოლა სასამართლოში მოგიწევთ.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ირაკლი არაბიძე აცხადებს, დეპარტამენტი ძირითადად სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობების მონიტორინგზეა ორიენტირებული. თუმცა, მისივე თქმით, დღის წესრიგში დგას აღნიშნული სამსახურის უფლება-მოვალეობების გაფართოების საკითხიც.

უსაფრთხო შრომის პირობების კუთხით, ძირითადი პრობლემა, სამშენებლო სექტორშია. ირაკლი არაბიძის თქმით, მშენებლობის დროს ხშირ შემთხვევაში არ არის დაცული უსაფრთხოების აუცილებელი სტანდარტები, რაც საწარმოო ტრავმებს და სამწუხაროდ, ფატალურ შემთხვევებსაც იწვევს. თუმცა არის შემთხვევებიც, როცა თავად დასაქმებული არ



იცავს დამსაქმებლის მიერ გაცემულ მითითებებს უსაფრთხო სამუშაო პირობების დაცვის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში კი შრომის პირობების ინსპექტორები პასუხისმგებლობას დამრღვევ მხარეს აკისრებენ.

ამასთანავე, შრომის პირობების უსაფრთხოების მონიტორინგის შედეგად გაცემული აუცილებელი რეკომენდაციების გადამოწმებისას, 10-დან 7 შემთხვევაში, უსაფრთხოების ზომები გამოსწორებული და აუცილებელ ნორმებთან გათანაბრებულია. (fortuna.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გია გაჩეჩილაძე: „მე ჩამოსულებს არ ვებრძვი“



გია გაჩეჩილაძე ტელეკომპანია „ჯიდიეს“-ის გადაცემა „20/30“-ში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს.

– მე ჩამოსულებს არ ვებრძვი. მე ვებრძვი გაუნათლებლობასა და არაპროფესიონალიზმს. ყველა საიდანღაც ვართ ჩამოსული და თუ გაინტერესებთ, მე სოფელ წევადან ვარ ჩამოსული. თბილისელი ერთი ხოხობი იყო და ისიც გორგასალმა მოკლა. დანარჩენი ყველა ჩამოსულები ვართ და ძალიან გთხოვთ, ამ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით ლაპარაკს მორჩით, – აცხადებს გია გაჩეჩილაძე. (2030.news)

## „ჯეოსელის“ შემდეგ, საუბარი „ბილაინის“ აბონენტებსაც გაუძვირდებათ

მას შემდეგ, რაც „ჯეოსელმა“ 3 საყვარელი სპეცნომრის მომსახურება გააუქმა, რითიც აბონენტების გარკვეულ ნაწილს საუბარი გაუძვირდა, ცვლილებებია „ბილაინთანაც“.

კერძოდ, „ბილაინმა“ საუბრის წამოწყების 10-თეთრიანი ტარიფი აამოქმედა, რაც მომხმარებლის ჯიბეზე უარყოფით გავლენას მართალია, ნელ-ნელა, მაგრამ აუცილებლად მოახდენს.

## ჰააგის სასამართლოს პროკურორის ჯგუფი თბილისში 27 თებერვალს ჩამოდის



ჰააგის პროკურორის ფატუ ბენსუდას ჯგუფის თბილისში ჩამოსვლის თარიღი ცნობილია – ევროპელ გამომძიებლებს საქართველოში 27 თებერვალს ელოდებიან

– საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლემ მოინდომა გაცნობითი შეხვედრა, იყო საუბარი იმაზე, რომ საქართველომ მაქსიმალურად ითანამშრომლოს ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ვისაუბრეთ ვიზიტის დროზეც, 27 თებერვალს მათი ჯგუფი ჩამოდის და იუსტიციის სამინისტრო ჩვეულებრივ რეჟიმში გაუწევს პარტნიორობას, რომ ინფორმაცია მაქსიმალურად იქნას მიწოდებული, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. (ნიუპოსტი)

## ბიზნესმენების მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი 2-თვიანი პატიმრობა შეეფარდა



ზუგდიდის საქალაქო სასამართლომ რამდენიმე დღის წინ ზუგდიდიდან გაუჩინარებული ბიზნესმენების მკვლელობაში ბრალდებულ სოფელ ნარაზენის მკვიდრ დ. ბეჭვაიას 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. დაკავებული დანაშაულს არ აღიარებს და ამბობს, რომ მას აღნიშნულ მკვლელობასთან საერთო არ აქვს.

როგორც ბრალდებულმა სასამართლოზე განაცხადა, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე მისი ტელეფონიდან ნამდვილად განხორციელდა სატელეფონო ზარი. ბეჭვაია ამბობს, რომ მას სურდა საქონლის მიყიდვა გარდაცვლილ ჩუბინიძეზე, თუმცა ეს შეთანხმება არ შედგა და მას მერე კავშირი არ ჰქონია. ბრალდებული სამართალდამცავთა მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს. მისი თქმით, იყო მუქარა, რომ ოჯახს გარდაცვლილის ახლობლები გაუსწორდებოდნენ.

ბრალდებულის ადვოკატის თქმით, საქმეში მტკიცებულების სახით არ დევს არც იარაღი და არც სატელეფონო ანძიდან ამოღებული საუბრები. (ნიუპოსტი)

## „გვეყოლება თუ არა გეი პრეზიდენტი, ამომრჩევლის გადასაწყვეტია“



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობათა მდივანი გიგა ბოკერია პასუხობს „17 მაისის“ კითხვას, მიიჩნევს თუ არა ჰომოსექსუალობას ავადმყოფობად.

– რა თქმა უნდა, არა. ჰომოსექსუალობა ავადმყოფობა არაა. ავადმყოფობა ისაა, როცა ამ საკითხს ასე სვამენ, – განაცხადა ბოკერიამ.

კითხვას, შესაძლოა, თუ არა საქართველოს ჰომოსექსუალი პირველი პირი ჰყავდეს, ბოკერია პასუხობს, რომ ეს ქართველი ამომრჩევლის გადასაწყვეტია და ორიენტაციას მნიშვნელობა არ აქვს.

– თუ ადამიანს საზოგადოების წნეხის გამო უწევს თავისი ორიენტაციის დამალვა, ტრაგიკული ამბავია. ვისაც ქართველი საზოგადოება აირჩევს, ის იქნება საქართველოს პრეზიდენტი, რა ორიენტაციისაც არ უნდა იყოს. ეს ქართველმა ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს. ამ ნიშნით არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რა სექსუალური ორიენტაციის მატარებელია; უნდა გადაწყვიტოს იმ ნიშნით, პასუხობს თუ არა იმ ამოცანებს, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. თავისუფალი საზოგადოება ის არის, სადაც ეს საკითხი ადამიანის პირადი ცხოვრების საკითხია მხოლოდ და მეტი არაფერი, თუნდაც პირადი ცხოვრების დეტალები ხმამაღლა ჰქონდეს გაცხადებული. ის, თუ ვის ვიქირავებთ და ავირჩევთ ჩვენი ინტერესების გასატარებლად, სექსუალურ ორიენტაციასთან არანაირ კავშირში არ უნდა იყოს, – აცხადებს გიგა ბოკერია. (frontnews.ge)

**ამომრჩეველს, ქართველ საზოგადოებას, აქვს პასუხი ამაზე — არ სურს გეი პრეზიდენტი, არ სურს ჰომოსექსუალი მერი და გამგებელი, მაგრამ არ გესმით პეროგაყრილებს ხალხის ხმა. არც ანტიდისკრიმინაციულ კანონს უჭერდა მხარს საზოგადოება, მაგრამ მოუსმინა ვინმემ, გაითვალისწინა ხალხის აზრი?!**

## მესხს — ოდესმე თუ ამ პოსტს წაიკითხავ, სანამ მე შემაგინებ, ჯერ შენს დედას ჩახედე თვალებში





მომღერალი და ტელეწამყვანი მაგდა ბეჟანიშვილი სოციალური ქსელით მსახიობ მიშა მესხს მიმართავს:

– მიშა, გამარჯობა! მე მაგდა ვარ. ისეთი არავინ. არც მიცნობ. ალბათ, გკიდია ახლა რასაც დავწერ, მაგრამ მაინც...

ამ ფოტოზე მე და დედა ვართ. ეტლით კი ნათიაა. ჩემი ნათლული, ამაზეც დავწერ, ოღონდ ჯერ დედაჩემზე მოგიყვები.

ეს ქალი, რომელიც დედაჩემია და რომელსაც უკვე მეორედ მაგინებ, ზედმეტი ინფორმაციისთვის, რომ იცოდე, გმირია!

სამ წლამდე ვუყურებდი თვალებში. ბოლოს არც მახსოვს, როგორი გამოხედვით მიღიმოდა. სამი წლიდან დღემდე დედაჩემი წელში გამართული და თავაწეული მიდგას გვერდში და ცდილობს, ყოველდღე გამზარდოს. მასწავლის, როგორები ვართ ადამიანები და როგორი უნდა ვიყო მე.

მიშა! დედას თვალებიდან ვარსკვლავები ამოსდის, როცა ბედნიერია.

იცი, ერთად რამდენი რამ გამოვიარეთ? რთული ოპერაციები, საშინელი საზოგადოება, ჩემი დეპრესიები, ბოლოს უმამობა, უქმრობა და ასე შემდეგ. 13 წლის ვიყავი, მამა რომ დამეღუპა.

მე თბილისში ვსწავლობდი. მალე ჩემი დაც ჩაირიცხა უნივერსიტეტში.

დედა უმუშევარი დარჩა და თვალებში ვარსკვლავებიც ნელ-ნელა უქრებოდა. მხოლოდ ჩემი პენსია გვქონდა.

არ მახსოვს 60 ლარი იყო თუ 70. სადღაც ას ლარამდე მერყეობდა.

სკოლაც დავამთავრე, მუსიკალურიც, ჩემმა დაიკომ უნივერსიტეტიც და დღეს ორივე ვმუშაობთ.

დედას კი ხშირად ამოსდიან თვალებში ვარსკვლავები, მიშა!

ერთი წამით არ მივუტოვებივართ დედას. არც მაშინ მიმატოვა, როცა მშობლების 80 პროცენტი, ან იქნებ უფრო ცოტაც მიატოვებდა შვილს.

მიდის დედა და მხრებით მიმათრევს.

გიყვები ძალიან მსუბუქ და ცოტა ამბავს.

ეს გოგონა კი, როგორც გითხარი, ნათიაა. ჩემი ნათლული.

სამი წლის იყო, ბებიამ რომ მიატოვა და სენაკის ბავშვთა თავშესაფარში აღმოჩნდა. მას ცერებრალური დამბლა დაუდგინეს.

შვიდი წლის იყო, პირველად ჩემმა მეზობელმა რომ იშვილა და თელავში ჩამოიყვანა.

იცი, რა პატარა და მოუვლელი იყო?

პირველად რომ ტელევიზორი დაინახა, ყუთი ეგონა. ჩაურთეს და გული წაუვიდა – ადამიანებს რა უნდათ ყუთშიო. შეეშინდა. ოთხი წლის მანძილზე ისე არ ჩამოვიდოდი თბილისიდან, რომ არ მენახა და არ მეთამაშა მასთან. მერე მისი დედობილი იზა დეიდა ავად გახდა და მალევე გარდაიცვალა.

ნათიას ისევ უკან აბრუნებდნენ, როცა დედამ და მამამ გადაწყვიტეს, რომ ჩვენთან გადმოეყვანათ და ნათიას ადამიანური ცხოვრება გაეგრძელებინა.

2005 წლის 13 მარტს დედაჩემი სხვისი შვილის დედა გახდა და ზუსტად ერთ თვეში 2005 წლის 13 აპრილს მამა გარდამეცვალა.

ნათიამ მეოთხედ დაკარგა მშობელი.

პირველად საკუთარი დედა და მამა, მერე იზა დეიდა და ბოლოს მამაჩემი. ცხრა წელი ერთად ვიცხოვრეთ და ახლა დუშეთში ცხოვრობს, თავშესაფარში.

ეს სახელმწიფო პროგრამა იყო და კანონმა ასე მოითხოვა.

დედაჩემი წელიწადში რამდენჯერმე ჩადის ნათიასთან და ჩვენთანაც ხშირად ჩამოგვყავს. მოვნათლეთ და მისი ნათლიებიც გავხდით.

მიშა! დედაჩემი მზესავით თბილი და მზისგან განსხვავებით ერთგულია.

დედა არასდროს ქრება და არასდროს იმალება, არსად. მზე კი ხშირად ჩადის ღრუბლებში.

მიშა! დედაჩემი ჩემი ღმერთია.

როცა ოსკარზე გეძინა, მიშა, გავბრაზდი, მაგრამ ხუმრობით ბევრი კომენტარიც დაგიწერე და პოსტიც მეწერა რამდენჯერმე.

გამოხვედი და დედა გვაგინე.

ეკა ხოფერიას შოუ იყო, კარგად მახსოვს.

შენ ჩემი ვარსკვლავთვალებიანი დედა შემაგინე მაშინ, როცა მე ბედნიერებით სავსე ვადევნებდი თვალყურს ოსკარის ამბებს და შენ, რომელსაც გული ამოვარდნაზე უნდა გქონოდა, გეძინა.

ნანუკას შოუში სანამ გნახავდი, იქამდე ჩემი აზრი დავაფიქსირე.

დიახაც! არ მომეწონა ის, რაც მოხდა და არც არასდროს არ მივესალმები ამას. გამოხვედი და კიდევ გვაგინე.

ბოდიში მხოლოდ იმ ადამიანებს მოუხადე, ვისიც ყველაზე მეტად შეგრცხვა. ეს იყო ოჯახის წევრები და ის ახალგაზრდები, ვისაც მოსწონხარ და გბაძავენ.

მე, მაგდა ბეჟანიშვილი, როგორც ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე და არა როგორც შენი ოჯახის წევრი და არა როგორც შენი მომწონებელი და არა როგორც შენი მომბაძველი, მოვითხოვ ერთი უბრალო გაუზრდელი და გათავხედებული მიშა მესხისგან ბოდიშს!

მიშა! ჩახედე დედაშენს თვალებში და საკუთარ თავს შეეკითხე – ბოლოს როდის ამოუვიდნენ დედაშენს თვალებიდან ვარსკვლავები და ბოლოს როდის დაითვალე დედაშენის სახეზე ღიმილები.

იმაზე დიდი ნარკოტიკი რა უნდა იყოს, როცა ვენებში კი არ გაუშვებ ფულს, არამედ გამოხვალ და ერთ პატარის სიცოცხლეს გადაარჩენ, რომელიც ღმერთმა იცის, ახლაც სიცოცხლისთვის იბრძვის. იმაზე დიდი კაიფი რა უნდა იყოს, როცა იმ ფულით, რასაც სხეულის დასამახინჯებლად და სულის წასაბილწად ხარჯავ, წახვიდე და დედას ყვავილები და ლამაზი ნივთები შეუძინო უფრო მეტი ვარსკვლავებისთვის, მიშა! კაცი ხარ, და ნემსების კეთებას ჯერ ქალის დაფასება უნდა გესწავლა, მე ასე ვფიქრობ.

ოდესმე თუ ამ პოსტს წაიკითხავ, სანამ მე შემაგინებ, ჯერ შენს დედას ჩახედე თვალებში.

წარმატებას და გამოჯანმრთელებას გისურვებ!

კაი ტიპობა ქალის ღიმილებია, მიშა.

დედის გინება კი არაკაცობა! – წერს საკუთარ გვერდზე მაგდა ბეჟანიშვილი. (mpress.ge)

კვირის მედია-ქრონიკა

## „ჩემმა ძმაკაცმა გიორგი მარგველაშვილმა თავი დაიღუპა, როცა პოლიტიკაში წავიდა“



ბიზნესმენ ლევან ვასაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა თავი დაიღუპა, როდესაც ის პოლიტიკაში წავიდა.

ბიზნესმენმა „ქრონიკის სტუდიაში“ განათლების მინისტრზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის ჭკვიანია, მაგრამ მარგველაშვილმა ის შეცდომაში შეიყვანა, როდესაც პოლიტიკაში მოიყვანა.

ეს განცხადება, ლევან ვასაძემ, სკოლებში სამოქალაქო განათლების მიღების საკითხზე საუბრისას გააკეთა.

– ერთ რამეს გეტყვით, რაც საქართველოში არავის გაუგონია: მინისტრი იტყუება, წარმოგიდგენიათ? ძალიან მერიდება ამის თქმა, მაგრამ რადგანაც თამარ სანიკიძემ თქვა, რომ ჩვენ ვიტყუებით, სხვა არჩევანი არ დაგვრჩენია. თამუნა მე ძალიან მიყვარს, არის ერთი წესიერი გოგო, ჭკვიანი და მშვენიერი, რომელიც ძალიან დიდ გაუგებრობაშია მოხვედრილი. ჩემი აზრით, გიორგი მარგველაშვილმა, ჩემმა ძმაკაცმა თავი დაიღუპა, როცა პოლიტიკაში წავიდა. ვეუბნებოდი, არ წახვიდე-მეთქი და ეს ადამიანიც დიდ შეცდომაში შეიყვანა, – განაცხადა ვასაძემ.

შეგახსენებთ, რომ ლევან ვასაძე იმ პეტიციის ავტორია, რომელიც სკოლებში საგნის „მე და საზოგადოება“ აკრძალვის მოთხოვნით პარლამენტს გადაეგზავნა. (pia.ge)

## მაჭავარიანი: საქართველოს რა პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს ირანის გაზში, გაურკვეველია



საპარლამენტო უმცირესობის წევრი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია, ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე „გაზპრომთან“ და ირანის გაზთან დაკავშირებით განცხადებას რატომ არ აკეთებს.

მისი თქმით, ენერგეტიკის მინისტრი „გაზპრომის“ დაკვეთას ასრულებს და გაურკვეველია, საქართველოს ირანის გაზში რა პოლიტიკური საფასურის გადახდა მოუწევს.

– ჩვენთვის გაუგებარია, რატომ იმალება ენერგეტიკის მინისტრი. გასაგებია, მას სათქმელი არაფერი აქვს. ირანი მნიშვნელოვანი პარტნიორია, მაგრამ აზერბაიჯანი, რომელსაც აქვს გაზი და ტექნიკური საშუალება, ისევ მზად არის, მოგვაწოდოს ბუნებრივი აირი იმ მოცულობით, რაც საქართველოს სჭირდება და იმ ფასად, რაც ჩვენი ქვეყნისთვის მისაღებია.

რაც შეეხება ირანულ გაზს, ჩვენ, ალბათ, უნდა გვესმოდეს, რომ ეს გაზი პირდაპირ ვერ მიეწოდება საქართველოს, აუცილებლად უნდა გაიაროს რუსეთის კუთვნილი გაზსადენი, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზეა. რა პოლიტიკური ფასის გადახდა მოგვიწევს ამაში, სწორედ ამას ვცდილობთ დავადგინოთ ენერგეტიკის მინისტრისგან და ჯიუტად კახა კალაძე, რომელსაც არ აქვს პასუხები ამ საკითხთან დაკავშირებით, თავს არიდებს და იმალება, – აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი. (ipress.ge)

## 2016 წელს საქართველომ შესაძლოა, ევროობლიგაციები გამოუშვას

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, თუ საჭიროება იქნება, საქართველომ შესაძლოა, ევროობლიგაციები წელსვე გამოუშვას.

„როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ საქართველო ცდილობს, საერთაშორისო ინსტიტუტებისგან მოიპოვოს დამატებითი ფინანსური რესურსები, რათა დაძლიოს მეზობელ ქვეყნებში შექმნილი პრობლემებით გამოწვეული ეკონომიკის შეფერხება.

– თუ ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარება დამატებით ინვესტიციებს მოითხოვს, ევროობლიგაციების გამოშვების ჩათვლით, რა თქმა უნდა, ჩვენ ამას გავაკეთებთ და შეიძლება წელსვე, – აღნიშნავს პრემიერი.

„როიტერის“ ინფორმაციით, 2011 წელს საქართველომ გამოუშვა 500 მილიონი დოლარის ღირებულების ათწლიანი ევროობლიგაციები, ასევე, გამოისყიდა 2008 წელს გამოცემული 500 მილიონი დოლარის ღირებულების ხუთწლიანი ევროობლიგაციების დიდი ნაწილი (417 მილიონი დოლარი). (pia.ge)

# „დათო ამკინძავი „ალიადან“ რეკავს „ასავალ-დასავალში“

## რატომ გაავრცელა შარშანდელი ვიდეო სააგენტო „ნიუპოსტმა“ მაინცდამაინც ახლა?

## „ალია“: კანონის ძალით ყველა ასეთი თავდამსხმელის დასჯას მოვითხოვთ, თანაც კატეგორიულად!






ზოგადად, მედიის გინება მოდაშია ჩვენს ქვეყანაში და ვისაც არ ეზარება, ჟურნალისტებს ხან აგინებს, ხან ჭკუას არიგებს, ხან დაბადების ადგილია მიუღებელი მავანისთვის...

რაც ყველაზე მთავარია, მედიის ლანძღვა, ჟურნალისტებისთვის ჭკუის დარიგება განსაკუთრებით უყვართ პრემიერ-მინისტრებს, მინისტრებს, პარლამენტარებს, მერებს, გამგებლებს... მოკლედ, ყველას და მათთვის კარგები, გადასარევები, პროფესიონალები, ჩასაყლაპები ვართ მხოლოდ მაშინ, როცა თავად ვჭირდებით, შემდეგ, როგორც კი თბილ სავარძლებს გაინაღდებენ, ამოიდებენ აკაკი წერეთელივით მუჭს ნიკაპის ქვეშ და ხან ჭკუას გვარიგებენ, ხან გვაგინებენ...

და ამ ყველაფრიდან, დაუსჯელობის სინდრომის ზეობიდან გამომდინარე, ჩინოვნიკების ამ უგუნურობას რიგითი მოქალაქეებიც ბაძავენ და ბაძავენ ყველაზე ამაზრზენი მეთოდებით...

თავის დროზე, როცა მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერის ჰორიზონტზე ჯერ არც კბენია მასაჟისტი ჩანდა, ვერც საჯდომების დაპწკენაზე იოცნებობდა, დილიდან საღამომდე „ალიაში“ იჯდა და ქებადიდებით ავსებდა რედაქციას. შემდეგ კი, როცა ვაჟბატონმა გაუტია და „ალია“ მიხვდა, რომ მისი რეჟიმი ქვეყანას ღუპავდა, სხვებისგან განსხვავებით, ბუჩქებში არ დამალულა და „ნაციონალურ მოძრაობას“ პირდაპირ შეასკდა. ჰოდა, ამის შემდეგ გახდა „ალია“ სალანძღავი სიტყვა და ამის შემდეგ იყო, რომ სააკაშვილი ლამის ყველა პრესკონფერენციას „ალიას“ მიწაში ჩადებით იწყებდა და ჩვენთან ერთად, „ასავალ-დასავალსაც“ ყბის მოღრეცვამდე ლანძღავდა...

13 თებერვალს საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტმა“ „იუთუბიზე“ გასული წლის 6 ივლისს ატვირთული ვიდეო გაავრცელა, სახელწოდებით: **„დათო ამკინძავი „ალიადან“ რეკავს „ასავალ-დასავალში“.**

ვიდეოში ახალგაზრდა მამაკაცი ტელეფონზე რეკავს, ზარს, სავარაუდოდ, „ასავალ-დასავალის“ თანამშრომელი პასუხობს და მათ შორის შემდეგი სახის დიალოგი იმართება (სტილი დაცულია):

ახალგაზრდა მამაკაცი:

– დათო ვარ ამკინძავი, ეხლა მიწევს, მორიგეობა მაქვს ტელეფონთან. ვიღაცა რეკავს, შეგვაწუხა, აღარ შეგვიძლია, თქვენთანაც ხო არ რეკავს შემთხვევით... მაიმუნი ბავშვი, ვიღაცა ახვარი ბავშვი რეკავს, ზოოპარკიაო, გვეუბნება და თქვენთანაც ხო არ დაურეკია შემთხვევით?

სავარაუდოდ, „ასავალ-დასავალის“ თანამშრომელი:

– ეგეთი ვიღაცა რეკავს აქა...

– ვაიმე, ვიღაცა ვირიშვილი, გამაწამა, ერთი საათი მირეკავს და რა ვიცი, თქვენ ბოლოს როდის დაგირეკათ?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს ეხლა?

– შემაწუხა, აღარ შემიძლია. მეთქი, რა ვუთხრა, არ მინდა, რო რაღაც გადავიკიდო, შარი ვნახო, რა, არ ვიცი, როგორ მოვიშორო თავიდან, რა, არ ვიცი, რა... თქვენ რამე, ისა, რაღაც მიალანძღეთ, რო აღარ დაგირეკოთ...

– არაფერი, დედის პრ...ი შეაგინე და ეგ არი, დაანებე თავი, რა...

– ჰოდა, იცით, რას ვფიქრობ, პროსტა, მირეკავს, მირეკავს, რო დავფიქრდი ეხლა, ერთი საათი მირეკავს, რა... მეთქი, იქნებ მარტო აი, ჩვენნაირ ყ...ე გაზეთებში რეკავს, დედა მოტ...ლის ერთი გაზეთები რომ ვართ, ყ...ეობებს რომ წერენ...

– შენი დედის მუტ... მოვტ...ან..

– და ალალიც არის ჩვენზე, რას ფიქრობთ?

– შენი დედის პრო...ი მოვტ...ან...

– მე რატო მაგინებთ, კაცო, მე უბრალოდ...

აქ მთავრდება საუბარი და ისმის ვიდეოს ავტორების სიცილ-ხითხითი...

ვიდეო „იუთუბიზე“ „**MARIO** ბურჩიკოვის“ სახელითაა ატვირთული და „ალია“ კატეგორიულად მოითხოვს შს სამინისტროსგან, რეაგირება მოახდინოს ამ უმსგავსობაზე, გამოავლინოს როგორც ახალგაზრდა, რომელიც უშვერი სიტყვებით მოგვიხსენიებს, ისე „**MARIO** ბურჩიკოვის“ სახელის უკან მდგომი ადამიანი და დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რომ ვიდეო სოციალური ქსელიდან წაიშალოს.

აქვე უნდა ითქვას, რომ „ასავალ-დასავალის“ რედაქციაში ამ ვიდეოზე აღბეჭდილი ახალგაზრდა 2014 წლის მანძილზე საკმაოდ ხშირად რეკავდა და რედაქციის თანამშრომლებს პროვოკაციული, შეურაცხმყოფელი მიმართვებით აღიზიანებდა. გასულ წელს მისი „ვაჟკაცობები“ სოციალურ ქსელში, ფაქტობრივად, აღარ გამოჩენილა, თუმცა 2015 წლის 6 ივლისს „საქმეში“ უკვე „ალიაც“ გაურევია...

**ბუნებრივია, პირველ რიგში, „ნიუპოსტთან“ გაგვიჩნდა კითხვა — რატომ გაავრცელა შარშანდელი ვიდეო სააგენტომ მაინცდამაინც ახლა?**

**დავუკავშირდით „ნიუპოსტის“ რედაქტორ ეკა შინდაგორიძეს:**

– სამწუხაროდ, მე არ მინახავს ეს ვიდეო. საერთოდ, სახუმარო ვიდეოებს ვდებთ ხოლმე საიტზე...

**— კი, მაგრამ ეკა, რა არის სახუმარო იმაში, როცა თქვენს კოლეგებს ასეთი საძაგელი სიტყვებით მოიხსენიებენ?**

– მე ნამდვილად არ ვიცოდი, ეს ვიდეო თუ დაიდო, მაგრამ ახლავე გავარკვევ და ავიღებთ საიტიდან.

**— ეკა, იცით, რა მაინტერესებს? რატომ დაიდო შარშანდელი ვიდეო მაინცდამაინც ახლა?**

– დარწმუნებული ვარ, მიზანმიმართული აქ არაფერი ყოფილა. გიდასტურებთ პატივისცემას, ყველაფერს გავარკვევ და ვიდეოს აუცილებლად ავიღებთ.

რამდენიმე წუთში შეურაცხმყოფელი ვიდეო „ნიუპოსტიდან“ მართლაც აიღეს, თუმცა, ერთი მხრივ, მაინც კარგია, რომ მისი არსებობის შესახებ შევიტყვეთ – ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი მასმედიის საშუალებების ლანძღვა-გინებას, რისთვისაც „ალია“ ყველაფერს გააკეთებს და ამ საქმეს ბოლომდე გაჰყვება!

**კიდევ ერთი — დამატებითი ინფორმაციისთვის „ასავალ-დასავალის“ რედაქტორის მაგიერს, დიტო ჩუბინიძესაც დავუკავშირდით:**

– გიდასტურებთ, რომ ასეთი ავადმყოფები რეგულარულად რეკავდნენ და ახლაც რეკავენ ხოლმე.

**— დიტო, თუ შეგიძლია იმის თქმა, ახალგაზრდები რეკავენ ძირითადად თუ ასაკიანებიც?**

– არა, ძირითადად, ახალგაზრდები რეკავენ და ჯღანაობენ რაღაცებს.

**— თუ გაარკვია რედაქციამ, ვინ იყო ამ ზარების ავტორი ან თუ მიმართეთ ოფიციალურ უწყებებს?**

– გავიგეთ ის, რომ ვინმე გიორგია ეს ახალგაზრდა, გვარი, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს. თუ არ ვცდები, ბენდუქიძის უნივერსიტეტის სტუდენტია. თავის დროზე ვუპასუხეთ კიდეც გაზეთიდან და ცოტა ხანს კი იყო გაყურსული, მერე ისევ დაიწყო. ოფიციალური უწყებისთვის არ მიგვიმართავს, თუმცა, თუ კიდევ ასე გაგრძელდა, პასუხსაც მიიღებენ. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ ესენი არიან ბაღლინჯოები, „ნაციონალური მოძრაობის“ ქვედა რგოლის წარმომადგენლები. ეს გიორგი ტუალეტებში იღებს სურათებს და აბა, მაგას სერიოზულად როგორ უნდა დაელაპარაკო?

სხვათა შორის, დიტო ჩუბინიძემ უნებურად ერთი ძალიან საინტერესო რამ გვითხრა, – ზარის ავტორი ვინმე გიორგი იყოო. სულ რამდენიმე დღის წინ „ალიას“ ერთ-ერთ ჟურნალისტს ახალგაზრდამ დაურეკა, გაეცნო, როგორც გიორგი და საშინელი სიტყვებით აგინა. ამის შემდეგ, „ალიას“ კიდევ ერთ ჟურნალისტს სოციალური ქსელით დაემუქრნენ, „ფეისბუკს“ გაგიტეხავ და ვისთან რა მიმოწერაც გაქვს, ყველაფერს გაგისაჯაროებო.

მოკლედ, ერთი მხრივ, სახეზეა პრაქტიკულად, დევნა და შევიწროება, ფსიქოლოგიური ტერორი, რაც გამოიხატება რედაქციაში გაუთავებლად რეკვასა და გინებაში, მეორე მხრივ კი – კიბერდანაშაული და პირადი ცხოვრების ხელყოფის მცდელობა.

ვინც ამ ყველაფრის უკან დგას, აუცილებელია, იცოდეს და გაითვალისწინოს, რომ „ალიას“ ბევრად უარესი მუქარების არ შეშინებია და 25 წელი ებრძვის ყველა ხელისუფლების ყველანაირ უმსგავსობას.

სწორედ ეს 25-წლიანი მკითხველისა და ქვეყნის ინტერესებისთვის ბრძოლა გაითავისეთ, ძვირფასებო, როცა „ალიას“ წინააღმდეგ რამეს დაგეგმავთ და მერე იფაფხურეთ!

რაც მთავარია, „ალია“ არავის გამოხატვის უფლებას არ ზღუდავს – კი, ბატონო, სავსებით შესაძლებელია, რომ ვინმეს არ მოეწონოს ჩვენს გაზეთებში დაბეჭდილი მასალების შინაარსი და ეს ხმამაღლა დააფიქსიროს კიდეც, მაგრამ, როცა ადგილი აქვს ასეთ ბილწ შემოტევებს, გინებებსა და მით უმეტეს – მუქარებს, პასუხიც ადეკვატური იქნება. კანონის ძალით ყველა ასეთი თავდამსხმელის დასჯას მოვითხოვთ, თანაც კატეგორიულად!

**P.S. „ალია“ შს სამინისტროს პრესსამსახურსაც დაუკავშირდა, უწყება საქმის კურსშია ჩაყენებული და ველით, რა შედეგებით დასრულდება ეს ყველაფერი.**

*„ყოველკვირეული ალია“*

# მიმართვა ჩიორა თაქთაქიშვილს: „მე და ჩემნაირებს თქვენი რეჟიმის დროს მამა უკვე მოგვიკვდა“



სოციალური ქსელის მომხმარებელი ნინო არველაძე სტატუსს აქვეყნებს:

– ჩიორა თაქთაქიშვილის მამამ შოკოლადი და კარაქი მოიპარაო, წერდნენ. ამის შემდეგ ქალბატონი ჩიორას კომენტარიც გავრცელდა: მამა 75 წლისაა და ხელში იმდენი პროდუქტი ეკავა, რომ შოკოლადსა და კარაქს ყურადღება ველარ მიაქცია. ბოდიშს ვუხდი მშობლებს, რომ წლების მანძილზე ამდენი უსიამოვნება შეხვდათ ჩემ გამოო, მე ეს კამპანია პოზიციას ვერ შემაცვლევინებსო...

შეიძლება, ვინმეს გაუკვირდეს, ან არ გაუკვირდეს, მაგრამ მე მჯერა, რომ 75 წლის ადამიანს შოკოლადისა და კარაქის საფასურის გადახდა, უბრალოდ, დაავიწყდა. გამორჩა. ყურადღება არ მიუქცევია, რომ ჯიბეში ზედმეტი პროდუქტი ჩაიდო. 32 წლის ვარ და პირადობის მოწმობას მუდმივად ვკარგავ, ხოლო ჩანთა, ტელეფონი, მერამდენედ მაქვს დაკარგული, ვინ მოსთვლის. მოკლედ, საერთოდ არ მინდა დავუშვა, რომ ქალბატონი ჩიორას მამამ 1 ცალი შოკოლადი და 1 ცალი კარაქი მოიპარა. და ვიმეორებ: არც ვუშვებ! მაგრამ კომენტარის მეორე ნაწილმა იმაზე დამაფიქრა, რომელი საშინელი წლები განვლო ჩიორა თაქთაქიშვილმა? ალბათ, ბოლო 3 წელს გულისხმობს, თორემ, როგორც მახსოვს, 2004-2012 წლებში სრულ კომფორტსა და იდილიაში ცხოვრობდა და წესით, მშობლებისთვის (მის პოლიტიკურ, თუ საზოგადოებრივ საქმიანობას) არავითარი ტკივილი არ უნდა მიეყენებინა. ამ 9 წლის მანძილზე კი, ვიდრე ქალბატონი ჩიორა ბატონი მიხეილის მცხუნვარე მზის ქვეშ ფისოსავით თბებოდა, საქართველოში ასობით ოჯახი გამწარდა, გაუბედურდა.

მე და ჩემნაირებს თქვენი რეჟიმის დროს მამა უკვე მოგვიკვდა. ოჯახის სხვა წევრებიც დავკარგეთ და დავკარგეთ სწორედ იმის გამო, რომ პოზიცია არ შევცვალეთ, არ გავხდით სააკაშვილის რეჟიმის მონები...

თქვენ არ გინდათ აღიარება, რომ ჩვენი მამები მოკალით, მაგრამ მარტო მამები რომ მოგეკლათ და სხვა უამრავი ახალგაზრდა არ გეწამებინათ, არ მოგესპოთ ამას კიდევ როგორმე ავიტანდით. (mpress.ge)

## სააკაშვილი პოროშენკოს მთავრობის გადატვირთვას სთხოვს



ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი მოუწოდებს პრეზიდენტ პოროშენკოს, მოახდინოს მთავრობის გადატვირთვა და ქვეყნის მთავარი პროკურორი ვიქტორ შოკინი თანამდებობიდან გადააყენოს.

– მიუხედავად იმისა, რა სენტიმენტებს განიცდის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტში საკუთარი პარტიის წევრების მიმართ, ან რომელიმე მომხრის წინაშე, არსებობს კიდევ პრეზიდენტის მოვალეობები. ვფიქრობ, მან საკუთარ ხელში უნდა აიღოს სიტუაციის მართვა და ქვეყნის ინტერესების მიხედვით იხელმძღვანელოს. პროკურორის შეცვლა აუცილებელია. რეალურად არსებობენ ადამიანები, რომლებიც პოლიტიკიდან უნდა გააძევო. პოლიტიკისა და ბიზნესის განცალკევება აუცილებელია, იმისთვის რომ ქვეყანა განვითარდეს, – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. (პირველი რადიო)

## ნავთობზე დაბალი ფასები 10 წლის განმავლობაში შენარჩუნდება



ჩინეთის ეკონომიკური ზრდის შენელებისა და აშშ-ში ფიქლის ნავთობის წარმოების ზრდის ფონზე, მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე დაბალი ფასები 10 წლის განმავლობაში შენარჩუნდება.

ამის შესახებ ნავთობის უმსხვილესი კომპანია **Vitol**-ის აღმასრულებელმა დირექტორმა იან ტეილორმა „ბლუმბერგთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

– მომდევნო 10 წლის განმავლობაში ნავთობზე ფასები ბარელზე 100 დოლარის მაჩვენებელს არ დაუბრუნდება და 50 დოლარის ფარგლებში შენარჩუნდება, – აღნიშნა იან ტეილორმა.

ლონდონის ბირჟაზე „ბრენტის" მარკის ნავთობის ფასი დღეს 0,27 დოლარით გაიზარდა და ბარელზე 34,33 დოლარი შეადგინა.

0,26 დოლარით გაიზარდა ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე **WTI**-ის ნავთობის ფასი, რომელმაც ბარელზე 31,15 დოლარი შეადგინა. (bpn.ge)

# „ხომ ხვდებით, რამხელა

## „არაჯანსაღი ეკონომიკური ვითარებაა ქვეყანაში და არ შეიძლება მუდმივად

**„მე არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, ვინც ჩიორა თაქთაქიშვილს ეუბნება, რომ შენ ხარ ქურდის შვილი"**



ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**„ალიას" ექსპერტი კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძე ესაუბრა.**

**— ბატონო მამუკა, არის თუ არა გოგი თოფაძე მაცნე იმისა, რომ კოალიცია დაიშლება?**

– ეს არის გამოხატულება იმ დამოკიდებულებისა, რაც კოალიციის შიგნით არსებობს. მაგრამ მთავარ კითხვაზე, რაც თქვენ გაგიჩნდათ, გოგი თოფაძის სკანდალურ ბრალდებას მოჰყვება თუ არა კოალიციის დაშლა, გიპასუხებთ: ამ ეტაპზე გამოვრიცხავ, რადგან კოალიციის ეს შემადგენლობა ერთგვარი სავიზიტო ბარათია დანარჩენი მსოფლიოსთვის. კოალიციაში არიან ძალები, მაგალითად, „რესპუბლიკელების" სახით, რომლებიც არიან მკვეთრად ორიენტირებული დასავლეთზე, არიან შუალედური ძალები, ე.წ. ანტიდასავლური, კოალიცია ჭრელია, მაგრამ დამბალანსებელი საერთო ვითარებისა.

**— როცა გოგი თოფაძე თავდაცვის მინისტრს სისხლის სამართლის დანაშაულში ამხელს და აცხადებს, რომ მან გააყალბა არჩევნები, მინისტრად კი არა, პროკურატურაში უნდა იჯდეს და პასუხებს უნდა იძლეოდესო, ნიშნავს თუ არა, რომ პროკურატურა ამ საქმით უნდა დაინტერესდეს და მსვლელობა მისცეს. სხვა შემთხვევაში გამოდის, რომ საქმე გვაქვს უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებთან და ამ განცხადების გამო ვინმე არ უნდა დაისაჯოს, ან ავტორი, ან ადრესატი? კიდევ ერთხელ, უსამართლობას გვაგუებს ხელისუფლება?**

– აი, ეს არის კითხვა, რომელიც საზოგადოებას უჩნდება. წინა პასუხში შევეცადე ამეხსნა, რის გამო არსებობს დღემდე ამ ჭრელი შემადგენლობით კოალიცია და რომ ჩვენს დასავლეთ პარტნიორებს აწყობთ კოალიციის ამ ფორმით არსებობა. მაგრამ საზოგადოება გაოგნებულია იმ კინკლაობით, რაც კოალიციის შიგნით ხდება. ჯერ დიდი ხნის განმავლობაში გაოგნებული იყო პრეზიდენტისა და ყოფილი პრემიერის გაუთავებელი კინკლაობითა და მითქმა-მოთქმით, რაც კოალიციიდან ჟონავდა. ახლა უკვე ჩვენს თვალწინ რინგზე ხდება დეპუტატების დაპირისპირება საკმაოდ მწვავედ. თან იმდენად მწვავედ, რომ ერთმანეთს სისხლის სამართლის დანაშაულში სდებენ ბრალს. თქვენს კითხვაზე, – სამართალი აღარ არის? გიპასუხებთ, – სამართალი აღარ არის! რისთვისაც ვიბრძოდით, ის შედეგი ვერ მივიღეთ. პოლიტსაბჭოზე, რომლის წევრებიც ეს სუბიექტები არიან, როგორც ჩანს, ასეთი მწვავე საკითხების განხილვა იქაც არ ხდება. საზოგადოების დიდი ნაწილი პროცესს უყურებს გაოგნებული და ხშირ შემთხვევაში, შეურაცხყოფილიც კი.

**— საზოგადოება ხედავს ერთპიროვნულ, მონურ მორჩილებას ბიძინა ივანიშვილისადმი და მათი ქმედებებიდან გამომდინარე რჩება შთაბეჭდილება, რომ დეპუტატები, მინისტრები ივანიშვილის შიშით ვერ მოქმედებენ და ყველა განცხადებას თუ ქმედებას, მას უთანხმებენ...**

– 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში მე ვიყავი იმ გუნდში, რომელიც პოლიტიკურ ამინდს ქმნიდა „ქართულ ოცნებაში", იქაც არ იყო ბიძინას დიქტატი. მაგრამ იქ მყოფთა ნაწილი თვლიდა, რომ ყველა სიტყვა ივანიშვილთან უნდა შეეთანხმებინათ. ამიტომ დასდევდნენ მას ტელეფონით, იყო შუშის სასახლეში მისვლები. ეს ნაწილი პარლამენტშიც მოხვდა, მაგრამ ის ხალხი, ვინც თვლიდა, რომ პოლიტსაბჭოზე მიღებული განცხადება იყო საკმარისი, ემოქმედა და არ აწუხებდა ივანიშვილს, დარჩა პროცესების მიღმა. მართალი ხართ, თვითონ შექმნეს ისეთი სიტუაცია, როცა მეფის კარზე დაიწყეს თამაში.

**— „ქართული ოცნებიდან" დაანონსდა, რომ თებერვლის ბოლოს საარჩევნო სიის მონახაზი გარკვეული იქნება. რა ინფორმაცია გაქვთ, დაწყებულია საარჩევნო პროგრამაზე მუშაობა?**

– როგორც ვიცი, არა, რაც შეეხება საარჩევნო სიას, არც ამ მხრივ შეცვლილა არაფერი, წინა ინტერვიუში გითხარით, რომ რამდენიმე მინისტრი, კომიტეტის თავმჯდომარეები და ფრაქციის ხელმძღვანელები აღმოჩნდებიან სიაში, ვიცი, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა უცხოეთში მყოფ ქართველებთან, რომლებიც არიან პროფესიონალი ეკონომისტები.

**— ამერიკის დაზვერვამ საგანგაშო ანგარიში გააკეთა, რომ შესაძლოა, საქართველომ პროდასავლურ კურსს გადაუხვიოს და მათ ეს ქვეყანა ხელიდან გამოეცალოთ. ახლა მაინც არ არის დრო, ნატოში მიგვიღონ, თუკი ეშინიათ, რომ, ნებით თუ უნებლიეთ, რუსეთისკენ არ გადავუხვიოთ?**

– ამ დოკუმენტში ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს აქვს ყურადღება მისაქცევი, ამ ანგარიშის ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ეკონომიკაზე. ავტორი თვლის, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარების ფორმატი არ არის სწორი. ეს შესაძლოა, ჩვენი ორიენტირის გადამწყვეტი ფაქტორი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანი რამაა. აქ არის შიდა პოლიტიკის პრობლემები. ეს არის თემა, რომელიც ხელს უწყობს იმ პროცესების შესუსტებას, რასაც ჰქვია საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია. აი, ეს არის ავტორის დასკვნა. არასწორად განვითარებული ეკონომიკა, რომელიც შედეგზე არ არის ორიენტირებული და არ არის თანმიმდევრული. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა, ფინანსური თუ ტექნოლოგიური დახმარების კუთხით. რა თქმა უნდა, მათ აქვთ მინუსები, მაგრამ სჭარბობს პლუსები. მხოლოდ მათი ნება რომ იყოს, კარგა ხნის გადაწყვეტილი იქნებოდა



»» ექსპერტი

საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხი. მაგრამ არის სხვა წევრი ქვეყნები, მაგალითად, გერმანია და საფრანგეთი, რომლის აზრსაც არ შეიძლება თეთრმა სახლმა ანგარიში არ გაუწიოს.

**— ამ კვირის სკანდალურ თემად კვლავ ტელეკომპანია „მაესტროს" საქმე რჩება. თქვენ რა განცდა გაქვთ, ვინ დგას ამ პროექტის უკან — ხელისუფლება, პატარკაციშვილის ოჯახის წარმომადგენლის ირაკლი რუხაძის პოლიტიკური ინტერესები? რა ამოძრავებთ ძმებ გაჩეჩილაძეებს ამ საქმეში?**

– ამას წინათ ვიხსენებდი, „საკნის" პროექტი რომ ამუშავებულიყო, გია გაჩეჩილაძემ საკუთარი სახლი გაყიდა. ისიც კარგად მახსოვს, როგორ შექმნა მამუკა ღლონტმა ჩვეულებრივი, უმნიშვნელო ტელევიზიისგან ბრენდი. მე ვთვლი, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო მედიამენეჯერია საქართველოში. ამ დროს გია გაჩეჩილაძის იმ პერიოდის დამსახურებაც არ მავიწყდება. ძალიან გული მწყდება იმის გამო, რაც ხდება, მით უმეტეს, მაკა ასათიანი და ლევან გაჩეჩილაძე ნათესავები არიან... მე ვერ გეტყვით, რომ ხელისუფლების გარკვეული ჯგუფი შორს დგას ამ პროცესისგან. როცა ეს თემა მოვიკითხე, ზოგი ისეთი გაკვირვებული მიყურებს, რაზე ლაპარაკობო, რომ ვხვდები, ამ პროცესში მთლი-

# „უბედურებაა საქართველოში“

## თითის გაშვერა მეზობელი ქვეყნებისკენ, რომ იქაც იგივე ხდება“







ანად არ არის ჩართული ხელისუფლება. მე უფრო იმის განცდა მაქვს, რომ ირაკლი რუხაძეს პოლიტიკური ამბიციები აქვს. თუ გავითვალისწინებთ, მას სურვილი ჰქონდა, ყოფილიყო საქართველოს პრემიერი, რაზეც ივანიშვილისგან უარი მიიღო, არ არის გამორიცხული, მან პოლიტიკური თამაში წამოიწყოს.

**— არანაკლებ მნიშვნელოვანი და მძაფრი თემა იყო ციხისძირში მრავალწლოვანი სამი ხის გადარგვა...**

– ძალიან მინდა ახლა ვიყო ობიექტური და ვთქვა ასეთი რამ, როგორც ჩემთვის მიუღებელია პოლიტიკანობა ამ ხეების გამო, ასევე მიუღებელია პოლიტიკანობა ჩიორა თაქთაქიშვილის მამის გამო, რომელმაც მოიპარა თუ ხელს გააყოლა ერთი ფილა შოკოლადი და კარაქი სუპერმარკეტიდან. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს, მაგრამ განა შეიძლება ამ საქმეს გამო გაუთავებელი ლაპარაკი?!. ჩიორა თაქთაქიშვილს რაც აქვს ჩადენილი, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ შეიძლება ამ მოხუცზე, რომელმაც ერთი ფილა შოკოლადი ხელს გააყოლა, ამხელა ამბავი იყოს ატეხილი? მოკლედ, არ შეიძლება ყველა წვრილმანზე დალალო საკუთარი თავი და საზოგადოება პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად.

**— 75 წლის მოხუცს ერთი ფილა თუ გაჰყვება, ეს გასაკვირი სულაც არ არის, მაგრამ საქმე გვაქვს იმ ჩიორა თაქთაქიშვილთან და იმ პარტიასთან, რომლებიც გირგვლიანის დედას, პირდაპირი მნიშვნელობით, დასცინოდნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ, როდის ჩაძაღლდებაო, რომლებიც არასრულწლოვან ბავშვებს ბურთის მოპარვისთვის და ერთი ბოთლი ლიმონათის მოპარვისთვის ციხეში უშვებდნენ და ცხოვრებას უმახინჯებდნენ. ადამიანებს უდანაშაულო მამებს უჭერდნენ და ციხეში აუპატიურებდნენ, ქუჩაში უკლავდნენ და მაშინ არავის ჰქონდა უფლება, ჩიორასავით ეთქვა, რომ მამაჩემს რომ რამე დაემართოს, ამას არ გაპატიებთო. ამ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას კი ჩიორა და „ნაცმოძრაობა“ არ იღებს, ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ტოლერანტულია, რადგან ჩვენ შეგვიძლია ერთ ქვეყანაში, ერთ ქალაქში ვიცხოვროთ და ცხვირპირი არ ამოვუნაყოთ ამ „კოლექტიურ ჩიორებს“...**

– გეთანხმებით პოზიციაში, მაგრამ მე არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, ვინც ჩიორა თაქთაქიშვილს ეუბნება, რომ შენ ხარ ქურდის შვილი. დიახაც, უნდა შევახსენოთ და ვუთხრათ, – გახსოვთ, პატარა ბიჭებს რომ ციხეში სვამდით ძეხვისა და ცარიელი ბოთლის მოპარვისთვის. მე ვიცი ფაქტი, როცა არასრულწლოვანს ცარიელი ბოთლის მოპარვისთვის ლამის 24 წელი მიუსაჯეს და შემდეგ სასჯელი 11 წლამდე ჩამოიყვანეს. ნახევარი საქართველო ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი, რისი გულისთვის? ხშირ შემთხვევაში იმის გამო, რაც დაემართა ჩიორას მამას. დღეს არ არის მთავარი საკითხი, ჩიორას მამამ ერთი ფილა შოკოლადი მოიპარა, რომ ივანიშვილის კომპანიამ სამი ხე გადარგო, დამერწმუნეთ, მოსახლეობას არც „მაესტროს“ გარშემო ატეხილი სკანდალი არ აინტერესებს, იმდენად მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონია, ხალხი პურს ველარ ყიდულობს, კრედიტებს ველარ იხდის და სხვა რამე რაში აინტერესებს ვილაცას რეგიონში, სენაკში, თელავში თუ სხვაგან. მას აინტერესებს, რა აჭამოს შვილებს, როგორი იქნება მისი ხვალინდელი ეკონომიკური მდგომარეობა და ანგარიშში, რაზეც ჩვენ გვქონდა საუბარი, ამერიკელებმა გაამახვილეს რბილად ყურადღება მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არაჯანსაღი ეკონომიკური ვითარებაა ქვეყანაში და არ შეიძლება მუდმივად თითის გაშვერა მეზობელი ქვეყნებისკენ, რომ იქაც იგივე ხდება. მსოფლიო კრიზისი რომ არსებობს, ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ რიგი ქვეყნები მოერგნენ სიტუაციას და მათმა მოსახლეობამ ეს პროცესი მძიმედ არ გადაიტანა. აზერბაიჯანი და რუსეთი ამ შემთხვევაში არ არის ჩვენთვის მაგალითი. შევხედოთ ამ თვალსაზრისით ესტონეთში რა ხდება. მე ერთი რამ მინდა გითხრათ, უამრავი გადასარევი საინვესტიციო პროექტი არსებობს საქართველოში, რომლის გადაწყვეტასაც არა და არ ადგება საშველი, რადგან არავის სურს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ახლა ერთი რამ რომ არ მოგიყვეთ, არ შემიძლია, გული ველარ მომითმენს, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც აქვს ქართული ფესვები და ქართული არ იცის, რუსეთიდან ჩამოვიდა და ქუთაისთან ახლოს მინიქარხანა ააშენა, 130 ათასი დოლარის ინვესტიცია განახორციელა, მაგრამ მისთვის ეს ძალიან დიდი ფული იყო. ეს ქარხანა წარმატებით მუშაობდა, სპეციფიკურ ნაგავს ამუშავებდა, საიდანაც იღებდა მაზუთს და ყიდდა ადგილობრივ საწარმოებზე. ვილაცას

### ექსპერტი

გაუჩნდა სურვილი, ეს ბიზნესი დაეთრია. ამ ბიჭმა რომ არ დათმო, ჯერ საშინლად სცემეს, მერე ქარხანა მთლიანად გადაუწვეს.

**— როდის მოხდა ეს ამბავი?**

– სულ ახლახან, ახალი წლის შემდეგ. სხვათა შორის, ობიექტურად მინდა გითხრათ, რომ, როცა იმერეთის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ გაიგო მომხდარის შესახებ, შეძრა იქაურობა და კონკრეტული ზომებიც მიიღო, მაგრამ მაინცდამაინც გივი ჭიჭინაძეს უნდა გაეგო ეს ამბავი, რომ საკითხს მსვლელობა მისცემოდა? ხომ ხვდებით, რამხელა უბედურებაა საქართველოში, არის ხალხი, ვისაც არ უნდა, ეს ქვეყანა ფეხზე დადგეს. ეს ხალხი მარტო ქუჩაში კი არ არის, ასეთები არიან ჩინოვნიკურ აპარატში, ძალოვან სტრუქტურაში, ამ ბიჭის ცემის ფაქტის გამოძიება არავის არ უნდოდა.

**„დღეს არ არის მთავარი საკითხი, ჩიორას მამამ ერთი ფილა შოკოლადი მოიპარა, რომ ივანიშვილის კომპანიამ სამი ხე გადარგო, დამერწმუნეთ, მოსახლეობას არც „მაესტროს“ გარშემო ატეხილი სკანდალი არ აინტერესებს, იმდენად მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონია, ხალხი პურს ვეღარ ყიდულობს, კრედიტებს ვეღარ იხდის“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კოსმეტიკური სალონები შესაძლოა, სავალდებულო რეგისტრაციას დაექვემდებაროს



ესთეტიკური და კოსმეტიკური სალონები შესაძლოა, სავალდებულო რეგისტრაციას დაექვემდებაროს. ამასთან დაკავშირებით პარლამენტისთვის საკანონმდებლო ცვლილებების წარდგენას მთავრობა გეგმავს. საუბარია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში ცვლილებების განხორციელებაზე. შესაბამისი პროექტი იმ პროექტთა ნუსხაშია ასახული, რომლის წარდგენას მთავრობა პარლამენტისთვის საგაზაფხულო სესიის ფარგლებში აპირებს. დოკუმენტის მიხედვით, ყველა პირი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განხორციელებასთან, ვალდებული იქნება, გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთანავე, დაიცვას პრევენციისა და კონტროლის ტექნიკური რეგლამენტის ნორმები.

ვალდებულების შესრულების ზედამხედველობა მუნიციპალიტეტის ორგანოების პასუხისმგებლობა იქნება.

– ისეთი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, როგორიცაა ადამიანის კანის საფარველზე ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების მწარმოებელი დაწესებულებები (სილამაზის, მანიკიურის/პედიკიურის, ტატუს, პირსინგისა და ასე შემდეგ სალონები) და მათ მიერ სერვისების მიწოდება, გადამდები დაავადებების პოტენციური გავრცელების მაღალი რისკის გამო, ინფექციების კონტროლის მთელი რიგი სპეციფიკური წესების დაცვას მოითხოვს. ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების შესრულებისას, ჰიგიენური პრაქტიკისა და უსაფრთხოების წესების უგულებელყოფა შეიძლება გახდეს აივ-ინფექციის, ბე და ცე ჰეპატიტებისა და მთელი რიგი სხვა გადამდები დაავადებების გავრცელების მიზეზი, – ნათქვამია მთავრობის მიერ პარლამენტში შეტანილ დოკუმენტში.

პროექტის გარდამავალი დებულებებით, პირებს, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განხორციელებასთან, ორთვიანი ვადა ეძლევათ, რათა კანონის ამოქმედების შემდეგ, უზრუნველყონ საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან იქნება დაკავშირებული.

პროექტზე ჯანდაცვის სამინისტრო მუშაობს. (bpn.ge)

# ვინ არიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებად შერჩეული კანდიდატები


მერაბ ჯანიაშვილი

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებად შერჩეული 6 კანდიდატიდან სამმა ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. ესენი არიან: კობა გვენეტაძე, მაია მელიქიძე და გიორგი ბაქრაძე.

შევეცადეთ, ამ ადამიანებზე ინტერნეტით ინფორმაციის მოძიებას, თუმცა შედეგი არც ისე საინტერესო აღმოჩნდა. კერძოდ, მაია მელიქიძეზე ინტერნეტში, ფაქტობრივად, არაფერი მოიძიება, დანარჩენების შესახებ კი „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის – აფბას“ ვიცე-პრეზიდენტი მერაბ ჯანიაშვილი საუბრობს:

– „აფბამ“ განცხადებით მიმართა პრეზიდენტს და მის ადმინისტრაციას, განემარტათ კანდიდატურის შერჩევის პროცედურის ნიუანსები და შეემუშავებინათ წესი, რომელიც ამ პროცესს გამჭვირვალეს გახდიდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ამ მოწოდებას წაუყრუა.

არსებული მდგომარეობით გაუგებარია, კანდიდატურა რატომ უნდა შეარჩიოს ეკონომიკის სამმა ექსპერტმა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომლებიც ბ-ნ მარგველაშვილის ან მისი ხელქვეითების სუბიექტური შეხედულებების შესაბამისად არიან თავმოყრილი და შემრჩევად გამწესებული. გაუგებარია, რატომ ხდება პრეზიდენტისა და მისი აპარატის მიერ იმ უდავო ჭეშმარიტების იგნორირება, რომ სებ-ის საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა იყოს ცნობილი ეკონომისტი და ფინანსისტი. არადა, მარგველაშვილის მიერ გამოცხადებული 6 კანდიდატიდან 4 არ იგუგლება, ანუ ინტერნეტში არ იძებნება, ხოლო ერთ-ერთი – ბატონი ბაქრაძე იმიტომ არის ცნობილი, რომ „რა? სად? როდის?“ გამორჩეული მოთამაშეა.

ჩემი მხრივ დავსძენ, რომ ის გახლავთ ეროვნული ბანკის მიმავალი პრეზიდენტის, ქადაგიძის მრჩეველი და ბუნებრივია, იზიარებს გარკვეულ პასუხისმგებლობას ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დაშვებული შეცდომების გამო და თუ ის გახდება სებ-ის საბჭოს წევრი, ფაქტობრივად, ქადაგიძე დარჩება ეროვნულ ბანკში. თუმცა, კულუარული ინფორმაციის თანახმად, ქადაგიძემ და ოდესის გუბერნატორმა უფრო ეფექტური კანდიდატურა შემოაგდეს. ეს არის შევარდნაძის მთავრობის ფინანსთა მინისტრის ნოღაიდელის მოადგილე, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის შემდეგ „საქართველოს ბანკთან“ დაკავშირებული, ბანკთან, რომელიც „ნაციონალების“ ბანკად არის ცნობილი, კობა გვენეტაძე. იმავე წყაროს თანახმად, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კანდიდატურა ქადაგიძესთან შეათანხმა და სწორედ მას წარადგენს პარლამენტში...

ფაქტი... ახალი... მოვლენა...



მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19


# მიზეზები, რის გამოც „პარტიზანი მებაღეები“ ივანიშვილს დაუპირისპირდნენ

## „აქ მხოლოდ რამდენიმე ხის გადარგვაზე არ არის საუბარი, საფრთხეები გაცილებით საშიშია!“

ყველაფერი ერთი ახირებული „ბრძენკაცის“ ოცნებების ასრულებით დაიწყო, ვაჟაფშაველასა და ბუნების დიდმა მოყვარულმა ამჯერად ასწლოვანი ხეების კოლექციის შეგროვება გადაწყვიტა და ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, როცა ჭაობის კვიპაროსების დატყვევებაში დასდეს ბრალი, ივანიშვილი გამოტყდა, რომ ფანატიკურად იყო შეყვარებული გიგანტურ ხეებზე. ცოტა ხანში კი ციხისძირში ბოტანიკური ბაღის სანერგეში მდგარი გიგანტების შესყიდვა გადაწყვიტა, ოღონდ ამჯერად ამას პროტესტი მოჰყვა.

თავიდან ხმაური აჭარის „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივმა წევრებმა და „რუსთავი 2“-მა ატეხეს, თუმცა ნდობადაკარგული პოლიტიკური ძალის „წიოკი“ ყურად აღარავინ იღო, ხე-ტყის მეკობრეობაში ბრალდებულებს ბუნებისდამცველის როლის მორგება არ გამოუვიდათ. ციხისძირში სიტუაცია მას შემდეგ გამწვავდა, რაც ადგილზე „პარტიზანული მებაღეობის“ მოხალისეები ჩავიდნენ, რომლებიც უკვე წლებია, ბუნებისდაცვით საქმიანობას ეწევიან და ყოფილ თუ ახლანდელ ხელისუფლებას მშვიდი ძილის საშუალებას არ აძლევენ... ვაკის პარკის მოდარაჯე უშიშარი „პარტიზანების“ დესანტის ჩაქვში გადასხმა მათი სამი აქტივისტის დაკავებით დასრულდა, რამაც თემას გაცილებით დიდი რეზონანსი მისცა.

კითხვა კი, რომელიც ყველაზე ხშირად ისმის და „პარტიზანული მებაღეობაც“ პროტესტის მთავარ წინაპირობადაც ასახელებს, შემდეგშია, არსებობს თუ არა რაიმე სახის დენდროლოგიური დასკვნა ან ვინ განსაზღვრა ხეების სიცოცხლისუნარიანობა ახალი ადგილის პირობებში, რაზეც პასუხი ჯერჯერობით არავის აქვს.





ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციით კი ხეები, რომელთა სიცოცხლეც რისკის ქვეშ დგას, შემდეგი მახასიათებლით გამოირჩევა:

ხეტიტა ჩრდილოამერიკული სახეობაა. ამ დეკორატიული ეგზემპლარის სიმაღლე 50-60 მეტრია. ხეტიტა საქართველოში პირველად მე-19 საუკუნეში ფრანგმა ბოტანიკოსმა დ'ალფონსმა ჩამოიტანა. ცნობილი მებაღე ჩაქვი-ციხისძირის მონაკვეთზე ბულვარის გაშენებას გეგმავდა. ხეტიტა, რომელიც კარგად შეეგუა ციხისძირის წითელმიწა ნიადაგს, ამოსაღებად გამზადებული მცენარე, ნიადაგიანად 450 ტონაზე მეტს იწონის.

ჭაობის კვიპაროსი ჩრდილოამერიკული, ლუიზიანის ჭაობებში გავრცელებული დეკორატიული სახეობაა. კვიპაროსი 36 მეტრამდე სიმაღლისაა. ხარობს ძლიერ დაჭაობებულ წითელმიწა ნიადაგში, რომელიც ურეკში არ გვხვდება.

**„ალია“ დატყვევებული გიგანტების ბედის გარკვევას, „პარტიზანული მებაღეობის“ მოხალისისგან მარიამ ბაქრაძისგან შეეცადა.**

**— თქვენი პროტესტის პერიოდში დროებით შეჩერდა სამუშაოები. ამ ეტაპზე რა ხდება?**

– კვლავ მიმდინარეობს მუშაობა, არანაირი ნებართვა არ არსებობს არც ერთი სტრუქტურიდან. ერთადერთი, ხის გასხვისების დოკუმენტია, რომელიც აჭარის ეკონომიკის სამინისტროს გაცემულია. ადგილზე სამუშაოები მიმდინარეობს ისე, რომ არც არანაირი ბანერი არ არის, არც შემოღობილი არაა ტერიტორია, არც რაიმე დენდროლოგიური დასკვნები არაა, რამდენად მიზანშეწონილია ამ ზომის ხეების გადარგვა, არც საინჟინრო ნახაზები და რაიმე გეგმა, რის მიხედვითაც უნდა მიდიოდეს პროცესი. ყველაფერი ხდება სტიქიურად.

ახლა უკვე ბათუმის საია-მ დაიწყო დოკუმენტაციის გამოთხოვა ოფიციალურად ყველა იმ ინსტანციიდან, ვისაც შეიძლება ეხებოდეს ეს პროცესი და ჩვენც ველოდებით საია-ს, რომ იურიდიულადაც გამართულად აღვუდგეთ წინ ამ პროცესს.

**— „პარტიზანებმა“ ეჭვიც გამოთქვით, რომ მხოლოდ ხეების გადარგვა არაა მიზეზი ამ სამუშაოების და შესაძლოა, ამ ადგილზე სასტუმრო და ტურისტული კომპლექსი ააშენონ, ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ?**

– ეს პროექტი განიხილებოდა რამდენიმე წლის წინათ, აპირებდნენ რაღაც მახინჯი სასტუმროების შენებას. ახლა როგორც ვიცი, აღარ განიხილება, თუმცა მე თავად ვარ არქიტექტორი და იქვე არის უკვე ერთი კოშკიანი სასტუმრო და ისეთ ადგილას, სადაც არანაირი ინფრასტრუქტურა არ არის და ჩნდება სასტუმრო, ეს პარალელურად და ავტომატურად გამოიწვევს იმას, რომ გარშემო გაჩნდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურები და სხვადასხვა სასტუმროები. ასე ხდება ხოლმე და არაა გამორიცხული, რომ ამ სამუშაოებმა ამას შეუწყოს ხელი. იქ იყო ცუდი გზა და ახლა ხეების გასატანად გაჰყავთ, ამიტომ ვეჭვობთ, რომ იქ განვითარდება სხვა ინფრასტრუქტურებიც.

**— საზოგადოების ერთი ნაწილი და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები უმადურებს უწოდებენ იმ ხალხს, ვინც „რამდენიმე ხის გამო“ ამხელა ამბავი ატეხა და მიაჩნიათ, რომ ბიძინა ივანიშვილისგან დავალებულები ვართ, რადგან ბოტანიკურ ბაღსაც კი, სხვას რომ თავი დავანებოთ, წლებია, ის ინახავს..**

– ნამდვილად სულელური პოზიციაა, იმიტომ რომ მანდ არის ორი საკითხი. ერთია ხის ამოღება, გახარება-არ გახარების ამბავი და მეორეა ის, რომ სრულად სამართლებრივი დარღვევებით მიმდინარეობს გარშემო ყველა სამუშაო. სადაც უნდა გაიტანონ ხეები და დადონ ბორანზე, ადამიანები ცხოვრობენ იქ, ნაწილი არის წინააღმდეგი, მაგრამ ხმას ვერ იღებს, გარკვეული მიზეზების გამო. აქვთ შიში, რომ რაღაც შეიძლება დაუშავდეთ, რადგან იმ ტერიტორიაზე ბევრს არ აქვს დაკანონებული საცხოვრებელი და მიწა. მე არ მაქვს ამის მტკიცებულება, მაგრამ პირად საუბრებში გამოჩნდა შიშის ტენდენცია...



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


# რატომ დაიჭირა საქმე ბიძინა ივანიშვილმა ვანო მერაბიშვილის კომპანიასთან?

ბიძინა ივანიშვილს ერთმა ენამოსწრებულმა კოლეგამ დაახლოებით ასეთი პოსტი დაუწერა „ფეისბუკში“ — „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია“ ივანიშვილმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო, ხეებს თხრის და ბერასთან მიაქვსო...

ეს ხუმრობით, რეალურად კი, ყველაზე კარგად ბიძინა ივანიშვილმა უნდა იცოდეს, რომ შპს „ზიმო“, რომელიც ამჯერად ხეების გადატანა-გადანერგვაზე მუშაობს, ვანო მერაბიშვილის პირადი კომპანიაა და სწორედ ეს კომპანია წლების განმავლობაში იგებდა და ახლაც იგებს მრავალმილიონიან ტენდერებს. რამდენიმე ამონარიდი „ზიმოს“ ისტორიიდან: ვანო მერაბიშვილი გახლდათ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის ერთადერთი პრეტენდენტი. პროექტი ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებდა და 5 მილიონი ლარი ღირდა. მანვე მოიგო შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების, ასევე აღსრულების ეროვნული ბიუროსა და შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცხადებული ერთობლივი ტენდერი, რაც ახალციხეში 9-სართულიანი კორპუსის აშენებას ითვალისწინებდა. პროექტი 5 მილიონი დოლარი ღირდა. ვანო მერაბიშვილმა ერთპიროვნულად გაიმარჯვა ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ მდინარე ბარცხანაზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობაზე გამოცხადებულ 2,5-მილიონიან ტენდერშიც. ანაკლიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის განკუთვნილი ორი ხუთსართულიანი კორპუსიც მანვე ააშენა. პროექტი 5 მილიონი დაჯდა. რამდენიმე თვეში, ამავე კომპანიამ გაიმარჯვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კიდევ ერთ ტენდერში, რაც თბილისში, წულუკიძის ქუჩაზე, პოლიციელებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი კორპუსის აშენებას ითვალისწინებდა. პროექტი 5 მილიონამდე დაჯდა. „ზიმომ“ შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ



ერთი — 14-მილიონიანი ტენდერი მოიგო და წულუკიძის ქუჩაზე პოლიციელებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი კორპუსები ააშენა. პოლიციელთა ქალაქს „ლაზიკა“ უწოდეს. „ზიმო“, ანუ მერაბიშვილი იგებს ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ ყველაზე ძვირად ღირებულ ტენდერებს: ბათუმში, ამარისის (ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორია) დასახლებაში 22-სახლიანი საცხოვრებელი უბნის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე გამოცხადებული 5-მილიონიანი ტენდერი. ასევე, გაიმარჯვა ბათუმში, ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედის სავალი ბილიკების მოწყობისთვის გამოცხადებულ 1 მილიონ 290-ათასიან ტენდერში. შპს „საგზაო ტექნიკის“ მიერ გამოცხადებულ 1,5-მილიონიან ტენდერში, რაც სენაკი-ფოთი-სარფის 119-ე კილომეტრზე გზის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა. 2010-2012 წლებში „ზიმომ“ გაიმარჯვა მუნიციპალური ფონდის მიერ გამოცხადებულ 11 ტენდერში. კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება, ამ კომპანიას კონკურენტი საერთოდ არ ჰყავს. მეტიც, ცოტა ხნის წინ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ის მიმწოდებელთა თეთრ სიაშიც მოხვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეული შეღავათებით ისარგებლებს და ტენდერების მოგების უფრო მეტი შანსი მიეცემა. „ზიმო“ სააკაშვილის მმართველობის პერიოდშიც ყვაოდა, მაგრამ უფრო გაიფურჩქნა „ქართული ოცნების“ პირობებში — 2013 წლიდან მსხვილ დაკვეთებს პირდაპირი მიყიდვის წესით, არაკონკურენტულ გარემოში იღებს. საჯარო რეესტრის მონაცემებით, ეს კომპანია დაფუძნდა 1997 წელს საბურთალოს რაიონში, ყაზბეგის ქ. №19-ში. ხელმძღვანელი გახლავთ ზურაბ კიკნაძე, ხოლო მეწილეები არიან: ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ხათუნა გიორგაძე, ზვიად ფერაძე, დავით ბერიანიძე, ილია ქავთარაძე და სხვები. ყველაზე მეტი — 30% ეკუთვნის ქეთევან ვეფხვაძეს, ხოლო 35% ეკუთვნის იოსებ თარხნიშვილს. შპს „ზიმოს“ საგმირო საქმეებზე ძალიან ბევრის თქმა შეიძლება და უახლოეს ხანში ამ თემას საფუძვლიანად ჩავუჯდებით კიდეც, მაგრამ ამჯერად ცოტა სხვანაირად დგას საკითხი: რატომ დაიჭირა საქმე ბიძინა ივანიშვილმა ვანო მერაბიშვილის კომპანიასთან? ამ კითხვაზე „ალიას“ თამაზ ბაკურიძე პასუხობს:

– ამ ნაწილში იკვეთება ადგილობრივი ხელისუფლების უპასუხისმგებლობა. როდესაც ასეთ პროექტზეა ლაპარაკი, საკითხი უნდა იყოს ღია და ყველაფერი იყოს დოკუმენტურად გამართული. მე რომ ვამბობ, „ნაციონალებს“ ყველგან თავიანთი ხალხი ჰყავთ-მეთქი, ზოგი არ იჯერებს. ჯერ ერთი, სამთავრობო სტრუქტურებიდან ინფორმაციამ გამოჟონა, კონკრეტულად არჩილ ხაბაძის აპარატიდან, რომ გასცეს მხოლოდ ნებართვა, მაგრამ დოკუმენტაცია არ შეადგინეს. კომპანია, რომელიც დღეს იქ მუშაობს, თავის დროზე იყო მიშა სააკაშვილის ფავორიტი. „ზიმო“ იქ, „ზიმო“ – აქ, „ზიმო“ – ყველგან. მე არ გამოვრიცხავ, რომ „ნაციონალებს“ „ნაკოლი“ თავად ამ კომპანიის წარმომადგენლებმა მისცეს იმიტომ, რომ თავადაც „ნაციონალები“ არიან.

**— როგორ უნდა დაიჯეროს ვინმემ, რომ ეს ბიძინა ივანიშვილმა არ იცოდა?**

– ბიძინამ ბევრი რამე არ იცის, ეს გამოჩნდა კიდეც, როცა ქობულეთში ჩამოვიდა. მან გააჩერა სამუშაოები. ხაბაძის მთავრობამ ამათ მისცა ყალბი პიარის შესაძლებლობა. ისეთი სურათი დახატეს, თითქოს ივანიშვილი ხეებს ჩეხს და ნაციონალები“ ჩვენს ბუნებას იცავენ.

**— აბა, არ ჩეხს?**

– კარგი, რა... მოსულიყო ივანიშვილი ჩვენთან, მოსახლეობასთან, სულ ისე გავატანდით მაგ ხეებს, ჩემს ეზოშიც დგას სამი ზუსტად ასეთი ხე.

# უმრავლესობის დეპუტატი საკუთარ მინისტრს სისხლის სამართლის დანაშაულში სდებს ბრალს

## ვის შეიწირავს თოფაძე-წინასწარმეტყველის განცხადება?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



საპარლამენტო უმრავლესობაში გოგი თოფაძე მაცნეს ფუნქციით გამოირჩევა. ძალიან ხშირად ემთხვევა კონკრეტული ფაქტები გოგი თოფაძის მიერ დაანონსებულ განცხადებებს. ასე მაგალითად, ინგა გრიგოლია „იმედის“ ეთერში აღარ იქნებაო და მისი „რეაქცია“ მალევე დაიხურა. „რუსთავი 2“-ის მიკროფონზე ხელის გაკვრით დააანონსა, რომ „რუსთავი 2“ ეთერში ვეღარ გავა და მართლაც დაიწყო სასამართლო პროცესები. დღეს კი აცხადებს, რომ „თინა ხიდაშელმა მთელ კოალიციას თავი მოსჭრა, წესით და რიგით, ხიდაშელი მინისტრის კაბინეტში კი არ უნდა იჯდეს, დაკითხვაზე უნდა იაროს, რადგან შარშან, ოქტომბერში, საგარეჯოს რაიონში შუალედური არჩევნები გააყალბა და ამ საქმისთვის თავდაცვის სამინისტროს რესურსი გამოიყენა, ესეც არ იკმარა და ბიულეტენების დათვლაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ამ უმსგავსობის ამსახველი ფოტო სოციალურ ქსელში განათავსა, დღემდე ვერ გამიგია, რასთან გვაქვს საქმე, სიბრიყვესთან თუ თავხედობასთან“. გოგი თოფაძის სკანდალური განცხადებების კოლექციაში ეს მართლაც გვირგვინია და პიკი. გოგი თოფაძემ თხარა, თხარა და თინიკო გამოთხარა, რომლის ახირებასაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეეწირა. ხიდაშელის სამიზნე ახლა უკვე გოგი თოფაძე ხდება, რასაც ის ღიად ნამდვილად არ დააფიქსირებს, თუმცა მუშაობა დაწყებული აქვს გოგი თოფაძის ჩასაძირად და გასარიყად. როგორც ჩანს, გოგი თოფაძის ხიდაშელისადმი გაღიზიანება მოჰყვა იმ განცხადებას, სადაც თოფაძემ პრეზიდენტ მარგველაშვილს შეახსენა, რომ მან საქართველოს მოსახლეობას ფილოსოფიურ ნაშრომში „ნიჩურტა! მე ქართველი ვარ“, დაუნი უწოდა, სინამდვილეში კი ეს ნაშრომი თოფაძეს წაკითხული არ ჰქონდა, რადგან მარგველაშვილს სიტყვა „დაუნი“ არ უხსენებია და თუ თოფაძემ მისი ნაშრომი წაიკითხა, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ გოგი თოფაძის აგრესია განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მარგველაშვილი ამ ნაშრომში ხსნის, როგორ დააბეჩავა რუსეთმა საქართველო და როგორ შეგვყარა „ლოთმა მამამ“ რუსეთმა მსუბუქი დებილობის ფორმები, როცა ჩვენ გამოვიყურებით როგორც ზრდასრული, მაგრამ ვართ ინფანტილურები, რადგან არ ვიცით დამოუკიდებლად ცხოვრება, რადგან ჩვენი დედა და მამა იყო „ქართული დედა“, ხოლო ლოთი მამინაცვალი – რუსეთი და ჩვენ ამ ჭყლეტაში ვერ შევდექით, როგორც დამოუკიდებელი, ზრდასრული ადამიანები.

ძალიან ხშირად გოგი თოფაძე რუსეთის დამცველად გვევლინება, რადგან ის თვლის, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკური განვითარება და ჩვენი ქვეყნის წინსვლა რუსეთთან მოლაპარაკებებზეა დამოკიდებული. ასევე, გვახსოვს თოფაძის პროტესტი ნატოსთან მიმართებაში. ეს იმ ყაიდის კაცია, რომელიც დარწმუნებულია, რომ ჩინოვნიკების კაბინეტებში დაიკიდება სტალინის სურათი. რა თქმა უნდა, თინა ხიდაშელი, „რესპუბლიკური პარტია“, პრეზიდენტი მარგველაშვილი გოგი თოფაძის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანი არიან და პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლაზე გოგი თოფაძის მკვახე განცხადებას თინა ხიდაშელის გაკვირვება მოჰყვა, – მეგონა, გოგი თოფაძე დეპუტატი აღარ იყო... ხოლო მარგველაშვილი ხიდაშელმა შეუდარებელ მთავარსარდლად მოიხსენია. გოგი თოფაძემ კი აუღო „აბაროტი“ ამჯერად თინა ხიდაშელს, მაგრამ ყველას კარგად გვესმის, რომ უმრავლესობის დეპუტატმა ზესკანდალური განცხადება გააკეთა და პასუხი უნდა მოეთხოვოს ამ განცხადების ავტორსაც და ადრესატსაც. ეს სახუმარო თემა ნამდვილად არ არის, უმრავლესობის დეპუტატი საკუთარ მინისტრს სისხლის სამართლის დანაშაულში სდებს ბრალს.

დაიშლება თუ არა კოალიცია, არის თუ არა გოგი თოფაძე მაცნე კოალიციის დაშლისა? მოჰყვება თუ არა სამართლებრივი რეაგირება, გამოიწვევს თუ არა ეს საზოგადოებრივ პროტესტს, როცა სახელისუფლებო გუნდის წევრი პროკურატურას მიუთითებს, რომ დაკითხოს თავდაცვის მინისტრი? გოგი თოფაძის განცხადების შემდეგ როგორ უნდა ენდოს ამომრჩეველი „ქართულ ოცნებას“, რომ ისინი არჩევნებს აღარ გააყალბებენ? თუკი გოგი თოფაძე მიიჩნევდა, რომ თავდაცვის მინისტრმა საგარეჯოში შუალედური არჩევნები გააყალბა, რატომ არ დასვა ეს საკითხი 2015 წლის ნოემბერში და რატომ საუბრობს დღეს?.. არის თუ არა პოპულისტური განცხადება იმისთვის, რომ თოფაძემ წინასაარჩევნოდ ქულები დაიწეროს... და თუ ასეა, რატომ გვაყრიან პოლიტიკოსები თვალში ნაცარს, რატომ კლავენ საკუთარი ხელით სამართალს, რატომ გვასვამენ თავზე სისხლის სამართლის დამნაშავე მინისტრებს? დღეს თუ ხიდაშელი აყალბებს არჩევნებს, რა გარანტიაა, რომ კოალიციაში დაპირისპირების გამო მან ძალისმიერი მეთოდები არ გამოიყენოს და არ მოახდინოს სახელისუფლებო გადატრიალება. თუკი გოგი თოფაძე ფიქრობს, რომ თავდაცვის მინისტრი მოკრიმინალო ელემენტია, რომელსაც შეუძლია, არჩევნები გააყალბოს, ხოლო პროკურატურა უუნაროა, იმიტომ, რომ, რასაც გოგი თოფაძე ხედავს, ვერ ხედავენ სამართალდამცავები, მაშინ უპასუხონ, რა სახელმწიფოს აშენებენ და საერთოდ, ჰქვია თუ არა ამას სახელმწიფო და თუ საქმე გვაქვს კვაზისახელმწიფოსთან, სადაც ზედა ეშელონებში ყველაფერი მოსულა. მოსულა ის, რომ ერთმანეთი დაადანაშაულონ და მერე თქვან – „ნიჩურტა! მე, ქართველი ვარ!“ არადა, მარგველაშვილი ზუსტად ასეთ ქმედებებს აღწერდა თავის ნაშრომში: „ჩვენი სახელმწიფო პამპულაობის თამაშს ჰგავს, თუ წაგართვეს ბურთი, შენ ხარ პამპულა, თუ შენ წაართმევ – სხვაა, მაგრამ ბურთი არსად არ მიდის. მას მიზანი არ აქვს, ის მოთამაშიდან მოთამაშეზე გადადის. ჩვენთან არ არის კორუფცია, ჩვენ, უბრალოდ, „პამპულაობას“ ვთამაშობთ. დღეს შენ გაპამპულავებენ, ხვალ შენ გაქვს ბურთი, თავის არსში კი ეს ყველაფერი თამაშია. თუ ერთმა მეორეს ფეხი წამოსდო, ეტყვის: „მაპატიე რა, არ მინდოდა“ და სხვებიც ეტყვიან, – „არა უშავს, თამაშია“.... – აი, სწორედ ასეთ ქართველებზე წერს მარგველაშვილი, რომ ეს არის გონებრივი ჩამორჩენილობის ერთგვარი გამოხატულება.

ვიდრე ქართველი პოლიტიკოსები, განსაკუთრებით ხელისუფლებაში მყოფნი, პასუხისმგებლობით არ მოეკიდებიან საკუთარ განცხადებებს, მათ კონკრეტულ ბრალდებებს არ მიეცემა მსვლელობა და თუკი პოპულიზმის გამო სხვას დაადანაშაულებენ, განცხადების ავტორიც დამნაშავეა და ისიც უნდა დაისაჯოს. მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვეთ, ბატონებო, ჟურნალისტებისგან პასუხი ე.წ. ცილისწამებაზე. მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვეთ სხვათა დასჯა და მაშინ შევდგებით, როგორც სახელმწიფო.

პარლამენტის თავმჯდომარეს, „რესპუბლიკელ“ დავით უსუფაშვილს არ სჯერა, რომ საგაზეთო ინტერვიუში გოგი თოფაძემ მისი მეუღლე, თინა ხიდაშელი დაადანაშაულა და სამარადისო დამღა დაასვა, როგორც არჩევნების გამყალბებელს. იგი მოითხოვს იმ აუდიოჩანაწერის გამოქვეყნებას და ამ ფრაზების საკუთარი ყურით მოსმენას. კვლავ მცდელობა, დაჩაგრონ და გაჭყლიტონ ჟურნალისტი ამ ბინძურ კამპანიაში. არ მეგულება ისეთი ავანტიურისტი ჟურნალისტი, რომელსაც შეეძლო, საკუთარ თავზე აეღო გოგი თოფაძის სკანდალური განცხადება და მისი ინტერვიუს ინტერპრეტირება მოეხდინა. თოფაძე საკმაოდ პრეტენზიული რესპონდენტია საიმისოდ, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდო მის ინტერვიუს. გარდა ამისა, ის საკმაოდ გამართულად მეტყველებს და მისი საუბრიდან აზრის გამოტანის პრობლემა არ არის. ასე რომ, პრობლემა კოალიციაშია, აქ ბზარები კი აღარ არის, ფაქტობრივად, კოალიცია ინგრევა და გრუხუნის ხმა ჩვენამდე აღწევს. ბრძოლა ასეა გაფორმებული – „ყველა „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგ!“ ფრონტის ხაზი გახსნილია და ადრეა იმის თქმა, რით დასრულდება. შესაძლოა, ამ ბრძოლას გამარჯვებული არ ჰყავდეს, მაგრამ ასეც რომ იყოს, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. „რესპუბლიკურმა პარტიამ“ იმაზე მეტი მოითხოვა, ვიდრე ეკუთვნის. თუმცა, როცა ხედავ, რომ შენს კოლეგებს გონებრივი სისუსტე აღენიშნება და 21-ე საუკუნის გამოწვევებს ვერ პასუხობენ, როცა ხედავ, რომ ბურთი და მოედანი შენს ხელშია და ძალა, რომელიც გაბალანსებდა, კოალიციიდან წიხლისკვრით გააგდეს, ცხადია, მეტს მოითხოვ. ახლა კოალიციაში ერთმანეთის დაშანტაჟების პერიოდია, შენ 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავ, ბიძინა ივანიშვილი რომ არა, ვერასდროს ეღირსებოდი ხელისუფლებას, რაზეც „რესპუბლიკელებს“ აქვს პასუხი, – „ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატების“ გაძევების შემდეგ ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც კოალიციას პროდასავლურ ელფერს აძლევს. კოალიციური დაპირისპირება სცდება შიდა დაპირისპირებას, გარე თვალი თვლის, რომ ეს არის პროდასავლური და პრორუსული პოლიტიკური ძალების ომი. ქვეყნისთვის, საგარეო ფაქტორიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება, რომ მრავალფეროვანმა კოალიციამ თავი შეინარჩუნოს და არ დაიშალოს, რადგან ეს არის ყველაზე საუკეთესო მოდელი ბალანსის დასაცავად და ალბათ, ასეც იქნება, თუმცა არავინ იცის, მომავალ პარლამენტში რა კონფიგურაციას მივიღებთ, რაზეც დღეს უკვე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა დაწყებული კოალიციის შიგნით.

## ვერა ქობალია გათხოვდა



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრის რჩეული მისი ქალიშვილის, ანასტასია კურცხალიას მამა, დავით კურცხალიაა. ხელის მოწერის ცერემონია გასულ უიქენდზე შედგა.

დავითი და ვერა უკვე რამდენიმე წელია, ერთად არიან. ყოფილმა მინისტრმა და ბიზნესმენმა ურთიერთობა 2012 წელს დაიწყეს. 2013 წელს მათ პირველი ქალიშვილი, ანასტასია შეეძინათ. თუმცა ურთიერთობის დაკანონებისთვის დრო მხოლოდ ახლაღა გამონახეს. (musicbox.ge)

## დიდი ბრიტანეთი რუსეთსა და ნატოს შორის შესაძლო კონფლიქტისთვის ემზადება



დიდი ბრიტანეთი სამხედრო სწავლება „**Shamal Storm**“-ის ფარგლებში, იორდანიაში სამხედრო წვრთნებს ატარებს, რისთვისაც ადგილზე 1600 სამხედრო და 300 ერთეული ტექნიკა ჰყავს გადასროლილი.

ბრიტანული გამოცემა „დეილი ტელეგრაფის“ ინფორმაციით, სწავლების მიზანია ტექნიკის სწრაფი გადასროლა აღმოსავლეთ ევროპაში იმ შემთხვევაში, თუ რუსეთსა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს შორის კონფლიქტი მოხდება.

ამის შესახებ გამოცემას სამხედრო წყაროებმა განუცხადეს. მათი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სწავლება იორდანია-სირიის საზღვართან მიმდინარეობს, ის არ არის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლასთან კავშირში.

– ეს სწავლება არ არის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მიმართული. ჩვენ უფრო ვემზადებით, რომ ამერიკას გვერდით დავუდგეთ უკრაინაში და არა სირიაში. ეს არ არის იმ ტიპის ძალები, რომლებიც სირიაში უნდა გადავისროლოთ ჯიჰადისტების ჯგუფთან საბრძოლველად, – განაცხადეს ბრიტანეთის არმიის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა.

მათი თქმით, იორდანიაში მიმდინარე სწავლებამ უნდა უზრუნველყოს სრული სამხედრო მზადყოფნა და სწრაფი გადაადგილება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. (pia.ge)

## კორპუსიდან 40 წლის მამაკაცი გადმოვარდა

უბედური შემთხვევა ბათუმში – ე.წ. საოცრებათა პარკში მდებარე „პორტა ბათუმი თაუერის“ შენობიდან სამუშაოების შესრულებისას 40 წლამდე მამაკაცი მაღალი სართულიდან გადმოვარდა.

თვითმხილველების თქმით, მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. კომპანიის წარმომადგენლები დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებენ.

ფაქტს ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოების შესრულებისას უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გამოიწვია. (mediamall.ge)

## მიხეილ სააკაშვილი უკრაინის სახელმწიფო გადატრიალებისთვის ემზადება — ვადიმ რაბინოვიჩი



– ყველამ ხელში უნდა აიყვანოს საკუთარი თავი და შეხედოს ფხიზელი თვალით, დაინახოს, რა მოხდა. სააკაშვილისა და აბრამოვიჩუსის შეხვედრის შემდეგ, რომელიც 3 საათის განმავლობაში გრძელდებოდა, აბრამოვიჩუსმა, რომელიც 1 წლის განმავლობაში ვერაფერს ამჩნევდა, ახლა უცებ სააკაშვილთან საუბრის შემდეგ გაიაზრა ყოველივე.

მზადდება სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ამზადებს, რათა ჩვენი ქვეყნის ძალაუფლება ხელთ ჩაიგდოს, პლაცდარმად რომ აქციოს. თავისმა ხალხმა გამოაგდო ის სამშობლოდან. ეს არის შეთქმულება, რომელიც უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა უნდა გამოიძიოს. ეს ყველაფერი – დადგმაა. იაცენიუკს აწყობს სააკაშვილი, მას მთელი ერი ვერ იტანს. მან პირველ რიგში პრეზიდენტზე განახორციელა დარტყმა. იაცენიუკი კიდევ ნახევარი წლის განმავლობაში იქნება, მერე მოვა სააკაშვილი და იტყვის – „ამბოხი“ და უკრაინის ნანგრევებზე თავის პატარა სისტემის შენებას დაიწყებს.

ამიტომ, ეს ყველაფერი, რაც ახლა ხდება, არის მცდელობა გადატრიალებისა, არც კოალიციისა, არც პარლამენტისა, არამედ უკრაინის. ჩვენ რაღაც დასავლური სათამაშოს მძევლებად ვიქცევით, – აცხადებს უკრაინის რადის დეპუტატი ვადიმ რაბინოვიჩი. (marshalpress.ge)

---

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# ახალი საბანკო მაქინაცია, რომელიც ბანკებმა თავიანთ

## ვინც ამ ინტერვიუს წაიკითხავს, ისინი ამ საფრთხეს თავიდან

**ნახევარი საქართველო ბანკის მევალეა და ამიტომ, პირველ რიგში, მათ გაფრთხილებაზე უნდა იზრუნოს გაზეთმა. ამაზე თავად ბანკები თავს არ იწუხებენ, რადგან ეს მათ ინტერესში არ შედის. რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესო იქნება ბანკების პოზიცია და მათ განმარტებებს დიდი სიამოვნებით დავუთმობთ გაზეთში ადგილს!**

**„ალიას“ „ახალგაზრდა ადვოკატთა“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მარიკა არევაძე ესაუბრება.**



**„ამას მხოლოდ დაინტერესებული პირი გააკეთებს, ვისაც იმის ინტერესი აქვს, რომ ეს ხანდაზმული სესხები გაცოცხლდეს და ბანკებს მათი დაბრუნების ხელახალი შანსი მიეცეთ. ბანკის თანამშრომელი გააკეთებს ამას თუ პრობლემური მართვის კომპანიის თანამშრომელი, რომელიც ამგვარი სესხების ამოღებაზეა ვალდებული, რა მნიშვნელობა აქვს?“**



**„ბევრმა არ იცის, რომ ბანკთან დავა შეიძლება წამოიწყო სასამართლოს გვერდის ავლით“**

**— მარიკა, ხშირია შემთხვევები, როცა კლიენტებს ბანკები საკრედიტო კონტრაქტის დეტალებს არ აცნობენ და ამით მერე კლიენტები ბევრს ზარალობენ. არადა, ბანკების პირობები ნამეტანი კაბალურია. რა ეშველება ამ პრობლემას?**

– ეს ჩვენი, მოქალაქეების, ბრალია, ისინი არ ეცნობიან კონტრაქტის დეტალებს საფუძვლიანად. თუკი აპირებენ სესხის აღებას, უნდა წაიკითხონ ხელშეკრულება და შეეცადონ იმ პუნქტისა თუ პუნქტების ამოღებას, რის შესრულებასაც მომავალში ვერ შეძლებენ, ან წინასწარ იციან, რომ ვერ შეძლებენ. ხელშეკრულება კლიენტსა და ბანკს შორის ფორმდება ორმხრივი ნებაყოფლობით და ამის კანონიერი უფლება აქვთ. ბევრი იმიტომ არ კითხულობს ამ ხელშეკრულებას, რომ არ იციან, მასში ჩადებული რისკების შესახებ, ბრმად ენდობიან ბანკს, შესაბამისად, რომ არ კითხულობენ ხელშეკრულებას, არც ის იციან, რა პუნქტების შეცვლა შესთავაზონ ბანკებს, რა არის მათთვის საზიანო. კი, თუნდაც წაიკითხო და ხელშეკრულებაში ნახო რისკები, ბანკს მათი შეცვლა შესთავაზო, ბანკი ხშირ შემთხვევაში არ წამოვა მათ შეცვლაზე, მაგრამ ძალიან ბევრ პუნქტს აკორექტირებს და რაღაც დოზით მაინც ითვალისწინებს კლიენტის ინტერესებს.

**— კონკრეტულად, რა სახის რისკებს დებს უფრო ხშირად ბანკი ხელშეკრულებებში, რომელთა გამოც შემდგომში მომხმარებელი ზარალდება?**

– მაგალითად, იღებს უფლებამოსილებას, კლიენტის შესახებ სრული ინფორმაცია გადასცეს „კრედიტ ინფო საქართველოს“. ასევე, ბანკი იღებს წერილობით თანხმობას კლიენტისგან, რომ მის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია ამოიღოს საჯარო რეესტრიდან, ბანკი უფლებას იტოვებს, კლიენტთან შეთანხმების გარეშე შეცვალოს საპროცენტო განაკვეთი, ინფლაციის ან სხვა შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს, მოითხოვოს მთლიანი თანხის უმოკლეს ვადაში უკან დაბრუნება. ეს ყველაფერი არის კაბალური პირობები კლიენტთათვის და თუ არ იბრძოლეს მათ შესაცვლელად, სხვა ვერ დაეხმარება. შესაძლოა, კლიენტი ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყოს, ისე სასწრაფოდ სჭირდებოდეს თანხა, რომ ამ და სხვა პირობებსაც დასთანხმდეს, მაგრამ არსებობს მსესხებელთა მცირერიცხოვანი კატეგორია, რომელნიც სესხს ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით იღებენ და მათ ეს ყველაფერი წინასწარ რომ იცოდნენ, სესხს არ აიღებენ. ბევრი, როცა ბანკიდან სესხი გამოაქვს, მერეღა კითხულობს ხელშეკრულებას და სახტად რჩება. ბევრს, შესაძლოა, ეს იდეალისტურად მოეჩვენოს და იფიქროს, რომელი ბანკი შეგიცვლის ხელშეკრულებასო, მაგრამ ასე არ არის. მე პირადად რამდენიმე ბანკის კლიენტის ხელშეკრულებაში კლიენტისთვის მიუღებელი პუნქტები შევცვლევინე, ბევრი თავად ახერხებს ამას. მოკლედ, აუცილებელია ხელშეკრულების გულდასმით წაკითხვა და ხელშეკრულებაში მიუღებელი პირობების შესაცვლელად ან ამოსაღებად ბრძოლა. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ბანკი დაინტერესებულია, ფული გაასესხოს და პოტენციური კლიენტის დაკარგვა არც მას აწყობს. ახლა ერთ ძალიან მნიშვნელოვან, მე ვიტყოდი, არაკეთილსინდისიერ ქმედებაზე მინდა მოგახსენოთ, რომელმაც, შესაძლოა, ბანკის უამრავი კლიენტი დააზარალოს და ვინც ამ ინტერვიუს წაიკითხავს, ისინი ამ საფრთხეს თავიდან აიცილებენ. საქმე ბანკის ათეულ ათასობით კლიენტს ეხება. ჩვენ ჯერ კიდევ შარშან, აგვისტოში, გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ, თუკი სესხი არის ხანდაზმული, ანუ, თუ ჩვეულებრივი სესხის გამოტანიდან 3 წელია გასული (იპოთეკური სესხის შემთხვევაში, 6 წელი) და ამ 3 წელიწადში, კლიენტს 1 ლარიც კი არ შეუტანია ანგარიშზე, ეს სესხი ჩამოწერას ექვემდებარება. კლიენტმა წერილობით უნდა მიმართოს ბანკს და განუცხადოს, რომ ამ უფლებამოსილების გამოყენებას აპირებს, სესხის გადახდას აღარ აპირებს და ბანკი ვალდებულია, მას ეს თანხა ჩამოაჭრას. ჩვენი ინტერვიუს შემდეგ, პირადად მე 700-ზე მეტი კონსულტაცია მქონდა ბანკის ისეთ კლიენტებთან, ვისაც ამგვარი, ხანდაზმული სესხი ჰქონდა და დავაკვალიანე ისინი, როგორ მოქცეულიყვნენ, ბევრმა, ცხადია, სხვა ადვოკატს მიმართა და ამ უფლების გამოყენება დაიწყო. ეჭვი მაქვს, ბანკებს მოუწიათ ამ ხანდაზმული სესხების ჩამოწერა და უფრო და უფრო დიდი სესხების ჩამოწერის, დიდი თანხების დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგნენ. მოკლედ, ჩვენმა ინტერვიუმ შედეგი გამოიღო. ახლა ნახეთ, რა ხდება. ხანდაზმული სესხის ჩამოწერის აუცილებელი პირობა ხომ ის არის, რომ ბოლო 3 წლის მანძილზე 1 ლარიც არ უნდა გქონდეს ბანკში სასესხო ანგარიშზე შეტანილი. ამგვარ კლიენტებს, „ფეი-ბოქსის“ აპარატებიდან, სრულიად უცხო ადამიანები, კონკრეტული ბანკების კონკრეტულ სასესხო ანგარიშებზე ურიცხავენ მინიმალურ თანხას და უცოცხლებენ ამ ხანდაზმულ სესხებს. ანუ კიდევ 3 წელი უნდა გავიდეს, რომ სესხი ისევ ხანდაზმული გახდეს, იპოთეკური სესხი კი 6 წელიწადში გახდება ხანდაზმული.

**— ეს მხოლოდ ხანდაზმული სესხების გასაცოცხლებლად კეთდება?**

– რასაკვირველია, ამ მიზნით აკეთებენ, რომ ბანკებმა ამ ხანდაზმული სესხის ამოღების შანსი დაიბრუნონ, აბა, სხვის ვალს უცხო ადამიანი გადაიხდის?!

**— ამას, ცხადია, ბანკთან დაახლოებული პირები აკეთებენ.**

– ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ ამას მხოლოდ დაინტერესებული პირი გააკეთებს, ვისაც იმის ინტერესი აქვს, რომ ეს ხანდაზმული სესხები გაცოცხლდეს და ბანკებს მათი დაბრუნების ხელახალი შანსი მიეცეთ. ბანკის თანამშრომელი გააკეთებს ამას თუ პრობლემური მართვის კომპანიის თანამშრომელი, რომელიც ამგვარი სესხების ამოღებაზეა ვალდებული, რა მნიშვნელობა აქვს? სავარაუდოდ, ეს ხალხი აკეთებს ამას, სხვას არანაირი ინტერესი არ აქვს, კონკრეტულ ბანკებს ხანდაზმული სესხები გაუცოცხლოს.

**— თავი როგორ უნდა დაიზღვიოს ასეთ შემთხვევაში ბანკის იმ კლიენტმა, ვისაც ხანდაზმული სესხი აქვს და აპირებს, რომ ბანკს მის ჩამოსაწერად მიმართოს?**

– ვისაც ბანკის ხანდაზმული სესხი აქვს, ასეთი კლიენტი აუცილებლად უნდა მივიდეს ბანკში, წერილობით მიმართოს ბანკს, რომ აპირებს თავისი ამ უფლების, ხანდაზმული სესხის ჩამოწერის პროცედურის დაწყებას ან ახლო მომავალში ამ უფლების გამოყენებას, უარს აცხადებს ამ ვალდებულების შესრულებაზე და არ აპირებს არავითარ შემთხვევაში მინიმალური თანხის გადახდასაც კი ბანკისთვის. ბანკს უნდა მოსთხოვოს, თუკი მის ანგარიშზე რაიმე თანხა დაფიქსირდება და მნიშვნელობა არ აქვს, რა გზით მოხვდება ეს თანხა ანგარიშზე, ეს ფული არ მიმართოს მისი სესხის დასაფარად. ამ განცხადების ერთი ეგზემპლარი უნდა დაიტოვოს კლიენტმა, ბანკის თანამშრომელს უნდა მოსთხოვოს, ორივე ეგზემპლარი გაატაროს კანცელარიაში და ერთი ცალი უკან დაუბრუნონ, რომ შემდგომში, თუ მის ანგარიშზე დაფიქსირდა თანხა, სესხი გაცოცხლდა და ბანკი შეეცადა სასამართლოს გზით მის ამოღებას, მაშინ სასამართლოში ამ განცხადებას წარადგენს მტკიცებულებად და ნორმალური სასამართლო მის ამ მტკიცებულებას აუცილებლად გაიზიარებს. შესაბამისად, ჩამოეჭრება ეს ხანდაზმული სესხი და ვილაცების გარჯა, რომ ვადაგადაცილებული სესხები გააცოცხლონ „ფეი-ბოქსის“ აპარატებით, წყალში ჩაიყრება.

**— შეიძლება ამ მკვდარი სესხების გაცოცხლებას უცნობი პირების მიერ „ფეი-ბოქსის“ აპარატებით, ახალი საბანკო აფიორა დავარქვათ?**

– კი, რასაკვირველია, ეს აფიორაა და სხვა არაფერი, ახალი საბანკო მაქინაცია, ბანკების საწარმოებლად და კლიენტთა საზიანოდ.

**— ხშირია ამგვარი შემთხვევები?**

– ჯერ არც ისე ბევრია, რამდენადაც ვიცი. ეჭვი მაქვს,

ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, სავარაუდოდ, ბანკები და ე.წ. ბანკების ვალის ამომღები, ანუ პრობლემური მართვის აქტივების კომპანიები, ამ მეთოდს ინტენსიურად გამოიყენებენ, მაგრამ ეს აფიორა, ადრე თუ გვიან, ფეხს მაინც მყარად მოიკიდებს ჩვენში და რაც მალე გავაფრთხილებთ მოსახლეობას ახლად დაწყებული აფიორის შესახებ, მით უკეთესი. ეს ინტერვიუ ბევრს გადაარჩენს.

**— ეს პრობლემური მართვის აქტივების კომპანიები ძალიან თავს გავიდნენ, ხალხს აშინებენ, ბანკის სესხს ვინც ვერ იხდის, იმ კლიენტებს ქონების გაყიდვითა და ათასი უბედურებით ემუქრე**ბიან. აქვთ მათ ამის უფლება?

ქონებით, დაუყადაღებენ ავეჯს და სხვა ფასეულ საოჯახო ნივთებს. ზოგს გასდის ეს, რადგან ბევრი იჯერებს ამ ტყუილს და ნებაყოფლობით თანხმდება ამ კომპანიებს, სესხის საფასურად საკუთარი მშობლებისა თუ ოჯახის სხვა წევრების უძრავი ქონება გაატანოს. თუ ვინმეს სესხი აქვს, მის გადახდაზე პასუხისმგებელია თავად და თავდები, სხვა არავინ, ამ ორის გარდა. მე თუ სესხი მაქვს, ჩემი შვილი, მეუღლე თუ ჩემი მშობლები არაფერ შუაში არ არიან მის გადახდასთან, მათ კანონიერად ვერავინ მოსთხოვს ამას, ბევრმა ეს არ იცის, სამწუხაროდ. კლიენტი და თავდები მხოლოდ

ყურადღებას, ბევრმა არ იცის, რომ ბანკთან დავა შეიძლება წამოიწყო სასამართლოს გვერდის ავლით. გამსესხებელს, ამ შემთხვევაში ბანკს, შეუძლია, მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვოს კლიენტისგან აღებული ვალდებულებების შესრულება. უმრავლესობამ არ იცის, ეს რა პროცედურაა. მევალეს მისდის განცხადება აღსრულების ბიუროდან, რომ თქვენს სახელზე ამა და ამ ბანკიდან შემოსულია განცხადება თქვენი საბანკო ვალდებულებების აღსრულების თაობაზე და მევალეები ამ განცხადებას რეაგირების გარეშე ტოვებენ. ახლა რა

ლემური სესხების მართვის კომპანიებთან ბანკის ბევრ კლიენტს აქვს შეხება, ეს კომპანიები ცდილობენ ბანკის ვალების ამოღებას. ხშირ შემთხვევაში, კლიენტებს სიტყვიერად უთანხმდებიან ამ კომპანიების წარმომადგენლები, რომ, დავუშვათ, თუ კლიენტს აქვს 5000 ლარი ვალი და ის თვეში 100 ლარს გადაიხდის, მას 2000 ლარს ჩამოაჭრიან და მეტს არ გადაახდევინებენ. მე პირადად მქონია საქმე ბანკის კლიენტებთან, როლებიც ამ სიტყვიერი შეთანხმების შემდეგ მოატყუეს, გადაახდევინეს შეთანხმებული, ვთქვათ, ეს 3000 ლარი და როცა ეს ვალი

### ფინანსები

**და, მე მგონი, ძალიან ბევრია. ბანკები თავად განსაზღვრავენ, რამდენი პროცენტი უნდა დააწესონ ამ ვადაგადაცილებულ დღეებზე და არანაირი რეგულაციით არ იმართება ეს პროცესი?**

– მაგას ვამბობ სწორედ. ან თავიდან უნდა წაიკითხოს კლიენტმა ხელშეკრულება და თუ ეს საჯარიმო პროცენტები ან სხვა რამ არ მოეწონა, არ უნდა გამოიტანოს სესხი, ან ბანკს უნდა შეაცვლევინოს პირობები, თუ არადა, როცა უკვე ველარ იხდის, სასამართლოში უნდა განაცხადოს, რომ

# სასარგებლოდ და კლიენტთა საზიანოდ გამოიგონეს!

## აიცილებენ. საქმე ბანკის ათეულ ათასობით კლიენტს ეხება





**„თუ ვინმეს სესხი აქვს, მის გადახდაზე პასუხისმგებელია თავად და თავდები, სხვა არავინ, ამ ორის გარდა. მე თუ სესხი მაქვს, ჩემი შვილი, მეუღლე თუ ჩემი მშობლები არაფერ შუაში არ არიან მის გადახდასთან, მათ კანონიერად ვერავინ მოსთხოვს ამას, ბევრმა ეს არ იცის, სამწუხაროდ“**

**ბიან. აქვთ მათ ამის უფლება?**

– მოგახსენებთ. მე მინახავს ამ პრობლემური მართვის აქტივების კომპანიების მიერ კლიენტის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს სახელით არის დაწერილი და კლიენტს კრედიტის გადახდას სთხოვენ. კი, მაგრამ, სასამართლოს გადაწყვეტილებაა, საქართველოს სახელით რომ გამოაქვთ? მე ამის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მივმართე, მაგრამ ჯერ მისგან პასუხი არ მიმიღია. ასეთი წერილებით, მე ვიტყოდი, ნაჯღაბნებით, ხალხს აშინებენ, თუ ბანკს სესხს არ გადაუხდით, ჩვენ მივმართავთ სასამართლოს და მერე სასამართლო ამას და ამას გიზამთო. მოკლედ, ემუქრებიან სასამართლოთი. თუ ვინმეს ამგვარი კომპანიებისგან ანალოგიური მუქარის წერილი მიუვა, ყურადღებას ნუ მიაქცევს, ადგეს და მოისროლოს. ეს კომპანიები ემუქრებიან ხალხს, რომ, თუ ბანკს სესხს არ გადაუხდიან, ამ სესხს თავისი პროცენტებითა და პირგასამტეხლოებით ამოიღებენ მათი ოჯახის წევრების მოძრავი

საკუთარი თავითა და ქონებით აგებენ პასუხს ბანკის წინაშე.

**— თუმცა, რიგ შემთხვევაში ამ პრობლემური აქტივების მართვის კომპანიის წარმომადგენლებს ბანკის მევალეებთან აღმასრულებლები მიჰყავთ და აღმასრულებელი უყადაღებს მათ ოჯახის წევრების მოძრავ ქონებას. მერე ამ ქონებას აუქციონზე უყიდიან.**

– ასეთ შემთხვევაში, დაყადაღებული ქონების მეპატრონეები უნდა მივიდნენ აღსრულების ეროვნულ ბიუროში და დაწერონ განცხადება, რომ ქონება, რომელიც მათი ოჯახის წევრის სესხის საფასურად დააყადაღეს, მას არ ეკუთვნის და კანონით, ეს ქონება რეალიზაციას აღარ ექვემდებარება, აუქციონზე ველარ გაიტანენ. აღმასრულებელი იძულებული გახდება, უკან დაუბრუნოს ქონება რეალურ მეპატრონეებს, ანუ მევალის ოჯახის წევრებს. მოკლედ, ბანკის მევალე და მოძრავი ქონების მეპატრონენი ასეთ შემთხვევაში არ უნდა დასთანხმდნენ აღმასრულებელს, თავი არ უნდა ჩაღუნონ და უნდა იბრძოლონ თავიანთი უფლებებისა და ქონების დასაცავად. აქვე ერთ საკითხზეც გავამახვილებ

ხდება ამ დროს. თუკი აღმასრულებლის მიერ ბანკის მევალისთვის განცხადების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში (შესაძლოა, განცხადებაში სხვა ვადა იყოს მითითებული) ისინი შეიტანენ საფუძვლიან საპროტესტო განცხადებას აღსრულების ბიუროში, ბევრ უსიამოვნებას აიცილებენ თავიდან. დავუშვათ, თუ მაღალი პირგასამტეხლო თანხაა, თუ ძირი თანხა უსამართლო ჯარიმებით ძალიან მაღალია და არ ეთანხმებიან ამხელა თანხის გადახდას, მაშინ მათი პრეტენზიები საფუძვლიანად ჩაითვლება, აღარ მოხდება დაუყოვნებლივი აღსრულება და საქმე გადავა სასამართლოში. სასამართლო დავის შემთხვევაში, კლიენტი, ერთი, რომ დროს მოიგებს და იქნებ ამ პერიოდში, რასაც თვლის, რომ ბანკისთვის მართლა გადასახდელი აქვს, ის თანხა იშოვოს და გადაიხადოს, მეორე, დიდი ალბათობაა იმისა, რომ სასამართლომ ზედმეტად მაღალი პირგასამტეხლოები და ჯარიმები ჩამოაჭრას. არადა, ხშირ შემთხვევაში ამ მიზეზებით გაზრდილი თანხა ძალიან სოლიდურია, ზოგჯერ მთლიანად გადასახდელი თანხის ნახევარი და მეტიც კი. პრობ

დაფარეს, მერე, ის დარჩენილი 2000 ლარიც მოსთხოვეს. თუ პრობლემური მართვის კომპანიებთან ამგვარი გარიგება დადო კლიენტმა, ის აუცილებლად წერილობითი უნდა იყოს, რომ მერე აღარ მოატყუონ და თუ იმ თანხის გადახდა ისევ მოსთხოვეს, რომლის ჩამოწერასაც შეჰპირდნენ, ეს ხელშეკრულება სასამართლოში კლიენტისთვის მტკიცებულება იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დარჩენილ 2000 ლარსაც გადაახდევინებენ, რადგან ამ შემთხვევაში ზეპირ შეთანხმებას იურიდიული ძალა არ აქვს და ავტომატურად ამოქმედდება პირველადი, ბანკთან დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კლიენტს 5000 ლარი აქვს გადასახდელი. მოკლედ, ვიდრე წერილობითი შეთანხმება არ ექნებათ ამ კომპანიებთან, არ დაიწყონ გადახდა, 1 თეთრიც კი არ გადაიხადონ.

**— მარიკა, ერთი საკითხიც მაინტერესებს. ბანკები თვითნებურად განსაზღვრავენ პირგასამტეხლო საჯარიმო პროცენტებს, მე ერთ-ერთი ბანკი, კრედიტის შეტანის ყველა ვადაგადაცილებულ პირველ 10 დღეზე, დარჩენილი თანხის 2%-ს მარიცხავ**

ბანკი ზედმეტად მაღალ პირგასამტეხლო პროცენტს ახდევინებდა. მაღალი და დაბალი პირგასამტეხლო პროცენტი რომელია, არ არის განსაზღვრული, მაგას სასამართლო ინდივიდუალურად წყვეტს. ჩვენს, „ახალგაზრდა ადვოკატთა“, პრაქტიკაში, როცა კი სასამართლოს მივმართეთ, რომ კლიენტს უსამართლოდ ახდევინებდა ბანკი მაღალ პირგასამტეხლოს, ჩვენი ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა სასამართლომ და შეუმცირა კლიენტებს ეს ჯარიმები. გადასახდელი თანხის 2% მართლა ძალიან მაღალია, მისაღებია, დავუშვათ, 00.1% ან, ცოტა მეტი და პირგასამტეხლო საბოლოოდ არ უნდა აღემატებოდეს ძირ თანხას. ჩვენთან კი ხშირად ძირ თანხას პირგასამტეხლო ჯარიმებით დარიცხული თანხა აჭარბებს. ასეა ნორმალურ ქვეყნებში. სამწუხაროდ, რეგულაციები ამის შესახებ არ არსებობს ბანკებისთვის, არადა, ცივილიზებულ ქვეყნებში, განსაზღვრულია ზღვარი პირგასამტეხლო ჯარიმებისა. კარგი იქნებოდა, ჩვენშიც ასე იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არ არის.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „უკრაინელი“ „ნაცები“ ერთმანეთს დაერივნენ



ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი თანამემამულე, ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი მასშტაბური კორუფციის ხელშეწყობაში დაადანაშაულა.

უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა, 5 თებერვალს ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტისა და ტელეწამყვანის სავიკ შუსტერის ტოქშოუ „შუსტერ ლაივში“ გამოსვლისას, უკრაინის მთავრობა – პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკი და მისი კაბინეტის წევრი-მინისტრები ტრადიციულად გააკრიტიკა.

მიხეილ სააკაშვილმა განსაკუთრებით მკაცრად ისაუბრა თავის თანამემამულეზე, უკრაინის ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილზე, რომელსაც თავის დროზე თვითონ გაუწია რეკომენდაცია მინისტრად დანიშვნაზე...

როგორც გუბერნატორმა აღნიშნა, ალექსანდრე კვიტაშვილი, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ გადადგომის თაობაზე განცხადება 9 თვის წინ აქვს დაწერილი, მაინც ყოველდღე დადის სამსახურში და ხელფასს იღებს. ის თითქოსდა მინისტრია, მაგრამ სამინისტროში არავინ არაფრად აგდებს, მის პიროვნებას სერიოზულად არავინ აღიქვამს. სწორედ ამიტომაც უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროში ფართოდაა გავრცელებული ცალკეული ფარმაცევტული კომპანიების ლობირება...

ასეთმა უკონტროლობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ უკრაინაში დღეს, სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით, მედიკამენტები ყველაზე უფრო ძვირად ღირებულია. ამ უმნიშვნელოვანესი სფეროსთვის ბიუჯეტიდან საჭირო თანხის მხოლოდ 30 პროცენტია გამოყოფილი და იმასაც იტაცებენ. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ოდესაში არსებული საავადმყოფოს ყველა ხელმძღვანელს საკუთარი აფთიაქები აქვთ გახსნილი. (რეპორტიორი)

## გიორგი მარგველაშვილი ბაბუა გახდება



საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი მალე ბაბუა გახდება. თბილისში აქტიურად საუბრობენ, რომ მისი ქალიშვილი, ანა ფეხმძიმედ არის. ანასა და მის მეუღლეს, გიგი ჩიჩუას პატარა შეეძინებათ. (primenewsgeorgia.ge)

## ირაკლი ღარიბაშვილი მეოთხე შვილს ელოდება



საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მეოთხე შვილს ელოდება, ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა ავრცელებს:

– სანამ ზოგიერთი ჟურნალისტი იმ ლეგენდების და ზღაპრების შეთხზვით არის დაკავებული, თურმე როგორ დაემდურა ღარიბაშვილის მამა ტარიელი მძახლებს და თურმე როგორ უმძრახად არიან ერთმანეთში, მოყვრებს გავახარებ და ვეტყვი, რომ ისინი ერთად არიან, უერთმანეთოდ პურს არ ტეხენ და ღარიბაშვილ-თამაზაშვილები მეოთხე შვილს ელოდებიან, სამი ბიჭის მერე ერთი გოგოო, მეც გულით ვიზიარებ მათ სიხარულს, – წერს ნინო ჯღარკავა. (ნიუპოსტი)

## სანდრო ბრეგაძე: ლიბერასტები მანდატებს ჩაიდებენ ჯიბეში და ვიაროთ „ჯემალისა“ და „მურთაზის“ ქორწილებში...

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნავს, რომ ქორწინების შესახებ მომზადებული კონსტიტუციური ცვლილების განხილვას პარლამენტი არ ჩქარობს და ამის მიზეზი მისთვის ნათელია:

– 25 წელია, პოლიტიკაში ვარ, ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტის დეპუტატი ვიყავი, საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი და მე ახლა ვინ უნდა მომატყუოს??? მეცინება!!! სიმწრისგან მეცინება!!!

უკვე ვიცი ზოგიერთი შეშინებულის პასუხი (პარლამენტში დღევანდელი ლიბერასტების შემოტევის მერე), ვინც გულზე ხელს ირტყამდა და გაჰყვიროდა, ერთსქესიანთა ქორწინებას არ დავუშვებო (ერთმა უკვე მითხრა) – „აი, ახლა ჩვენ დავიწყებთ მაგ საკითხზე მუშაობას, ჩვენვე შევქმნით კომისიას, მერე შესწორების პროექტს და მერე გავიტანთ სესიაზეო, „ეროვნულებს“ ამბიცია აწუხებთ და ჩქარა უნდათ ყველაფერიო. ამასობაში საპარლამენტო არჩევნებიც მოვა, ჩვენს ხარჯზე ლიბერასტები მანდატებს ჩაიდებენ ჯიბეში და ადიოოოს „ოცნება“ ჩვენს კანონპროექტზე, მერე ერთსქესიანთა ქორწინებასაც დააკანონებენ და ვიაროთ ჯემალისა და მურთაზის ქორწილებში...

აგერაა და 76 ხელმოწერა სჭირდება და ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება ქართველოფობების პარპაში. დროის გაწელვას თქვენ მასწავლით??? – წერს ბრეგაძე სოციალურ ქსელში. (რეპორტიორი)

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61



## ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

# „...მე მიზანს ნაწილობრივ მაინც მივაღწიე, თქვენგან ერთი, თუნდაც მამაჩემი, გავამწარე. ვიმეორებ: ჩაძაღლდი, ჩაძაღლდი! ხვალ სხვებსაც ავამძღნერებ“.





მე ვამბობ, რომ ქვეყანა წახდა. მავანი მხართეძოზე წამოწოლილა და მეუბნება, რომ არ წახდა, პირიქით, რაც ახლა ხდება, ეს ევროპული აზროვნების ნაწილია, ეს თავისუფლებაა, ეს დემოკრატიაა და ვინაიდან თავი ვერ დამიღწევია მავნე ტრადიციებისგან, თანდათანობით დავემსგავსე ციციკორეს. მავანს მაგალითად ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაც კი მოჰყავს – როდესაც მამათა და შვილთა ბრძოლა გაჩაღდა, ილიასაც სწორედ ასე ექცეოდნენ, მასხრად იგდებდნენ, ლანძღავდნენ, გმობდნენ, ცვლილებები არავის უნდოდაო. ალბათ, დამეთანხმებით, ეს მაცდური მაგალითია – თაობათა შორის ბრძოლა ყოველთვის იყო ჩვენში და იქნება კიდეც, მაგრამ ვერასოდეს დავიჯერებ, რომ აი, ასეთი ლექსი თავისუფლებისა და დემოკრატიის ნაყოფია (ავტორი ამბროსი მიქელაძე):

**„მამაჩემი ფილისტერია.**
**სავარძელში გდია და გულზე სკდება,**
**რომ მას არ ვგავარ.**
**ჩემო დამპალო თანაქალაქელებო,**
**რომც იცოდეთ ჩემი თქვენი**
**შეურაცხმყოფელი გამოხდომისგან**
**გულისტკივილის ფასად ახლა**
**როგორ დაგიცვათ,**
**სულმოკლეობით ხელზეც კი არ**
**ემბორებოდით...**
**მე მიზანს ნაწილობრივ მაინც მივაღწიე,**
**თქვენგან ერთი, თუნდაც მამაჩემი,**
**გავამწარე.**
**ვიმეორებ: ჩაძაღლდი, ჩაძაღლდი!**
**ხვალ სხვებსაც ავამძღნერებ“.**

ამ ქვეყანაზე ცხოვრობს ერთი ვითომმომღერალი მაია დარსმელიძე, რომელიც ასეთ რამეს წერს:

„ჰომოფობებო, მეზიზღებით. თქვენ აქეზებთ თქვენნაირებს, რომლებიც კლავენ და მერე უბედურ შემთხვევად ასაღებენ. ჩემთვისაც შეიძლება ვინმე ვულგარული ან გამაღიზიანებელი იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს თქვენნაირი მშიშარა არსებებია... ნუ გეშინიათ, რაც გიწერიათ – არ აგცდებათ. თქვენ ისიც კი არ იცით, რომ გეები არ ხდებიან, უნდათ თუ არა, ასეთებად იბადებიან. ამ ჰომოფობიურ ქვეყანაში შესაძლოა, ეს თქვენი შვილიც იყოს, რომელიც, უბრალოდ, ხვდება რომ ხე ჰყავს მშობელი და სწორედ ამიტომ არ იცით, რა დაბადეთ. ხედავთ, როგორი ჯაჭვია? მხოლოდ მაშინ გაერკვევით, ვინ არის თქვენი შვილი, მეზობელი, ნათესავი, თანამშრომელი და გაქვთ თუ არა „ნერვიულობის“ საფუძველი, როდესაც შეწყდება ეს ჰომოფობიური აგრესია“.

ღმერთო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულს! როდესაც ვკითხულობ საუკუნის წინანდელს, ან უფრო ადრინდელ ნაწარმოებებს, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენ ერთმანეთის ზიზღი ოდითგან მოგვდგამს. აბა, წარმოიდგინეთ, როგორ უნდა გამწარებულიყო თავის დროზე ვაჟა-ფშაველა, რომ ეს დაეწერა?

**„რა ყოფაში ვარ? რა მემართება?**
**ლამის გავგიჟდე, გავმხეცდე მთლადა.**
**ადამიანის ხორცსა ვჭამ პურად,**
**ადამიანის სისხლსა ვსვამ წყლადა,**
**მილიონობით დღეში არ მყოფნის,**
**ადამიანის მე მქვიან მადა.**
**რო მეჯავრება ჩემივე თავი,**
**ვერ გარდავიქმენ მაინც კი სხვადა.**
**როგორ მოტყუვდა ნაზარეველი,**
**ძმობა-ერთობის გეგმას რომ სთხზავდა!**
**შესაძლოდ სცნობდა საყოველთაოდ**
**ასეთ სიყვარულს, რადგან თვით სწამდა**
**ქრისტეობა და მის სწავლის ცოდნა.**
**როგორ ვსტყუვდებით, საიდან-სადა?**
**შორსა ყოფილა ერთმანერთზედა,**
**ძალიან გვიან გამოგვეცხადა.**
**ამ მოძღვრებისთვის ჯვარზე გაეკრა:**
**თავის სწავლასა დიდ ხედა ჰრგავდა,**
**როგორ ეწვალა, როგორ ეცადა,**
**რომ არ ჰყოლიყო კაცი კაცს მგლადა.**
**მიჩვენეთ ერთი ამის ნაყოფი**
**იგემეთ ვინა, როდის ან სადა?**
**როდი-ღა უნდა ადამიანმა**
**ადამიანი იწამოს ძმადა“?!**

იესო, ძე ღვთისა იქცა ხორციელად, მოევლინა კაცობრიობას და თქვა: უნდა ვეწამო, რათა თქვენი ცოდვები გამოვისყიდოო. გამოუვიდა რამე? არა მგონია, მას შემდეგ დედამიწაზე ცოდვამ და განუკითხაობამ ახალი ძალით იფეთქა. როდესაც ვაჟა-ფშაველა ამ ლექსს წერდა, მაშინ არ იყო დარსმელიძე, მაგრამ იყო ბერბიჭაშვილი, რომელმაც შუბლი გაუხვრიტა ილია ჭავჭავაძეს. როგორც ჩანს, ბერბიჭაშვილი ევროპულად მოაზროვნე გახლდათ, უფრო სწორად, მის ზურგს უკან იდგნენ ევროპულად მოაზროვნეები და ერის დამრიგებელი ამიტომაც მოიცილეს. ორიოდე წლის წინათ იმერეთიდან ერთი ბიჭი მირეკავდა და მიმტკიცებდა, ძალიან ცუდად ვარ, საერთოდ არ მძინავს, სული მაქვს დამძიმებული, ყველაფერი მტკივაო. როდესაც ვკითხე, რა გჭირს-მეთქი, მიპასუხა: ბერბიჭაშვილის შთამომავალი ვარ, მეტი აღარ შემიძლია, შეიძლება თავი მოვიკლაო. ერთხელაც შეწყდა მისი ზარები და აღარაფერი ვიცი... ველარ დავუკავშირდი... ტყუილად არ უთქვამთ ძველებს, პაპის ნაჭამი ტყემალი შვილიშვილს მოსჭრის კბილსაო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი ზიზღი და სიძულვილი უკვე გენეტიკურია, რაც ჩვენს წინაპრებს ჩაუდენიათ, ახლა ვიმკით დიდი სიუხვით...

# ბიძინა ივანიშვილის საბედისწერო შეცდომები

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**სანამ ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდებოდა, ხშირად ლაპარაკობდა ქართულ მედიაზე და აღნიშნავდა, რომ ჟურნალისტიკაშიც ჩვეულებრივი ადამიანები მუშაობენ და ისინი კონტროლსა და კრიტიკას უნდა დაქვემდებარებოდნენ. როდესაც ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდა, ტონი არც მაშინ შეუცვლია და მეტიც, ამ მხრივ, იდეებს არ გვაკლებდა:**

მედია ჩვეულებრივი კერძო ბიზნესია და ამიტომაც შეიძლება, ის მიკერძოებული იყოს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ პროფესიონალიზმი გაიზარდოს, ობიექტური გახდეს. მედია, პირველ რიგში, ბიზნესია“.

**ბატონმა ბიძინამ არაერთხელ გაიმეორა, რომ მედია ბიზნესია და შეიძლება იყოს მიკერძოებული. ჩვენ იმ პერიოდშივე ვწერდით, რომ მედია არ არის ჩვეულებრივი ბიზნესი და ეს „რუსთავი 2“-ისა თუ „მაესტროს“ ორიგინალურ იდეებს გადმოაფრქვევდა:**

„სხვათა შორის, ვასიკო მაღლაფერიძესთან მქონდა შეხვედრა, აი, როდესაც ანალიტიკოსების მომზადებასა და ტრენინგებზეა საუბარი ექსპერტებისა და ჟურნალისტების, ერთ-ერთს მასაც გაუჩნდა სურვილი და ამ გუნდთან ერთად მქონდა შეხვედრა. მე იქვე დავუსვი მას კითხვა, რას შვრებით-მეთქი და ის მე მეკითხება, თქვენ რას შვრებითო? ერთადერთი ჩემი სურვილი რაცაა, რომ ემოციური და ზედმეტად აი, ვთქვათ, ანგაჟირებულის ნაცვლად მივიღოთ უფრო დახვეწილი მედია“.



**ბიძინა ივანიშვილი: „შეეგუონ ჟურნალისტები, რომ ისინი არ არიან რაღაც განსაკუთრებული ხალხი, არიან საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები, მათაც შეიძლება, შეეშალოთ და მათზეც შეიძლება გააკეთონ რეაქცია! მედია, პირველ რიგში, ბიზნესია“**

„ძალიან ხშირად მიმიღია საყვედური, რომ ვბედავდი და მედიას ვსაყვედურობდი. მედია ვერ იქნება ტაბუდადებული თემა. მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მედია თავისუფალი იყოს ხელისუფლებისგან, რადგან ყველაზე მეტად საშიშია, თუ ხელისუფლება ერევა და ძალადობს მედიაზე, მაგრამ ის, რომ ამ თემას ტაბუ დაადო – მედიას არ შეეხო და არ გააკრიტიკო, ეს ვერ მოხდება. მე ძალიან ხშირად შევეხები ამ თემას – ახლავე ვაფრთხილებ ჟურნალისტებს, შეიძლება, სპეციალური გადაცემა და საათებიც მივუძღვნა იმის ანალიზს, როგორია დღევანდელი მედია, ვინ არიან მეპატრონეები თუ ჟურნალისტები. მე ამას არ მოვერიდები. ეს განწყობა ახლავე მიიღონ და შეეგუონ ჟურნალისტები, რომ ისინი არ არიან რაღაც განსაკუთრებული ხალხი, არიან საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები, მათაც შეიძლება, შეეშალოთ და მათზეც შეიძლება გააკეთონ რეაქცია. იმ სურათს ნუ დახატავენ, რასაც სააკაშვილი აკეთებს, რომ არის პოლიტიკურად დევნილი.

**ამბებმაც ნათლად დაგვანახა. დაუკვირდით, ყოფილ პრემიერ-მინისტრს ორი იდეა ჰქონდა, მაგრამ ვერ განახორციელა: პირველი — ერთი პერიოდი ამბობდა, რომ გახსნიდა რაღაც კურსებს, მოიყვანდა ახალ ჟურნალისტებს, „დაატრენინგებდა“ და ასწავლიდა მათ პროფესიონალიზმს. ჩვენ ვწერდით, რომ ეს არ გამოვიდოდა, ეს შეუძლებელი იქნებოდა და ასეც მოხდა; მეორე — როდესაც „ჯიდიესის“ ეთერში გადაცემების ციკლს იწყებდა, აცხადებდა, საათებს მივუძღვნი მედიის თემას, გავაკეთებ ანალიზს და ყველას ვაჩვენებ, როგორი უნდა იყოს ქართული ჟურნალისტიკაო. არც ეს გამოვიდა, რადგან არ უნდა გამოსულიყო და თქვენ წარმოიდგინეთ, ის გადაცემები სწორედ იმ ჟურნალისტიკას ემსხვერპლა, რომელზეც თავად ბატონი ბიძინა ოცნებობდა — უღიმღამოს, მოზომილს, უფერულს, უფორმოსა და უშინაარსოს. მიხვდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომ ჩვენ მართლები ვიყავით და გაჩერდა, საერთოდ აღარაფერს აკეთებს ამ სფეროში. მას რომ ერთი კარგი მრჩეველი ჰყოლოდა, არც მანამდე იტყოდა რამეს და არც**

**აქაც შეცდა ბიძინა ივანიშვილი, უფრო დახვეწილი და არაემოციური მედია არ აღმოჩნდა დამოუკიდებელი. და მაინც, როგორი ბიზნესია მედია, რა აქვს განსაკუთრებული და რით გამოირჩევა ჩვეულებრივი ბიზნესისგან? ჩვენ სწორედ ამ მოსაზრების შემდეგ ვწერდით, რომ ყველაზე დამოუკიდებელი, საქართველოს სინამდვილეში, ბეჭდური მედიაა, რადგან მას პირდაპირ უხდის საფასურს მკითხველი საზოგადოება, მოსწონს — ყიდულობს, არ მოსწონს — არ ყიდულობს:**

**„ფინანსურად მოკვდება ყველა ტელეარხი, რადიო თუ ინტერნეტგამოცემა, თუ იქ რეკლამა არ მიიტანეს. ჩვენ — არა. როცა გამოცემას სპონსორი ინახავს, ის აუცილებლად გაატარებს „შემნახველის“ ინტერესს, იდეოლოგიას. სად ჯანდაბაშია ობიექტურობა, სამართლიანობა, თუნდაც ე.წ. ყბადაღებული კონსტრუქციულობა?! ანალიტიკაც ხომ ამ ყველაფერს დაემორჩილება? ასე რომ, მედიის ფინანსური დამოუკიდებლობა პირდაპირ კავშირშია მის თავისუფლებასთან. თუ ხალხი გაფინანსებს, მათთვის მუშაობ, თუ არადა, ვინც გიხდის — მისთვის. არადა, პრესას ნამდვილად სჭირდება განვითარებისთვის თანხები. ერთია გრანტი, რომელსაც, სამწუხაროდ, რატომღაც ყველა ხელისუფლების დროს მხოლოდ მართული გამოცემები იღებდნენ, რაშიც არ ვმონაწილეობდით. მეორეა სარეკლამო შემოსავალი. ესეც ლამის მიუღწეველი იყო წინა ხელისუფლების დროს, რადგანაც ბიზნესმენებს „ზემოდან“ ავალებდნენ, რომ რეკლამა მხოლოდ მათ ტელეკომპანიებსა და გაზეთებში მიეტანათ. რადგან ივანიშვილს კვლევები ასე უყვარს, დაინტერესების შემთხვევაში, ნახავს, „სააკაშვილის ბიზნესმენები“ ყველაზე მეტად რომელ გამოცემებს ანებივრებდნენ. იმედია, ახლა ეს მარწუხები მოიხსნება, ბიზნესმენებს არჩევანის თავისუფლება მიეცემათ. დაბოლოს, გაზეთი, სადაც ამდენი შრომაა ჩადებული, კონკრეტული თანხა ღირს, რომელსაც ადამიანი ფიზიკურად ვერ გადაიხდის, თუ სტაბილური შემოსავალი არ ექნება. ამიტომ შეასრულეთ მთავარი დაპირება, დაასაქმეთ ადამიანები, შექმენით სამუშაო ადგილები, წელი გაუმაგრეთ სიღარიბის ზღვარზე მდგომებს. ეს პირდაპირპროპორციულია მედიის კეთილდღეობასთან. ფინანსურად დამოუკიდებელი და წელგამართული გამომცემელი თავად გადაწყვეტს, მისი თანამშრომელი სად გადაამზადოს, თან ისე, რომ მისი დამოუკიდებლობის ხარისხი ისევ მაღალი დარჩეს“.**

**ჩვენ იმ პერიოდში გაზეთის კეთება მევენახის შრომასაც შევადარეთ: დავუშვათ, გლეხმა მოიწია ყურძენი, სად წაიღებს, ვის მიჰყიდის? რასაკვირველია, იქ წაიღებს, სადაც უფრო მეტს იძლევიან. გლეხს არ გააჩნია იდეოლოგია, ის საქმეს უდგება წმინდა ბიზნესისა და შემოსავლის თვალსაზრისით. გასულმა შემოდგომამაც გვაჩვენა, რომ ეს ასეა, როცა კახელი მევენახეები იმუქრებოდნენ, ყურძენს დავალპობთ და 60 თეთრად არ ჩავაბარებთო, მეტი გვეკუთვნისო. მაშინ მე პირადად ბევრთან მქონდა კამათი იმის თაობაზე, რატომ უნდა მიეღოთ მათ დამატებით 30 თეთრის ნაცვლად 50 თეთრი ბიუჯეტიდან, რა ვალდებულია სახელმწიფო, მევენახეს ჩემი ჯიბიდან უხადოს თანხები? თუ საკითხს ასე მივუდგებით, მაშინ მეც მეკუთვნის 1 გაზეთზე 30-50 თეთრი. არადა, ხვალ რომ ჩვენ გამოვიდეთ და ერთი ამბავი ავტეხოთ, ან გზები გადავკეტოთ იგივე მოთხოვნით, გიჟებად ჩაგვთვლიან. არ არის მედია ჩვეულებრივი ბიზნესი, არ არის გაზეთი ისეთი ბიზნესი, როგორც ბიძინა ივანიშვილს წარმოუდგენია, ეს გახლავთ „საკვები“, რომელიც ადამიანს აძლევს იმაზე მეტს, ვიდრე ყველი, პური და კარაქი. თუ ჩვენ ამ „მეტს“ შემოვაცლით, გავაუქმებთ, აღარაფრად ჩავთვლით, მაშინ კი ბატონო, იქნება ჩვეულებრივი ბიზნესი, მაგრამ ენდომები კი საზოგადოებას? გიყიდის კი ვინმე? ამ შემთხვევაში მივდივართ იქ, საიდანაც დავიწყეთ, ანუ ვიღაცის ინტერესებამდე. სხვათა შორის, ეს ძალიან საინტერესო და წონადი თემაა, ნამდვილად ღირს ამაზე წერა და დაფიქრება, რასაც აუცილებლად გავაკეთებთ. დღეს მედიაბაზარი, მედიაბიზნესი, მედიაპოლიტიკა უკვე აღრეულია და ვინ როგორ იყენებს, უკვე გაუგებარია...**

---

## ხომ არ იცით, მხოლოდ ქართველ დამსაქმებლებს ჰგონიათ ყველა ხელქვეითი მონა თუ სხვაგანაც ასეა?!



ქსნის მინის ქარხნის თანამშრომლები მეოთხე დღეა, გაფიცულები არიან. როგორც პროფესიული კავშირების გაერთიანებაში აცხადებენ, „მინა“ პარალიზებულია, თუმცა ადმინისტრაცია თანამშრომლების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ჯერ ისევ არ აპირებს.

– გასული ორი დღის განმავლობაში აქციის მონაწილეებს ადმინისტრაციის მხრიდან არავინ შეხვედრია. გაფიცულთა ნაწილმა ღამე ქარხნის წინ გაშლილ კარავში გაათენა. სოლიდარობის ნიშნად აქციის მონაწილეებს ტრანსპორტის მუშაკები შეუერთდებიან, – განაცხადეს პროფკავშირებში.

შეგახსენებთ, ქსნის მინის ქარხნის 200-მდე თანამშრომელი 5 თებერვალს გაიფიცა. მათი მოთხოვნებია ხელფასის მატება 30 პროცენტით, პროფკავშირთან კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება, ადგილობრივი პირველადი პროფკავშირისთვის საოფისე ფართის გამოყოფა. (news.ge)

## რაც შეგაქვთ, ისევ ის რომ გამოგაქვთ, მერე სად მიგაქვთ, ბატონო ზურაბ?



აბაშიძე-კარასინის მორიგი შეხვედრა პრაღაში მარტის შუა რიცხვებში შედგება. რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის განცხადებით, მხარეები სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებსა და სატრანსპორტო კავშირებზე ისაუბრებენ. ასევე, საუბარი შეეხება საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთში ჯაშუშობის ბრალდებით, პატიმრობაში იმყოფებიან.

– ჩვენი თემები დაკავშირებული იქნება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან, სატრანსპორტო კავშირებთან, ჰუმანიტარული პრობლემები, მხედველობაში მაქვს ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც რუსეთში სასჯელს იხდიან ჯაშუშობის ბრალდებით და ვფიქრობ, ამ შეხვედრაზე ჩვენ უკვე მივიღებთ დადასტურებას იმის შესახებ, რომ რამდენიმე ჩვენი მოქალაქე დაუბრუნდება ოჯახებს, – განაცხადა აბაშიძემ. (news.ge)

## ნინი ნებიერიძეს თემურ უგულავა კლუბს ჩუქნის?



მას შემდეგ, რაც მოდელი ნინი ნებიერიძე მასზე ასაკით გაცილებით უფროს ქართველ მილიონერს, ქალების გულთამპყრობელ თემურ უგულავას მისთხოვდა, წყვილის შესახებ ჭორები არ წყდება. ნინი ამას თავადაც უწყობს ხელს, რადგან უგულავა, რომელიც მანამდე არსად ჩანდა, სწორედ ახალგაზრდა მეუღლემ გამოაჩინა და მასთან ერთად თამამი ფოტოების განთავსებასაც არ ერიდება სოციალურ ქსელში.

თბილისში არაფერი იმალება და ყველანაირი ინფორმაცია ვრცელდება. ნინის ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ უყვარს და მასთან დაკავშირებას ვერ ვახერხებთ გადასამოწმებლად, მაგრამ ხმები დადის, რომ თემურ უგულავა საყვარელ ქალს ძალიან მაგარ საჩუქარს უმზადებს. ჭორად ამბობენ, რომ მისივე კუთვნილი სასტუმრო „რუმსის" წინ მან შენობა იყიდა, სადაც ნინის კლუბსა და კომპლექსს გაუხსნის. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მომხიბვლელ მოდელს სახელი უკვე მოფიქრებული აქვს და კლუბ-კომპლექსს „ლოლიტას" დაარქმევს.

ჯერჯერობით უცნობია, როდის აპირებს წყვილი ახალი კლუბის გახსნას, თუმცა აშკარაა, რომ ეს ერთ-ერთი საინტერესო თბილისური ივენთი იქნება. (musicbox.ge)

## თამო ვაშალომიძეს თავს დაესხნენ — რას წერს სოციალურ ქსელში მოდელი?!



თამო ვაშალომიძემ სოციალურ ქსელში ვიდეო გამოაქვეყნა და თან ვრცელი პოსტი დაურთო, სადაც წერს, რომ ორი, მისთვის უცნობი პიროვნება კარზე უბრახუნებდა და სახლში შეშვებას ითხოვდა.

– დაახლოებით ერთი საათის წინ ბიჭი მომადგა სახლთან და მიბრახუნებს კარზე. როდესაც გავიხედე და სახეზე არ მეცნო, ვკითხე, ვინ იყო. 2 ბიჭი იყო, „პირველი არხიდან" ვართო და მოითხოვდნენ, კარები გამეღო. მე ვუთხარი, როდესაც ტელევიზია მოდის, ყოველთვის მაფრთხილებენ და მოვითხოვე, წასულიყვნენ! მაგრამ შეცვალეს და გაზეთიდან ვართო. პატრულს ვიძახებ და იდექით თქვენ ასე-თქო და იძახეთ, „თამო, კარები გაგვიღე". მით უმეტეს ჩემს ბინას კოდი აქვს, კიდევ ასეთი მცდელობა ვინმესგან ან ამ ტიპებისგან და სათანადო რეაგირება მოჰყვება! – დაწერა მოდელმა, თუმცა მოგვიანებით ვიდეო წაშალა. (musicbox.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ქვეყანაში დაშვებული უნდა იყოს თავისუფალი მიეცეთ საშუალება, გამოიყენონ ის ვალუტა,

## „არასწორია, როცა სახელმწიფო მოქალაქეებს აიძულებს, სრული დოლარიზაციაც რომ გამოიწვიოს ამან, ამაშიც არაფერი არ

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



„ნებისმიერი პოლიტიკური პარტია, რომელიც საუბრობს, რომ ლარს ძველ ნიშნულზე ჩამოიყვანს, იტყუება, ამის ფორმულა დღეს არ არსებობს!" — აცხადებს „ალიასთან" საუბარში ახალი პოლიტიკური ცენტრის — „გირჩის" დამფუძნებელი ზურა ჯაფარიძე და იმ გრძელვადიან გამოსავალზე საუბრობს, რომელსაც ქვეყანა კრიზისიდან გამოსასვლელად უნდა დაადგეს.

როგორ და რამდენ ხანში გავმდიდრდებით, რა ეშველება ლარს და გვეშველება თუ არა რაიმე ოდესმე საერთოდ, ამაზე თავად ზურა ჯაფარიძეს ვესაუბრეთ.

— ლარის კურსი რეკორდული ნიშნულიდან დაბლა არ იწევს, რაიმე რეალური გეგმა ან საშუალება არის ეროვნული ვალუტის გასამყარებლად? ისე, არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ინფლაცია დიდწილად ხელოვნურია, რადგან ხელისუფლებამ ბევრი ფული დაბეჭდა...

– ამაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ რეალურია საგარეო ფაქტორები, რომელზეც ხელისუფლებაც საუბრობს. კრიზისული სიტუაციაა რეგიონში, ჩვენს მთავარ საექსპორტო ქვეყნებში და ეს, ცხადია, ლარზეც აისახა. თუმცა მთავარი პრობლემა არის ის, რომ, რაც „ქართული ოცნება" მოვიდა ხელისუფლებაში, მას შემდეგ გვაქვს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა, ქვეყანაში არის სერიოზული არასტაბილურობის განცდა, არავინ არ იცის, როგორი იქნება ეკონომიკური თამაშის წესები, არათუ 4 და 10 წლის შემდეგ (თითქოს რომ დაიწყეს მსგავსი პროექტები), არამედ არავინ იცის, რა იქნება 6 თვეში ან ერთ წელში. ამან გააჩინა სერიოზული არასტაბილურობის განცდა, რამაც დაგვაკარგვინა სერიოზული მასშტაბით პოტენციური ინვესტორები. ეს არ ნიშნავს იმას, რომ, რომც გვქონოდა სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, ამ დარტყმას ვერ ვიგრძნობდით. რა თქმა უნდა, ეს არ აგვცდებოდა, თუმცა ვიქნებოდით გაცილებით უკეთესად, ვიდრე ვართ დღეს.

გამოსავალს რაც შეეხება, არ არსებობს ერთდღიანი და ორდღიანი გამოსავალი და ნებისმიერი პოლიტიკური პარტია, რომელიც საუბრობს, რომ ლარს გაასწორებს და ძველ ნიშნულზე ჩამოიყვანს, იტყუება! ამის ფორმულა დღეს არ არსებობს. დღეს ვერავინ ვერ ჩამოიყვანს ლარს 1,6-ზე ან 1,8-ზე. ხელოვნურად ეს რომც გააკეთო, ეკონომიურ კატასტროფას გამოიწვევს, გამოსავალი არის გრძელვადიანი, რომ ქვეყანას ჰქონდეს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, ჰქონდეს სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რაც ნელ-ნელა გაამყარებს ლარს, თუ ლარს შევინარჩუნებთ საერთოდ.

— „თუ ლარს შევინარჩუნებთ" რას ნიშნავს?

— ყველა სხვა პარტიისგან განსხვავებით, ჩვენ ლართან მიმართებაში გვაქვს განსხვავებული მიდგომა. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში დაშვებული უნდა იყოს თავისუფალი სავალუტო რეჟიმი, ანუ მოქალაქეებს უნდა მიეცეთ საშუალება, გამოიყენონ ის ვალუტა, რომელსაც უფრო ენდობიან. თუ ახლა ვნახავთ სტატისტიკას, დავინახავთ, რომ საქართველოში მოქალაქეები უფრო დოლარს ენდობიან. ანაბრებისა და სესხის უდიდესი ნაწილი, ისევე როგორც მსხვილი ტრანზაქციული ოპერაციები, მანქანის შეძენა იქნება თუ ბინის შეძენა, ხდება დოლარში. ამიტომ არასწორია, როცა სახელმწიფო მოქალაქეებს აიძულებს, ყოველდღიურ მიმოქცევაში გინდა თუ არა ლარში გადაიხადონ. სრული დოლარიზაციაც რომ გამოიწვიოს ამან, ამაშიც არაფერი არ იქნება პრობლემა. პირიქით, მოქალაქეებისთვის უფრო კარგი იქნება. ეს სწორია იმ თვალსაზრისითაც, რომ ჩვენ გვჭირდება ბევრი უცხოური ინვესტიცია და ინვესტორებს უნდა მოვუხსნათ რისკები, რომელიც დაკავშირებულია ვალუტასთან. დღეს რომ ვილაცამ ინვესტიცია გააკეთოს ლარში, საბოლოოდ რომ დაითვლის, ან მოიგებს, ან წააგებს, კაცმა არ იცის. თავისუფალი მიმოქცევით კი ტრანზაქციული ხარჯებიც მოეხსნება და უფრო ენდობა ასეთ გარემოს, ვიდრე არაპროგნოზირებად ვალუტას.

— თქვენი ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაციაზე, მთავარი აქცენტი სწორედ მზარდ ეკონომიკაზე და ქვეყნის სწრაფად გამდიდრებაზე გააკეთეთ, წინასაარჩევნოდ ასე საუბრობენ ხოლმე, მაგრამ რეალურად ეს ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოახერხა და უტოპიურადაც ჩანს...

– რამდენიმე კომპონენტისგან შედგება ის, რაზეც ჩვენი პოლიტიკური გუნდი საუბრობს.

უპირველესად, სახელმწიფო ხარჯები არის მნიშვნელოვნად შესამცირებელი, სახელმწიფო ბიუროკრატია, რომელიც გაბერილია იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ" შეინარჩუნოს და გამოიყენოს ეს ბიუროკრატია, როგორც ადმინისტრაციული რესურსი არჩევნებზე. იგივე მეთოდებით, რასაც მანამდე „ნაციონალური მოძრაობა" აკეთებდა და ნებისმიერი პარტია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში ყოფილა.

ახლა მთავრობის ხარჯები მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში არის 35%. ჩვენ გვინდა ეს დავიყვანოთ სადღაც 20%-მდე და შემდეგ 15%-ზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბევრი ფული დარჩება ეკონომიკაში. ეს არაა ჩვენი მოგონილი ფორმულა, მსგავსი გამოცდილება აქვს ბევრ ქვეყანას. თუ ნახავთ, რამდენიმე ევროპული ქვეყანაა, აზიურიც ასევე, რომელთაც მე-20 საუკუნის დროის მოკლე პერიოდში შეძლეს, სწრაფად გამდიდრებულიყვნენ და წინ წასულიყვნენ. ჩვენ გვჭირდება მათი გამოცდილების გაზიარება, თუ გვინდა, რომ სწრაფად გავიზარდოთ.

ჩვენი მიზანია, ხარჯების მაქსიმალურად შეკვეცა. ასევე, რამდენიმე სახის გადასახადის გაუქმება, ესენია: მოგების, საშემოსავლო, ქონების გადასახადი, იმპორტის გადასახადი.

— ამაზე ოპონენტებმა უკვე გიპასუხეს — თუკი ამდენი სახის გადასახადი მოიხსნება, ბიუჯეტი სამ მილიარდამდე ლარს დაკარგავს და რით მოხდება ამ შემთხვევაში დეფიციტის შევსება?

– ეფექტური და სწრაფი ეკონომიკური წინსვლა სხვაგვარად შეუძლებელია. ჩვენ გვსურს, საქართველო გახდეს ნომერ პირველი ქვეყანა, სადაც იქნება ყველაზე დაბალი გადასახადი, იქნება მხოლოდ ერთი სახის – დამატებითი ღირებულების გადასახადი და ქვეყანა, სადაც ყველაზე ადვილი იქნება ბიზნესის კეთება საგადასახადო დავების მხრივ. თუ მოგების გადასახადი გაუქმდება, საგადასახადო დავები სახელმწიფოსთან დავა ნულამდე. ჯამში, ამ გადასახადების გაუქმებით ბიუჯეტს დააკლდება 3 მილიარდ 300 მილიონი ლარი. ჩვენ არ ვთვლით, რომ სხვა წყაროები უნდა ვეძებოთ ბიუჯეტის შესრულების, ან სესხი ავიღოთ, ისეც ბევრი გვაქვს გადასახდელი. ბიუჯეტი უნდა შემცირდეს ამ რაოდენობით. ამის გაკეთება მარტივად შეიძლება. ვინაიდან ჩვენი ბიუჯეტიდან ძალიან ბევრი ფული იფლანგება ათას უაზრობაზე, მათ შორის, პირველი რაც არის, ესაა ე.წ. სოციალური ხარჯები. თუ ნახავთ წლევანდელ ბიუჯეტს, ჯამში, 4 მილიარდია სოციალური ხარჯები



11 მილიარდიდან. აქედან 2,5 მილიარდზე მეტი მიდის შეძლებულ და გაჭირვებულ ოჯახებზე. ეს ფული უნდა შეიკვეცოს და წავიდეს მხოლოდ გაჭირვებულ ოჯახებზე. დანარჩენი თანხის შეკვეცა მოხდება სამინისტროებიდან, დღეს გვაქვს 18 სამინისტრო და უნდა დარჩეს 8. რადგან ამდენი სამინისტრო ასეთ პატარა ქვეყანას არაფერში არ სჭირდება. მაგალითად რომ გითხრათ: არაფერში არ გვჭირდება ცალკე ევროინტეგრაციისა და დიასპორის სამინისტრო, ესენი ორივე შეიძლება შეუერთდეს საგარეო საქმეთა სამინისტროს. ასევე, არაფერში გვჭირდება ცალკე ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის სამინისტროები, ესენი ყველა შეიძლება შეუერთდეს ეკონომიკის სამინისტროს და ა.შ. აქაც შეიკვეცება ძალიან ბევრი ხარჯი.

ასევე, არის ბევრი სახელმწიფო პროგრამა, რომელზეც ბიუჯეტი ხარჯავს ფულს და მოსახლეობას ატყუებს, თითქოს ამით ეკონომიკას ეხმარება. მაგალითად, პროექტები, როგორიცაა, „აწარმოე საქართველოში"... განავითარე ის, განავითარე ეს, ეს არის ზღაპრები. ამით ხეირობენ კონკრეტული ბიზნესები, რომლებიც დაახლოებულნი არიან მთავრობასთან, მაგრამ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა აქედან ვერანაირ სარგებელს ვერ იღებს. ბიზნესის კეთება სახელმწიფოს საქმე არ არის, ეს არის ფულის ფლანგვის წყარო.

ეს არის ძირითადი მიმართულებები, საიდანაც ვფიქრობთ ფულის დაზოგვას.

— ადმინისტრაციული რესურსის შემცირება უმუშევართა ახალ ტალღას გააჩენს.




ზურა ჯაფარიძე: „ვინც ამბობს, რომ ლარს ძველ ნიშნულზე ჩამოიყვანს, იტყუება! ამის ფორმულა დღეს არ არსებობს! დღეს ვერავინ ვერ ჩამოიყვანს ლარს 1,6-ზე ან 1,8-ზე"

„გასაუქმებელია, გუბერნატორები არაფერს არ აკეთებენ, სხედან ფეოდალებივით და მართავენ რაღაც რეგიონებს, რისი საჭიროებაც არ არის, ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, თავისუფლად გვეყოფა, რომ გვყავდეს ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა"

— ცხადია, საჯარო სექტორში დასაქმებულებს შეეხებათ რეფორმა, 25-30 ათასი ადამიანის განთავისუფლება იქნება საჭირო, მაგრამ ეს ადამიანები გადაინაცვლებენ კერძო სექტორში, ეკონომიკის განვითარებისთვის დაზოგილი ფული ამის შესაძლებლობას მოგვცემს. 3 მილიარდ 300 მილიონის ეკონომიკაში დატოვება ნიშნავს დაახლოებით 50-60 ათას სამუშაო ადგილს, ეგრევე შექმნილს.

**— როგორც ვიცი, გუბერნიების გაუქმების ინიციატივითაც გამოდიხართ?**

– კი, ნამდვილად გასაუქმებელია, გუბერნატორები

არაფერს აკეთებენ, სხედან ფეოდალებივით და მართავენ რაღაც რეგიონებს, რისი საჭიროებაც არ არის, ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, თავისუფლად გვეყოფა, რომ გვყავდეს ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა. კიდევ რაღაც შუალედური რგოლი, გუბერნიები გვქონდეს, ეს ზედმეტი ხარჯია და არაფერში არ გვჭირდება, მოსახლეობამ ისედაც იცის ადგილზე, რომ ისინი არაფერს არ აკეთებენ.

**— ეს რომ ყველაფერი განახორციელოთ, ჯერ არჩევნები უნდა მოიგოთ, ახალი პოლიტიკური ძალა ხართ, მით უმეტეს „ნაციონალური მოძრაობის“ ნატეხი, რომელიც მოსახლეობის დიდ ნაწილს, რბილად რომ ვთქვათ, გულზე არ ეხატება... შესაბამისად, ალბათ, რეალურად აფასებთ მოვლენებს, ატარებთ გამოკითხვას, მართლა ფიქრობთ, რომ შანსი გაქვთ? მით უფრო, რომ ოპოზიციური პარტიები უმეტესწილად კოალიციურ მმართველობას პროგნოზირებენ... ასეთ შემთხვევაში რა ბედი ელოდება თქვენს პროგრამას?**

– რატომაც არ ვფიქრობთ? შანსი ყველას აქვს. ისედაც, ჩვენი ხედვები რაც არის, თითოეულ მათგანზე ვამზადებთ კანონპროექტების პაკეტს, რაღაც ნაწილი უკვე შეტანილი გვაქვს პარლამენტში, თუმცა მაინცდამაინც დიდი იმედი არ გვაქვს, რომ გავიტანთ ამ რეალობაში. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ამაზე იყოს მსჯელობა და საზოგადოებას მიეცეს საშუალება, მოისმინოს ჩვენი და ოპონენტების არგუმენტები, რომელიც ძირითადად საერთოდ არ არსებობს ხოლმე.

რაც შეეხება ჩვენს გეგმებს, ჩვენი გეგმა არის, რომ, რაც შეიძლება დიდი ფრაქციით შევიდეთ პარლამენტში 2016 წელს. ვფიქრობთ, ამის კარგი მოცემულობა არსებობს, მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს, ერთი მხრივ, არ მოსწონს არსებული ხელისუფლება, არც ძველის დაბრუნება სურს. ის, რომ ჩვენ „ნაციონალებთან“ გაგვაიგივებენ, არაა მართალი, რამდენიმე კაცი წამოვედით სულ, აქედან მხოლოდ მე ვამბობ, რომ ვრჩები პოლიტიკაში, დანარჩენები არ აპირებენ. „გირჩში“ კი უკვე რამდენიმე ათასი ადამიანია გაწევრიანებული, ესენი არიან სრულიად ახალი სახეები, არსითაც სრულიად ახალი ძალაა, ჩვენ გვინდა შეიცვალოს წარმოდგენა ქართულ პოლიტიკაზე და მთავრობაზეც მათ შორის. მაგალითად, ერთ-ერთი იდეა, რომელიც გვაქვს, არის ის, რომ, ზოგადად, მმართველობის სისტემა შევცვალოთ და გავხადოთ, ერთი მხრივ, ონლაინ და მეორე მხრივ, სრულიად გამჭვირვალე. მაგალითად, მინისტრების, მათი მოადგილეების, დეპარტამენტის უფროსებისა და თანამდებობის პირების კაბინეტები ჩართული იყოს ონლაინრეჟიმში და მოსახლეობას ჰქონდეს საშუალება, ნახოს, რას მუშაობს ეს ხალხი და რას აკეთებს. გვინდა, მთავრობა გაიხსნას ბოლომდე, რომ ხალხმა დაინახოს, ვისაც ხელფასს უხდის, აკეთებს თუ არა რამეს. ძალიან ცოტა რამე უნდა იყოს, რასაც მთავრობა საიდუმლოდ აკეთებს, სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოსა და პირადი მონაცემების გარდა, ყველაფერი ონლაინ უნდა იყოს. აქამდე მსგავსი რამ არავის გაუკეთებია,

არის მცდელობები სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ გვინდა, ეს სივრცე სრულიად გავხსნათ. რევოლუცია მოვახდინოთ ამ თვალსაზრისით. თუ იქნება კოალიციური მთავრობა, ვეცდებით, მაქსიმალურად გავიტანოთ ჩვენი ხედვები და რეფორმები. გეთანხმებით იმაში, რომ საქართველოს მართლაც პირველად აქვს შანსი, ჰყავდეს კოალიციური მთავრობა, რაც საინტერესოცაა და გამოწვევაც, მოგვიწევს კონსენსუსის მიღწევის სწავლა, რაც არის დემოკრატია... ჩვენ არ გვჯერა იმის, რომ უნდა ავირჩიოთ გენიოსების მთავრობა და ჭკვიან მინისტრს თუ ავირჩევთ, ის განათლების სისტემას ისე შეცვლის, რომ ჩვენი შვილები უფრო განათლებულები გამოვლენ. ჩვენ გვჯერა იმის, რომ ადამიანები, მოქალაქეები უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ნებისმიერი მთავრობა. ამიტომ მეტი ძალაუფლება და მეტი ფულიც უნდა ჰქონდეთ მოქალაქეებს ჯიბეში. ჩვენ ან სწრაფად განვავითარებთ ეკონომიკას და სწრაფად გავხდებით მდიდარი ქვეყანა, ან დავრჩებით ჭაობში, ერთი ადგილის ტკეპნაში, როგორც ახლა ვართ.

**— თქვენს პროგრამაში რევოლუციურად მოჩანს საჯარო სკოლების გაუქმების იდეა, დღეს არსებული კერძო სკოლები ჩვეულებრივი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის ხელმისაწვდომი არ არის, გამოდის, უფასო საშუალო განათლების უფლება ყველას არ უნდა ჰქონდეს?**

– განათლების სერიოზული რეფორმა არ მომხდარა საქართველოში, რაღაც რეფორმა იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, მაგრამ ეს იყო კორუფციის აღმოფხვრაზე ორიენტირებული და არა ხარისხის ზრდაზე. საშუალო

**განათლებაზე წელს ბიუჯეტი ხარჯავს დაახლოებით ნახევარ მილიარდ ლარს, ვინმეს აქვს მოლოდინი, რომ წელს უკეთ განათლებას მიიღებენ მოსწავლეები, ვიდრე შარშან მიიღეს? არავის!.. ჩვენ დღემდე გვაქვს საბჭოთა სისტემა, რომელიც ფულს ჭამს და შედეგს არ იძლევა.**

სახელმწიფომ განათლებაში ფული უნდა დახარჯოს, მაგრამ უნდა უმჯობესდებოდეს ხარისხი, ამისთვის კი ერთადერთი გზა არსებობს სამყაროში – ჯანსაღი კონკურენცია. ჩვენ ფული უნდა დავხარჯოთ, მაგრამ სკოლებს მივცეთ საშუალება, სცადონ სხვადასხვა გზები განათლების. სამყარო წინ წავიდა ამ კუთხით, ადამიანები არიან ინდივიდუალურები და არ შეიძლება ყველასთან ერთნაირი მიდგომა, კლასში 40 ბავშვს რომ ერთნაირად ექცევი, ეს დაუშვებელია. თუ კერძო სექტორი არ ცდის ახალ მიდგომებს, დავრჩებით სულ ილუზიაში, რომ, თუ პარლამენტში რაღაც სულელური კანონით დაარეგულირებენ სისტემას, რამე გვეშველება და სწავლის ხარისხი მოიმატებს.

**ჩვენი ხედვა კი ასეთია,** კერძო სკოლებს თუ მოვუძებნით რეგულაციებს, სახელმწიფო ვაუჩერული სისტემით გადაუხდის სკოლას. ახლა თუ არის ბავშვზე წელიწადში 400-450 ლარი, ჩვენ ამ დაფინანსებას ვზრდით 1200 ლარით. იარსებებენ უფრო ძვირიანი სკოლებიც და იაფიანებიც, იქნება სხვაობა ხარისხში და უკვე მშობლის ნებაა, დაუმატებს ფულს სწავლაში თუ დაუკლებს და ამ თანხას სხვა რამეში გამოიყენებს. სკოლებს შორის გაიზრდება კონკურენციაც და ხარისხიც. მასწავლებლის ხელფასი კი კონკურენციის ნიადაგზე გაუტოლდება ფინანსურ სექტორში დასაქმებული ადამიანების ხელფასს, რაც მეტი ახალგაზრდის ინტერესს გამოიწვევს. განათლებამიღებული ახალგაზრდები ახალი ხედვებით შევლენ სკოლებში. ასევე, ჩვენს ბიუჯეტში გათვალისწინებულია რამდენიმეწლიანი კომპენსაციებიც, რომელიც შესაძლოა, საჭირო გახდეს რეფორმის შედეგად გაშვებული მასწავლებლებისთვის...

# სავალუტო რეჟიმი, ანუ მოქალაქეებს უნდა რომელსაც უფრო ენდობიან“

## ყოველდღიურ მიმოქცევაში გინდა თუ არა ლარში გადაიხადონ. იქნება პრობლემა. პირიქით, მოქალაქეებისთვის უფრო კარგი იქნება“

**„დღეს გვაქვს 19 სამინისტრო და უნდა დარჩეს 8. რადგან ამდენი სამინისტრო ასეთ პატარა ქვეყანას არაფერში არ სჭირდება. მაგალითად რომ გითხრათ: არაფერში არ გვჭირდება ცალკე ევროინტეგრაციისა და დიასპორის სამინისტრო, ესენი ორივე შეიძლება შეუერთდეს საგარეო საქმეთა სამინისტროს. ასევე, არაფერში გვჭირდება ცალკე ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის სამინისტროები, ესენი ყველა შეიძლება შეუერთდეს ეკონომიკის სამინისტროს და ა.შ. აქაც შეიკვეცება ძალიან ბევრი ხარჯი“**




**„საჯარო სექტორში დასაქმებულებს შეეხებათ რეფორმა, 25-30 ათასი ადამიანის განთავისუფლება იქნება საჭირო“**

**„ჩვენი მიზანია, ხარჯების მაქსიმალურად შეკვეცა. ასევე, რამდენიმე სახის გადასახადის გაუქმება, ესენია: მოგების, საშემოსავლო, ქონების გადასახადი, იმპორტის გადასახადი... ეფექტური და სწრაფი ეკონომიკური წინსვლა სხვაგვარად შეუძლებელია. ჩვენ გვსურს, საქართველო გახდეს ნომერ პირველი ქვეყანა, სადაც იქნება ყველაზე დაბალი გადასახადი, იქნება მხოლოდ ერთი სახის — დამატებითი ღირებულების გადასახადი და ქვეყანა, სადაც ყველაზე ადვილი იქნება ბიზნესის კეთება“**




ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „წარმოგიდგენიათ?.. სულ რაღაც 300 ლარი რომ გადაეხადა ქრისტეს, ჯვარცმას აიცდენდა!“





მსახიობი მიშა გომიაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსის, რუსუდან გოცირიძის განცხადებას ეხმაურება, რომელიც მან „პოსტსკრიპტუმთან“ საუბარში გააკეთა.

– ქალბატონი რუსუდან გოცირიძე – საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი... ვაი!..

ეს ის შემთხვევაა, როდესაც არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა... რა კომენტარი გავუკეთო ასეთ ბრძნულ ანალიზს ამ ქალბატონისა! წარმოგიდგენიათ?.. სულ რაღაც, 300 ლარი რომ გადაეხადა ქრისტეს, ჯვარცმას აიცდენდა!... ვაი... ვაი და ვაი....

ვახ!.. სად არის ახლა სულმნათი ბატონი ავლიპ ზურაბაშვილი??? რას გაიხარებდა? – წერს მიშა გომიაშვილი.

რუსუდან გოცირიძემ „რუსთავი 2“-თან სოსო ჯაჭვლიანის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შესახებ ისაუბრა, რომელიც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის სახდელის დაწესებას ითვალისწინებს.

– იესომ სერიოზული შეურაცხყოფა მიაყენა ებრაელი ადამიანების რელიგიურ გრძნობებს და ძალიან მიზანმიმართულად, ისე კია არა შემთხვევით. ისეთ ადამიანებს კურნავდა, რომლებიც ათეული წლების მანძილზე დაავადებულები იყვნენ, რომელთა განკურნებაც შეეძლო პარასკევსაც და შაბათის შემდეგ დღესაც, მაგრამ არა, ადგებოდა და შაბათ დღეს კურნავდა. ძალიან ბევრ პროვოკაციულ რამეს აკეთებდა, ქალებს ესაუბრებოდა, რაც მისთვის საშინლად აკრძალული იყო... შორს წაგვიყვანს ამ სიის ჩამოთვლა. 300-ლარიანი ჯარიმების საპირწონე ქმედებებით სავსეა სახარება, რასაც იესო აკეთებდა და ფაქტობრივად ამის გამოც ეცვა ჯვარს. ამიტომ მე მგონია, რომ კანონი ვერ გაიგებს, რა დატვირთვა აქვს ამა თუ იმ თუნდაც ძალიან პროვოკაციულ ნაბიჯს. აი, ეგ არის თავისუფლად სუნთქვა, როცა არავინ არ გიწესებს და რიტმს არ გაძლევს, ასე უნდა ისუნთქო, რამდენჯერ უნდა ისუნთქო, ეს არის სუნთქვა, – აღნიშნა რუსუდან გოცირიძემ. (daijesti.pia.ge)



სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი: „გასაგებია, რომ გაჩეჩილაძეს „ტორმუზი“ არა აქვს ენაზე და ამაზე უარესები უთქვამს, ვიდრე ის, რომ ჩემი ძმაკაცია პრემიერი და ყოველ მეორე დღეს ვხვდებიო, მაგრამ პრემიერი ნუთუ ვერ ხვდება, რომ მისი ერთი ფრაზით, რაც კი ერთი თვის განმავლობაში უკეთებია, იგივე ოპოზიციასთან შეხვედრა, არასამთავრობოებთან შეხვედრა თუ სხვა რამ, ყველაფერს ხაზი გადაუსვა?“



მამა ელიზბარი: „ისეთი რამ გავიგე, თმები ყალყზე დამიდგა, თურმე სკოლაში ბავშვებს უნდა ასწავლონ, როგორ უნდა გამოიყენონ პრეზერვატივი სწორად, ბანანზე ჩვენებით, ამ ყველაფერზე ხმა აქვთ გაკმენდილი“.



კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე: „ნატოსა და მაპ-ს ვერ მოესწრება ვერც ერთი ჩვენგანი. ამას რაც უფრო მალე ვეტყვით საზოგადოებას, მით უფრო გულწრფელები ვიქნებით და მით უფრო პატიოსანი დამოკიდებულება იქნება ჩვენი ამომრჩევლების მიმართ“.



ზვიად ტომარაძე, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI-ის დირექტორი: — რამდენიმე დღეში სახელითა და გვარით დავინახავთ, ვინ რას წარმოადგენს პარლამენტში!!! ვინ მოაწერს, ან არ მოაწერს ხელს ჩემს მომზადებულ კონსტიტუციურ ცვლილებას (ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი კავშირი), რომლის ხელმოწერაც ორგანიზაცია „ეროვნულებმა“ პარლამენტში დაიწყეს!!! ძალიან საინტერესოა, რომელი პარლამენტარი იტყვის უარს და ამით ღიად დაუჭერს მხარს ერთნაირსქესიანთა ქორწინებას!

# ვალერი ხაბურძანია: „ჯეიმს

## „მაშინ ამ მუხლით შეიძლება დაიჭირონ

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



ამ დღეებში ამერიკის დაზვერვის სამსახურის შეფმა, ჯეიმს კლეპერმა ჩვენს ხელისუფლებას ბნედა დასცა. არა, ამ ადამიანს ისეთი არაფერი უთქვამს, რასაც „ნაციონალები“ კარგახანია არ ლაპარაკობენ, მაგრამ, როგორც ჩანს, კლეპერი იმდენად წონიანი ფიგურაა, მისი შენიშვნები ყველა დონეზე შიშით მიიღეს. ერთნი ეგრევე გატყდნენ, ამერიკის დაზვერვის ხელმძღვანელი მართალიაო, მეორენი თავს იკატუნებენ – კაცმა გაგვაფრთხილაო, მესამენი მლიქვნელურად კუდებს აქიცინებენ – გამოგვაფხიზლა, ახლა მხარში ამოგვიდგება და პრევენციულ ზომებს გავატარებთო. რას ამბობს მისტერ კლეპერი, რამაც ასერიგად დააშინა ჩვენი ჩინოვნიკობა? მისი შეფასებით, საქართველოში თურმე ისე იზრდება რუსული პროპაგანდა, შესაძლოა, თბილისმა შეწყვიტოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მცდელობა. კიდევ რას ამბობს ამერიკის კონგრესში მიბრძანებული კლეპერი? თურმე საქართველო რეფორმების თვალსაზრისით წინ მიიწევს, პოლიტიკური არასტაბილურობა იზრდება:

„ეკონომიკური გამოწვევები მთავრობისთვის, სავარაუდოდ, მთავარი პოლიტიკური სისუსტე იქნება. საქართველოს ელიტასა და საზოგადოებაში იმედგაცრუება, დასავლეთთან ინტეგრაციის შენელებისა და ეფექტური რუსული პროპაგანდის ზრდასთან ერთად, ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ თბილისმა შესაძლოა, შეანელოს ან შეწყვიტოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მცდელობა. რუსეთთან დაძაბულობა კვლავ მაღალი იქნება და, ჩვენი შეფასებით, მოსკოვი უფრო მეტად გააძლიერებს ზეწოლას თბილისზე, რათა უარი თქვას ევროკავშირსა და ნატოსთან დაახლოებაზე“.

**ირაკლი სესიაშვილის თქმით, ჩვენი პარტნიორები ისე არიან შეწუხებულნი, რომ ამერიკის 2017 წლის ბიუჯეტში რუსეთის აგრესიასთან ბრძოლისთვის სხვადასხვა ქვეყნებისთვის გამოყოფილი იქნება, საერთო ჯამში, 3,4 მილიარდი აშშ დოლარი, მათ შორის საქართველოსთვის. ვაშა! აი, სად არის დამარხული ძაღლის თავი, ჩვენ აუცილებლად გვჭირდება 3,4 მილიარდი დოლარიდან 1 მილიარდი მაინც, თუნდაც ნახევარი მილიარდი იყოს, რათა საქართველოში გავაჩაღოთ ანტირუსული პროპაგანდა და კიდევ ერთხელ, თუკი საჭირო იქნება, შევაკვდეთ რუსეთის „ჟანგიან“ ტანკებს. რაც მთავარია, ჩვენ ვერ გავიგებთ, რა „ატკატები“ გაკეთდება თანხების გადმორიცხვის პროცესში და რა მიმართულებით, ანუ რომელი არასამთავრობოები აითვისებენ მილიონებს რუსეთის ლანძღვაში. ამ თემაზე უფრო დეტალურად „ალიას“ საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი, ვალერი ხაბურძანია ესაუბრება:**





„მაჩვენონ ერთი წარმატებული ამერიკული პროექტი ჩვენს ქვეყანაში. რაში ხარჯავენ ისინი ფულს? სიტყვათფუჭობაში, ლაყბობაში, ჭორიკნობაში, ქართველი საზოგადოების გაბოროტებაში... ამას ჰქვია ლობიზმი, ასევე ჰქვია სხვა სახელები და მშვენივრად აკეთებენ ფულს“

**— ბატონო ვალერი, რა ხდება, რა ისეთი პროპაგანდა აქვს საქართველოში რუსეთს, რომ მის საწინააღმდეგოდ ამერიკელები ამდენ ფულს ხარჯავენ?**

– საერთოდ, რუსეთის პროპაგანდა არის ის, რომ საერთოდ არ აქვს პროპაგანდა. საქართველოში ანტიდასავლურ პროპაგანდას ეწევა თავად დასავლეთი თავისი პოლიტიკით. რა თანხასაც სესიაშვილი ასახელებს, ეს ძალიან დიდი ფულია, სამზე რომ გავყოთ, მინიმუმ ერთი მილიარდი მაინც შეგვხვდება.

**— რატომ უნდა გავყოთ მხოლოდ სამზე?**

– ამერიკელებს აწუხებთ უკრაინა, საქართველო და მოლდოვა. სხვა რესპუბლიკებში და თუნდაც აზერბაიჯანში ან სომხეთში ამ ფულს მაგათ არავინ დაახარჯვინებს. მე საქართველოში რუსული პროპაგანდის ოდნავ ჩანასახსაც კი ვერ ვხედავ, რაც ხდება, ეს არის, უბრალოდ, საზოგადოების რეაქცია დასავლეთის ჩავარდნილ პოლიტიკაზე. აგერ, გამოდის აპატურაი და კვარტალში ერთხელ ბოდიალობს რაღაცას, ამ ადამიანს ნებისმიერი თავმოყვარე ერი ნამდვილად გალახავდა. ძალადობის მომხრე არ ვარ, მაგრამ აპატურაი საცემია! ამერიკა ისეთივე ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული სახელმწიფოა, როგორც სხვა დიდი სახელმწიფოები, ეს მოხსენება კეთდება იმისთვის, რომ თავიანთი წარუმატებლობა სხვას გადააბრალონ, მეორე – მათ ახლა უნდა გამოძებნონ მტრის ხატი და თავი იმართლონ: აი, იცით, რუსები გვიშლიან ხელს, თურმე ე.წ. „რბილი ძალა“ მოდის და ასე შემდეგ. მათ ხალხი დარაზმული ჰყავთ საქართველოში ვითომლიბერალებისა და დემოკრატების სახით, საკმარისია, რაღაც თქვა, ეგრევე მოგდგებიან და ჩაგაქვავებენ, რომ შენ ხარ პუტინის მონა, პუტინის ჩექმების ამლოკავი და ქვეყნის მტერი. მე არასოდეს მითქვამს, რომ ისინი არიან ქვეყნის მტრები და ამერიკელების ჩექმების მლოკავები, ვისაუბროთ, ვილაპარაკოთ, მე თუ მტერი ვარ, რატომ ვარ? შენ თუ მოყვარე ხარ, რა გააკეთე? რა უნდა ამერიკას, ჩვენი მოკავშირეობის შედეგი სად ჩანს? ამ 3 მილიარდ-ნახევრიდან საქართველოს რა თანხასაც გამოუყოფენ, ის ფული რომ ეკონომიკაში ჩაიდოს, მე ტაშს დავუკრავ. მაჩვენონ ერთი წარმატებული ამერიკული პროექტი ჩვენს ქვეყანაში. რაში ხარჯავენ ისინი ფულს? სიტყვათფუჭობაში, ლაყბობაში, ჭორიკნობაში, ქართველი საზოგადოების გაბოროტებაში. ახლა ჩვენი იურისტები ამერიკაში ჩავლენ, ჩვენებური გაგებით „ატკატებს“ შესთავაზებენ, ახლა ნურავინ ნუ დამიწყებს ლაპარაკს, რომ იქ „ატკატები“ არ არსებობს, ამას ჰქვია ლობიზმი, ასევე ჰქვია სხვა სახელები და მშვენივრად აკეთებენ ფულს. თუ ნახევარი მილიარდი მოგვცეს, აქედან 100 მილიონი „ატკატებში“ წავა, დანარჩენი კი დაიხარჯება საქართველოში. დაახლოებით 25 მილიონი წავა „რუსთავი 2“-ში, ამდენი ჯდე

გაგრძელება
ოცდამეხუთე გვ.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ქედი ევროპაში
2. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
3. ამობურცული ფორმის ქანდაკება
4. მსახიობი ... ისტვუდი
5. მსახიობი ჯულია ...
6. ... აბრაამის ბატკანი
7. ცეკვა მულენ-რუჟში
8. მსახიობი ... ნოლტი
9. ჰაერნაოსნობა
10. სპორტის სახეობა
11. პოეტი ... მირცხულავა
12. უკრაინული ავტომობილი
13. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
14. შესაწირავი საქონელი
15. ფეხბურთელი შოთა ...
16. კაქტუსის სახეობა
17. ტენორი ლუჩანო ...
18. სიმსივნის ფორმა
19. მონღოლი დიდებული
20. რეპუტაცია
21. მძიმე მრეწველობის განვითარება
22. ავსტრალიის მკვიდრი მოსახლე
23. დაბა დუშეთის რაიონში
24. დედამიწის გუმბათი
25. ალპური ყვავილი
26. პარაზიტი ყვავილი
27. ანწლი
28. ზურიკელას მეგობარი ბიჭი
29. გიგანტური დუმფარა
30. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
31. მდინარე რუსეთში
32. „ნატვრის ხე“ დაუშვილი
33. ბუდისტი მღვდელი
34. ვერდის ოპერა
35. სლავური ანბანი
36. უფრთო ფრინველი
37. ფოსფორის ცივი ნათება
38. გერმანული ავტომობილი
39. მსახ. ... გოძიაშვილი
40. ინფექციური დაავადება
41. მარილიანის გემო
42. დიუმა. „დედოფალი ...“
43. დედამიწის ზედაპირის უსწორ-მასწორობა
44. რუსეთის ისტორიიდან: ბორის ნიკოლოზის ძე ...
45. რეჟისორი ფრენსის ფორდ ...
46. ტბა ფოთთან
47. არგენტინული ჩაი
48. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
49. მისი დედაქალაქია ბერლინი
50. მსახიობი ჯენიფერ ჯეისონ ...
51. რეჟისორი ალფონსო ...
52. დადებითი ელექტროდი
53. მისი დედაქალაქია რეიკიავიკი
54. სოფელი რაჭაში
55. თრითინა
56. მწერი
57. მკვდარი ცხოველის სხეული
58. ხერხემლის გაღუნვა წინისკენ
59. დიუმა. „გრაფი მონტე-კრისტო“ ედმონ დანტესის გემი
60. გერმანული ავტომობილი
61. მსახიობი ... ბუაძე
62. ... ძედუნი
63. მსახიობი ჯეიმს ...
64. სატელეფონო სიტყვა
65. უბედურების მაუწყებელი სიგნალი
66. გამომგონებელი ნიკოლა ...
67. ... შენი და ... ჩემი
68. ნუშის ლიქიორი
69. პოეტი ... ახმადულინა
70. მდინარე საფრანგეთში
71. საკურსო გამოცდები
72. ჭიდაობას რა ...
73. მსახიობი ... დეპი
74. „კაცი რომელიც იცინის“ პერსონაჟი
75. კინომოთხრობა
76. მცენარე. ისხამს ყურძენს
77. ბარდი ... ოკუჯავა
78. ბისმარკის თანამდებობა
79. ძვ. სამგზავრო ეტლი
80. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
81. ფაიფურის თეთრი თიხა
82. მსახიობი ბრედ ...
83. მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება
84. გამომგონებელი ტომას ალვა ...
85. ლერწმის არაყი
86. იაპონური თეატრი
87. სისხლძარღვი
88. საღეჭი რეზინი
89. ილია ჭავჭავაძის ლექსი
90. უძველესი კოლხეთი
91. არქიპელაგი გიგანტ. კუებით
92. მას ჰქონდა ჯადოსნური ლამპარი
93. „დათა თუთაშხია“ ... სარჩიმელია
94. პროვინცია კანადაში
95. სტალინის დედა
96. სამკურნალო დაწესებულება
97. პროვინცია ესპანეთში
98. სანაყი
99. მსახიობი ... ფერტი
100. სილამაზის ქალღმერთი
101. ... პუგაჩოვა
102. მსახიობი ... დურბინი
103. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების კვლევის მეთოდი
104. მასობრივი გადარბენა
105. გიტარის მავთული
106. ბრაზილიელი ფეხბურთელი
107. წყლის საღებავები
108. შტატი აშშ-ში
109. ... მეფობენ და არა მეფენი
110. სინთეზური ბოჭკო
111. მწერალი ... ლომოური
112. ჩანთოსანი დათვი
113. მსახიობი ... ვლადი
114. ველური მხალი
115. მომღერალი ... ჯაგერი
116. რომაელი იმპერატორი
117. სიმინდის ყვავილედი
118. აზერბაიჯანის ფულის ერთეული
119. ქუჩის განათების ბოძი
120. ტყის სული წვეტიანი ყურებით
121. ყველაზე რბილი მინერალი
122. ... ფიტცჯერალდი
123. მწერალი ... ტოლსტოი
124. უანგარო შრომა
125. მრევლისადმი მიმართვა
126. ნადუღის სანელებელი
127. ამფიბია
128. მსახიობი ... პაპანოვი
129. მსახიობი ... რიშარი
130. მორების ტრანსპორტი
131. ღირებულება
132. ... ხაიამი
133. მსახიობი ... ვენტურა
134. ყაიმი
135. ... მზამს, ბოლო მაკვირვებს
136. ნაბიჯი ბალეტში
137. მსახიობი ... პაპასი
138. ქართ. სალვინე ვაზის ჯიში
139. ზამბახი
140. მწერალი ... ბრაუნი
141. იაპონური თეატრი

პასუხები: 1. კარპატები; 2. გაბროვო; 3. ბარელიეფი; 4. კლინტ; 5. რობერტსი; 6. მამა; 7. კანკანი; 8 ნიკ; 9. ნავიგაცია; 10. ალიო; 12. „ტავრია“; 13. მემ; 14. ზვარაკი; 15. იამანიძე; 16. ოპუნცია; 17. პავაროტი; 18. მიომა; 19. ნოინი; 20. რენომე; 21. ინდუსტრიალიზაცია; 22. აბორიგენი; 23. ფასანაური; 24. ცა; 25. ედელვაისი; 26. რაფლეზია; 27. ავი; 28. რომული; 29. ვიქტორია-რეგია; 30. გოა; 31. დონი; 32. ციციკორე; 33. ლამა; 34. „რიგოლეტო“; 35. კირილიცა; 36. კივი; 37. ლუმინესცენცია; 38. „მერსედესი“; 39. ვასო; 40. ცოფი; 41. მლაშე; 42. მარგო; 43. რელიეფი; 44. ელცინი; 45. კოპოლა; 46. პალიასტომი; 47. მატე; 48. მალტა; 49. გერმანია; 50. ლი; 51. არაუ; 52. ანოდი; 53. ისლანდია; 54. ირი; 55. სინდიოფალა; 56. ნემსიყლაპია; 57. ლეში; 58. ლორდოზი; 59. ფარაონი; 60. „ოპელი“; 61. ამირან; 62. მაო; 63. დინი; 64. ალო; 65. სოს; 66. ტესლა; 67. არც; 68. „ამარეტო“; 69. ბელა; 70. ლუარა; 71. სესია; 72. უნდა; 73. ჯონი; 74. დეა; 75. სცენარი; 76. ვაზი; 77. ბულატ; 78. კანცლერი; 79. დილიჟანსი; 80. კოლორადო; 81. კაოლინი; 82. პიტი; 83. პირამიდა; 84. ედისონი; 85. რომი; 86. კაბუკი; 87. არტერია; 88. „სტიმოროლი“; 89. „ელეგია“; 90. აია; 91. გალაპაგოსი; 92. ალადინი; 93. რაჟა; 94. კვებეკი; 95. კეკე; 96. კლინიკა; 97. ანდალუსია; 98. როდინი; 99. კოლინ; 100. აფროდიტე; 101. ალა; 102. დინა; 103. ენდოკრინოლოგია; 104. კროსი; 105. სიმი; 107. აკვარელი; 108. ინდიანა; 109. დრონი; 110. კაპრონი; 111. ნიკო; 112. კოალა; 113. მარინა; 114. პანტა; 115. მიკ; 116. ნერონი; 117. ტარო; 118. მანათი; 119. ლამპიონი; 120. ელფი; 121. ტალკი; 122. ელა; 123. ლევ; 124. ამაგი; 125. ეპისტოლე; 126. პიტნა; 127. ტრიტონი; 128. ანატოლი; 129. პიერ; 130. ტივი; 131. ფასი; 132. ომარ; 133. ლინო; 134. ფრე; 135. ფიცი; 136. პა; 137. ირენ; 138. საფერავი; 139. ირისი; 140. დენ; 141. ნო. იკითხება: პარმეზანი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ხვავი
2. ფაიფურის თეთრი თიხა
3. მწერალი ვიტალი ...
4. 10მმ
5. ვაზის სასხლავი მაკრატელი
6. ტყემლის სანებელი
7. ფრინველების დასაჭერი საცერი
8. მხატვარი ოგიუსტ ...
9. მხ/ფ „ციცქის ...“
10. რეჟისორი ... ჰოვარდი
11. ბრაზილიური ცეკვა
12. მსახიობი ... სინიორე
13. რეჟისორი ... პარკერი
14. მსახიობი ... წეროძე
15. თეატრის სცენის განათება
16. ზღაპრული ფრინველი
17. კაზინო
18. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი
19. რუკების კრებული
20. „კაცი რომელიც იცინის“ პერსონაჟი
21. მომღერალი ... ქერი
22. თვალის ფერადი გარსის ანთება
23. აგენტი 007
24. რძის პროდუქტი
25. შტატი აშშ-ში
26. მწერალი ალბერ ...
27. შექსპირის ტრაგედია
მოდით, არქიტექტურის სამსახურით დავიწყოთ. 2 თვე არ არის გასული, რაც ამ სამსახურის უფროსი, ნინო ლოლობერიძე პოსტიდან გაათავისუფლეს და მის ადგილზე დიმიტრი მოსულიშვილი დანიშნეს. მაშინ ნარმანია გვარწმუნებდა, რომ მოსულიშვილი კვალიფიციური კადრი იყო და არქიტექტურის სამსახურის მუშაობას ღირსეულად გაუძღვებოდა. 2 თვის თავზე კი, თავად დავით ნარმანია დარწმუნდა, რომ ეს „კვალიფიციური“ დავით მოსულიშვილი ამ სამსახურს ვერ უძლევება და როგორც მერიის კულუარებში ამბობენ, საკადრო წმენდა არქიტექტურის სამსახურში, შესაძლოა, სწორედ მისგან დაიწყოს. რაც თბილისის მერი გახდა, დავით ნარმანიამ საქალაქო სამსახურის 8 უფროსი და მერიის აპარატის უფროსი შეცვალა, მაგრამ ამ ქალაქს მაინც არაფერი დაეტყო სასიკეთოდ, გაჩერებული მერია ვერა და ვერ ამუშავდა. შე მამაცხონებულო ნარმანია, ვერ უნდა მიხვდე იმდენს, რომ პრობლემა მხოლოდ ამ კადრებში არ არის, არც მათი მოხსნა-დანიშვნა და ეს კარუსელები შველის საქმეს? პრობლემა შენშია, თავად არ უქნიხარ ღმერთს, არ შეგიძლია მართლა ღირსეული კადრების მიძიება და მათთვის საქმის ჩაბარება. მენეჯერი, რომელიც კადრების შერჩევაში მოიკოჭლებს, რომელსაც არ შეუძლია, შესაფერისი ადამიანები დანიშნოს შესაფერის თანამდებობებზე, ცუდი მენეჯერია. ამ ცუდი მენეჯერის მიერ მართული სამსახური, გნებავთ, ეს სახელმწიფო სტრუქტურა იყოს და გნებავთ, კერძო კომპანია, მუდამ წარუმატებელი იქნება. იმ საქმეს, რაც ავალია, ვერ შეასრულებს ხარისხიანად... ახლა ვითომ „ქართული ოცნების“ კადრების გაშვებას აპირებს დავით ნარმანია. არ დაიჯეროთ, ეს კაცი ბიძინა ივანიშვილის სათამაშოა და ამ ხალხის სახლში გაშვებას ვიცე-მერი, ლაშა აბაშიძე არ დაანებებს, რომელიც ივანიშვილის დავალებით ნარმანიას და მის ხალხს აკონტროლებს მერიაში. ანდა, რომელი „ქართული ოცნების“ კადრების გაშვებაზეა ლაპარაკი იმ ფონზე, როცა სულ ახლახან მერიის აპარატის უფროსად გიგა ნიკოლეიშვილი მხოლოდ იმიტომ დაინიშნა, რომ ბიძინა ივანიშ-

## » თბილისის მერია

ვილის რჩეულია. ერთადერთი გამოსავალი რჩება – დავით ნარმანიამ უნდა დატოვოს პოსტი და ყველაფერი მოგვარდება. თბილისის მერად ისეთი კაცი უნდა ავირჩიოთ, რომელსაც, სხვა სიკეთეებთან ერთად, კადრების შერჩევის ნიჭიც ექნება, 2 თვეში ერთხელ არ შეცვლის სამსახურების უფროსებს და სხვა თანამდებობის პირებს. დიახ, ეს არაფრის მაქნისი, ბიუჯეტის მახრა დავით ნარმანია უნდა

# თბილისის მერი „ოცნებას“ უპირისპირდება?!.

## ამ გაუთავებელ ექსპერიმენტებში კი ჩვენ ვიჭყლიტებით, ხალხი!!!

**მოიყვანენ ერთ კრეტინს, ჩააბარებენ საქმეს, ვერ ივარგებს და მის ნაცვლად ახალი მოჰყავთ, როცა დარწმუნდებიან, რომ ისიც კრეტინია, იმას უშვებენ და მის ადგილას სხვას ნიშნავენ და არის ეს „ახალი კადრი“ პოსტზე, ვიდრე მის კრეტინობაშიც არ დარწმუნდებიან...**



ეთერ ბალაძე
593 15-64-47



**2 800 000 ლარის პრემია-დანამატების სკანდალზე „ალია“ მერიის პრესსამსახურს დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა. მერიის პრესსამსახურის წარმომადგენელი ნათია თაბაგარი გვპასუხობს...**

**— ნათია, თბილისის მერია-გამგეობებმა 2 მილიონი ლარის პრემია-დანამატები დაირიგა. რა დამსახურებისთვის გაიცა ამხელა პრემიები, მაშინ როცა მადენი სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული ადამიანია თბილისში? რატომ უნდა წავახალისოთ თუნდაც მერიის თანამშრომლები, მათ ისედაც ევალებათ ხალხის სამსახური და შესრულებული სამუშაოს გამო იღებენ ხელფასებს.**

– მოკლედ, როგორც გავარკვიე, ამ თემაზე ვერ ჩაგაწერინებ ვერავის, შემიძლია გითხრა მხოლოდ ის, რომ დეკემბერში მერიაში გაიცა ხელფასის 80%-ის ოდენობის საახალწლო პრემია, რაც 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო. სხვა დამატებით არანაირი თანხა არ გაცემულა... მეტს ვერაფერს გეტყვი.

**— სულ ეს არის? რამდენად აქვს მორალური უფლება მერიას, დაინიშნოს ამხელა პრემიები, როცა ამდენი ადამიანი შიმშილობს?**

– ვერაფერს გეტყვით...

**— მერიის პრესსამსახურის სახელით დავწერო?**

– კი, შეგიძლიათ, მერიის პრესსამსახურის სახელით დაწეროთ, რა ვქნა?

**— არაფერი, შეჭამეთ პრემიები...**

**ამის შემდეგ კოლოსალური პრემიების გამსაჯაროებელს, „მედიატორის“ ცენტრის დამფუძნებელს, ლევან ხაბეიშვილს დავუკავშირდით:**

– თბილისელები მერიას ხარკს ვუხდით. არანორმალურია 1 თვეში ამხელა პრემია-დანამატი იმ უწყებისთვის, რომლის გაკეთებული საქმე არავის უნახავს. რა უნდა თქვან მერიაში? ვმუშაობთ და ავიღეთო?!

**— კი, ასე ამბობენ, 2015 წლის ბიუჯეტიდან ავიღეთო, მერია კომენტარს არ აკეთებს.**

– კი, 2015 წლის ბიუჯეტიდან აიღეს, დეკემბრის პრემია-დანამატს, აბა, საიდან აიღებდნენ?!

**— თქვენი აზრით, რა დამსახურებისთვის?**

– არანაირი დამსახურება მათ არა აქვთ. გარდა იმისა, რომ უსაქმურები არიან. არც ერთი გამგებელი და საქალაქო სამსახური არ ასრულებს თავის მოვალეობას. ამიტომაც არის დედაქალაქში ქაოსი.

**— ინფორმაცია, რომელიც თქვენმა ცენტრმა გაავრცელა, თქვენთვის ადვილი ხელმისაწვდომი იყო? ანუ მერია არ მალავს პრემია-დანამატების დარიგებას?**

– ცენტრმა „მედიატორმა“ გამოვითხოვა ეს ინფორმაცია და ამ მხრივ პრობლემა არ ყოფილა. მერიის გარდა, საკრებულოში გაცემული პრემია-დანამატი დეკემბერში 567 000 ლარია, რაც ნიშნავს, რომ თბილისის თვითმმართველობაში მხოლოდ ერთ თვეში 2 800 000 ლარამდე პრემია და დანამატი დარიგდა. საზოგადოებამ თავად გადაწყვიტოს, რამდენად გონივრულია, იცხოვრო ორმოებისა და გაჭირვებულების ქალაქში და პარალელურად მილიონობით ხარკი უხადო დედაქალაქის მთავრობას! ეს არის დაცინვა იმ გაჭირვებული 32 000 თბილისელის, რომელსაც 1 ლარად და 18 თეთრად კვებავენ უფასო სასადილოებში. ერთი გამგებლის ანაზღაურებამ დეკემბერში 7000 ლარს გადააჭარბა.

## „ხომ მაგარია — უნდა ვიცხოვროთ ორმოებისა და სიღატაკის ქალაქში და პარალელურად მილიონობით ხარკი უნდა ვუხადოთ დედაქალაქის მთავრობას!“



**— თქვენ, როგორც არასამთავრობო, გამოსავალს რაში ხედავთ, ამ შემთხვევაში, რაიმე მექანიზმი თუ არსებობს იმისა, რომ ქალაქის ბიუჯეტი არ გაიფლანგოს?!**

– სამოქალაქო მონიტორინგი მნიშვნელოვანია. რაც შეეხება, გამოსავალს, არის შემდეგი – დავით ნარმანია და მისი გუნდი უნდა გადადგეს. დედაქალაქს მეცნიერი კი არა, მეურნე და კარგი მენეჯერი მერი სჭირდება. ნარმანიამ კვლევები და მეცნიერული ნაშრომები უნივერსიტეტში დაიცვას და ქალაქი კი დაუთმოს იმას, ვისაც ესმის და იცის.

მოშორდეს თბილისს თავისი სამარცხვინო გუნდით და თბილისის მერის ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს. დავით ნარმანიას, თბილისის არჩეულ მერს სულ ფეხებზე ჰკიდია ამ უხარისხო კადრებისთვის მიცემული ხელფასი, რადგან მას ბიუჯეტიდან იხდის და არა საკუთარი ჯიბიდან. არა, პრინციპში, ნარმანია კი არა, ჩვენ, ხალხი, გადასახადების გადამხდელები ვიხდით ამ ფულს და გამოდის, რომ თბილისის მერს ხალხი ჰკიდია ფეხებზე და მათ მიერ ბიუჯეტში შეტანილი ფული საერთოდ არ ანაღვლებს. აი, ამიტომაც არის, რაც თბილისის მერი დავით ნარმანია გახდა, არა და არ დასრულდა ეს საკადრო ექსპერიმენტები, ვერ იქნა და ვერ ჩამოყალიბდა კადრების კონკურსის შერჩევის ეფექტური მექანიზმი. პრინციპში, არც ჩამოყალიბდება, რადგან პატიოსანი კონკურსით რომ შეარჩიო ხალხი, მაშინ „ქართული ოცნების“ ის აქტივისტები, ვისაც 2012 წლის არჩევნების წინ დიდტარიანი დროშები ეჭირათ და თავში არაფერი უყრიათ, უნდა გაყარო სამსახურებიდან. მათ უნდა მიაყოლო თბილისის საკრებულოს უმრავლესობის, პარლამენტის დეპუტატებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ჩინოვნიკთა ახლობლები. ასეთი ხალხით სავსეა მერია. აი, მათი გამყრელი კი არავინ არის. ვისაც ეწყინება, ცივი წყალი დალიოს – მოიყვანენ ერთ კრეტინს, ჩააბარებენ საქმეს, ვერ ივარგებს და მის ნაცვლად ახალი მოჰყავთ, როცა დარწმუნდებიან რომ ისიც კრეტინია, იმასაც უშვებენ და მის ადგილას სხვას ნიშნავენ და არის ეს „ახალი კადრი პოსტზე“, ვიდრე მის კრეტინობაშიც არ დარწმუნდებიან. ამ გაუთავებელ ექსპერიმენტებში კი, ჩვენ ვიჭყლიტებით, ხალხი. ერთი, რომ დავით ნარმანიამ და მისმა მრავალჯერ შეცვლილმა გუნდმა დედაქალაქის ვერც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ვერ მოაგვარა. თბილისი ისევ გადათხრილია და პატრონი არ ჩანს, რომ ვინმე ამ ორმოებს ამოავსებს და მერე მოაასფალტებს. ქალაქი საცობებით არის გაჭედილი და არც ამ საკითხის გადამჭრელია ვინმე. „სითი პარკი“ ისევ ძველებურად თავხედობს და თბილისელებს თან შეურაცხყოფს, თან დაუმსახურებელ ჯარიმებს ახდევინებს და მერიამ მის თავხედობას ლაგამი ვერ ამოსდო, თბილისი წალეკა უნებართვო თუ კანონდარღვევით გაცემულმა ნებართვიანმა მშენებლობებმა... პრობლემების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, იმდენია, დღეს ვერ მოვრჩები, ამიტომ აქ შევჩერდები. ეს „საექსპერიმენტო კრეტინები“ საქმეს ხომ ვერ აკეთებენ და რაცხას თუ ფაფხურობენ, რა, მუქთად ირჯებიან? უზარმაზარი ხელფასები აქვთ, მანქანები ემსახურებათ, იმ მანქანებს საწვავი სჭირდება, თან ბლომად და არც ამის პრობლემა აქვთ. ამასთანავე, მძღოლები ემსახურებიან და ცხადია, მათაც ხელფასები აქვთ, უხელფასოდ არც მათი მდივნები მუშაობენ. ამას დაამატეთ თავად ამ მაღალჩინოსნების, მათი მდივნებისა და მძღოლების მობილური ტელეფონის ხარჯები. ჰო, კიდევ სახელფასო დანამატები და პრემიები, მაღალი ხელფასი არ ჰყოფნით და არც ამას იკლებენ, იმ დროს, როცა ნახევარი საქართველო შიმშილობს. ფაქტები გნებავთ? ინებეთ!

მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ მიერ დედაქალაქის მთავრობიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის დეკემბერში თბილისის მერიაში 1 108 279 ლარის ოდენობის პრემია, 190 463 ლარის ოდენობის დანამატი გაიცა, რაც, ჯამში, 1 298 742 ლარს შეადგენს.

გამგეობებს რაც შეეხება, იმავე პერიოდში 784 575 ლარის პრემია და 115 415 ლარის დანამატი გაიცა, რაც, ჯამში, 899 990 ლარია. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ერთ თვეში მერიასა და გამგეობებში პრემია-დანამატის სახით 2 198 732 ლარი გაიცა. 2015 წლის დეკემბერში თბილისის ვიცე-მერმა ლაშა აბაშიძემ, პრემიის სახით, 2360 ლარი, ხოლო დანამატის სახით 3050 ლარი მიიღო. მერის მოადგილემ გიორგი სოლომონიამ 2240 ლარის ოდენობის პრემია და 3360 ლარის ოდენობის დანამატი აიღო; მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე, პრემია – 2240 ლარი, დანამატი – 3360 ლარი; მერის მოადგილე ნინა ხატისკაცი, პრემია – 2240 ლარი, დანამატი – 3360 ლარი; მერის მოადგილე ხელაია, პრემია – 2240 ლარი, დანამატი – 3360 ლარი; ადმინისტრაციის უფროსი ჯაჭვლიანი, პრემია – 2 120 ლარი, დანამატი – 3180 ლარი; მერიის ადმინისტრაცია, პრემია – 199 560 ლარი, დანამატი – 46 620 ლარი; მერიის საქალაქო სამსახურების უფროსი, პრემია – 2080 ლარი, დანამატი – 2600 ლარი. აქედან გამომდინარე, 13 საქალაქო სამსახურის უფროსის პრემიამ, ჯამში, 27 040 ლარი, დანამატმა კი 35 060 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება გამგებლებსა და მათ მოადგილეებს, „მედიატორის“ ინფორმაციის თანახმად, გამგებლის პრემიამ 2080 ლარი, ხოლო დანამატმა 2600 ლარი შეადგინა. მოადგილემ პრემიის სახით 1440 ლარი, დანამატის სახით კი 1800 ლარი მიიღო. შესაბამისად, 10 გამგებლის პრემიამ – 20 800 ლარი, დანამატმა – 26000 ლარი, 30 მოადგილის პრემიამ – 43 200, ხოლო დანამატმა 54 000 ლარი შეადგინა.



„ქართული ოცნების“ ის აქტივისტები, ვისაც 2012 წლის არჩევნების წინ დიდტარიანი დროშები ეჭირათ და თავში არაფერი უყრიათ, უნდა გაყარო სამსახურებიდან. მათ უნდა მიაყოლო თბილისის საკრებულოს უმრავლესობის, პარლამენტის დეპუტატებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ჩინოვნიკთა ახლობლები“

## თბილისის მერია

რაც შეეხება კონკრეტულ გამგეობებს, „მედიატორის“ ინფორმაციით, ნაძალადევის გამგეობაში პრემია – 89 680 ლარი, ხოლო დანამატი 12 000 ლარი გაიცა; საბურთალოს გამგეობაში კი პრემია – 75 520 ლარი, დანამატი – 12000 ლარი; დიდუბის გამგეობა, პრემია – 68 560 ლარი, დანამატი – 12000 ლარი; ვაკის გამგეობა, პრემია – 72 000 ლარი, დანამატი – 8 855 ლარი; სამგორის გამგეობა, პრემია – 84 480 ლარი, დანამატი – 12000 ლარი; გლდანის გამგეობა, პრემია – 76 920 ლარი, დანამატი 12000 ლარი; ისნის გამგეობა, პრემია – 98 025 ლარი, დანამატი – 12000 ლარი; კრწანისის გამგეობა, პრემია – 67 550 ლარი, დანამატი – 10 560 ლარი, ჩუღურეთის გამგეობა, პრემია – 64 680 ლარი, დანამატი 12 000 ლარი; მთაწმინდის გამგეობა, პრემია – 84 160 ლარი, დანამატი – 12000 ლარი.

ამ ყველაფერს კი ხალხი იხდის საკუთარი ჯიბიდან, ამ უქნარა ჩინოვნიკების შესანახად ნარმანია არაფერს იხდის, პირიქით, ნარმანიასაც იქით ვუხდით ხელფასსაც, სახელფასო დანამატსაც და რაც ჩამოვთვალე, ეს ყველაფერი მასაც აქვს და ჰყავს. ჰოდა, დავით ნარმანიამ არქიტექტურის სამსახური კი არ უნდა გაწმინდოს, ვიმეორებ, თავად უნდა გადადგეს და შემდეგ, მერია უნდა გაიწმინდოს იმ უსინდისო ადამიანებისგან, რომლებიც ხალხის ფულს არმად ირგებენ და კაპიკის საღირალს არაფერს აკეთებენ. თბილისის მერია უსაქმურების, მცონარებისა და უუნარო ადამიანების ბუდეა და ეს ბუდე უნდა დაინგრეს!!!



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

## დიპლომატიური ამბები

**სოსო ჯაჭვლიანს იცნობთ, ხომ? მსახიობი, რეჟისორი, მკლავჭიდელი, დეპუტატი და ასე შემდეგ. აი, ბიძინა ივანიშვილმა რომ თქვა, მომავალ პარლამენტში მსახიობები და სპორტსმენები აღარ იქნებიანო, ყველაზე მეტად სოსოს უნდა სწყენოდა, რადგან მსახიობიც გახლავთ და სპორტსმენიც. ესე იგი, თუ ივანიშვილის ნათქვამი სხვას ერთი მხრივ უნდა შეხებოდა, ამას ორმხრივად შეეხება. ალბათ, ისიც გახსოვთ, სოსო ჯაჭვლიანმა ბატონ ბიძინას ღია წერილით მიმართა, ვისაც მე არ ვჭირდები, ის მეც ფეხებზე მკიდიაო. მოკლედ, როდესაც სპორტსმენ-მსახიობთან ინტერვიუს ვწერ, ამ პროცესს ყოველთვის ახლავს მაზალო შესავალი, დაახლოებით 10-15 წუთი დიქტოფონს მიღმა ვლადაობთ. შესავალი იმდენად საინტერესო გამოგვდის დუეტში, მართლა საცოდაობაა, ქართველმა ერმა დაკარგოს. მაგალითად, მე ვურეკავ სოსო ჯაჭვლიანს, რაღაც საკითხზე მინდა მისი კომენტარი, დიალოგი იწყება ასე:**

**— ალო, სოსო...**

– ოოო... დემოკრატიის მსახურო, როგორ ხარ?

**— კარგად, დემოკრატიის მამავ, მადლობა, რომ მომეც მე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.**

– აი ქმიხთ ბალიქთმ მა ბაახთ!

**— ეს რას ნიშნავს?**

– ეს ნიშნავს: ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა!

**— ეგ სვანურად გადათარგმნე?**

– ბიჭო, ეს ინგლისურია, თუ გინდა, გერმანულადაც გითარგმნი.

**— შენ უკვე ინგლისურს სწავლობ? ააა... გასაგებია, ივანიშვილმა ისიც თქვა, მომავალ პარლამენტში ინგლისურის მცოდნეები უნდა შევიყვანოო.**

– იგიუ სვეი, აიუ ფთიჩ... ეს ნიშნავს: გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი.

**— იმედია, ამ ინგლისურით ევროპარლამენტში არ გამოხვალ.**

– ევროპარლამენტში რომ გამოვალ და ამას ვიტყვი, ხომ აზრზე ხარ, რა დაემართება მთელ დარბაზს... ყველა ფეხზე წამოდგება და ტაშის გრიალში დაიწყებენ: ო მაი გააად!

**— აი, მომავალ პარლამენტში რომ შეხვალ, მაგისთვის უკვე მზად იქნები.**

– ალხენშტანდტ ინ კონშდანტს ჰააალ!

**— ეს უკვე გერმანულს ჰგავს... სხვათა შორის, სვანებს გერმანული უფრო გიხდებათ, რაღაც ტემპერამენტიანი და თქვენს ხასიათთან შესაბამისი ენაა, თითქმის ერთნაირი აქცენტი გაქვთ. ინგლისურს რომ შეეშვა და გერმანულს მიაწვე, არ გინდა?**

– კიიი, გერმანული უკეთესია: ახლედინშტენტინგ დალშტანდ!

**— აშკარად უკეთესია, სვანებივით ბობოქარი ენაა. თუ ინგლისურად გამოხვალ ევროპარლამენტში, სვანური აქცენტი გამოჩნდება და ჩაიჭრები გუგული მაღრაძესავით.**

– (იცინის) აუსტან ქენთად დაზდეგენდად! იქით-აქეთ გაიხედავ, მარჯვნივ, მარცხნივ და შეხვალ ევროპარლამენტში!

**შეიძლება სოსო ჯაჭვლიანი სუფთად ლაპარაკობს გერმანულადაც და ინგლისურადაც, მაგრამ მე ტელეფონში როგორც გავიგე, ისე გადმოგეცით. ეჰ, ჩემო სოსო, ნათქვამია, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო, მაგრამ ეს რომ ასე იყოს, მაშინ მიხეილ სააკაშვილი პირველი კაცი უნდა ყოფილიყო. არა, მაინც კარგია, ძველებს ისიც უთქვამთ, სწავლა სიბერემდეო.**

## რატომ აბობოქრდა სოსო ჯაჭვლიანი გერმანულად?!



ფაქტი... ახალი... მოვლენა...

## „თავისუფალი სიტყვისთვის მებრძოლი რაინდი“ შეშფოთებულია — „იმედი“ მთავრობის მედიაცენტრი გახდაო



„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის განცხადებით, ტელეკომპანია „იმედი“ არა მხოლოდ სახელისუფლებო ტელევიზიად, არამედ მთავრობის მედიაცენტრად იქცა. მისი თქმით, ხელისუფლების მხრიდან „რუსთავი 2“-ის და ახლა უკვე „მაესტროს“ წინააღმდეგ დაგეგმილ ქმედებებში „იმედი“ წამყვან როლს თამაშობს.

– „იმედი“ არა მხოლოდ სახელისუფლებო ტელევიზიაა, არამედ სახელისუფლებო მედიაცენტრი გახდა, რომელიც სხვა ტელევიზიების რეკრუტირებას ახორციელებს იმისთვის, რომ ხელისუფლებას ემსახუროს. ეს ტრაგედიაა ამ ტელევიზიის, მასში მომუშავე ადამიანებისთვის. ეს არის ძალიან წამგებიანი იმიჯის თავზე მოხვევა. მე ვსვამ კითხვას, ეს ტელევიზიაა თუ თავდასხმებისა და მედიარეპრესიის ადგილი? ბოლო პროცესებს თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ყველა მედიაშეთქმულება იგეგმება ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში, – განაცხადა ნიკა გვარამიამ გადაცემა „არჩევანში“, რომლის დასრულების შემდეგ წამყვანს მეგობრულად თავში ტყვლიპა...

## აშშ რუსეთის აგრესიასთან ბრძოლისთვის საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ფინანსურად დაეხმარება

აშშ-ის 2017 წლის ბიუჯეტში 4,3 მილიარდი დოლარი რუსეთის აგრესიასთან ბრძოლისთვის იქნება გამოყოფილი. კერძოდ, ვაშინგტონი ნატოს წევრი და მოკავშირე ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფას აპირებს.

როგორც თეთრი სახლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტშია აღნიშნული, აქცენტი გაკეთდება უკრაინაზე, საქართველოსა და მოლდოვაზე.

– რუსეთის ფედერაციის მიერ მეზობელი ქვეყნების საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე გავლენის მიზნით გაზრდილი მცდელობების საპასუხოდ, ბიუჯეტი ითვალისწინებს 4,3 მილიარდ დოლარს ევროპაში, ევრაზიასა და ცენტრალურ აზიაში მდებარე ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებში რუსეთის აგრესიის გავლენის შესამცირებლად პოლიტიკური, ეკონომიკური, საჯარო დიპლომატიისა და სამხედრო მხარდაჭერისთვის, – აღნიშნულია აშშ-ის 2017 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებულ დოკუმენტში. (bpn.ge)

## „ოცნება“, მომხმარებლის უფლებები იმდენი მიზეზით და ისე სასტიკად ირღვევა, „მყვირალა რეკლამები“ ზღვაში წვეთია მხოლოდ!




სამაუწყებლო ეთერში რეკლამის ხმის სიმძლავრესთან დაკავშირებით რეგულაცია წესდება – რეკლამის ხმის დონე მაუწყებლობის ხმის დონეს უნდა გაუთანაბრდეს.

შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტის ბიუროს დღეს წარედგინა, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელი იქნება, რეკლამის ხმის დონე რადიო და ტელემაუწყებლობის ხმის სიმძლავრეს აღემატებოდეს. ცვლილებები „რეკლამის შესახებ“ კანონში შედის და ის ფრაქციამ „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი“ მოამზადა.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, საკითხის დაურეგულირებლობის შედეგად მომხმარებლის უფლებები ირღვევა.

– მომხმარებლის სურვილისამებრ შერჩეული ხმის სიმძლავრე რადიო და ტელემაუწყებლის ეთერში, რეკლამის მსვლელობისას მისი ნების საწინააღმდეგოდ იცვლება. აღნიშნული გათვლილია მომხმარებლის ყურადღების მისაქცევად, თუმცა რეკლამის ხმის სიმძლავრის (დონის) ცვლილება მომხმარებლის ნების გარეშე, დისკომფორტს ქმნის და აღიზიანებს მას, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის თვალსაზრისით, – აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში. (ინტერპრესნიუსი)

## „ნანუკიე ქაჯს მოუ...ყან დედის პრ...ჭი...“



ცოტნე გამსახურდია სოციალურ ქსელში „ნანუკას შოუში“ გასულ სიუჟეტს ეხმიანება, სადაც ის ინტერვიუს იღებს მიშა მესხისგან, რომელიც სარეაბილიტაციო კურსს გადის.

– არასოდეს არავითარი სიმპათია არ მქონია მიშა მესხის, მისი როლებისადმი და არც მსგავსი ტიპები მევასებოდნენ ოდესმე. დისტანცია მეჭირა ყოველთვის ეგეთებთან, მაშინაც კი, როცა თავად ვცოდავდი მაგ სფეროში. მაგრამ შემთხვევით შევხედე „რუსთავი ორზე“ და გულით შემეცოდა: რა უქნა საკუთარ თავს საწყალმა, ღმერთმა უშველოს... მაგრამ ნანუკიე ქაჯს მოუტ...ან დედის პრ...ი კიდევ ერთხელ... სად იყურება ეს ჟურნალისტთა ...ლე ქარტია ამ სირი ქორიძის თამადობით, ფსიქიკურად ავადმყოფის გამოჭენება და გოიმური კითხვებით კამერების წინ „წურვა“ მიღებული თემაა?! ადრე იყო და სულით ავადმყოფი თამთა კოსტავა გამოაჭენა, ცხონებული მერაბის გაუბედურებული ქალიშვილი... გავაგდოთ უკან ეს ...ლექალა, ლატარიაში გვერგო??? (timesnews.ge)

საზოგადოება

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



# როდიდან არის აკრძალული გაყინული ქათმის ხორცის ჭამა?

ერთი კვირაა, რაც ბაგა-ბაღებში შეტანილი „ბიუ-ბიუს“ ქათმის ირგვლივ სკანდალია ატეხილი. ჯერ კიდევ არდადეგებამდე შეტანილი 2 ტონამდე, 9 ათასი ლარის ღირებულების ქათმის ხორცი, რომელიც ახლა გაყინულ მდგომარეობაშია, აღარ იციან, გადაყარონ თუ არა. არადა ბაგა-ბაღების სააგენტომ ის უკვე ჩამოწერა და განადგურებას დაუქვემდებარა. სკოლამდელი დაწესებულებებისა და უფლებების დაცვის ლიგა ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება და მავნებლობას უწოდებს.

**მზიაᲐ ფაილოძე:**

– იქნებ ისიც თქვან, რომ უჭირს და უამრავი ოჯახი შიმშილობს? ბაღების სააგენტოს წარმომადგენლებმა, რომლებიც გადართულნი არიან ბაღებში შტატების გამოთავისუფლებითა და გაურკვეველი განათლებისა და „წარმოშობის“ ხალხის დასაქმებით, იქნებ ისიც თქვან, რომ ბავშვებისთვის დაძველებული პური არ უჭმევიათ?

— **გინდათ თქვათ, რომ ბაგა-ბაღებში ბავშვებს ძველ პურს აჭმევენ?**

– მაშინ, როდესაც ქათამი შემოიტანეს, ვირუსის გამო ბაგა-ბაღებში ბავშვთა რაოდენობამ იკლო... ზოგს დარჩა 5-8 და 10 პურიც. ამ დროში მარჯვენა ხელია. თუ რამე სიბინძურეა შესასრულებელი, ნარმანია სწორედ თორდინავას ხელით აკეთებს. ის კი, არაჩვეულებრივად ასრულებს. ბაღის დირექტორებმა იციან, როგორ მოიქცნენ. ეს საკითხი მოგვარებადი იყო.

— **რაც შეეხება ქათამს, რა მოხდა?**

– „ბიუ-ბიუს“ ქათამთან დაკავშირებით მოგახსენებთ. ქათამი, როგორც წესი, სამშაბათს მზადდება ბაღებში შესატანად. როცა გამოაცხადეს, რომ საბავშვო ბაღები მუშაობას წყვეტდნენ, ბევრმა დირექტორმა მომწოდებელს ხელშეკრულების გასაუქმებლად მიმართა. თუმცა მომწოდებლებმა მოთხოვნის გაუქმებაზე უარი განაცხადეს. ბაღების დირექტორებს უპასუხეს, რას ამბობთ, ქათამი უკვე მოგვაქვსო. ამის შემდეგ, გაიცა ბრძანება, შეინახეთ საყინულეში და მერე გაანადგურეთო. ქათმის ხორცის შენახვა საყინულეში 72 საათი შეიძლება. მიუხედავად ამისა, გაიცა ბრძანება, რომ 2 ტონა ქათამი, 9 000 ათასი ლარის ღირებულების, გაენადგურებინათ. ამასთანავე, ბაღების სააგენტომ საგადასახადო ინსპექციას მიმართა, რომ თითოეული ბაღი 20-ლარიან ჯარიმას გადაიხდიდა.

— **ბაღის დირექტორები იხდიან ამ თანხას?**

– ბაღის დირექტორებს ჩამოაჭრიან ბიუჯეტიდან...

— **ეს ჯარიმაა?**

– არა, ეს თანხა დირექტორებმა უნდა გადაიხადონ, იმისთვის, რომ მივიდნენ სამსახურები და ამოიღონ ჩამოწერილი პროდუქტები. ეს პროდუქტები გაყინულია და განადგურებას ექვემდებარება. წარმოიდგინეთ, რომ, თუ ბავშვებს ქათმის ფილეს აჭმევენ, მაშინ რატომ არ შეძლება ამ ქათმის ჭამა?!

— **გაანადგურეს?**

– რატომ უნდა გაანადგურონ. თუნდაც უფასო სასადილოს რომ გადასცენ, არ შეიძლება?! ბაგა-ბაღების სააგენტოში 60 ადამიანი მუშაობს, მთელი დღე ხან ყავას სვამენ, ხან მზესუმზირას აკნატუნებენ, საღამოს კი ქეიფი და დროსტარება აქვთ.

**„ალიასთან“ ბაგა-ბაღების სააგენტო ასეთ კომენტარს აკეთებს.**

– ბაგა-ბაღებში შემოდის გაციებული (2-4 გრადუსი) ქათმის ხორცი, რომლის შენახვის ვადა 48 საათია. გამომდინარე იქიდან, რომ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, თბილისის ბაგა-ბაღებში 28-29 იანვარს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი შეწყდა, 1-ლი თებერვლისთვის აღნიშნული ქათმის ხორცი გამოსაყენებლად უვარგისი, ანუ ვადაგასული იყო. გარდა ამისა, ბავშვთა შემცირებული დასწრებიდან გამომდინარე, გარკვეული სახის მალფუჭებადი პროდუქტების ათვისება ვერ მოხდა, როგორიცაა, მაგალითად, რძის ნაწარმი. შესაბამისად, ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, მოხდა ხორცის გაყინვა, რათა ყველა ეს პროდუქტი ერთდროულად ჩამოწერილიყო.

— **მაშინ რატომ გადანაშაულებთ მზია ფაილოძე?**

– ფაილოძის მიერ მოყვანილი ციფრები სინამდვილეს არ შესაბამება. საუბარი არ არის 2 ტონა ქათმის ხორცზე. თბილისის ბაგა-ბაღებმა სწავლის გადადებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებისთანავე მომწოდებლებთან შეკვეთა გააუქმეს და ქათმის ხორცი დარჩა მხოლოდ იმ ბაღებში, რომლებსაც უკვე მიღებული ჰქონდათ ამ პროდუქტის შედარებით ნაკლები რაოდენობა, დასწრების ნაკლებობიდან გამომდინარე.

**„ალია“ ვითარებაში უკეთ გასარკვევად, მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე მადონა კოიძესაც ესაუბრა.**

– თუ საუბარია „ბიუ-ბიუს“ ნედლ ქათამზე, ვინაიდან შენახვის ვადები უკვე გასული იყო, მაშინ ის ექვემდებარებოდა ამოღებასა და ჩამოწერას. ნებისმიერი პროდუქტი და მით უმეტეს, თუ ნედლი პროდუქტია, ჩამოწერას ექვემდებარება.

— **მზია ფაილოძე თვლის, რომ „ბიუ-ბიუს“ ნედლი ქათამი**









**„ნაგვის ბუნკერებში მშიერი ადამიანები საჭმელს ეძებენ, როცა „ნუთუ, დღეს ჩვენს ქვეყანას აქვს იმის საშუალება, 2 ტონაზე მეტი ქათამი გაანადგუროს, მაშინ, როცა ხალხს უზომოდ უჭირს და უამრავი ოჯახი შიმშილობს?“უამრავ ბავშვს შია, საინტერესოა, როდიდან არის აკრძალული გაყინული ქათმის ხორცის ჭამა?“**

ბავშვებისთვის დაძველებული პური არ შეუტანიათ? მაშინ როცა ნაგვის ბუნკერებში მშიერი ადამიანები საჭმელს ეძებენ, როცა უამრავ ბავშვს შია, საინტერესოა, როდიდან არის აკრძალული გაყინული ქათმის ხორცის ჭამა? სურსათის უვნებლობის სააგენტოს ცნობით, აღნიშნულ პროდუქტზე იკარგება მხოლოდ ხარისხი და არ არის მავნებელი. თუკი სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გაყინული ქათმის ფილეს ჭამა არის ნებადართული, რატომ არ შეიძლება, ამ სახით ქათმის ხორცის მიწოდება და არა განადგურება? გამოფხიზლდი ხელისუფლებავ და მერიავ. დროა, არაკომპეტენტური კადრები აღარ მართავდნენ სკოლამდელ სისტემას! ისმის კითხვა: ხომ არ მიანიშნებს ეს ქმედება ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უნიათობაზე, რომელიც პირდაპირ არის მიმართული მთავრობისა და სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ? ნუთუ, დღეს ჩვენს ქვეყანას აქვს იმის საშუალება, 2 ტონაზე მეტი პროდუქტი გაანადგუროს, მაშინ, როცა ხალხს უზომოდ პური დაძველდა. გრიპის ვირუსის გამო, თუ სამშაბათს 100 ბავშვი იყო, ოთხშაბათს, მხოლოდ 50 მივიდა. ამიტომ პური დარჩა. 4 დღე საბავშვო ბაღებში ძველი პური გაჰქონდათ. ყველა პურს ხომ შენახვის ვადა აწერია? საუზმეზე ბაღის დირექტორებმა ბავშვებს ძველი პურებისგან ორცხობილა გაუკეთეს.

— **რამდენად მიზანშეწონილი იყო ძველი პურის მიმოქცევაში გაშვება?**

– ამაზე საბავშვო-ბაღების სააგენტოს უნდა ეზრუნა. სააგენტოს წარმომადგენელმა რამდენიმე საბავშვო ბაღის დირექტორს უთხრა, რომ ძველი პური ორცხობილად გადაეკეთებინათ და ისე მიეტანათ ბავშვებისთვის. მეც მკითხეს, რა მოეხერხებინათ ძველი პურისთვის. ვურჩიე, რომ, თუ ბავშვები ორცხობილას არ შეჭამდნენ, მაშინ გაატარეთ და საფანელად გადააქციეთ-მეთქი. სააგენტოს, რომ ერჩია, უნდა სცოდნოდა.

— **ამ შემთხვევაში ვის ადანაშაულებთ?**

– თემურ თორდინავას, რომელიც გახლავთ ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი, დავით ნარმანიას ნათესავი და

**ვარგისიანი იყო, ის არ უნდა ჩამოიწეროს და არ უნდა განადგურდეს, რადგანაც ამდენი მშიერი ადამიანია და შეიძლებოდა მისი რეალიზაცია, თუნდაც უფასო სასადილოებში.**

– თუკი პროდუქტს დაუმთავრდა ვადა, ეს იმას ნიშნავს, რომ ვადაგასული პროდუქტის შეტანა არსად არ შეიძლება, რადგანაც უფასო სასადილოშიც ჩვეულებრივი ადამიანები დადიან.

— **თუ გაყინულია პროდუქტი, მაინც საშიშია?**

– გააჩნია, რომელ გაყინულ პროდუქტზეა საუბარი. ქათმის მექანიკურად დამუშავებული ხორცის შეტანა (ანუ ფარშის) არსად არ შეიძლება. მით უმეტეს, დანაშაულია ბაღებში შეტანა. ასეთი სახით ხორცი არც ჯარში, არც სასჯელაღსრულებაში და არსად არ უნდა შევიდეს. აუცილებელია, ასეთი ხორცი დამუშავდეს თერმულად. სახლის პირობებში მისი დამუშავება რთულია, ამიტომ არ უნდა შევეცადოთ. მოხმარებისთვის საშიშია ნებისმიერი ხორცის პროდუქტი, რომელიც 80 გრადუსზე თერმულ დამუშავებას არ გაივლის. სხვა შემთხვევაში ის უნდა აიკრძალოს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**ადრე კრემლის წინაშე ვიჩოქებდით, ახლა თეთრი სახლის წინაშე ვიხრით ქედს. სად არის გამოსავალი? ამაზე „ალიას“ მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი ესაუბრება:**

– მე ვერ ვხედავ, რომ გარედან ვინმეს საქართველოსთან მეგობრობა უნდა, რუსეთსაც თათის დადება თო. არა, ამათ გამოუშვეს, ვინც აწყობდათ, მავანი პოლიტიკური ნიშნით არის დაპატიმრებულიო, მავანი ასეაო, მავანი ისეაო. ბოლოს რაც მივიღეთ, ვნახეთ. ბოლოს, სანამ ბატონი რეზო ცოცხალი იყო, სულ ახსენებდა პრეზიდენტს, წერილი რომ გამოგიგზავნეთ, მიპასუხეთო. ამან პასუხი არ აღირსა. როცა ჩხეიძე გარდაიცვალა, დაკრძალვის დღეს მარგველაშვილი მოვიდა და ლამის საფლავთან ბრიფინგი გამართა. აქო, ადიხალხიც ყველაფერს ეგუება, საღამოს ელოდებიან, აბა, ერთი „მაესტროსთან“ დაკავშირებით რას იტყვიან? რაში მაინტერესებს, რომელი ტელევიზია ვისია? უბედურება ის არის, რომ ვიღაც პოლიტიკანებისაა! ტელევიზიები გახდნენ პარტიების მსახურები. მაგალითად, ბრიტანეთში არ კითხულობენ იმ გაზეთს, რომელიც რომელიმე პარტიისაა. ტეტჩერის გამონათქვამია, პარტიულ ტელევიზიას ვერ ვუყურებ, ასეთ შეურაცხკაცზე... ესე იგი, კალოშებით მოსულმა ათასმა კაცმა ხელისუფლებაში მოსვლით იშოვა დიდი ფული. დაუკვირდით, რაც უფრო გადის დრო, ყველა მომდევნო პარლამენტი წინაზე უარესი ხდება. ყველაზე გაჭირვებული დარჩა ზვიად გამსახურდიას პარლამენტი, მის შემდეგ ყველა გამდიდრდა. სააკაშვილის დროს ამერიკელები ძირითადად ეხმარებოდნენ სამხედრო უწყებას, ახლა მაგათ რომ საქართველო აინტერესებდეთ,

## „რაც ყველა დროის დეპუტატებმა მიიღეს, ეს ფულში რომ გავზომოთ, გადადის ათეულობით მილიარდში! არადა, სულ არის ლაპარაკი 1000 კაცზე...“

### „რაც უფრო გადის დრო, ყველა მომდევნო პარლამენტი წინაზე უარესი ხდება“



**„ჩამოვწეროთ სია, ვინ არიან ე.წ. ოპოზიციურ პარტიებში? მარტო ლიდერებიც რომ დავასახელოთ, თუ არ შეგეშინდებათ, მაშინ ბოდიშს მოვიხდი“**

**„ამას წინათ გამოვიდა ამერიკის ელჩი და დაიცვა ჩვენი პატრიარქი, მისი ავტორიტეტი დიდია ქვეყანაშიო. ჩვენ ამას წამოვეგეთ, ფოჩიანი კანფეტები გვიყვარს. არავინ არ ვიკითხეთ: კი, მაგრამ, შენ, ამერიკის ელჩო, თუ პატრიარქი ასეთი კარგია, მაშინ იმას რატომღა აფინანსებ, ვინც მას ძირს უთხრის და ებრძვის?“**

ვას ელაპარაკებიან რუსეთუმეობაზე. ამას წინათ გამოვიდა ამერიკის ელჩი და დაიცვა ჩვენი პატრიარქი, მისი ავტორიტეტი დიდია ქვეყანაშიო. ჩვენ ამას წამოვეგეთ, ფოჩიანი კანფეტები გვიყვარს. არავინ არ ვიკითხეთ: კი, მაგრამ, შენ, ამერიკის ელჩო, თუ პატრიარქი ასეთი კარგია, მაშინ იმას რატომღა აფინანსებ, ვინც მას ძირს უთხრის და ებრძვის? ამათ ასეთი პოლიტიკა აქვთ დამუშავებული, უნდა და ამერიკასაც. ჩვენში უკვე გამეფდა პროვინციალიზმი, გამოსულად და განათლებულად ითვლება ის, ვინც აქებს ამერიკას, ჩამორჩენილია ის, ვინც ლაპარაკობს პატრიოტიზმზე. ამერიკას აქებენ არა იმიტომ, რომ საქართველოს რამე შემატონ და შეცვალონ, არამედ იმიტომ, რომ სკამი მოიპოვონ, შეინარჩუნონ და ფული იშოვონ. ამას წინათ ერთმა მითხრა, თუ ყველა ოპოზიციური პარტია გაერთიანდებით, კარგი იქნება და მხარსაც დაგიჭერთო. კი, ბატონო, ჩამოვწეროთ სია, ვინ არიან ე.წ. ოპოზიციურ პარტიებში? მარტო ლიდერებიც რომ დავასახელოთ, თუ არ შეგეშინდებათ, მაშინ ბოდიშს მოვიხდი...

...ჩვენთან ძლიერი უყვართ მხოლოდ მკვდარი. როდესაც გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდა, ცხონებულმა რეზო ჩხეიძემ „ჰუმანიზმის მანიფესტით“ მიმართა: პრეზიდენტო, პირველ რიგში ციხეებიდან გამოუშვით ქალები და ბავშვები, 65 წელს გადაცილებულ ადამიანებს მიეცით შეღავათი და შერჩევით მაინც გაათავისუფლედა გარდაცვლილი რეზო ჩხეიძე! იგივეს თქმა შემიძლია მერაბ ბერძენიშვილზეც, მას ჯვარი სწერია... მან ახალ ხელისუფლებას არაერთხელ მიმართა წერილობით. თუ მთელი ხელისუფლება არა, ვინმე მაინც უნდა მისულიყო მასთან, ან პირველი პირი მიიწვევდა თავისთან. არც ერთი მომხდარა, არც მეორე, არც მესამე, საქართველოს ხელისუფლების 99 პროცენტი ნამყოფი არ არის მერაბ ბერძენიშვილის სახელოსნოში. ვიღაც სოროსელი დარტყმული დააბრეხვებს რაღაც სისულელეს და მეორე დღესვე ხელისუფლების ყველა წევრი განმარტებებს აკეთებს. ბერძენიშვილი რას ფიქრობს, ეს არ აინტერესებთ. მას არაფერი არ უნდა, არც თანამდებობა, ისეთ ასაკშია, იცხოვრა, ყველაფერი ნახა. ეს ქალაქის მერი რომ მოდიოდა, ჰპირდებოდა, როგორც კი მერი გავხდები, აღმაშენებლის ძეგლს უკან დავაბრუნებო. რამდენი ხანი გავიდა? ადამიანი მიმართავს პრემიერებს, პრეზიდენტს, მერს, მაგრამ პასუხსაც არ აძლევენ, არ აინტერესებთ.... სამწუხაროდ, ყოფას საკუთარ თავს ვერ მივაყენებო. კიდევ ერთი სატკივარი: მაგალითად, სახელმწიფოს აქვს მოქალაქეების ვალი, თუნდაც ანაბრები, ეს არის რამდენიმე მილიარდი. ერთი ლარის დაბრუნება მაინც დაიწყო ვინმემ?

**— არა, ეს თემა მხოლოდ არჩევნების დროს აქტიურდება ხოლმე.**

– თვითონ ხალხი რამეს ითხოვს? ხედავთ, რომ ხალხი ამასაც შეეგუა? ესე იგი, ხელისუფლება არ გიბრუნებს ერთ ლარსაც კი, რომელიც კანონიერად გეკუთვნის და ამ დროს არ გპატიობს ერთ ლარს, თუ არ გადაიხდი, ამოგაცლის ჯიბიდან და შეიძლება დაგაპატიმროს კიდეც. როდესაც შენ მეწარმე არ გყავს ხელის გულზე, რა ხელისუფლება ხარ? დღეს მეწარმეს უნდა ეფერებოდე, უვლიდე, რისკიანი მოქმედების საშუალებას აძლევდე, შენს ნათესავებს არ უნდა აპარპაშებდე, კონკურენციას ქმნიდე. რაც ყველა დროის დეპუტატებმა მიიღეს, ეს ფულში რომ გავზომოთ, გადადის ათეულობით მილიარდში. არადა, სულ არის ლაპარაკი 1000 დავით კეზერაშვილს დაიცავდნენ, რომელსაც საქართველოს ერთი წლის ბიუჯეტი აქვს წაღებული? რა, ამერიკის დაზვერვის იმ ხელმძღვანელმა, რომელიც ბევრს ლაპარაკობს, არ იცის, რა წაიღეს კეზერაშვილმა და ოქრუაშვილმა? არ იცის, რომ კეზერაშვილი მართლა კალოშებით მოვიდა? როცა ამ ხალხს იცავ, საქართველოს მეგობარი გქვია? ათასჯერ ვთქვი, 4 მილიარდი რომ მისცეს ხელისუფლებას ცხინვალის ომის შემდეგ, ეს ფული სად წავიდა? საქართველოში არ აღმოჩნდა პიროვნება, რომელიც ჩავა ამერიკაში და იტყვის: დიდ პატივს ვცემ ამერიკას, ჩვენ მოვედით, ახალი ხელისუფლება, გთხოვთ, დაინტერესდით, სად წავიდა თქვენი დახმარება. გამოაქვეყნეთ ყველაფერი და მაშინ დავიჯერებთ, რომ მეგობრები ხართ. არა, ძლიერი საქართველო არავის აწყობს... ერთი ამერიკული კომპანია არ არის შემოსული საქართველოში, უხსოვარ დროში შემოვიდა „ეი-ი-ეს თელასი“, რომელიც გააგდეს და ყველაფერი მისცეს რუსს. ახლა ესენი სხთვითონ ავტორიტეტებს არ ებრძვიან, ფულს მისცემენ და ბინძურ საქმეს ისევ ქართველებს გააკეთებინებენ. ეს არის მეგობრობა?.. დაუკვირდით, სად არის მართლმადიდებლობა? საბერძნეთში, უკრაინაში, საქართველოში, სერბეთში, რუსეთში, სწორედ ამ ქვეყნებში მიდის ბრძოლები. ეს ბრძოლა არის პარადოქსული, საქართველოში სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლის დირიჟორი გახლავთ ლევან ბერძენიშვილი, რომელიც ამბობს, რომ ის არის ათეისტი და იქვე დასძენს, სოციალიზმის მთავარი უბედურება იყო ათეიზმიო. თუ ათეიზმი მაშინ იყო უბედურება, ახლა ბედნიერებაა? ამერიკის ყველა მიმდევარი იძახის, ათეისტი გახლავართო. მე მეგონა, ბიძინა ივანიშვილი ამ მოღალატეებს მაინც გასცემდა პასუხს, მაგრამ რაც უფრო მეტ პარტიაში გადახტა კაცი, ის უფრო მოსწონს. ამ ქვეყანაში უბედურება ის კი არ არის, რომ სიმართლე სძულთ, უბედურება ისაა, რომ ყველაზე მეტად სიმართლის მთქმელი სძულთ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით სერგეენკო მოსახლეობას სამხრეთ ამერიკაში გამგზავრებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდებს



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მოსახლეობას გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე სამხრეთ ამერიკაში გამგზავრებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდებს. მინისტრის აღნიშნული რეკომენდაცია სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ზიკას ვირუსის გავრცელებას უკავშირდება.

– ჯერჯერობით, საბედნიეროდ, ჩვენთვის ეს აქტუალური არ არის, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ზომა უნდა მივიღოთ იმისთვის, რომ დაავადების გავრცელების საფრთხე თავიდან ავიცილოთ. შარშან სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, უდიდესი ფართობი დამუშავდა, რათა კოღოებისგან წყლიანი ზედაპირების გაუვნებელყოფა მომხდარიყო. ახლა კრიტიკული წერტილები რეალურად არ გვაქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, მაქსიმალური სიფრთხილით ვიღებთ ზომებს, – აღნიშნა დავით სერგეენკომ.

რაც შეეხება **H1N1** ვირუსს, მინისტრის ინფორმაციით, ავადობის სიხშირემ კლება დაიწყო.

– ბოლო კვირის მონაცემებით, შემთხვევების კლებაა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რისკი განულებულია. დაავადების გავრცელების პიკია გადავლილი, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ახლაც მკურნალობენ, რამდენიმე მათგანი კრიტიკულ მოვლასაც კი საჭიროებს. ავადობის აფეთქების პიკმა გადაიარა, თუმცა ყურადღება ისევ სჭირდება, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## თელავში ვახტანგიშვილების ოჯახი დააყაჩაღეს

ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრებ ვახტანგიშვილებთან ამ დრომდე დაუდგენელი ორი პირი შეიჭრა.

არსებული ინფორმაციით, ცოლ-ქმარს ჯერ ფიზიკურად გაუსწორდნენ, შემდეგ კი სახლიდან ძვირფასეულობა და გარკვეული რაოდენობის თანხა გაიტაცეს.

მეზობლების ინფორმაციით, ხნიერი ქალბატონი მძარცველებმა დაბეს. დაზარალებულს დაზიანებები თავის არეში აქვს მიყენებული. ქალბატონის მეუღლეს კი ამ ინციდენტის შედეგად ინსულტი განუვითარდა.

ორივე მათგანს მკურნალობის კურსი თელავის რეფერალურ საავადმყოფოში უტარდება. ექიმების განცხადებით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურად მძიმეა. (pia.ge)

## ანა დოლიძე და ალექსანდრე ბარამიძე თანამდებობების დასატოვებლად ემზადებიან?



იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა იმ ადამიანების სია, რომლებსაც სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეობის სურვილი აქვთ. 47-კაციან სიაში რამდენიმე ცნობილ გვართან ერთად იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრების მოქმედი მოადგილეებიც არიან.

როგორც აღმოჩნდა, თინა ხიდაშელის მოადგილე ანა დოლიძესა და თეა წულუკიანის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძეს, ევროსასამართლოში მუშაობის სურვილი აქვთ. იმ შემთხვევაში თუ ისინი კონკურსში გაიმარჯვებენ, თანამდებობების დატოვება მოუწევთ,

თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ კონკურსი 2016 წლის ოქტომბერში უნდა დასრულდეს. ამ თარიღს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ემთხვევა, რომლის შემდეგაც ქვეყანაში საკადრო გადაადგილებები, სავარაუდოდ, ისედაც მოხდება.

(politcommersant.ge)

## „ნაკურთხი წყალი შეიძლება ყველაფერს ასხურო — აიფონსაც და ქალსაც"



სოციალურ ქსელში ვირუსივით გავრცელდა ვიდეო ნაკურთხ აიფონებთან დაკავშირებით. როგორც „აიფონ პლუსის" მენეჯერმა აღნიშნა, „აიფონ პლუსი" არის პირველი მაღაზია, სადაც ნაკურთხი აიფონები გაიყიდება.

ამ კომენტარს ძალიან დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და სოციალური ქსელი ააფეთქა. ძალიან ბევრი ადამიანი გაბრაზდა, ზოგი კი გამხიარულდა. უამრავმა ადამიანმა დააფიქსირა საკუთარი აზრი, მათ შორის არქიმანდრიტმა ანთიმოზმაც, რომელმაც „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე შემდეგი შინაარსის პოსტი გამოაქვეყნა:

– რა იყო, რა ამბავი ატეხეთ?! ნაკურთხი წყალი შეიძლება ყველაფერს ასხურო: აიფონსაც, მანქანასაც, გაზის გამათბობელსაც და ქალსაც...

მაღაზიის პატრონს უნდა მაღაზია ნაკურთხი იყოს, აიფონის თუ სათვალეების. ათეისტები ნუ შეხვალთ, – წერს მამა ანთიმოზი.

(ნიუპოსტი)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



## ვინ დგას რეალურად „მაესტროს" სკანდალის უკან?!




ტელეკომპანია „მაესტრო" და მის გარშემო განვითარებული მოვლენები გასული კვირის მთავარ თემად დარჩა. მნიშვნელოვანი კი ის ფაქტი გახლავთ, რომ საჯარო რეესტრმა ლევან გაჩეჩილაძის „მაესტროს" დირექტორად დარეგისტრირების საკითხი შეაჩერა. ამის საფუძველი კი, „მაესტროს" მოქმედი გენდირექტორის, ბაია გადაბაძის განცხადება გახდა, მან წერილობით მიმართა საჯარო რეესტრის ხელმძღვანელობას, რომ ლევან გაჩეჩილაძე კანონდარღვევით არის არჩეული „მაესტროს" გენდირექტორად და გთხოვთ, ნუ დაარეგისტრირებთო. საჯარო რეესტრიც ისე მოიქცა, როგორც ბაია გადაბაძეს სურდა. ოფიციალურად, კი ამ სახელმწიფო სამსახურმა იმიტომ შეაჩერა რეგისტრაცია, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ხარვეზი შენიშნა. ეს „ხარვეზი" რა შეიძლება იცით, იყოს? დავუშვათ, ჩაბარებულ დოკუმენტაციაში, ერთ-ერთ ფურცელზე კალმით დასმული წერტილი, ან იმავე კალმით გასმული 5-მილიმეტრიანი ხაზი. აი, ეს შეიძლება ჩათვალოს საჯარო რეესტრმა ხარვეზად და ნებისმიერი სახის რეგისტრაცია შეაჩეროს. ამბობენ, ლევან გაჩეჩილაძეს იმიტომ უთხრეს უარი „მაესტროს" გენდირექტორად დარეგისტრირებაზე, რომ საქმეში თეა წულუკიანი ჩაერია და მან დაავალა საჯარო რეესტრის ხელმძღვანელობას, რაღაც, თუნდაც მოგონილი საბაბით რეგისტრაცია შეეჩერებინათო. თეა წულუკიანის ამ სავარაუდო საქციელს კი ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. მოგეხსენებათ, ვიდრე გია გაჩეჩილაძე „მაესტროს" დამფუძნებელთა კრებას მოიწვევდა, ბაია გადაბაძეს მოხსნიდა გენდირექტორის პოსტიდან და საკუთარ ძმას დანიშნავდა, 2 დღით ადრე შეხვდა მეგობარს, პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს. საფუძვლიანად გაჩნდა ეჭვი, რომ კვირიკაშვილი სწორედ „მაესტროსთან" დაკავშირებით შეხვდა გაჩეჩილაძეს და ის, მინიმუმ, საქმის კურსში იყო, რომ „მაესტროს" საკონტროლო პაკეტი გია გაჩეჩილაძის ხელთ იყო და ისიც იცოდა, რომ ლევან გაჩეჩილაძე უნდა გამხდარიყო არხის შეფი. ჰოდა, რადგან სკანდალი ატყდა, ხელისუფლების ეს კვალი რომ დაეფარა, სწორედ იმიტომ დაავალა წულუკიანმა იუსტიციის სამინისტროს ქვემდებარე უწყებას, შეეჩერებინა „მაესტროს" დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილება.

სადავო გახდა ლევან გაჩეჩილაძის ეს 55%-იანი წილიც. შეგახსენებთ, რომ გაჩეჩილაძე „მაესტროში" 25%-ს ფლობდა, შემდე კი 30% იყიდა ბადრი პატარკაციშვილის ყოფილი ბიზნესპარტნიორისა და ამჟამად პატარკაციშვილების ოჯახის ბიზნესების მმართველის, ირაკლი რუხაძის მიცემული ფულით. რუხაძემ 2.5 მილიონი დოლარი ასესხა გია გაჩეჩილაძეს და ამ ფულით „მაესტროს" 2 დამფუძნებლისგან 15-15%, საბოლოოდ კი 30% შეიძინა. ეს შენაძენი, 30%, სადავო არ არის, სადავო ძველი, 25% გახდა. „მაესტროს" მეწილე და შეიძლება ითქვას, ამ არხს თანგადაყოლილი მამუკა ღლონტი კარტებს ბოლომდე არ ხსნის და ორაზროვნად აცხადებს, რომ ლევან გაჩეჩილაძეს, წესით, ის ძველი 25% არ უნდა ჰქონოდა. მისი თქმით, არსებობს ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ლევან გაჩეჩილაძემ ეს 25% კონკრეტულ პიროვნებას მიჰყიდა და სავარაუდოდ, ამ გარიგების საფასურად ფულიც აიღო. თუ ფული აიღო, ლოგიკურად, ლევან გაჩეჩილაძეს იმ პიროვნებისთვის უნდა გადაეფორმებინა „მაესტროს" წილის 25%. სამწუხაროდ, ღლონტი დეტალებს ჯერ არ აკონკრეტებს... ვინ არის ეს სავარაუდო მყიდველი, არც ამას ასახელებს მამუკა ღლონტი, თუმცა, მისი ვინაობა იცის. ის ამბობს, რომ გაარკვევს, ლევან გაჩეჩილაძეს გადაუხადა თუ არა ამ ინკოგნიტო პიროვნებამ ამ 25%-ის საფასური. ალბათ, გაარკვევს, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, ჯერ გაერკვია და შემდეგ დაეყენებინა ეჭვქვეშ ლევან გაჩეჩილაძის 25%-იანი წილის მფლობელობა.

ბაია გადაბაძემ, აქაოდა უკანონოდ მხსნიან „მაესტროს" გენდირექტორობიდანო, დახმარებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართა და ამერიკის ელჩეს, იან კელისაც შეხვდა. ამ შეხვედრამ საზოგადოებაში დიდი ირონია გამოიწვია და საფუძვლიანიც. მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას, საქართველოში მოქმედი 14 ტელეკომპანიიდან, თორმეტს დამფუძნებელი ძალადობითა და შანტაჟით შეეცვალა. მაგრამ ამერიკის ხელისუფლებას კრინტი არ დაუძრავს. მხოლოდ ერთხელ გამოთქვა პროტესტი მედიაზე ზეწოლის გამო, როდესაც „იმედში" სპეცრაზმელები შეიჭრნენ და ეს არხი დაარბიეს... ბაია გადაბაძე აცხადებს, რომ „მაესტროს" ხელში ჩაგდება ძმებ გაჩეჩილაძეებს პოლიტიკური მოტივით სურთ, ანუ არხი ხელისუფლების კონტროლქვეშ უნდა გადავიდესო. რაც ეს ამბავი ატყდა „მაესტროზე", ბაია გადაბაძე „ნაცმოძრაობის" მიერ კონტროლირებადი „რუსთავი 2"-ის ეთერიდან არ ჩამოსულა, ლამის ყოველდღე და ყველა გადაცემაში იწვევენ და ალანძღვინებენ ცალკე ხელისუფლებას, ცალკე – გაჩეჩილაძეებს. არადა, სწორედ „მაესტრო" იყო, „ნაცმოძრაობა" თავგამოდებით რომ ებრძოდა. მაშინ ბაია გადაბაძე „მაესტროს" საინფორმაციო სამსახურის უფროსი იყო. სულ მცირე, შენს ყოფილ მტერთან, რომელიც განადგურებასა და დამარხვას გპირებდა, დასახმარებლად

**»» პვირის ჩანთლი**

არ უნდა მიხვიდე – მე ამას მკარნახობს მორალი. თუმცა, ეტყობა, ზნეობაზე მე და ბაია გადაბაძეს სხვადასხვა წარმოდგენა გვაქვს. მან ყოფილ მტრებს ისე მიმართა დასახმარებლად, წარბი არ შესტოკებია... მოგვიანებით კი, „პლასტინკა" შეცვალა და განაცხადა, მე რომ მეგონა, ამ პროცესების უკან ხელისუფლება იდგა, ასე არ ყოფილა, ირაკლი რუხაძეს უნდა თავად პოლიტიკაში შემოსვლა და დამოუკიდებელი მოთამაშეაო!!!

მოკლედ, ამ ბოლო პასაჟიდანაც ჩანს, რომ იმაზე დიდი არეულობაა არხზე, ვიდრე, გვეგონა და არც ისე მალე დალაგდება სიტუაცია, როგორც ამას „მედიაექსპერტები" პროგნოზირებდნენ.

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



## რატომ უყიდა სუს-ს 2 მილიონი დოლარის

საქართველოს საპარტნიორო ფონდმა სახელმწიფო უშიშროების სააგენტოს 2 მილიონი დოლარის ღირებულების, „ტოიოტა ქამრის" 102 ავტომობილი შეუძინა და აჩუქა. ფონდის თავმჯდომარე დავით საგანელიძე აცხადებს, რომ ეს არა ფონდის, არამედ მთავრობის გადაწყვეტილება იყო და ფონდს მსგავსი საკითხების გადაწყვეტის უფლება არ გააჩნია. ამ თითქოსდა ჩვეულებრივმა ამბავმა, არაერთი კითხვის ნიშანი გააჩინა. საპარტნიორო ფონდი, როგორც სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, 2011 წელს შეიქმნა. ფონდის ვებგვერდზე გარკვევით წერია, რომ „საპარტნიორო ფონდი" შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით. ფონდს ფინანსურად უზრუნველყოფენ საქართველოს რკინიგზა – 100% წილი, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია – 100% წილი, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა – 100% წილი, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი – 100% წილი, სს თელასი – 24.5% წილი. მოკლედ, ეს ფონდი მთლიანად საბიუჯეტო სახსრებით ფინანსდება და მისი მთავარი ფუნქციაა, მსხვილი პროექტების დაფინანსებაში დაეხმაროს ბიზნესს, თანამონაწილეობა მიიღოს ამ პროექტების ინვესტირებაში. სუს-ისთვის ფონდის სახსრებით



ავტომობილების შეძენა დიდი შეცდომა იყო იმიტომ, რომ, როდესაც ცენტრალური მთავრობა ფონდის მოგებიდან აფინანსებს საკუთარ ბიუროკრატიულ ხარჯებს, ეს ფონდს აცლის ფინანსურ რესურსს, რომელიც სხვა შემთხვევაში რომელიმე საინვესტიციო პროექტს, მაგალითად, სასტუმროს, ქარხ-

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# დავით ონოფრიშვილი: „რაც ლარის გაუფასურებამ გამოიწვია, რაც მოსახლეობას ბანკის პროცენტები მოემატა, ამ ახალი პროექტით ეს პრობლემა მაინც მოიხსნება“






„თავისუფალი დემოკრატები“ მთავრობას ახალი ინიციატივით მიმართავენ: „საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იპოთეკურ და ქონებით უზრუნველყოფილ სესხებში თავისი შემოსავლის ნახევარზე მეტს იხდის. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა ლარის გაუფასურებისა და ინფლაციის შედეგად. პროექტი, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ ამ ტვირთის შემსუბუქებას გულისხმობს: იპოთეკური და ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე გადახდილი პროცენტების მთლიანი ოდენობა გამოაკლდება დასაბეგრ შემოსავალს. აღნიშნული ინიციატივის შედეგად მოქალაქეებს გადასახდელი პროცენტის 20% დაეზოგებათ. ეს თანხა ჩვენს მოქალაქეებს დარჩებათ საშემოსავლო გადასახადის შემცირების ხარჯზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საშემოსავლო გადასახადის დათვლისას, დასაბეგრი შემოსავალი შემცირდება გადასახდელი პროცენტის თანხით. ანუ თქვენი შემოსავლის ის ნაწილი, რომელსაც ბანკში იხდით, სახელმწიფოს მხრიდან არ დაიბეგრება. მაგალითად, თუ მოქალაქის ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 600 ლარს (გადასახადების ჩათვლით), ანუ ყოველთვიურად ხელზე ასაღები ხელფასია 480 ლარი (600 ლარს მინუს 20% საშემოსავლო). დავუშვათ მოქალაქე, მოცემულ თვეში, იპოთეკურ და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხზე, პროცენტის სახით იხდის 200 ლარს. ჩვენი პროგრამის მიხედვით, აღნიშნული 200 ლარი გამოაკლდება დასაბეგრ შემოსავალს (600 ლარს) და საშემოსავლო დაითვლება 400 ლარიდან (600-200). ანუ გადასახდელი საშემოსავლო იქნება 80 ლარი 120 ლარის მაგივრად. შესაბამისად, მოქალაქის მიერ ხელზე ასაღები თანხა იქნება 520 ლარი. ჩვენი გაანგარიშებით, მოსახლეობას, ჯამში, დაახლოებით 100-150 მილიონით შეუმცირდება საშემოსავლო გადასახადი“.

**როგორც ხედავთ, „თავისუფალი დემოკრატების“ ინიციატივა ისეა ჩამოყალიბებული, ამ ყველაფერის გაგებას გონების დაძაბვაც არ შველის და საჭიროა უფრო გამარტივება, რათა ყველასთვის გასაგები იყოს. როგორც საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, დავით ონოფრიშვილი გვეთანხმება და ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ტექსტი მართლაც რთული გასაგებია და კარგი იქნება, თუკი გარკვევით ავუხსნით მოსახლეობას:**

– მარტივად რომ ვთქვათ, ხელფასი არ დაიბეგრება პირდაპირ, საშემოსავლო თანხას გამოაკლდება ის პროცენტი, რასაც ბანკში იხდით და ამის მერე დაიბეგრება 20 პროცენტით. აქ არ არის ლაპარაკი სესხის ძირზე, ასე ძალიან დიდ თანხებზე გავალთ.

**— გააჩნია სესხსაც, რამდენია, ზოგი 150 ათასის პროცენტს იხდის. საშემოსავლო გადასახადიდან ამოღებული თანხა არ ეყოფა.**

– კი, რასაკვირველია, ასეა, მაგრამ რასაც გასწვდება საშემოსავლო, ესეც რაღაცას ნიშნავს. ოღონდ ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხელფასი და იხდიდეს საშემოსავლოს. ბანკები უმუშევრებს ისედაც არ აძლევენ სესხებს.

**— თქვენ მოგაქვთ მაგალითი 600-ლარიან ხელფასზე: ესე იგი, თუ ადამიანი იხდის 20 პროცენტს, ანუ 120 ლარს, გადაიხდის 80 ლარს, აქ შეღავათი გვაქვს 40 ლარი, ეს რას ეყოფა?**

– 40 ლარი თვეში. თუ არ ეყოფა, მთლიანი საშემოსავლოც რომ წავიდეს პროცენტებში, არც ეგაა ტრაგედია ბიუჯეტისთვის. საკითხი მარტივია, თუ გაქვთ აღებული სესხი, საშემოსავლოდან წავიდეს თანხა პროცენტში.

**— როდესაც ადამიანი სესხს იღებს, მას ჰყავს რამდენიმე თავდები, ეს შეღავათი მათაც ეხებათ?**

– არა, თავდებს არ ეხება, ეს შეეხება მხოლოდ იმას, ვისაც მხოლოდ სესხი აქვს აღებული, კონკრეტულ პიროვნებას. არის ოჯახები, სადაც რომელიღაც წევრს მაღალი ხელფასი აქვს, ამ შემთხვევაში არც მაგას ექნება მნიშვნელობა, არ დაიბეგრება იმ წევრის საშემოსავლო, ვისზეც უშუალოდ სესხია გაცემული. ვისაც მაღალი ხელფასი აქვს, ცხადია, იმას უფრო მეტი გამოუვა შეღავათი.

**— ეს საინტერესო კომბინაციაა, მაგრამ ზოგმა სესხი აიღო და ამის შემდეგ დარჩა უმუშევარი, ამ კატეგორიის ხალხს არაფერი, ხომ?**

– არა, არაფერი... სამწუხაროდ, ამ კუთხით სიტუაციას ვერ ვაკონტროლებთ. ახლა ჩვენ რომ ვიყოთ ხელისუფლებაში, დავსხდებოდით და რაღაცას მოვიფიქრებდით, ბანკებსაც დაველაპარაკებოდით. ოპოზიციის მხრიდან ცოტა ძნელია, არ გვინდა, პოპულისტური ლაპარაკი დავიწყოთ – აი, რაღაცა ფონდს შევქმნით და ასე შემდეგ. სხვა ქვეყნებში მსგავს რაღაცებს აკეთებენ, ხელისუფლება დაზარალებულებს ეხმარება ხოლმე, მაგრამ ეს მთავრობა არ აკეთებს. რასაც ჩვენ ამ ეტაპზე ვთავაზობთ, ეს რეალურია, მინიმუმ, რაც ლარის გაუფასურებამ გამოიწვია, რაც მოსახლეობას პროცენტები მოემატა, იმას მაინც გადავფარავთ და ეგეც შეღავათი იქნება.

**— თქვენ სთავაზობთ მთავრობას თუ ეს პარლამენტის გადასაწყვეტია?**

– ჩვენ პარლამენტში შევიტანთ ინიციატივას. ახლა ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია, ამ ეტაპზე ვეღარაფერს შევცვლით. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ცვლილებები კანონში შევიდეს თუნდაც შუა წლიდან, მაგრამ 2017 წლიდან მაინც უნდა ამოქმედდეს. როცა ბიუჯეტი დაიგეგმება, უნდა გაითვალისწინონ. ამ ყველაფრისთვის ბიუჯეტში საჭიროა 150 მილიონ ლარამდე. ახლა რომ დაიწყო ფინანსთა სამინისტრომ მოგების გადასახადზე ლაპარაკი, ხადურმა თქვა, ზაფხულში 400 მილიონ ლარამდე მოგვიწევს ბიუჯეტის შემცირებაო. ჩვენ რასაც ვამბობთ, ეს უფრო შესაძლებელია, თუკი მთავრობა მოინდომებს...

## მანქანები საპარტნიორო ფონდმა?!

ანას ან ჰესს შეიძლება მოხმარებოდა. მოკლედ, ეს მთავრობა ვერა და ვერ მოეშვა სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების ფუნქციებში შეჭრა-ჩარევას და რასაც და როგორც უნდა, ისე აკეთებს. არც ფონდების წესდება და ფუნქციები აინტერესებს და არც სხვა – გასდის და აკეთებს.

ამ დროს, ფონდი სრულიად გაუგებარ რამეს აკეთებს – სუს-ისთვის 2 მილიონის ღირებულების მანქანებს ყიდულობს, რაც მისი საქმე ნამდვილად არ არის. დავით საგანელიძის განცხადება, რომ ეს მთავრობის გადაწყვეტილება იყო, თავის მართლებას ჰგავს. „ალია“ ფონდის ამ გადაწყვეტილების კანონიერების შესახებ ეკონომისტ დემურ გიორხელიძეს ესაუბრა. მან აღნიშნა, რომ, რადგან ფონდი სახელმწიფო საკუთრებაა, რაიმე იურიდიულ შეუსაბამობას ვერ ხედავს მის მიერ სუს-ისთვის ავტომობილების შეძენაში, თუმცა მთავარში დაგვეთანხმა – ეს არ არის ფონდის საქმე, მას სხვა ფუნქცია აკისრია, სახელმწიფოს თუ მაინცდამაინც ახლა სურდა სუს-ისთვის ავტომობილების შეძენა, მართებული იქნებოდა, ამისთვის ფინანსთა სამინისტროს გამოეყო თანხები და ამ ფულით ეყიდათ ეს ავტომობილებიო. დავით საგანელიძე აცხადებს, სუს-ს ეს ავტომობილები ანტიტერორისტული საქმიანობისთვის სჭირდებაო! ავტომობილების შესყიდვის შედეგად სუს-ის 36-მილიონიანი ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დახარჯულა. რეალურად კი ბიუროკრატიული ხარჯები 2 მილიონი დოლარით გაიზარდა. უცნობია, რა საჭიროებას წარმოადგენდა ავტომობილების 2015 წლის დეკემბერში შესყიდვა და რატომ ვერ შეიძენდა სუს-ი მათ 2016 წლის ბიუჯეტით. საპარტნიორო ფონდი ადრე ერთხელ უკვე გახდა სკანდალის მიზეზი. საგანელიძემ საკუთარი ძმისშვილის, გიორგი საგანელიძის ფარმაცევტულ კომპანია „ჰუმანითი ჯორჯიას“, 130-მილიონიანი პროექტისთვის, თანადაფინანსების სახით 30 მილიონი დოლარი გამოუყო. საპარტნიორო ფონდში ბიზნესმენები რიგში დგანან, მათ შორის, ფარმაცევტული დარგისა, მაგრამ ფონდი მათთვის კაპიკს ვერ იმეტებს. ხომ ფაქტია, რომ დავით საგანელიძემ „ჰუმანითი ჯორჯიას“ იმიტომ მისცა 30 მილიონი დოლარი, რომ ამ კომპანიის მეწილე მისი ძმისშვილია. ამ ფონდის მიერ ამხელა თანხით დაფინანსებული პროექტის შესახებ ჯერ არ მსმენია და უცებ, ბრახ – 30 მილიონი გიორგი საგანელიძის კომპანიას. ნამუსი იქონიეთ, ამ საბიუჯეტო ფულს ისე ნუ უყურებთ, როგორც საკუთარს, ნათესავ-მეგობრების ბიზნესზე ნუ ანაწილებთ მილიონობით დოლარს და ვისაც მართლა სჭირდება ფული, იმ ხალხს მიეცით, თორემ ისედაც დედა აქვს ნატირები ამ ქვეყნის ეკონომიკას და აბა, თქვენ იცით, ბოლომდე თავზე დაგვამხვეთ.

## ტრაგედია კახეთში — ბადიაურთან ავტოავარიას 5 ადამიანი ემსხვერპლა

კახეთში მომხდარმა ავტოავარიამ 5 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 2 ადამიანი კი მძიმედ დაშავდა.

საგარეჯოს რაიონში სოფელ ბადიაურთან ერთმანეთს „ოპელის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი და მიკროავტობუსი შეეჯახნენ. დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი მდგომარეობა მძიმეა. (ნიუპოსტი)

## გიორგი ვოლსკი: კონსტიტუციაში განისაზღვრება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი ვოლსკი აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარეობს მუშაობა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციაში განისაზღვრება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა განმარტა, აღნიშნული საკონსტიტუციო ნორმა ერთსქესიანთა ქორწინების ცალსახა უარყოფა იქნება.

– ბოლო პერიოდში გაკეთდა განცხადებები, რომ უნდა მოხდეს ინიცირება საკონსტიტუციო ცვლილების, რომ ოჯახი წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის ერთობას და ზუსტად ის ფორმულირება, რომელიც არსებობს სამოქალაქო კოდექსში, გადატანილ იქნას საკონსტიტუციო ნორმად. ჩვენ ამის თაობაზე შარშან დავიწყეთ საუბარი. დღეს მზად გვაქვს პროექტი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში. გარკვეული კონსულტაციები მიმდინარეობს კოალიციაში. ყველას ვთხოვთ, რომ თავი შეიკავონ ზედმეტი რადიკალიზმისგან, ზედმეტი განცხადებებისა და გამწვავებისგან ამ თემის. ამას სჭირდება საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა და დღეს თუ ხვალ ნახავს დღის სინათლეს. ბევრი ევროპული ქვეყანა სწორედაც რომ ასეთი სტანდარტით სარგებლობს, რომელსაც ჩვენ შემოგთავაზებთ. არსებობს ქვეყნები, სადაც არ არსებობს ერთსქესიანთა ქორწინება, მაგრამ არსებობს რაღაც ფორმა ურთიერთობის, რომელიც საკუთრების თემაზეა ორიენტირებული და არსებობს ზოგ ქვეყანაში დაშვებულობაც და ამისგან არავინ ქმნის დაძაბულობას, – განაცხადა ვოლსკიმ.

მისივე თქმით, კონსტიტუციაში უკვე წერია ქალისა და ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ იმ კონტექსტში, რასაც ოჯახი ჰქვია და ხდება ამ ნორმის უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება. (რეპორტიორი)

## „ჩვენ ირანი ძალიან გვჭირდება“



„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, გიორგი გაჩეჩილაძე ირანთან სავიზო რეჟიმის გამარტივებას დადებითად აფასებს.

როგორც გაჩეჩილაძე აცხადებს, რადგან ირანს საერთაშორისო სანქციები მოეხსნა, საჭიროა მასთან ძალიან მჭიდრო კავშირების დამყარება, რათა ირანიდან გაზის დამატებითი რესურსები წამოვიდეს, რაც, გაჩეჩილაძის განმარტებით, საქართველოს საშუალებას მისცემს, გაზის რესურსების მიწოდების თვალსაზრისით, ცენტრალურ ქვეყნად გადაიქცეს.

– ჩვენ ირანი ძალიან გვჭირდება მას შემდეგ, რაც მას საერთაშორისო დონეზე შეზღუდვები მოეხსნა. ჩვენ გვაქვს შანსი, რომ საქართველო ვაქციოთ ენერგეტიკულ ჰაბად. ჩვენ თუ „შაჰდენიზი 1“, „შაჰდენიზი 2“-ის საშუალებით, ირანის გაზის, აზერბაიჯანული „სოკარის“ გაზის ძირითადი გამტარი გავხდებით, ჩვენი დაცულობა, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოსი, იქნება ძალიან მაღალი და სწორედ მაშინ შესაძლებელია, რომ საქართველომ მართლაც რეალური ნაბიჯები გადადგას ნატო-ში გაწევრიანების თვალსაზრისით. ამიტომ ირანთან ურთიერთობების აღდგენა არის ძალიან მნიშვნელოვანი, – აღნიშნა გაჩეჩილაძემ. (pia.ge)

## აშშ-ისა და ევროპის საფონდო ბირჟებზე კვლავ კრიზისია



ნავთობის ფასების პარალელურად, აშშ-ის საფონდო ინდექსმა ვაჭრობა ვარდნით დაიწყო.

**Dow Jones**-ის საფონდო ინდექსი 2 პროცენტით, **NASDAQ _ 1,9** პროცენტით, ხოლო **S&P 500 1,8** პროცენტით დაეცა.

უარყოფითი ტენდენცია დაფიქსირდა ევროპულ ბაზრებზეც: პარიზის ინდექსი **CAC-40** და ფრანკფურტული **DAX-i 3** პროცენტით, ხოლო ლონდონის **FTSE** თითქმის 2,6 პროცენტით დაეცა.

განსხვავებული ვითარებაა აზიურ ბაზრებზე.

იაპონიის ინდექსი **NIKKEI _ 1,1** პროცენტით, ჰონკონგური **Hang Seng**-ი კი 0,6 პროცენტით გაიზარდა.

„ბიბისის“ ინფორმაციით, **S&P**-ისა და „ნაზდაქის“ ინდექსებისთვის ეს ყველაზე ცუდი პირველი სესიაა 2001 წლის შემდეგ.

ანალიტიკოსთა განცხადებით, აშშ-ის საფონდო ინდექსის ვარდნაზე გავლენა იქონია ჩინეთში საფონდო ინდექსების მკვეთრმა დაცემამ და შუა აღმოსავლეთში შექმნილმა დაძაბულობამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

# რაში ჭირდება ზვიად ძიძიგურს თავის პარტიაში ყოველი მესამე ქალი?

ნინო ზამთარაძე
599 02 06 87



რეპორტაჟი

10 თებერვალს, ვერის კალათბურთის დარბაზში, კონსერვატორული პარტიის მე-6 (რიგგარეშე) ყრილობა ჩატარდა. პარტიის თავმჯდომარემ, ზვიად ძიძიგურმა განმარტა: რიგგარეშე ყრილობის მიზანი ქალის პოლიტიკაში ჩართვაზე ზრუნვაა. კერძოდ, „ქალთა წარმომადგენლობა საარჩევნო სიის ყოველ ათეულში განისაზღვროს მინიმუმ 3 კანდიდატით“. ეს ცვლილება შევიტანეთ წესდებაში, რაც ემსახურება, ქალის როლის გააქტიურებას კონსერვატორული პარტიის რიგებშიო. ახლავე მიხვდებით, ასე ოფიციალურად და ქალებზე აქცენტით რატომ დავიწყე ეს რეპორტაჟი...

ხალხის ნაწილი ინფორმირებული იყო, რომ ყრილობა პირველ საათზე იწყებოდა. მეც ასევე. როცა დარბაზში შევედით, ცოტა ხალხი იყო. ბეიჯიანმა მამაკაცმა მიგვითითა, რომელ სექტორში დავმსხდარიყავით. საშინლად ციოდა. შენობის შესასვლელ-გამოსასვლელი ღია იყო და უბერავდა. ყველა პლასტმასის სკამზე გაზეთი „კონსერვატორი“ და კალამი იდო. წინა რიგში ორი ქალი დაჯდა, მათ მიმდებარე სკამებზე გაზეთები და კალმები მოასუფთავეს და ჩანთებში ჩაიწყვეს. უკანა რიგში მამაკაცები ისხდნენ, ერთი კითხულობდა, ამ ქალებს ამდენი გაზეთი და კალამი რაში სჭირდებათო? პასუხები ასეთი იყო: ხორცის შესახვევად, გაყიდიან, ყვითელთმიანი ინტელექტუალი ჩანს და ბესტსელერს დაწერსო. მათ ხალისობას საზღვარი არ ჰქონდა. გაბრაზებულმა უკან მივიხედე. იმ წუთში, რამდენიმე რიგით უკან გადასხდნენ. ჩემს გვერდით მყოფმა ქალბატონმა, ორი გაზეთი ერთმანეთს დაადო და დაჯდა. მითხრა, ასე კარგია, არ მეგონა, გაზეთი თუ გამათბობდაო. წინა რიგში ქალბატონებმა ხმამაღლა გააპროტესტეს: რატომ მოგვატყუეს, პირველ საათზე იწყება, უკვე ორმოცი წუთი გავიდა, როგორ ცივა, გავიყინეთ, ალბათ, ავად გავხდებითო და წავიდნენ. უცებ, ყველა სექტორი ხალხით გადაიჭედა. ქვემოთ, სახელდახელოდ გაკეთებული პარტერიც შეივსო, იქ „ძლიერნი ამა სოფლისანი“ ისხდნენ. სამის ოცი წუთი(!) იყო, როცა ზვიად ძიძიგური „ევროპელი კონსერვატორების“ თავმჯდომარესთან ერთად დარბაზში შემოვიდა. გვეშველა! დაიძახა ვიღაცამ. ხალხმა ტაში დაუკრა. საქართველოს ჰიმნზე ყველანი ფეხზე ავდექით, ამ დროს უკანა რიგში მყოფმა მამაკაცმა, ჩემს გვერდით მჯდომი ქალბატონის გაზეთები აიღო.

– რატომ ამაცალეთ გაზეთები?

– ქალბატონო, არ გრცხვენიათ, გაზეთებზე დაჯდომა სად გაგონილა?

– ჩემი საკუთრება ამაცალე და სირცხვილზე შენ მელაპარაკები?

– ჩვენ წაკითხვა გვინდა და მერე დაგიბრუნებთ.

– მანდ წასაკითხი არაფერია, ერთბაშად არ განათლდეთ. მომეცი ჩემი გაზეთები, გავიყინე! დროზე მოსულიყავი და სკამზე დაგხვდებოდა შენი გაზეთი.

– ქალბატონო, ეს გაზეთია და არა პლედი. რა, სკამზე ორი გაზეთი იდო? ასე, სხვისი გაზეთები რომ მიიტაცეთ, მე ამის გამო არ დამხვდა.

ნუ ჩხუბობთ, გაჩერდით, იძახდა ხალხი. ქალი ადგა და წავიდა. ამ დროს დარბაზში, ეკრანზე, ფილმი გადიოდა, რომელიც კონსერვატორების გაძლიერებასა და მიღწევებს ასახავდა.



**უკანა რიგში მამაკაცები ისხდნენ, ერთი კითხულობდა, ამ ქალებს ამდენი გაზეთი და კალამი რაში სჭირდებათო? პასუხები ასეთი იყო..**

საქართველოს კონსერვატორული პარტიის თავმჯდომარემ, ზვიად ძიძიგურმა, თავის გამოსვლაში, აღტაცებულმა და გახარებულმა აღნიშნა, ყრილობას 2337 დელეგატი ესწრება, ეს იმის მაჩვენებელია, როგორ გავძლიერდითო. შემდეგ პარტიის წარმომავლობაზე, ორიენტაციაზე, მრწამსზე, მიღწევებზე და ქალთა გააქტიურებაზე ისაუბრა.

„კონსერვატორული პარტიის ლიდერები – ბიძინა გუჯაბიძე, გიგა ბუკია, მერაბ კაჭახიძე და სხვა ეროვნული მოძრაობიდან მოვდივართ და ეროვნული ღირებულებების დაცვა ჩვენთვის ბუნებრივი პროცესია. „კონსერვატორები“ ასეთები ვართ და ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავალი მის ტრადიციულ ღირებულებებთან ერთად წარმოგვიდგენია. ამ ეპოქაში, როცა აქტიურად მიმდინარეობს საზღვრების წაშლა, ერთიანი ფულის ერთეულების შემოღება, ერთიან ენაზე გადასვლა, ჩვენი მრწამსია, იდენტობა, თვითმყოფადობა და ღირებულებები დავიცვათ. საერთაშორისო კუთხით „კონსერვატორების“ ერთ-ერთი წარმატება სწორედ ის არის, რომ „ევროპელი კონსერვატორებისა და რეფორმისტების ალიანსის“ წევრები გავხდით. ევროინტეგრაციის პროცესში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერა საქართველოს ძალიან სჭირდება. კოალიციამ ქვეყნის მთავარ გამოწვევას გაუძლო. საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა, როცა ექვსმა პარტიამ ქვეყნის მართვა კოალიციურ რეჟიმში დაიწყო და უმრავლესობა შეადგინა. ამ საქმეში პირველი ვიოლინო ბიძინა ივანიშვილი იყო. ბატონი ბიძინა რომ არ ყოფილიყო, საქართველოს პოლიტიკური ვითარება გაცილებით სხვა და მძიმე იქნებოდა...“




ამ პათოსით წარმოთქმული სიტყვის პარალელურად, ყრილობის გაყინულმა დელეგატებმა, ჯგუფებად დაიწყეს დარბაზიდან გასვლა. ევროპელ სტუმრებს ერთ-ერთმა ქალბატონმა ცხელი ყავა თუ ჩაი მიართვა. პრეზიდენტს ჭიქა ორივე ხელით რამდენიმე წუთი ეჭირა და მერე დალია. მეც გავიყინე და წამოვედი. ფილარმონიის მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავედი. მაღაზიასთან სამი ქალი იდგა. ერთი მათ გამოეყო და მითხრა:

– მე თქვენ ყრილობაზე დაგინახეთ, ერთი გამაგებინეთ, ნუთუ შეიძლება ამხელა სპორტის დარბაზს ტუალეტი არ ჰქონდეს?

– რა, ვერ იპოვეთ? რა თქმა უნდა, ექნება.

– ვერსად ვნახეთ. გამოსასვლელში გვითხრეს მიწისქვეშა გადასასვლელშიაო.

– ვინ გითხრათ? ბეიჯიანი ბიჭებისთვის გეკითხათ. შენობაში აუცილებლად იქნება.

– ეს რა დაგვემართა, ხათრის გამო ამხელა გზაზე წამოვედით. როგორ გაგვყინეს. რომ მოვკვდეთ, ჩვენი ქელეხის ფულს კონსერვატორები გადაიხდიან? მეტი არაა ჩემი მტერი. ვინ გვყავს პატრონი.

– საიდან ჩამოხვედით?

– იმერეთიდან. გეტყობათ, აქაური ხართ. აქ, ახლოს დიდი თბილი მაღაზია არ არის? თუ არ გავთბით, მოვკვდებით.

– კიბეზე ადით და ქუჩაში გახვალთ. იქვე გაჩერებაა. ყვითელ ავტობუს გაყევით. მომდევნო გაჩერებაზე ჩამოდით. ხუთი მეტრი გაიარეთ და „ზარა“ იკითხეთ.

**აი, ასე იწყებენ ქალთა გაძლიერებას „კონსერვატორები“... „მათი ქალები“ კი გაყინულები, კაცებისგან შეურაცხყოფილები და უპატრონოდ არიან მიგდებულები. ესენი ქვეყანას ააშენებენ? მეტი არაა ჩემი მტერი!**

# „ამიერიდან ქალბატონ იუსტიციის მინისტრს თეა მურუსიძედ მოვიხსენიებ!“

## რატომ დაუპირისპირდნენ სინამდვილეში ერთმანეთს ლევან მურუსიძე და მამუკა ახვლედიანი?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



სამართალი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი ადამიანის უფლებათა სასამართლოს კანდიდატებად დარეგისტრირებულთაგან 3 კანდიდატს უპირისპირდება — ევა გოცირიძეს, სანდრო ბარამიძესა და თამარ ალანიას. ზაზა ხატიაშვილი იმდენად აღშფოთებულია, რომ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ამის შესახებ დაწერა კიდეც:

„ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოსამართლის კანდიდატად დარეგისტრირდა სამი სავარაუდო მურუსიძე — სანდრო ბარამიძე, თამარ ალანია და ევა გოცირიძე. თანამემამულენო, შემომიერთდით! ფაშისტური რეჟიმის დამარცხების შემდეგ გაასამართლეს რეჟიმის მონა მოსამართლეები. ცნობილმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა სასამართლოს მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებების გამო, საზოგადოების წინაშე ბოდიში მოიხადეს, ვინაიდან ისინი დუმდნენ. სასამართლო სისტემაში არ უნდა დარჩეს არც ერთი მურუსიძე, რომელიც ემსახურება ხელისუფლებას და არა კანონის მოთხოვნებს. თანამემამულენო, მოგმართავთ თქვენ, რათა მომავალში თქვენც არ მოგიწიოთ საზოგადოების წინაშე ბოდიშის მოხდა, ერთად ვიბრძოლოთ, ადამიანის უფლებათა სასამართლოში გვყავდეს სამართლიანი, მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციის მქონე მოსამართლე. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის №623 დადგენილებით დამტკიცდა 2016 წელს ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურის შერჩევის წესი. მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტის თანახმად, კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაცია. იუსტიციის საბჭოს წევრებმა თამარ ალანიამ და ევა გოცირიძემ ხმა მისცეს ლევან მურუსიძის სასამართლოში დანიშვნას. ევა გოცირიძისა და თამარ ალანიას საქციელს საზოგადოების მხრიდან საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. მათი მორალური და პროფესიული რეპუტაციის მიმართ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა. სამოქალაქო საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ კანდიდატს ჰქონდეს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაცია, რომელიც, ჩემი შეფასებით, ევა გოცირიძესა და თამარ ალანიას არ გააჩნიათ. თამარ ალანია ბრძანდებოდა გვანცა ყუფარაძის მოსამართლე, რამდენიმე პოლიტიკური პატიმარი ჰყავს გასამართლებული. სანდრო ბარამიძე იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ბრძანდება. იუსტიციის მინისტრი ბრძანდება კომისიის თავმჯდომარე. თუ ბარამიძეს სურს, კანდიდატობა, ის უნდა გადადგეს, რათა უხერხული სიტუაცია არ შეიქმნას“.

„ალია“ **ზაზა ხატიაშვილს** ესაუბრა:

**— ბატონო ზაზა, 33 კანდიდატია დარეგისტრირებული ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად და ამ სამს რას ერჩით?**

– როგორ თუ რას ვერჩი, კაცო. თამარ ალანია იყო მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ის მოსამართლე, რომელმაც რამდენიმე კაცი გაისტუმრა ციხეში და შემდეგ, ეს ადამიანები დღევანდელმა ხელისუფლებამ პოლიტპატიმრებად აღიარა, ანუ პოლიტიკური ნიშნით გაუშვა ეს ხალხი ციხეში. გარდა ამისა, თამარ ალანიამ 14 წლის გვანცა ყუფარაძეს სრულიად უსამართლოდ 10 წელი მიუსაჯა. ახლა მითხარით, შეიძლება ასეთი ადამიანის წარდგენა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს კანდიდატად? კარგი, კანდიდატობა ჯანდაბას, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თამარ ალანია ერთ-ერთია, ვისაც ეს ხელისუფლება, ანუ თეა წულუკიანი-მურუსიძე მხარს უჭერს. გამოდის, რომ თამარ ალანია იმ 3 მოსამართლეს შორის უნდა მოხვდეს, რომელთაგანაც შემდეგ ევროპის სასამართლო ერთს წევრად აირჩევს.

**— თქვენ რა იცით, რომ თამარ ალანია ამ 3 კანდიდატს შორის მოხვდება?**

– ვიცი და იმიტომ ვამბობ, მაქვს ინფორმაცია. თეა წულუკიანი, უკაცრავად, თეა მურუსიძე ლობირებს თამარ ალანიასაც, სანდრო ბარამიძესაც და ევა გოცირიძესაც. ამიერიდან მე მაგ ქალბატონს თეა მურუსიძედ მოვიხსენიებ. ახლა ნახეთ როგორ არის საქმე. იუსტიციის სამინისტროში 11-კაციანი კომისიაა შექმნილი და მან უნდა აირჩიოს ეს 3 კანდიდატი. ამ 11 კაცში არასამთავრობო სექტორს მე და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, ანა ნაცვლიშვილი წარმოვადგენთ. დანარჩენები ან ხელისუფლების წევრები არიან, ან მათი მხარდამჭერები. ამ კომისიის თავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრი თეა „მურუსიძე“. ახლა, რა თქმა უნდა, მათთვის სასურველ კანდიდატს გაიყვანენ? სანდრო ბარამიძეს იმას ვერჩი, რომ მან სიძეს, ანუ ღირს კანდიდატს მისცეს ხმა და ამის სანაცვლოდ, საბჭოს მოსამართლე წევრებმა ღირსეულ კანდიდატებს დაუჭირეს მხარი. თანაც, გაიხსენეთ, პირველად სწორედ მურუსიძეს უყარეს კენჭი და დანიშნეს მოსამართლედ. ეს დეტალია, მაგრამ სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ამგვარი გარიგება შედგა. ეს გარიგება კი სისხლის სამართლის დანაშაულია, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, 332-ე მუხლი და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე.

**— გამოძიება არ დაწყებულა გოცირიძისა და თორდიას წინააღმდეგ?**

– რა თქმა უნდა, მაგას მურუსიძე არ გააკეთებდა...

**— წესით, მამუკა ახვლედიანის ამ განცხადებაზე სისხლის სამართლის საქმე არ უნდა აღძრულიყო?**

– კი, აუცილებლად. როგორ, მოსამართლეთა გამოცდების ტესტები მოსამართლეობის კანდიდატების ერთი ნაწილისთვის წინასწარ ცნობილი იყოო, ამას ამბობს ახვლედიანი და პროკურატურას მის ამ განცხადებაზე დაუყოვნებლივ უნდა აღეძრა საქმე, ცალკე იუსტიციის საბჭოს უნდა დაეწყო საქმეში გარკვევა, მაგრამ ეს არ გააკეთეს. პროკურატურას, ეტყობა, ხელისუფლებიდან დაავალეს, ხელი არ გაანძრიოთო.







**— რატომ უჩივლეთ გოცირიძესა და თორდიას?**

– მათ ლევან მურუსიძის დანიშვნასთან დაკავშირებით, „მაესტროს“ ეთერში განაცხადეს, მურუსიძეს იმიტომ დავუჭირეთ მხარი, რომ იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებს, სხვა ღირსეულ კანდიდატებს არ მისცემდნენ ხმას. გამოდის, რომ გოცირიძე-თორდიასა და საბჭოს მოსამართლე წევრებს შორის შეთანხმება, გარიგება შედგა, გოცირიძე-თორდიამ მურუსიძეს, ანუ ღირს კანდიდატს... (see above)

ჩააგდო ამ თეა მურუსიძესთან ერთად სასამართლო რეფორმა საქართველოში ბიძინა ივანიშვილის დაკვეთით და ძალიან ბევრი უსამართლო კანონი მისი დაწერილი და შექმნილია, სანდრო ბარამიძემ და თეა მურუსიძემ ერთად მოგვატყუეს და მოწმეთა დაკითხვის წესი ისეთი მიიღეს, როგორიც თავად აწყობდათ და არა ისეთი, როგორსაც შეგვპირდნენ. ბარამიძე თეა მურუსიძის დანაშაულებრივი საქმიანობის თანამონაწილეა. ევა გოცირიძე კი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც იუსტიციის საბჭოს „ქართული ოცნების“ წევრებიდან, ლევან მურუსიძის დანიშვნას მისცა ხმა. მე ევა გოცირიძისა და გურამ თორდიას წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივარი მაქვს შეტანილი, მათ ერთად სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი და ამ ქალბატონს ახლა ევროპის სასამართლოში უპირებენ წარდგენას მოსამართლეობის კანდიდატად.

– არა, რა გამოძიება, კაცო, ეს პროკურატურა ამ ხელისუფლების მორჩილია და რასაც მთავარ პროკურორს ეტყვიან, იმას გააკეთებს. დარწმუნებული ვარ, გამოძიება არ დაიწყება...

**— ბატონო ზაზა, იუსტიციის საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მამუკა ახვლედიანი რატომ დაუპირისპირდნენ ერთანეთს? ეგენი ხომ ორივენი მიხეილ სააკაშვილის კლანის წევრები იყვნენ და ერთად ათასი უბედურებაც აქვთ ჩადენილი?**

– როგორც ჩანს, მამუკა ახვლედიანი მთლად არ იყო ამ კლანის წევრი, ყოველ შემთხვევაში, დღეს რომ აღარ არის, ფაქტია. მამუკა ახვლედიანმა განაცხადა, მოსამართლეთა გამოცდების ტესტებმა გაჟონაო, მურუსიძე ადგა და დისციპლინური დევნა გამოუცხადა. რა ექნა ახვლედიანს? სავარაუდო დანაშაულის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა და დაემალა? ანუ დანაშაული ჩაედინა? არა, რა გიკვირთ მურუსიძისგან? უარესები ჯერ არ უქნია? მამუკა ახვლედიანმა ამ განცხადებით ლევან მურუსიძეს დაარტყა, რადგან გამოცდებს იუსტიციის საბჭო ატარებს და საბჭოს მდივანი მურუსიძეა.

**— ჰოდა, აბა, მურუსიძის კანტორიდან თუ გაჟონა საგამოცდო ტესტებმა, ეგ მაგის გარეშე არ მოხდებოდა და საკუთარი თავის წინააღმდეგ ხომ არ დაიწყებდა სამართლებრივ ქმედებებს?**

**— ახვლედიანისა და მურუსიძის დაპირისპირების რეალური მიზეზი მე სხვა და უფრო სიღრმისეული მგონია. ნახეთ, რა ხდება. ვადაგასული, „ნაციონალი“ მოსამართლეების უდიდესი ნაწილი სააპელაციო სასამართლოში დაინიშნა, მათგან მხოლოდ რამდენიმე დაინიშნა სამოქალაქო სასამართლოში. მე ვფიქრობ, მურუსიძეს ამ ვადაგასული მოსამართლეების სამოქალაქო სასამართლოში დანიშვნას ახვლედიანმა წინააღმდეგობა გაუწია, არ ჩაუგდო სამოქალაქო სასამართლო ხელში, ამიტომაც, მერე მურუსიძემ მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში მოახერხა თავისი ხალხის დანიშვნა და თავადაც იქ დანიშნეს. მოკლედ, ლევან მურუსიძის კლანმა სამოქალაქო სასამართლო ვერ ჩაიგდო ხელში, ახვლედიანმა არ დაანება და ამის გამო დაუპირისპირდა მას მურუსიძე...**

– აბსოლუტურად სწორი ვარაუდია, მე ვიტყოდი, ვარაუდზე მეტი და ეგ არის სწორედ სიმართლე. კი, ბატონო, მამუკა ახვლედიანი სააკაშვილის დროსაც ამ პოსტზე იყო, მაგრამ დღეს ეს კაცი რასაც აკეთებს და რასაც ამბობს, ყველაფერში მართალია. ძალიანაც კარგი, თუ სამოქალაქო სასამართლო არ ჩაუგდო მურუსიძეს და მის კლანს ხელში. თუმცა, ეს ბრძოლა მამუკა ახვლედიანს და ზოგადადაც, ლევან მურუსიძის კლანის მოწინააღმდეგეებს ჯერ არ მოუგიათ, რადგან სააპელაციო სასამართლო მურუსიძის ხელშია.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ივანიშვილს რომ ჰკითხო, ადეიშვილი კარგი მენეჯერიაო და აგერ, ქობალიაზე რომ ტაციაობაა, იცოდით?



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი ვერა ქობალია ავსტრალიის მთავრობამ ინდონეზიაში საერთაშორისო ბიზნესმრჩევლად მიიწვია.

ვერა ქობალიას თქმით, ინდონეზიაში რამდენიმე დღეში გაემგზავრება.

– როგორც საქართველოს ეხმარება მსოფლიო ბანკი, US-AID და სხვები რეფორმების გატარებაში, ისე ინდონეზიის მთავრობას აქტიურ მხარდაჭერას უცხადებს ავსტრალია. სწორედ ავსტრალიის მთავრობისგან მივიღე მოწვევა. კონტრაქტი ორწლიანია. ჩემი ძირითადი ფუნქცია ბიზნეს და ეკონომიკური რეფორმების მიმართულებით ინდონეზიის მთავრობისთვის რჩევების მიცემა და კონსულტაცია იქნება, – განაცხადა ვერა ქობალიამ. (businesscontact.ge)

### ზუგდიდის საკრებულოს ქალ წევრებს „კრასნაია მასკვა“ და კაცებს „ტრაინოი ადეკალონიც“ არა? სექსისტობს თენგიზ ხარჩილავა, არა?!



სუნამო „კრასნაია მასკვა“ ზუგდიდის საკრებულოს ქალი წევრებისთვის.

ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს პარტია „ბურჯანაძე დემოკრატების“ ყოფილმა წევრმა, ამჟამად დამოუკიდებელმა დეპუტატმა თენგიზ ხარჩილავამ კოლეგებს სოჭიდან სუნამო „კრასნაია მასკვა“ ჩამოუტანა. მან საჩუქარი კოლეგა ქალებს საკრებულოს სხდომის დამთავრების შემდეგ გადასცა. მისი თქმით, სიმბოლური საჩუქრები მამაკაცებისთვისაც მოჰქონდა, მაგრამ საბაჟოზე მათი გადმოტანის უფლება არ მისცეს.

– წმინდა იუმორისტული თვალსაზრისით ჩამოვიტანე ეს სუნამო. აქ ერთ-ორჯერ დამაბრალეს, პუტინის კაცი ხარო... რუსეთში ვიყავი ჩასული და იქიდან ჩამოვიტანე, – აღნიშნა თენგიზ ხარჩილავამ.

„კრასნაია მასკვა“ საბჭოთა კავშირის პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი ქალის სუნამო იყო. (radioatinati.ge)

## საქართველოში ე.წ. ღორის გრიპის 292 შემთხვევა ლაბორატორიულად დადასტურდა




დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში ე.წ. ღორის გრიპის ლაბორატორიულად დადასტურებული 292 შემთხვევა ფიქსირდება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, დღეის მდგომარეობით, ლაბორატორიულად გამოვლენილია გრიპის ვირუსის 302 შემთხვევა, მათ შორის, **292 H1N1** და 10 – **H3N2**-ია.

ლეტალურად დასრულდა 12 შემთხვევა, მათ შორის, 11-ის გამომწვევი მიზეზი **H1N1** იყო, ერთი შემთხვევა კი **H3N2**-მა განაპირობა. (ინტერპრესნიუსი)

## აღმაშენებლის გამზირის მონაკვეთი ჭოროხის ქუჩიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე დაიკეტა



„თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ ჩასატარებელი სამუშაოების გათვალისწინებით, აღმაშენებლის გამზირის მონაკვეთი ჭოროხის ქუჩიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე დაიკეტა.

ავტობუსები, რომლებიც მოცემულ მონაკვეთს გადიან, შემდეგი სქემით იმოძრავებენ: ავტობუსი №20 ჭოროხის ქუჩიდან გაივლის დიმიტრი უზნაძის ქუჩას და ზაარბრიუკენის მოედანს. უკუ მიმართულებით: ზაარბრიუკენის მოედანი-მოსე გოგიბერიძის ქ.-არნოლდ ჩიქობავას ქ.-გიორგი მაზნიაშვილის ქ.-კიევის ქ.-დავით აღმაშენებლის გამზირი.

ავტობუსი №23 იმოძრავებს შემდეგი მიმართულებით: გიორგი მაზნიაშვილის ქ.-ივანე ჯავახიშვილის ქ.-მოსე გოგიბერიძის ქ.-ზაარბრიუკენის მოედანი.

ავტობუსი №59 და №91 ხეთაგუროვის ქუჩიდან გაივლიან შემდეგი მიმართულებით: მოსე გოგიბერიძის ქ.-ზაარბრიუკენის მოედანი-მოსე გოგიბერიძის ქ.-არნოლდ ჩიქობავას ქ.-გიორგი მაზნიაშვილის ქ.-კიევის ქ.-დავით აღმაშენებლის გამზირი. უკუ მიმართულებით: ჭოროხის ქ.-დიმიტრი უზნაძის ქ. (ან მარცხენა სანაპირო)-ზაარბრიუკენის მოედანი.

ავტობუსი №95 იმოძრავებს შემდეგი მიმართულებით: ჭოროხის ქ.-დიმიტრი უზნაძის ქ. (ან მარცხენა სანაპირო)-ზაარბრიუკენის მოედანი. (ინტერპრესნიუსი)

# „სირაქლემას პოზაში ნურავინ იმყოფებს თავს, თვალები გაახილონ, კოალიციაში ბზარი კი არა, ნაპრალია გაჩენილი“

## „პარლამენტის წევრობას რომ გაინაღდებენ და ამ მანდატით უამრავ საქმეს აკეთებენ, „ოცნების“ იდეების საწინააღმდეგოდ იქცევიან“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22







ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ დაულაგებელია სახელმწიფოებრივი მოწყობა, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისია, გაეროს მონაცემებით, კატასტროფულად დიდი რაოდენობის ბავშვი შიმშილობს და ქვეყანაში, სადაც უზენაესი ჯერ კიდევ არ არის სასამართლო, კონკრეტული ჯგუფი ითხოვს, დაკანონდეს ერთსქესიანთა ქორწინება. ეს ფაქტი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს და ამას ითხოვენ ადამიანები, ვისაც დასავლეთი მსუყე ლუკმით კვებავს, მილიონობით დოლარით აფინანსებს ერთსქესიანთა ქორწინების ლობირებისთვის, რომ ისედაც მცირე ერმა, სადაც უზენაესი არის ეკლესია, იდენტობა დაკარგოს და გლობალიზაციის ფერხულში ჩაებას. მართალია, ხელი გვაქვს მოწერილი ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის არავის დაუკისრებია ვალდებულება, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი ასეთი სახით მიგვეღო. თავის დროზე თვით საფრანგეთმა თქვა უარი, ასეთი სახით მიეღო კანონი, მაგრამ ჩვენ ხომ მოდას აყოლილი კეკლუცები ვართ. ასოცირების ხელშეკრულება უფრო მნიშვნელოვან რეფორმას ითვალისწინებს სახელმწიფო ინსტიტუტებში, ვიდრე ეს არის ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება და არსად არ წერია, რომ ამ ვალდებულებას ჩვენ ვიღებთ. ის, რომ ადამიანის უფლება არ უნდა დაირღვეს, ვინც არ უნდა იყოს იგი, ქალი, კაცი, რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი თუ სხვა, ყველას პატივი უნდა ვცეთ, ეს ჩვენს კონსტიტუციაშიც წერია, მაგრამ ძალიან დიდ კითხვის ნიშანს აჩენს და ეჭვებს ბადებს ატროებული საზოგადოება, რომელიც ცარიელ ჭიქაში ქარიშხალს ტეხს. რისი მიღწევა უნდათ, რა ჯიშის გამოყვანა სურთ ჩვენგან და ამ მრავალრიცხოვანი პრობლემის ფონზე რა შუაშია თემა, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ იდენტობას. ეს ძალიან სენსიტიური საკითხია, რასაც შეუძლია ქართველების მწყობრიდან გამოყვანა და მართვადი ქაოსის შექმნა. არადა, როგორც ჩანს, არჩევნების მოახლოებასთან ერთად ეს იქნება საკითხი, რომელიც გახდება წყალგამყოფი კოალიციაში და არ არის გამორიცხული, რომ ამ თემის ფორსირებით პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება ვნახოთ. მაგალითად, ის, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ „რესპუბლიკური პარტია“ დღემდე თავს იკავებს „ეროვნულების“ ინიციატივაზე, მოხდეს საკონსტიტუციო ცვლილებები და ჩაიწეროს, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა.

**„ეროვნულების“ ლიდერი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფოს მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე** ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს, რომ სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საეჭვოდ არის გადაფოფრილი „ლგბტ“ პირებს და მას უჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ის ჰყავთ შანტაჟის ქვეშ, სახალხო დამცველი ყველას განურჩევლად უნდა იცავდეს და არ უნდა ახდენდეს საკითხების დისკვალიფიკაციას, სწორედ მაშინ იქნება ყველას დამცველი და არა ახლა, როცა ის განსაკუთრებულ სასათბურე პირობებს უქმნის „ლგბტ“ პირებს, ხოლო მათ, ვისი რელიგიური გრძნობებიც ილახება, იგნორს არ უნდა უკეთებდეს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობათა მდივანი გიგა ბოკერია ღიად ლობირებს „ლგბტ“ პირებს, „ლგბტ“ პირების საინფორმაციო პორტალის „17 მაისის“ კითხვაზე, – მიიჩნევს თუ არა ჰომოსექსუალობას ავადმყოფობად, ბოკერია პასუხობს: ავადმყოფობა ისაა, როცა ამ საკითხს ასე სვამენ. ჰომოსექსუალობა ავადმყოფობა არ არის. მომდევნო კითხვაზე, შესაძლოა თუ არა საქართველოს ჰომოსექსუალი პირველი პირი ჰყავდეს, ბოკერია პასუხობს: ეს ქართველი ამომრჩევლის გადასაწყვეტია და ორიენტაციას მნიშვნელობა არა აქვს.

ბოკერიამ და მისმა მეუღლემ რაც არ უნდა ნერგონ ქართველ საზოგადოებაში, რომ ჰომოსექსუალიზმი არის „კარგი ტიპობა“, რომ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტად ჰყავდეს პედერასტი, ვერ ელირსებიან. მათ შეუძლიათ საკუთარი სექტის პრეზიდენტად აირჩიონ ქალ-კაცა, ან კაც-ქალა, გამართონ ერთმანეთში ორგიები, რასაც არც ახლა იკლებენ, მაგრამ ის, რომ თუნდაც პროპაგანდის დონეზე ყოველდღე გვიძახონ, რომ საქართველოს შესაძლოა, ჰყავდეს ჰომოსექსუალი პრეზიდენტი, ამას არ დაუშვებს ქართველი ერი და ერთხელ და სამუდამოდ ეს უნდა შეიგნოთ. მართალია, სანდრო ბრეგაძე აცხადებს, რომ მხოლოდ „რესპუბლიკური პარტიაა“ პრობლემა, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს არ უჭერს, მაგრამ „ქართულ ოცნებაში“ ბევრია ისეთი, ვინც ცდილობს, ლიბერალური პოზიციისგან გადაიხაროს და ასეთია, მაგალითად, ელისო ჩაფიძე.

– თქვენი გაზეთის საშუალებით პირველად ვაცხადებ, რომ შეიკრიბება საინიციატივო ჯგუფი, სადაც გაერთიანდებიან სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესმენები, საზოგადოების ფენის წარმომადგენლები, ამით ჩვენ ყველას დავანახვებთ, რომ ეს არის ჩვენთვის არა პოლიტიკური საკითხი, არამედ მორალურ-ზნეობრივ-რელიგიური საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს და ერთხელ და სამუდამოდ ამ ქვეყანაში წერტილი უნდა დაესვას ამ საკითხს... ჩემი ინფორმაციით, „რესპუბლიკელები“ ჭოჭმანობენ მხარი დაუჭირონ საკონსტიტუციო ცვლილებებს, თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს, – ბატონო დავით, თუ თქვენ გალიზიანებთ ის საკითხი, რომ ამ თემის ინიციატორები ეროვნულები ვართ, რომ მოხდეს საკონსტიტუციო ცვლილება და ჩაიწეროს – ოჯახი არის ქალისა და კაცის ერთობა, ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, კონსტიტუციაში შესწორების შეტანა მოხდეს ჩვენი ავტორობით, მზად ვართ, საერთოდ ხმა არ ამოვიღოთ, ოღონდაც საკონსტიტუციო ცვლილებები დღის წესრიგში დააყენეთ და მხარი დაუჭირეთ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუკი „რესპუბლიკური პარტია“ შემოვა ამ შესწორების ინიციატივით, რითაც ბოლო მოეღება იმ ხმებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კოალიციაში არის დაპირისპირება. რაც შეეხება პარტია „ქართული ოცნების“ დეპუტატებს, მათ ერთი სული აქვთ, დაიწყოს პარლამენტში ამ საკითხის განხილვა, მაგრამ ჯერჯერობით გაჩერებულია ეს პროცესი, რადგან არ უნდათ კოალიციაში ბზარის გაჩენა და ელოდებიან პარლამენტის თავმჯდომარის პასუხს იმ შემთხვევაში, თუკი უსუფაშვილის პასუხი იქნება დადებითი, მე ვიქნები ბედნიერი ადამიანი, მაგრამ თუ იქნება უარყოფითი, მაშინ მრავალწერტილს დავსვამ და ყველაფერი ნათელი იქნება. მე ბრძოლას არ შევწყვეტ და წავალ რეფერენდუმის ჩატარების გზით, მოსახლეობამ გადაწყვიტოს, სურს თუ არა, შევიდეს კონსტიტუციაში ცვლილება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ერთობა... კოალიციასთან საკმაოდ ბევრი კითხვის ნიშნები მაქვს, სირაქლემას პოზაში ნურავინ იმყოფებს თავს, თვალები გაახილონ და ნახავენ, რომ კოალიციაში ბზარი კი არა, ნაპრალია გაჩენილი. როცა ამ საკითხზე ბრძოლას დავასრულებ, შემდეგ ვისაუბრებ დეტალურად. როცა ერთი გუნდია, როგორც მტერს, ისე არ უნდა მეპყრობოდე, და როცა მტრად აღმიქვამ, იქ უკვე რა ერთიანობაზეა საუბარი. ძალიან ბევრი სალაპარაკო მაქვს, იმაზე მეტი, ვიდრე ვინმეს ჰგონია... პარლამენტის წევრობას რომ გაინაღდებენ და ამ მანდატით უამრავ საქმეს აკეთებენ, „ოცნების“ იდეების საწინააღმდეგოდ იქცევიან, ასე არ არის, თვალები ყველას გვაქვს და ყველა ყველაფერს ვხედავთ!.. თუკი არჩევნებამდე ჩვენს პოზიციას არ გავიტანთ, მომდევნო პარლამენტი ლიბერალებით იქნება დაკომპლექტებული და გაძლევთ გარანტიას, რომ მომდევნო პარლამენტი ერთსქესიანთა ქორწინებას დააკანონებს, რასაც ველარასოდეს ვუშველით. სწორედ ამიტომ ვითხოვთ ახლა ამ საკითხისთვის წერტილის დასმას. უმრავლესობის ლიდერები რომ გამოდიან და ამბობენ, იწყება პროცედურული ცვლილებები საკონსტიტუციო ცვლილებებისთვისო, ეს არის თვალთმაქცობა, იმდენად გაწელეს დრო, დღეს და ხვალ რომ ხელმოწერები შეგროვდეს, ეს პარლამენტი ველარ მოახერხებს ტექნიკურად საკონსტიტუციო ცვლილებების შეტანას. ორი სესია სჭირდება საკითხის განხილვას, არადა ხუთი თვის წინ გვქონდა ეს საკითხი შეტანილი და რომ განხილულიყო დროულად საგაზაფხულო სესიაზე, საკონსტიტუციო შესწორება იქნებოდა მიღებული, მაგრამ იმდენი ქნეს, რომ ვერ მოესწროს ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში. იურიდიული პროცედურების მიხედვით, საკითხს სჭირდება განხილვა და საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის კენჭისყრა უწევს საშემოდგომო სესიაზე. მოგეხსენებათ, რომ საშემოდგომო სესია აღარ ექნება ამ პარლამენტს, რადგან ოქტომბერში უკვე არჩევნებია, ესენი აპირებენ ლიბერასტული ძალების გაყვანას, მაგალითად, როგორიც არის თამარ ჩუგოშვილი, იგი განიხილება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერ სახედ, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, არის იმ იდეოლოგიის მატარებელი, რაც აქვთ თამარ კორძაიას, გია ნოდიას, ნინია კაკაბაძეს, ისინი ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებიან. გიგა ბოკერია ცდილობს პოლიტიკურ სახელისუფლო ძალებში შეუშვას მათი იდეის მატარებელი ხალხი. ლიბერასტები როგორც წურბელები, ისე მიძვრებიან ხელისუფლებაში...

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# ვინ „დაითრევს“ ამერიკიდან წამოსულ მილიონებს?

**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ მალე ამერიკიდან სოლიდური ფული შემოვა, რომლის მიზანიც, საქართველოში არსებული პროქართული პოლიტიკური ძალების დისკრედიტაცია იქნება.**

– ამერიკის დაზვერვის სამსახურის ანგარიშს ჩვენში რატომღაც ორაზროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ამ ანგარიშში ნათქვამია, რომ შესაძლოა, რუსეთისგან ზეწოლის გამო, მოხდეს საქართველოს დაშორება დასავლეთის სტრატეგიული კურსისგან, ქვეყანაში დასავლური ორიენტაცია გარკვეულწილად შეიცვალოსო, მაგრამ იმავე დოკუმენტში წერია, რომ საქართველოში რუსული გავლენა რომ შესუსტდეს და დასავლური გაძლიერდეს, ამისთვის საჭიროა, დასავლეთმა საქართველოს წინაშე აღებული ვალდებულებები შეასრულოსო. მოკლედ, დოკუმენტში ცალსახად წერია, საქართველოში რუსეთის გავლენა იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ ნატო და ევროკავშირი საქართველოს დათქმულ დაპირებებს არ შეუსრულებენო. ადგნენ ეს ვითომ პროდასავლელი ფსევდოლიბერალები და ამ დოკუმენტის იმ ნაწილს ჩაეჭიდნენ, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში შესაძლოა, რუსული გავლენა და პროპაგანდა გაძლიერდესო. ახლა ამერიკამ გამოყო 4.3 მილიარდი დოლარი საქართველოსთვის, უკრაინისა და მოლდოვასთვის რუსეთის აგრესიის შესასუსტებლად. ეს თანხა გადანაწილდება არასამთავრობო სექტორზე და მოხმარდება ამ ანტირუსულ ისტერიას, თითქოს ქვეყანაში პრორუსული პროპაგანდა იზრდება.

**— იმ თანხით, რაც საქართველოში ამერიკიდან შემოვა, ახალი ულტრალიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნებასაც ხომ არ უნდა ველოდოთ?**

– იმდენი არიან, კიდევ ახლები სჭირდებათ? თან არც დაფინანსება აკლიათ, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელიც წლებია, დაუღალავად ებრძვის საქართველოს ინტერესებს, 15 000 ლარი აქვს ხ ე ლ ფ ა ს ი . . . არასამთავრობოთა მოძლიერების პარალელურად, იგეგმება ამ ძალების ხელთ არსებული მედიასაშუალებებით კონკრეტული პოლიტიკოსების, ეროვნული ცნობიერების არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, ცალკეული პატრიოტების კრემლის აგენტებად მონათვლა, მათვის რაღაცების დაბრალება და ეს ფსევდოლიბერალთა მიერ მართულ მედიას არ გაუჭირდება. აქვე ვიტყვი, რომ „მაესტროს“ ირგვლივ აგორებულ ამბებსაც ამ ძალებს ვუკავშირებ. ამ ხალხს აწყობს იმის ყვირილი, რომ საქართველოში სიტყვის თავისუფლება იზღუდება და ხელისუფლება ერევა დამოუკიდებელი ტელეკომპანიის საქმიანობაში. არადა, გია გაჩეჩილაძეს „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტი, 55%, ხელში უჭირავს და ტელევიზიაში არ უშვებენ. ჩემთვის გასაკვირი იყო, „მაესტროს“ მოქმედი დირექტორი, ბაია გადაბაძე ამერიკის ელჩს, იან კელის რომ ეწვია და მას შესჩივლა ტელეკომპანიასთან დაკავშირებული პრობლემები. ვინ არის ამერიკის ელჩი, მომრიგებელი მოსამართლეა თუ საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი? ამერიკის ელჩს არაფერი ეკითხება, როცა კონკრეტული ტელეკომპანიის დამფუძნებლებს შორის დავა წარმოიქმნა და იურიდიული მხარეებია მოსაწესრიგებელი. კი, ვართ ამ ამერიკის სტრატეგიული პარტნიორები და შესაბამისად, ერთმანეთს ბევრი რამ უნდა შევუთანხმოთ, მაგრამ შეიძლება მათი ყურმოჭრილი მონები ვიყოთ და ყველაფერი, რასაც გვეტყვიან, გავაკეთოთ? ისრაელიც კი, რომელიც ამერიკის პარტნიორია და რა ვიცი, ამერიკას მისთვის რომ გაუკეთებია, იმდენი არც ერთი სახელმწიფოსთვის არ გაუკეთებია, ხშირად წინააღმდეგობას უწევს ამერიკას და მის პოზიციებს.

**— ეს მარტო ოპოზიციაზე, არასამთავრობოებსა და მედიაზე არ ითქმის, ხელისუფლებასაც იგივე პოზიცია აქვს.**

– კი, ხელისუფლებაც ბევრს სცოდავს ამ მხრივ, ამას თქმა არ უნდა... ამ გეგმის ერთი ნაწილი ის არის, რომ გარდა იმისა, რომ პროქართული ძალები კრემლის აგენტებად უნდა მონათლონ და თავის მართლების საშუალება არ უნდა მისცენ მათ მიერ მართულ მედიაში, ამავე მედიით პროსადავლურ იმიჯს მორგებულ პარტიებსა და პოლიტიკოსებს გააპიარებენ – ირაკლი ალასანიას, პაატა ბურჭულაძის, ლეონიდ ჩერნოვეცკის პარტიებს, „გირჩს“... ყველანაირად შეეცდებიან, რომ პროქართული პოლიტიკოსობა პრორუსულობასთან გააიგივონ. ცხადია, ამ პროქართულ ძალებს არ გააკარებენ იმ მედიას, რომელიც ამ ძალების კონტროლქვეშ არის...



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



ილოგიკური ამბები

ტკბილადა სჭამენ ბიუჯეტს
„ოცნებაცა“ და „ნაციცა“.
მაგათ მხარეზე დამდგომი
ქალიც მოვტ...ან და კაციცა,
ამერიკას და ევროპას
თავიც მიჰყიდეს, ტრაკიცა.
რუსეთს დუელში იწვევენ,
ღმერთიც გაგვიწყრა, ხატიცა“.

## „ღმერთო, ეს ჩვენი ცხოვრება მწარეა, როგორც გარციცა, ტკბილადა სჭამენ ბიუჯეტს „ოცნებაცა“ და „ნაციცა“...

თელავიდან ერთი პაპა მირეკავს ხოლმე (არ ვიცი, გვარისა და სახელის გამჟღავნება უნდა თუ არა), სულ „მეჩხუბება“, ჩამოდი, ქათამი უნდა დავკლა და დედის რძესავით ღვინო დაგალევინოო. ვტყუივარ, ვერ ჩავედი, ალბათ, ჩემთვის დასაკლავი ქათამი უკვე გადაბერდა კიდეც. რა ვქნა, ხან რას ვიგონებ, ხან – რას, ზამთარში ვეუბნები, რომ ცივა და როგორც კი დათბება, ჩავალ, ზაფხულში ვეუბნები, – ცხელა, ცოტა რომ აგრილდება, ჩავალ. არადა, პაპა უკვე 83 წლისაა. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ბოლოს გულისტკივილით მისაყვედურა, რომ გათბება, მანამდე ვიქნებიო? დარწმუნებული ვარ, იქნება, მაგრამ ახლა უკვე მაგრად ვტყუივარ. პაპა ლექსებს წერს... ვატყობ, ორიოდე ჭიქას რომ გადაჰკრავს ხოლმე, მაშინ მოსდის მუზა, დაამთავრებს თუ არა, მირეკავს და მიკითხავს. ბოლოს ასეთი ლექსი ჩამაწერინა:

**„ღმერთო, ეს ჩვენი ცხოვრება**
**მწარეა, როგორც გარციცა,**

– აბა, შვილო, 83 წლისა ვარ... რო დამპირდი, ჩამოვალო, რატო არ ჩამოხვედი, ამი დედა კი ვატირე?!

**— რა ვიცი, ცოტა პრობლემები იყო, დათბება და ჩამოვალ.**

– მაიცა, ეხლა მე მიყურე... ეს ლექსი ხო დაიწერე?

**— კი, დავიწერე.**

– რაღაცა დაგაკლდა შენა, გატყობ!

**— არ დამაკლდა, ჩავიწერე.**

– ჰო, ჰო... აი, იცი, რა არი? სხვანაირად ნუ გამიგებ, მიხარია, კახელი ბალღი რო ხარ, მიყვარხართ ყველა, შვილო... მაპატიე, რო შაგაწუხე... ჩამოდი, შვილო, ჩემთან, ბებერი კაცი ვარ, გამიგე რა!

**— გაზაფხულზე, ცოტა გათბება და აუცილებლად ჩამოვალ.**

– იქამდე ვიქნები?

**— იქნები, ნუ გეშინია.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



ილოგიკური ამბები

## აი, ხიდაშელს უნდა აჭამო ძაღლი და კატა!!!

**ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა მორიგი „სიბრძნე“ წამოაწვინა: რუსი ხალხი გამძლეა, ეგენი ლენინგრადის ბლოკადის დროს ძაღლებსა და კატებს ჭამდნენ, ევროპის მიერ დაწესებულ სანქციებსაც გაუძლებენო. ქალბატონმა თინიკომ არ იცის, რომ მეორე მსოფლიო ომში მარტო რუსები არ მონაწილეობდნენ, იქ იყვნენ ჩვენი წინაპრებიც. აღარაფერს ვამბობ მთელ მსოფლიოზე. მას შემდეგ 70 წელიწადი გავიდა, ბევრი დაიწერა, ბევრი ითქვა, ბევრი გამოკვლევაც ჩატარდა, მაგრამ ჰიტლერსა და ფაშისტურ გერმანიას დადებითი ვერაფერი მოუძებნეს. შეიძლება სტალინმა და მის მიერ შექმნილმა იმპერიამ ბევრი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში კლასი აჩვენა. რომ არა საბჭოთა კავშირი, არავინ იცის, რა ფორმით იარსებებდა კაცობრიობა და როგორ დაალაგებდა სიტუაციას ავადმყოფი ჰიტლერი. თინიკოები ამდენს არ ფიქრობენ, თინიკოებს რასაც ჩასძახებენ, იმას ამოიძახებენ, თინიკოების ისტორია იწყება იქიდან, როცა პირველი ამერიკული სერტიფიკატი აიღეს და ფული წამოვიდა წვიმასავით. აი, რას ამბობს 93 წლის ქალბატონი, რომელმაც დამირეკა და ცხარე ცრემლით ტიროდა:**



– თქვენ იცით, რა თქვა მაგან და რა მოგველის ჩვენ? ხალხმა, რომელმაც ჰიტლერი ჩამოაგდო, თავი დადო სამშობლოსთვის. ვისზე ლაპარაკობს ეგ ქალი? ისე მიყვარს თქვენი გაზეთი, არაფერს არ გამოვტოვებ ხოლმე... რატომ ხართ გაჩუმებულები?!

**— არ ვართ გაჩუმებულები, ეს არ არის ახალი ამბავი, ამაზე არაერთხელ დავწერეთ.**

– ძაღლები კი არა, ერთმანეთი რომ არ დაჭამეს, არ გიკვირთ? ძაღლები და კატებიო, ვისზე ლაპარაკობს? თქვენ არავინ არ იყავით ამქვეყნად, როცა ეგ ხდებოდა, მე 93 წლისა ვარ და ყველაფერი მახსოვს. ეს საშინელებაა, მთელი ღამეები არ მძინავს, როგორ თქვა ეს? ეგ ქალი მინისტრი არ უნდა იყოს!

**— ქალბატონო, სახელი და გვარი მითხარით თქვენი.**

– ჩიქოვანი დარეჯანი, მუსიკათმცოდნე.

**— არ ინერვიულოთ, ამათ ასეთი აზროვნება აქვთ და რა ვუყოთ?**

– (ტირის) არა, ეს საშინელებაა... ხალხმა თავი დადო, თქვენ იცით, რა გვაქვს ჩვენ გადატანილი?! ჯერ მარტო 1933 წელში შიმშილობა რად ღირდა? აი, მაგას უნდა აჭამო ძაღლი და კატა, მაშინ გაიგებს, რა არის შიმშილი. მაგ რუსეთს ისევ ქართველი მართავდა! მადლობა, რომ მომისმინეთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

**— კარგად იყავით, არ ინერვიულოთ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კახა მიქაია: ბოკერიას „კომანდა“...



„დაიცავი საქართველოს“ წარმომადგენელი კახა მიქაია სოციალურ ქსელში აზიარებს ფოტოებს კომენტარით:



„ნაცნობების უცნობი ფოტოები“ – რიგა. 2015 წლის მაისი. ბოკერიას „კომანდა“: ეთერ გადაბაძე, ნინო ჯანგირაშვილი, თამარ კინწურაშვილი, ნინო დანელია, თამარ ჩერგოლეიშვილი, დავით პაიჭაძე... – წერს მიქაია. (რეპორტიორი)

## გახსოვთ, სააკაშვილი „დაცვის გარეშე“ რომ მივიდა აეროპორტში? ჰოდა, ანალოგიურად პოპულისტობს უკრაინაშიც



ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსს ვასილი გრიცაკს წერილით მიმართა და მისთვის დაცვის მოხსნა მოითხოვა. ამის შესახებ სააკაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს. სააკაშვილის დაცვას ამ დრომდე სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი „ალფა“ უზრუნველყოფს.

– მე არასდროს არაფრის არ მეშინია და ამიერიდან ოდესაში და ზოგადად მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე დაცვის გარეშე გადავადგილდები, – წერს გუბერნატორი.

მისივე თქმით, მან ეს ნაბიჯი ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისა და არსებული ინფორმაციების საფუძველზე გადადგა, თუმცა ოდესის გუბერნატორს არ დაუკონკრეტებია, რას გულისხმობდა. (პირველი რადიო)

## 15-21 თებერვლის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული** – კარგი დროა რომანტიკული ურთიერთობებისა და ნაცნობობისთვის. მოითხოვეთ ის, რაც გეკუთვნით, ერთდროულად დაჟინებით და რბილად და ნებისმიერ მწვერვალს დაიპყრობთ. გაანებივრეთ საყვარელი ადამიანი ყურადღებით, გამონახეთ დრო ერთობლივი შოპინგისთვის, ბუნებაში გასვლისთვის. გაითვალისწინეთ, რომ ძალიან ბევრია დამოკიდებული თქვენს გულუხვობაზე. თუ გსურთ, თავი დაიძვრინოთ ამ ყველაფრისგან, თქვენი ნებაა, თუმცა შემდეგ არ ინანოთ...

**სამსახური** – ზომიერი ხარჯების გარეშე საქმე წინ ვერაფრით წავა – ეს აუცილებლად უნდა გაითავისოთ და შეიგნოთ.

**სასიკეთო დღეები:** 22, 23 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 თებერვალი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული** – დადგა აქტიურობისა და გულთაპყრობის დრო. მამაკაცი კურო თეთრ რაშზე ამხედრებული პრინცია, რომელსაც შეუძლია, გაიმარჯვოს, გაათავისუფლოს, დაიპყროს და მოხიბლოს. მოკლედ, იმოქმედეთ! რაც შეეხებათ ქალ კუროებს, საპირისპირო სქესთან მათაც აუცილებლად გაუმართლებთ, სასურველს მიიღებენ. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გაზაფხული თქვენს ქუჩაზეც დადგა და შეეცადეთ, შანსი არ გაუშვათ.

**სამსახური** – არ არის გამორიცხული, კარიერაში სერიოზული წინსვლა გქონდეთ.

**სასიკეთო დღეები:** 21 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 23 თებერვალი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული** – ურთიერთობაში სულიერი წონასწორობისა და ჰარმონიის დასაბრუნებლად ჰაერივით გესაჭიროებათ დასვენება მშვიდ და წყნარ ადგილას. მართალია, არ გახასიათებთ, მაგრამ დროებით შეჩერდით, შეეცადეთ, გაუგოთ პარტნიორს. თუკი მაინც აქტიურობას აირჩევთ, არ არის გამორიცხული, თქვენი ცხოვრების ის მხარეები, რომელთაც მთელი ძალებით მალავდით და მალავთ, გამომზეურდეს. უმჯობესია, ცოტა ხნით ჩრდილში იყოთ და არამც და არამც ყურადღების ცენტრში.

**სამსახური** – კარგს იზამთ, თუ ცოტა ხნით შვებულებას აიღებთ.

**სასიკეთო დღეები:** 22, 27 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 თებერვალი.

# რა ურჩია ვანგამ ქართველ ექიმს?

**„მე ვეკუთვნი იმ მკურნალთა რიცხვს, ვისაც სჯერა, რომ მოურჩენელი დაავადება არ არსებობს, რადგან კარმული დიაგნოსტიკა ყველაფერს კუთვნილ ადგილს მიუჩენს“**







მაია იასეშვილი

599 94-64-58


**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი თინათინ მაჩაიძე პროფესიით ექიმი გახლავთ, მაგრამ მისი ფენომენალური შესაძლებლობები ვერ ეტევა განსაზღვრულ ჩარჩოებში. ამიტომაც არავინ იცის დაბეჯითებით, ის ექსტრასენსია, პარაფსიქოლოგი, ბიოენერგეტიკოსი თუ ფსიქოთერაპევტი. ის პირადად იცნობდა ბულგარელ ნათელმხილველ ვანგას, ცნობილ ექსტრასენსს ჯუნა დავითაშვილს.**

**— ქალბატონო თინათინ, სანამ იმ ამოუცნო მოვლენებზე გვესაუბრებით, რამაც თქვენში რენტგენული ხედვის და კარმული დიაგნოსტიკის ნიჭი გააღვიძა, გაგვიმხილეთ, რამ განაპირობა თქვენი დაინტერესება იდუმალების სამყაროთი?**

– ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, თანატოლებთან თამაშს და ურთიერთობას ბებიას მოსმენა მერჩია, მასთან მშობლებსა და თანატოლებზე მეტი სულიერი სიახლოვე მქონდა. ბებიასთვისაც გამორჩეულად საყვარელი შვილიშვილი ვიყავი. ის იყო დაფარული სამკურნალო ცოდნის უბადლო მცოდნე, გარშემომყოფი ცოცხალ კარაბადინს ეძახდნენ, რადგან ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ყველა ინფორმაცია, რაც იმ დროისთვის იყო ხელმისაწვდომი. პირველად მისგან გავიგე ოქროს საწმისის დაკარგული ცოდნის შესახებ და ბავშვობაშივე ვოცნებობდი, მიმეგნო იმ საიდუმლო ცოდნისთვის, რაც, ლეგენდის მიხედვით, გაგვისხვისდა. ბებიას ჰქონდა უნიკალური სამკურნალო რეცეპტურა, რაც უშუალოდ მე გადმომცა, მაგრამ ჩემთვის საჭირო ინფორმაციას დღესაც მაწვდის მიღმიერი სამყაროდან. აქვე განგიმარტავთ, რომ მიღმიერი პირობითი ცნებაა, სინამდვილეში არავითარი მიღმა და გამოღმა სამყარო არ არსებობს, არის სამყარო, რომელსაც ხედავთ და ვერ ხედავთ. ჩემი აღქმით, ანალიზატორული სისტემების ან ნერვული სისტემის ფიზიოლოგიიდან გამომდინარე, ადამიანები ვერ ხედავენ რენტგენულ გამოსხივებას, არ ესმით ულტრაბგერა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, გაღმა ან გამოღმა სამყაროს ატრიბუტებია, ეს არის ერთი, მთლიანი, განუყოფელი, ყოვლისმომცველი. ღმერთი ანუ ლოგოსი, ლოგოსი ბერძნულად ნიშნავს გონს, მაგალითად, ლოგიკა – გონივრულს ნიშნავს, ამიტომაც ამბობენ, რომ სამყაროს წარმართავს კოსმიური გონი. სწორედ ეს გონი არის ენერგეტიკული ღერძი, რომელზეც ასხმულია სამყარო, ანუ კოსმოსი, ამიტომაც დაერქვა სამყაროს კოსმოსი, რადგან ტერმინი „კოსმო“, ბერძნულად სამკაულს ნიშნავს, აქედან მოდის ტერმინი „კოსმეტიკა“. ღმერთი „შენილბულია“ კოსმოსით და კოსმოსით წარმოაჩენს თავის რაობას... და ჩემი, როგორც ექიმისა და ბიოენერგეტიკოსის, წარმატების საიდუმლო ის გახლავთ, რომ სხვა ადამიანებზე მეტად აღვიქვამ ადამიანის გარე და შინაგან სამყაროს, რომელიც პატარა მოდელია უკიდეგანო, შეუცნობელი კოსმოსის. აქვე დავსძენ, რომ ჩემი რენტგენული ხედვა არანაირ ანომალიურ მოვლენებს არ გამოუწვევია, ბავშვობაშივე მომცა ღმერთმა რენტგენული ხედვის უნარი, რომელიც, რასაკვირველია, მაშინ არაფერში მჭირდებოდა. პირიქით, მაწუხებდა ზედმეტი ინფორმაციის მიღება. ჩემი მკურნალობის ფართო სპექტრსა და ინტერესებს ჩემი ჰოროსკოპი განსაზღვრავს, ჩემი ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულები კარგი მკვლევარები და ექიმები გამოდიან, თუმცა თავდაპირველად მედიცინამ დამაინტერესა ბიოლოგიის გადმოსახედიდან. ბავშვობიდანვე მაინტერესებდა ხვალინდელი დღის შეცნობაც. გრძნეული მედეა, რომლის სახელიდანაც მოდის მედიცინა, ნათელი მაგალითია იმისა, რომ რწმენასა და ფსიქოლოგიურ განწყობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ხშირად განსაზღვრავს მკურნალობის გამოსავალს.

**— ქალბატონო თინათინ, თქვენ შეხვედრიხართ ისეთ უნიკალურ ფენომენებს, რომლებიც მე პირადად მხოლოდ ფილმებში მინახავს, ესენი არიან ბულგარელი ნათელმხილველი ვანგა, მსოფლიოში ძალიან ცნობილი ექსტრასენსი, ქართველი ჯუნა დავითაშვილი. რა გითხრეს მათ, როცა თქვენს საინფორმაციო ველში შემოვიდნენ?**

– მსოფლიოს უამრავი ქვეყანა მაქვს მოვლილი და ამ მოგზაურობის ძირითადი მიზანი გახლდათ რჩეულ ფენომენებთან შეხვედრა. ვოცნებობდი, მცნობოდა ინდოელი ფენომენი ჰასაი ბაბა, ტიბეტელი დალაი ლამა, სტალინის პირადი ტელეპატი მესინგი, ეს ადამიანები არ მინახავს, ვიცნობდი ქართველ ტელეპატს ავთანდილ ლომსაძეს, არ მქონია შემთხვევა, შევხვედროდი ვინმე ფენომენს ჩვენთან, თუ უცხოეთში და ჩემს საინფორმაციო ველში შესვლისთანავე არ ეთქვას, რომ მე მაქვს ძლიერი სამკურნალო ენერგია. ამავდროულად, რენტგენული ხედვის უნარი და არამც და არამც არ უნდა ჩავიკეტო მკურნალობისას კლასიკური მედიცინის ჩარჩოებში, რადგან ბუნებაში არსებულ სამკურნალო შესაძლებლობებს არა აქვს მიჯნა და სამანი. ვანგამ გამომარჩია უცხოელთა გრძელი რიგიდან და თითქმის 20 წუთი დამითმო. მასთან შეხვედრამ თვითშეფასება და გამბედაობა შემმატა, მან ხაზგასმით მირჩია, მივნდობოდი ჩემს ინტუიციას და არ დამეშვა ერთი იდეის გამოტოვებაც კი, რაც მკურნალობის პროცესში მომივა. მე, რაც პროფესიონალი ექიმისთვის დაუშვებელია, იმ პათოლოგიებსაც ვებრძვი, მაგალითად, ჯადოს, გათვალვას და ნებისმიერ ნეგატიურ პროგრამას, რაც არა მხოლოდ ავადმყოფობის საფუძველი ხდება, არამედ ნებისმიერ წარმატებას აბრკოლებს. ერთი და იგივე რეცეპტი, ერთი და იგივე დაავადების შემთხვევაშიც კი, ერთნაირად არ გამოადგება ყველას, ჩემი ინტუიცია, თუ გნებავთ რენტგენული ხედვა, ხედავს ავადმყოფობას და, ასევე, ეძლევა კონკრეტული ინფორმაცია, რომელ ავადმყოფთან რა მეთოდით არის საჭირო მკურნალობა. ჩემი სქემისა და შეხედულების მიხედვით, პრობლემის გადაწყვეტა სწორედ იქ მოიძებნება, სადაც ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი. ამიტომაც არ უნდა დაგვავიწყდეს სახარებაში ნახსენები სიტყვები: „ქვა, რომელიც მშენებლებმა გადააგდეს, ქვაკუთხედად იქნა დადებული“, ამიტომაც ჩემთვის არაფერს ნიშნავს ამა თუ იმ მცენარეული ნაყენის ან პრეპარატის რომელიმე ექიმისგან უარყოფა, რადგან ღვთის შეწევნითა და წყალობით, ზუსტად ვიცი, რა რჩევა უნდა მივცე იმ ადამიანს, ვინც თავის ჯანმრთელობასა და ბედ-იღბალს მანდობს.



თინათინ მაჩაიძე

**— ქალბატონო თინათინ, ჯადოს განეიტრალებას მცენარეებით ახდენთ, თუ მაგიური ცოდნით?**

– ზოგჯერ მცენარეებით, ზოგჯერ – სხვა მეთოდებით. საქმე ისაა, სადაც პრობლემა ან პათოლოგია ჩნდება, იქვე ახლოს არის მისი განკურნების აღმოფხვრის საშუალებაც. არსებობს ყველასთვის სასარგებლო ზოგადი რეცეპტები, რაც მხოლოდ სიკეთეს მოუტანს ადამიანებს, მაგრამ ყველაფერი ყველაზე არ მოქმედებს. როგორც პოეტმა კალმის აღებამდე ლექსის წერის პროცესში წინასწარ არ იცის, რა სტრიქონით დამთავრდება მისი ემოციური სათქმელი, ისე არ იცის ფენომენმა წინასწარ, რა ინფორმაცია მიეწოდება მუშაობის პროცესში და ვისთვის რის გაკეთება გახდება საჭირო. მთავარია, რწმენით მოვიდეს ავადმყოფი ჩემამდე. მე ვეკუთვნი იმ მკურნალთა რიცხვს, ვისაც სჯერა, რომ მოურჩენელი დაავადება არ არსებობს, რადგან კარმული დიაგნოსტიკა ყველაფერს კუთვნილ ადგილს მიუჩენს. მთავარია, პაციენტმა დიაგნოზის უტყუარობა დაიჯეროს და მკურნალის რჩევებს მიენდოს...

## 15-21 თებერვლის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული** – გრძნობების განახლების დრო დაგიდგათ და სხვათა შორის, გარდეროზისაც. შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, რომ ეს პერიოდი იქნება დადებითი ცვლილებების, აღორძინების, შეხვედრების, პაემნების, მრავლისმთქმელი პერსპექტივების. მოკლედ, ფორტუნა აშკარად თქვენს მხარესაა. მთავარია, არ იყოთ ტრივიალური და არ ჩაიციკლოთ ერთ კონკრეტულ შედეგზე. იყავით შინაგანად თავისუფალი და ასეთ შემთხვევაში, ყველაფერი ისე დალაგდება, როგორც საჭიროა და როგორც თქვენთვის იქნება კარგი.

**სამსახური** – კონფლიქტების დრო გავიდა, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დაიწყეთ.

**სასიკეთო დღეები:** 24, 25 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 21 თებერვალი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული** – არც ისე იოლი პერიოდი დგება. შესაძლოა, პარტნიორის მხრიდან არაერთ ბრალდებას შეეჩეხოთ. არც ისე კარგი პერიოდია სიყვარულისთვის. ტვინი ყოველდღიურ პრობლემებზე გადაერთვება და უფრო მეტ ყურადღებას კარიერის საკითხებს დაუთმობს. ცოლქმრულ ურთიერთობაში შესაძლოა, პარტნიორის ჯიუტ პოზიციას გადააწყდეთ. მართალია, უკან დახევა არ გიყვართ, მაგრამ ახლა ის მომენტია, როცა ისედაც მძიმე მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება არაფრით შეიძლება, რადგან შედეგი სავალალო იქნება.

**სამსახური** – არ არის გამორიცხული, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. თუ ხელმძღვანელი ხართ, თქვენს ხელქვეითად ყოფნას არავის ვურჩევთ!..

**სასიკეთო დღეები:** 25, 26 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 22 თებერვალი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული** – თანხმობისა და ჰარმონიის დაბრუნების დროა. ამურის საქმეებში ფორტუნა თქვენს მხარესაა. მშვენიერი მომენტია საზღვარგარეთ წასვლისთვის. გელით სასიამოვნო ნაცნობობა, რომელიც სავსებით შესაძლებელია, სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს. მიმდინარე კვირა რომანტიკული თავგადასავლების გარეშე ნამდვილად არ ჩაივლის. შეგიძლიათ, გქონდეთ საჩუქრებისა და დახმარების იმედი კეთილისმყოფელებისგან.

**სამსახური** – საქმეებშიც წარმატებები გელით. გარდა ამისა, ხელს მოაწერთ და გააფორმებთ მნიშვნელოვან კონტრაქტებს.

**სასიკეთო დღეები:** 21, 27 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 23 თებერვალი.

## 15–21 თებერვლის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული –** არც ისე მარტივი დროა – კონფლიქტები და ნერვული შეტევები ხელს დაგრევთ, თუმცა ვნების მოულოდნელი მოზღვავება მინავლულ ჰარმონიას დაგიბრუნებთ. ნუ მოახდენთ პარტნიორის პროვოცირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, აგრესიას თავს ვერ დააღწევთ. ახალი სიყვარულის ძებნისთვის ეს პერიოდი საშიშია.

რა თქმა უნდა, საყვარელ ადამიანთან წარმოქმნილმა კონფლიქტმა, შესაძლოა, რადიკალური ნაბიჯების გადადგმის სურვილი გაგიჩინოთ, მაგრამ თავი მაქსიმალურად უნდა მოთოკოთ.

**სამსახური –** უარი თქვით ისეთ საქმეებზე, რომელთაც შემოსავალი არ მოაქვთ.

**სასიკეთო დღეები:** 22, 23 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 თებერვალი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული –** მიმდინარე კვირა გრძნობების გამოვლენისთვის არცთუ საუკეთესოა. შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან გაუგებრობებმა იჩინოს თავი. უმჯობესია, თუ პარტნიორის აზრს ყურს დაუგდებთ. თუ კომპრომისზე არ წახვალთ, კონფლიქტი, ფაქტობრივად, გარდაუვალია.

სიყვარულისა და ჰარმონიის ძიება სასურველ შედეგს ჯერჯერობით ვერ მოგცემთ. მოსალოდნელია მხოლოდ დროებითი ზავი და სიმშვიდე. დაელოდეთ ხელსაყრელ მომენტს, ხოლო პირადი სახის მნიშვნელოვანი ღონისძიებები სხვა დროისთვის გადადეთ.

**სამსახური –** გელით ურთიერთობების გარკვევა, მოსალოდნელია სამართლებრივი დავებიც კი.

**სასიკეთო დღეები:** 22, 23 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 25, 27 თებერვალი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული –** თუ დაქორწინებული ხართ, მოსალოდნელია მეუღლესთან კონფლიქტი ყოველდღიური წვრილმანი საკითხების გამო. რაღაც დროით პარტნიორს უნდა დაემორჩილოთ, რაც თქვენ პრინციპში, არ გახასიათებთ და დიდად არ გხიბლავთ, თუმცა...

დასაწყისისთვის მის ყოველგვარ პრეტენზიას დაჰყევით, რადგან სულ მალე ყველაფერს მაინც ისე შეცვლით, როგორც თავად გსურთ.

**სამსახური –** მოემზადეთ შემოწმებებისთვის, მოიყვანეთ წესრიგში ყველა დოკუმენტაცია.

**სასიკეთო დღეები:** 24, 25 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 22 თებერვალი.





მაია იასეშვილი

599 94-64-58

**ჩვენი სტუმარი, მსახიობი პაატა გულიაშვილი თავისი ბედისწერის საინტერესო ნიუანსებს გვიმხელს და საკუთარ თვალსაზრისს გვიზიარებს ამოუცნობი მოვლენების შესახებ.**

– მამაჩემი ავთო გულიაშვილი თელავის თეატრის მსახიობი იყო, დედამ სამსახიობო ფაკულტეტი ვერ დაამთავრა, რადგან პატარა გათხოვდა და 17 წლისას მე უკვე ვყავდი. მოგვიანებით გრიმიორის პროფესიას დაეუფლა და დღემდე გრიმიორად მუშაობს თელავის თეატრში. ბავშვი დასჭირდათ სცენაზე და ბუნებრივია, პირველ რიგში მსახიობები შვილებსა და შვილიშვილებს დაგვიყენებდნენ გვერდით. როცა ნუკრი ქანთარიას სპექტაკლში „ჩემი წყალჭალის ხმებში“ მივიღე მონაწილეობა, სამი წლისა ვიყავი. შემდეგ წლის საუკეთესო სპექტაკლში აღმოვჩნდი. ესეც რეზო ინანიშვილის პიესა იყო, რომელიც კვლავ ნუკრი ქანთარიამ დადგა. ჩემს გარემოცვაში თეატრი გახლდათ ყველაზე აქტუალური თემა. ბავშვობიდანვე, მსახიობების გარდა, ვერსად წარმომედგინა ჩემი მომავალი, მეათეკლასელს პროფესიულ სცენაზე უკვე სერიოზული როლის შესრულება მომიწია. რეჟისორმა გოგი ჩაკვეტაძემ „იეთიმ გურჯში“ ციცკას როლი მათამაშა. აქ უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა ჩემი მომავლის კონტურები. სკოლის დამთავრებისთანავე თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავირიცხე, გიორგი შალუტაშვილის გუნდში. მასაც გაუმართლა და ჩვენც, რადგან ჩემი კურსელების უმრავლესობა დღეს პოპულარული მსახიობია.

**— პაატა, თქვენი პედაგოგის, გიორგი შალუტაშვილისგან ვიცი, რომ მისი სტუდენტები არაჩვეულებრივი ინტუიციით გამოირჩევიან, ისინი სცენაზე და არამარტო სცენაზე უსიტყვოდ გრძნობენ პარტნიორის სათქმელს. როგორი ინტუიცია აქვს პაატა გულიაშვილს?**

– რეჟისურაში არსებობს ასეთი მეთოდი: ერთმანეთს პარტნიორებმა უსიტყვოდ უნდა გაუგზავნონ გარკვეული ენერგიები, რასაც მსახიობები არტისტული ინტუიციით გრძნობენ. გარდა არტისტული ინტუიციისა, ზოგადად, კარგად მაქვს განვითარებული „მეექვსე გრძნობა“. როცა ჩემი მეუღლე, ნინო, გავიცანი, გაცნობისთანავე ვუთხარი, ჩემი შვილები დედას დაგიძახებენ-მეთქი. მართლაც, ექვს თვეში ბედი ერთმანეთს დავუკავშირეთ და გვყავს ორი ვაჟი – გუგა და ნიკოლოზი. ბევრი გოგო მომწონებია, მაგრამ ნინოს გარდა ეს არავისთვის მითქვამს. ძლიერი ინტუიციის წყალობით ვაღწევ თავს თეატრისა და ტელევიზიის ინტრიგებს, რაც თელავის თეატრს მმართველის ამპლუაში მოვევლინე.

**— რაიმე დაფარულ ცოდნას ხომ არ იცნობთ წარმატებების მოსაზიდად?**

– ნებისმიერი ქვეყნისა და ქალაქის დათვალიერებას თეატრით ვიწყებ, ძალიან მიყვარს თეატრი. რომ არ მცოდნოდა, სასიკეთო ცვლილებების მოხდენას შევძლებდი, არ წავიდოდი მმართველად. პირველ რიგში, დასი დარწმუნდა იმაში, რომ თეატრი არტისტებს ეკუთვნით და არა ხელმძღვანელებს. როცა თელავის თეატრში დავბრუნდი, რეპერტუარი თითქმის არ იყო და თეატრს 49 000 ლარი ჰქონდა სახელმწიფოს ვალი. ბევრი შრომისა და ძალისხმევის ფასად თეატრს აქვს საინტერესო რეპერტუარი და ნახევარმილიონიანი ბიუჯეტი. ჩემი დაფარული და დაუფარავი ცოდნა არის – სურვილის ძალა, აზრის ძალა და მონდომება. კიდევ ერთი მეთოდი მაქვს წარმატებისთვის, როგორც ხელმძღვანელს, ეს არის შავისა და თეთრის ერთმანეთისგან გარჩევა. არიან არტისტები, ვინც გაუსაძლისი წლების დროს მსახიობის საქმე სხვა საქმით ჩაანაცვლეს, ან უცხოეთში წავიდნენ, მე მათიც მესმის, მაგრამ ერთნაირ ხელფასს ვერ მივცემ, თუნდაც ნიჭიერ, სიკეთეში შემოსწრებულ არტისტს და ვისაც გამყინვარებაში, უშუქობასა და უხელფასობაში, თეატრი არ მიუტოვებია და დღემდე მოიყვანა. ბევრი მათგანი, ვინც ჩემდაუნებურად ვერ გავანებივრე, უახლოესი ადამიანები არიან და მათ ხელში გავიზარდე, მაგრამ თუ სამართლიანობის მხარეს არ ვიქნები, ვიცი, ვერასდროს ვერაფერს მივაღწევ.



# რა უწინასწარმეტყველა 4 წლის წინათ მამაომ პაატა გულიაშვილს?

**„მჯერა, ერთ მშვენიერ დღეს ვნახავ მამაჩემს და გარდაცვლილ ახლობლებს. როცა სიზმარში მამას ვნახულობ, აუცილებლად სიკეთე და სიხარული მოაქვს“**



**— „აჩრდილებში“ ერთ-ერთი საინტერესო როლი შეასრულეთ. თუ გჯერათ მოჩვენებების, აჩრდილების, პოლტერგეისტისა და მსგავსი სუბსტანციების?**

– აჩრდილების რა მოგახსენოთ, მაგრამ მჯერა, გარდაცვალებით არ მთავრდება ყოფიერება და სიცოცხლე გარკვეული ფორმით გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. მჯერა, ერთ მშვენიერ დღეს ვნახავ მამაჩემს და გარდაცვლილ ახლობლებს. როცა სიზმარში მამას ვნახულობ, აუცილებლად სიკეთე და სიხარული მოაქვს.

**— ცრურწმენების გჯერათ?**

– ცრურწმენებზე მეტად, თეატრალური ცრურწმენების მჯერა. სპექტაკლის დაწყებამდე იატაკზე სამჯერ ვაკაკუნებ, ათას უცნაურობას ვაკეთებ, მაქვს ჩემგან შეთხზული ცრურწმენები, რომლის გამხელაც ძალას დაკარგავს (იცინის).

**— წინასწარმეტყველის ნათქვამი თუ აგცხადებიათ?**

– მკითხავთან, ფსიქოლოგთან და პარაფსიქოლოგთან არასდროს ვყოფილვარ, თუმცა ოთხი წლის წინათ ერთმა მამაომ მითხრა, ამჟამად თბილისში ბინა არ გაქვს, მაგრამ მალე შენი სახლი აუცილებლად გექნებაო და დასძინა, ეს ღმერთმა მათქმევინა, ჩემით არაფერს ვამბობო. მართლაც მალე ამიცხადდა მისი წინასწარმეტყველება.

**— გაქვთ თუ არა ნივთი, რომელსაც საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებთ?**

– ნივთს არ ვანიჭებ საკრალურ მნიშვნელობას, მაგრამ გულიაშვილებს გვაქვს საგვარეულო ხატი, საიდანაც უზარმაზარი მადლი მოდის ჩვენს ოჯახში. ჩვენი გვარი პატრიარქმა დალოცა და მრავალი მოგვარე გავიცანი, თითქმის ყველას ღია ფერის კანი და ცისფერი თვალები აქვს, რამდენიმე მათგანი ბაბუაჩემს მივამსგავსე.

**— კიდევ ერთ ამოუცნობ მოვლენაზე მინდა გკითხოთ. გავიგე, მამის გარდაცვალების შემდეგ თქვენში პოეტურმა ნიჭმა გაიღვიძა, როგორ ფიქრობთ, სტრესი შემოქმედების წინაპირობაა, თუ ტკივილის გარეშეც ამოქმედდებოდა თქვენში ეს უნარი?**

– საოცარია, რომ მამას გარდაცვალების შემდეგ ლექსების წერა დავიწყეთ მეც და დედაჩემმაც. ეს მართლაც იდუმალებით მოცული პროფესიაა, პირველი ლექსი მამის ხსოვნას მივუძღვენი, მაგრამ ამ დღიდან ინტენსიურად დავიწყე წერა. მიმაჩნია, რომ ტკივილსა და სათქმელს არ სჭირდება გულში ჩახვევა, მზის სინათლე სჭირდება, თუმცა პოეტობაზე პრეტენზია არ მაქვს, ხანდახან ლექსებს მუსიკა მოსდევს და საავტორო სიმღერებსაც ვქმნი, მაგრამ თამამი განაცხადი პოეტობისა და სიმღერების ავტორობის, არასდროს მექნება. კონსტანტინე გამსახურდიას თქმისა არ იყოს, ერთი ბომონი ვერ დაიტევს ორ კერპს და ის კერპი, რომელსაც ვერაფერზე გავცვლი, თეატრია. რაც შეეხება პოეზიას, არ მეგულება ნამდვილი მსახიობი, რომელსაც კარგი პოეზია არ უყვარს.

## 15–21 თებერვლის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული –** დადგა დრო, გიყვარდეთ და უყვარდეთ. თქვენს გრძნობებს აუცილებლად უპასუხებენ, გულთან ახლოს მიიტანენ და თქვენზე ზრუნვას დაიწყებენ. არ დამალოთ სითბო, გამოიჩინეთ გულუხვობა და სულგრძელობა. არ თქვათ უარი მიპატიჟებაზე. გახსოვდეთ, რომ რომანტიკული ვახშმის მოწყობა მხოლოდ სახლში როდი შეიძლება. არ გაუშვათ ხელიდან შანსი, საყვარელ ადამიანთან ერთად დრო განსხვავებულად გაატაროთ.

**სამსახური –** ფორტუნა გაძლევთ შანსს, საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოთ, რისთვისაც კრეატიულობა გმართებთ.

**სასიკეთო დღეები:** 24 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 21 თებერვალი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული –** მიმდინარე კვირისგან განსაკუთრებულს ნურაფერს დაელოდებით. არცთუ კარგი დროა გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის. მოიწყვეთ დღესასწაული სახლში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში რესტორნებსა თუ კაფეებში. ერთი, რაც გაგახარებთ, ის არის, რომ კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება იმ ადამიანისთვის, რომელიც გვერდში გყავთ. სამწუხაროდ, მოსალოდნელია პრობლემები მშობლებთან ურთიერთობაში.

**სამსახური –** ჯგუფური მუშაობისთვის არცთუ ხელსაყრელი დროა, უმჯობესია, საქმეებს მარტო გაუძლვეთ.

**სასიკეთო დღეები:** 24, 25 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 22 თებერვალი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული –** მშვენიერი დროა ნაცნობობისთვის, ურთიერთობისთვის, ზრუნვისთვის და ზოგადად, ულამაზესი გრძნობებისთვის.

გაითვალისწინეთ, რომ სავსებით შესაძლებელია, მეგობრული ურთიერთობა უეცრად სიყვარულში გადაიზარდოს, რამაც არ უნდა დაგაფრთხოთ. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდება: გაცნობა, შეხვედრები, ფლირტი... და მიუხედავად იმისა, მიიღებთ თუ არა ამ ყველაფერს სერიოზულად, თავს მაინც გადასარევად იგრძნობთ.

**სამსახური –** კარგი დროა, ხანმოკლე საქმიანი მივლინებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 21, 27 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 24 თებერვალი.



საუდის არაბეთში სილამაზის კონკურსი ჩატარდა გაიმარჯვა ფარანჯა ნომერი 7-მა.

*****

– ალოოოოო, ალოოო, პოლიციააა? მიშველეთ მძარცვავენ!!!

– დაწყნარდით, გამოვდივართ! სად ხართ?

– სახლში ვარ, კაცო, დენის, გაზისა და წყლის ქვითრებს ვათვალიერებ.

*****



მიხო სახლში მივიდა. ხედავს ყველგან თეთრი ფხვნილი ყრია.

– თედო, შვილო, მოდი აქა! ეს რააა, ჯოოო?!

– კოკაინია, მამი.

– კოკაინი კი არა, ისევ ტორტს უცხობდი არაა, შენს შეყვარებულ მაყვალას, შე ქალაჩუნა შენა?!

*****

– ეჰ, პარიზში ნამდვილად არ ვიცხოვრებდი!

– რათა კოტე? ჯერ ერთი, რო ფრანგული არ ვიცი და მეორე ისა, რო სამსახურში ყოველდღე ვარკეთილიდან პარიზში რა ივლის!..

*****

– ალოოოო, ავთანდილოვიჩ, დღეს სამსახურში ვერ მოვალ, მანქანა გამიფუჭდა.

– კაცო, შენც ადექი და ავტობუსით წამოდი.

– კი, მარა, ავთანდილოვიჩ, ავტობუსი რო არა მყავს?

*****

გადაცემა „ნიჭიერში“ კოტე მიიწვიეს. კითხვა:

– ხახვი, სტაფილო, კარტოფილი, „ლექსუსი“, რომელია აქედან ზედმეტი?

კოტე არ დაიბნა და სწრაფადვე უპასუხა:

– ხახვი, სტაფილო, კარტოფილი!

*****



– კოტე, რას დაღონებულხარ?

– რა და სიგარეტის კოლოფზე ამოვიკითხე – მოწევა იმპოტენციას იწვევსო.

– მერე გადააგდე, სანამ დროა.

– ეეეეჰ, ველარ მოვასწარი...

***მომამზადა დავით ახობაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

საინტერესო ამბები...

## სენსაციური განცხადება კარდიოლოგებისგან — ძილის წინ მხოლოდ ერთი ჭიქა წყლის დალევა ინსულტისგან გიხსნით!



მშობლებს ბავშვობიდან რომ მივეჩვიეთ წყლის სმის სწორი რეჟიმისთვის, ჯანმრთელობის უამრავ პრობლემას ავიცილებდით თავიდან.

სასმელი წყლის ფასეულობას ყველა აცნობიერებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ დიდი რაოდენობით წყლის მიღება.

უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს წყლის დალევის დროს. მოდი, გავარკვიოთ, როდის უნდა დავლიოთ წყალი, რათა ის მაქსიმალურად სასარგებლო იყოს ჩვენი ორგანიზმისთვის!

– დალიეთ 2 ჭიქა წყალი გაღვიძებისთანავე – ასე შინაგან ორგანოებს აამუშავებთ. აქტიური ნივთიერებათა ცვლა წყლის გარეშე შეუძლებელია. ამასთანავე, დილიდან სხეულის დატენიანებაც აუცილებელია.

– იმისთვის, რომ გაიუმჯობესოთ საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობა, ჭამამდე 30 წუთით ადრე ერთი ჭიქა წყალი დალიეთ.

– თუ აბაზანის მიღება გაქვთ გადაწყვეტილი, ამ პროცედურის წინ წყალი აუცილებლად დალიეთ. ის არტერიულ წნევას დაბლა დასწევს. ამის გაკეთება განსაკუთრებით, ჰიპერტონიკი ადამიანებისთვისაა საჭირო.

– საღამოს მიღებული ერთი ჭიქა წყალი გულ-სისხლძარღვთა პრობლემებს თავიდან აგარიდებთ და ინსულტისგან დაგიცავთ. ძილის წინ წყლის დალევა კიდევ ერთ უსიამოვნებას – ღამის კოშმარებს აგაცილებთ თავიდან. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ღამის კოშმარები და ძილის დროს შფოთვა, ხშირ შემთხვევაში, გაუწყლოვნების ბრალია.

***marao.ge***

## პატარა ასაკში მიღებულმა ფსიქოლოგიურმა ტრავმამ ზღარბი... გამელოტებამდე მიიყვანა



ვინ იფიქრებდა, რომ ზღარბის უძლეველ ნემსებსა და საიმედო იარაღს რამე მოერეოდა, მაგრამ ასე მოხდა ზუსტად – ბრიტანეთის ქალაქ ლითლ ჰადჰემში პატარა ასაკში გადატანილი სტრესის გამო, საწყალ ზღარბუნიას ეკლები გასცვივდა და... გამელოტდა.

თავიდან ვეტერინარებს ჩვეულებრივი მუნი ეგონათ. თურმე, ერთ-ერთ მტაცებელ ფრინველს (ბრჭყალი თუ ნისკარტი გამოძიებისთვის უცნობია) გაუკრავს და ცხოველს ჭრილობა მიუღია, რომელზეც ზღარბს ბევრი უნერვიულია და მოგვიანებით გამელოტებაც გამოუწვევია.

ვეტერინარის თქმით, იმისთვის, რომ ზღარბს „ქოჩორი“ ისევ გაეზარდოს და სრულფასოვან ცხოვრებას დაუბრუნდეს, საჭიროა, მისი თბილ გარემოში ყოფნა და თავისუფლად გადაადგილება. ვეტერინარმა ამ ამბის შესახებ თავის ფეისბუკგვერდზე დაწერა. მოგვიანებით, გამოჩნდა მოხალისე, რომელმაც ცხოველის შეფარების სურვილი გამოთქვა.

ზღარბის ბედით აღელვებული ადამიანები იმედს გამოთქვამენ, რომ მოსიყვარულე გარემო ცხოველს დაეხმარება და გამოჯანმრთელდება.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები...

## ქალს საკეისრო კვეთა გაუკეთეს და ბავშვი ვერ აღმოაჩინეს!



ეს ამბავი ინგლისის ქალაქ ლესტერში მოხდა. ცოლ-ქმარი ემბერ და დანიელ ჰიუზები მეოთხე შვილს ელოდნენ.

30-ე კვირაში ემბერმა წყლები დაღვარა. 36 საათში გადაწყვიტეს, რომ ფიზიოლოგიური მშობიარობა არ ხდებოდა და უსაფრთხო იქნებოდა, ბავშვი საკეისრო კვეთის შედეგად ამოეყვანათ. ექიმებმა პაციენტი გაკვეთეს, მაგრამ გაოგნებულები დარჩნენ – ბავშვი ვერ იპოვეს. პასუხსაც ვერ პოულობდნენ...

თუმცა რამდენიმეწამიანი ძიების შემდეგ ახალშობილი მაინც იპოვეს – სანამ ექიმები კვეთდნენ, ბავშვი მაინც ბუნებრივად დაბადებულა და დედის ფეხებს შორის, საფენებში იყო ჩამალული.

რაკი ბავშვი დროზე ადრე დაიბადა და კილოგრამზე ოდნავ მეტს იწონიდა, ინკუბატორში მოათავსეს. ახლა პატარა ოლი სავსებით ჯანმრთელია.

დენიელი ამბობს, რომ მისთვის ის წუთი, როცა ექიმები ბავშვს ეძებდნენ, უსასრულოდ გაიწელა.

„ვერ ვიგებდი, რა მოხდა. თუმცა ექიმების რეაქციით ვხვდებოდი, რომ რაღაც ისე არ იყო. გული ფეხებში ჩამივარდა, როცა დავინახე, როგორ შეშფოთდნენ და ერთმანეთს გაოცებულები უყურებდნენ“.

ცოლ-ქმარი ფრიად უკმაყოფილო დარჩა ექიმების ქმედებით, თუმცა მათ ბოდიშს დასჯერდნენ და საქმე სასამართლომდე არ მიუყვანიათ – მათთვის მთავარია, რომ ბავშვი გადარჩა.

***mshoblebi.ge***

საინტერესო ამბები...

## ნოუთბუქი ძველბერძნულ სკულპტურაზე?




ძველბერძნულ სკულპტურაზე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 100 წელსაა შექმნილი, თითქოსდა, თანამედროვე ნოუთბუქის დანახვაა შესაძლებელი. მარმარილოს ეს სკულპტურა კალიფორნიაში, გეტის მუზეუმში ინახება.

ქვაზე ამოკვეთილი უცნაური ნივთი თანამედროვე პორტატულ მოწყობილობას ნამდვილად ჰგავს, რომელსაც თითქოსდა **USB**-პორტებიც კი აქვს.

ჰიპოთეზის ავტორი, რომელიც მიიჩნევს, რომ აღნიშნულ სკულპტურაზე ნოუთბუქია გამოსახული, დანამდვილებით არაფერს ამტკიცებს, თუმცა ამბობს, რომ უძველესი სკულპტურა შესაძლოა, დელფოს ორაკულთან და მის წინასწარმეტყველებებთან იყოს დაკავშირებული.

ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეები კი მიიჩნევენ, რომ გამოსახულება წინასწარმეტყველება არ არის და ნივთი, უბრალოდ, ცვილის დაფაა, რომელსაც ძველი ბერძნები საწერად იყენებდნენ.

***info9.ge***

საინტერესო ამბები...

## ქმარმა ცოლს კულინარიული უნარების არქონის გამო, სასამართლოში უჩივლა



კაცის გულისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადისო, შეახსენა 47 წლის იტალიელმა თავის ცოლს და სახლის საქმეების არცოდნის გამო სასამართლოში უჩივლა.

თურმე, ქალს არც საჭმლის მომზადება სცოდნია და ამასთანავე, ანტისანიტარიაც ძლიერ ჰყვარებია. ადგა და ქმარი საძინებლიდან გამოაძევა. ეს არ აკმარა და მისი მოტანილი საკვები პროდუქტებით ისეთ კერძებს ამზადებდა, რომ პირდაპირ ნაგავში ყრიდნენ.

კაცმა ველარ გაუძლო ცოლის უნიათობას და სასამართლოში უჩივლა. ქალს კი ოჯახისადმი სასტიკ დამოკიდებულებაში ედება ბრალი და დაახლოებით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები...

## რას იწვევს ღამე მესიჯობა — ის, რაც ყველამ უნდა იცოდეს!



მშობლებისთვის 21-ე საუკუნის მთავარ პრობლემას შვილების ტელეფონზე დამოკიდებულება წარმოადგენს. მოზარდების უმრავლესობა დასაძინებლად ტელეფონის გარეშე არ წვება, რაც მას ძილისთვის აუცილებელ დროს ართმევს. ტელეფონების ეკრანებიდან წამოსული ცისფერი შუქი სიბნელეში ძლიერდება და ანელებს ჰორმონ მელატონინის გამოყოფას, რის გამოც ადამიანი დიდხანს ვერ იძინებს. მელატონინი ცირკადული რიტმის მარეგულირებელი ჰორმონია, რომელსაც უძილობის დროს აბების სახით მიიღებენ.

არასაკმარისი ძილი მოზარდის მეხსიერებაზე უარყოფითად მოქმედებს, ეს კი მათ დაბალ აკადემიურ მოსწრებასა და დაბალ აქტიურობას განაპირობებს.

***newposts.ge***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## პოპულარობამ შესაძლოა, ადამიანის ფსიქიკა მთლიანად დაანგრიოს — ფსიქოლოგების რჩევები მშობლებს



საზოგადოების დიდი ნაწილი ყურადღების ეპიცენტრში მოქცევას გამუდმებით ცდილობს. ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში ეს უფრო და უფრო მარტივდება.

პოპულარობისკენ სწრაფვა, ხშირ შემთხვევაში, ბავშვობის ასაკიდან იწყება. ამის რამდენიმე მაგალითი არსებობს, კერძოდ, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მომღერალი ჯასტინ ბიბერი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ თინეიჯერების კუმირი იყო, ახლა მათივე დაცინვის ობიექტი გახდა. არსებობს მოსაზრება, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ეკრანზე პოპულარული მომღერლის დანახვა, უბრალოდ, მოსწყინდა და ის ახალი სახეებით ჩაანაცვლა.

– რა გავლენას ახდენს პოპულარობა მოზარდის ფსიქიკაზე?

პოპულარობა სრულფასოვანი განვითარების საშუალებას აღარ იძლევა, რადგან ადამიანს ეიფორიებსა და ამბიციებში აგდებს. ცნობადობას ვერც ზრდასრული ადამიანები უძლებენ და ამის უამრავი მაგალითია. მაგალითად, ფილმ „მარტო სახლშის“ მსახიობი, რომელმაც ამ როლების შემდეგ თავად საერთოდ ვეღარ იცხოვრა. პიროვნება ძალიან უამბიციო უნდა იყოს, ამ ყველაფერმა რომ არ იმოქმედოს ფსიქიკაზე, თუმცა ადამიანი ამბიციური ქმნილებაა, მაგრამ მაინც, ეს ინდივიდზეა დამოკიდებული. ბავშვობაში პოპულარულს, ზრდასრულ ასაკში შეიძლება ის აზრი ჩამოუყალიბდეს, რომ უფრო მეტია, ვიდრე რეალურად. რეალობის გრძნობა შეიძლება წაერთვას. იმ ფაქტმა, რომ ბავშვობაში რაღაცამ პოპულარული გახადა, შეიძლება აფიქრებინოს – „იმისთვის რომ უფრო წინ წახვიდე, შრომა აღარ არის საჭირო“, თან ჩვენ ხომ ყალბი ფასეულობები გვაქვს, თუ ფული გაქვს და ცნობილი პიროვნება ხარ ჩათვალე, რომ მიზანს მიაღწევ, თუმცა ყველაზე ამას ვერ ვიტყვი.

– როდესაც საზოგადოება მოზარდის მიმართ ინტერესს კარგავს, როგორ აისახება ეს მის ფსიქიკაზე?

როცა მიჩვეული ხარ, რომ კამერები შენკენაა მომართული და უცებ აღარავის აინტერესებ, ამან შეიძლება ადამიანის ფსიქიკა მთლიანად დაანგრიოს.

– რატომ უჩნდებათ მშობლებს სურვილი, თავიანთი შვილები საზოგადოების ფართო წრეებს გააცნონ და პოპულარულები გახადონ?

ადამიანი ეგოცენტრული ქმნილებაა და მუდმივად უნდა, რომ წინ იყოს, პირველი იყოს... მშობლები, რომლებიც შესაძლოა, თვითონ ვერ რეალიზდნენ, დიდი შანსი აქვთ, რომ მათი შვილები განსაკუთრებულები იყვნენ. ელემენტარულად, კლასშიც კი ცდილობს მისი შვილი, წარმოაჩინოს ისე, რომ გენიოსია. ჩვენ ილუზიებში ვცხოვრობთ და ეს დიდი პრობლემაა. ზრდასრულობა არ ნიშნავს ფსიქოლოგიურად ზრდასრულობას, ეს მხოლოდ ბიოლოგიური მომენტია. ასე რომ, პირველ რიგში, საკუთარ თავზე და შემდეგ ბავშვებზე სამუშაო გვაქვს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ადამიანის განვითარება ბავშვობიდან იწყება და იმ გარემოზეა დამოკიდებული, რომელშიც ის ყალიბდება. საბოლოოდ, რა გავლენას მოახდენს პოპულარობა მის ფსიქიკაზე იმაზეა დამოკიდებული, თავად ამისთვის მზად რამდენად იყო.

***daijesti.pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## წლის სკანდალური განქორწინება — დევიდ და ვიქტორია ბექჰემების 17-წლიანი სიყვარული დასრულდა



17-წლიანი ქორწინების შემდეგ კიდევ ერთი ვარსკვლავური წყვილი თანაცხოვრებას ასრულებს. როგორც ბრიტანული მედია წერს, 40 წლის ფეხბურთელის, დევიდ ბექჰემისა და მისი 41 წლის მეუღლის, მომღერლისა და დიზაინერის, ვიქტორია ბექჰემის განქორწინება გარდაუვალია.

წყვილი რამდენიმე თვეა, ცალ-ცალკე ცხოვრობს. ჭორები ბექჰემების ქორწინებაში არსებული ბზარის შესახებ თითქმის 6 თვეა, ვრცელდება.

გავრცელებული ინფორმაციით, ორივე საკუთარი კარიერითაა დაკავებული, სხვადასხვა ინტერესები აქვთ და მიუხედავად დიდი მცდელობისა, ქორწინების გადარჩენა ვერ მოახერხეს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დევიდმა აშშ-ში საფეხბურთო კლუბი იყიდა, ვიქტორიას კი ლონდონის დატოვება არ სურს. მეორე ვერსიით კი, განშორების მიზეზი დევიდ ბექჰემის ღალატი გახდა. თუკი ეს სიმართლეა, ბექჰემების განშორება ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე ძვირად ღირებული განქორწინებების რიცხვში შევა.

წყვილის ერთობლივი ძალებით დაგროვებული ქონება დაახლოებით 1 მილიარდ დოლარს შეადგენს და ვინაიდან საქორწინო კონტრაქტი არ გაუფორმებიათ, განქორწინება სკანდალების გარეშე არ ჩაივლის.

წყვილს 4 შვილი – სამი ბიჭი და ერთი გოგონა ჰყავთ.

***newposts.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მამაკაცმა პიტბულის გაუპატიურება სცადა და... რეამინაციაში მოხვდა



მაიამიში 37 წლის მამაკაცმა პიტბულის გაუპატიურება სცადა და სიამოვნების ნაცვლად, სერიოზული ტრავმა მიიღო. პიტბულმა მამაკაცი დაკბინა.

ხესუს რამონ სანჩესი პატარა ჰავანაში, მაიამისთან ახლოს, ფლორიდის შტატში ცხოვრობს. მამაკაცმა 4 წლის პიტბულის გაუპატიურება სცადა. ძაღლმა თავდაცვის მიზნით მამაკაცს გენიტალიებზე უკბინა. ექიმებმა სანჩესს სასქესო ორგანო ვერ შეუნარჩუნეს.

„ძაღლი დარბოდა, ბურთს ეთამაშებოდა, მასთან ამ დროს კაცი მივარდა, შარვალი ჩაიხადა და ძაღლს ეცა. პარკში გაოგნებისგან ყველა გაშეშდა, მაგრამ ცხოველმა თავი თვითონვე დაიცვა. ძაღლი კაცის სასქესო ორგანოს კბილებით სწვდა და რასაც ჰქვია, გაგლიჯა“, – ამბობს თვითმხილველი.

***plus.kvira.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## არასწორი სასამართლო განაჩენი... გამოუძინებლობის ბრალია



უძილობას სავალალო შედეგი აქვს ჯანმრთელობისთვის, შრომისუნარიანობისთვის, ახლა კი აღმოჩნდა, რომ გამოუძინებლობას სასამართლო საბედისწერო შეცდომამდე მიჰყავს, რამაც შესაძლოა, ადამიანის ბედი მთლიანად შეცვალოს.

თურმე, არასაკმარისი ძილის შემთხვევაში, ეჭვმიტანილები ცრუ აღიარებით ჩვენებებს იძლევიან.

ფსიქოლოგების აზრით, უძილობის შემთხვევაში უდანაშაულო ადამიანი იჯერებს, რომ სწორედ მან ჩაიდინა დანაშაული.

ისინი, ვისაც 24 საათის განმავლობაში არ ეძინათ არასწორ აღიარებით ჩვენებებს ხელს 4.5-ჯერ უფრო ხშირად აწერდნენ, ვიდრე ისინი, ვისაც სრულფასოვნად, დღე-ღამეში 8 საათი ეძინათ.

ექსპერიმენტში 88 ადამიანი მონაწილეობდა და ერთი კვირის განმავლობაში კომპიუტერით სპეციალურ დავალებას ასრულებდა. მონაწილეებს უთხრეს, რომ კლავიშ **Esc**-ით ყველა მონაცემის წაშლა შეეძლოთ. ექსპერიმენტის ბოლო დღეს, მონაწილეები ორ ჯგუფად გაანაწილეს, პირველ ჯგუფს სრულფასოვანი ძილის საშუალება ჰქონდათ, ხოლო მეორე ჯგუფს 24 საათის განმავლობაში არ ეძინა.

ბოლოს სთხოვეს, ეთქვათ, ვინ რა სიხშირით გამოიყენა კლავიში **Esc**. აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფის 18 პროცენტს და მეორე ჯგუფის 50 პროცენტს ჰქონდა გამოყენებული.

ამერიკაში ცრუ ჩვენებების საფუძველზე არასწორი განაჩენის გამოტანის საშიშროება 15-20 პროცენტია. ფსიქოლოგები იმედოვნებენ, რომ მათი კვლევა შედეგს გამოიღებს და უსამართლო განაჩენების რიცხვის შემცირების მიზნით, დაკითხვის წინ გამოძინებას პრაქტიკაში დანერგავენ.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ავსტრალიაში ალბინოსი კუ აღმოაჩინეს



ავსტრალიაში, კვინსლენდის შტატის სანაპიროზე ალბინოსი კუ აღმოაჩინეს. კუ პირველად სანაპირო ზოლის დაცვის მოხალისე წევრებმა შენიშნეს და დამფრთხალი და გაქცეულ ქვეწარმავალს ვიდეო გადაუღეს. ალბინოსი 112 მწვანე კუს შორის აღმოაჩინეს.

გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თანამშრომელი, დოქტორი კოლ ლიმპუსი ამბობს, რომ ასობით ათასი კვერცხიდან ალბინოსი კუს გაჩენის შანსი მხოლოდ ერთია.

ალბინოსობა ფერმენტის დეფექტის შედეგია და მას პიგმენტ მელანინის ნაკლებობა იწვევს. თუ ერთ-ერთი მშობელი მაინც ნორმალური გენეტიკის მატარებელია, შთამომავლობას არ ექნება ალბინოსური გამოვლინებები, ისეთი, როგორიცაა კანის ფერის შემცირება. იმისთვის, რომ ალბინოსი გაჩნდეს, აუცილებელია ორივე მშობელს დეფექტური გენი ჰქონდეს.

***lenta.ru***



კოტე სამზარეულოში მოფუსფუსე ცოლს ეკითხება:

– რას აკეთებ, ჩემო სულის ტარხუნა?

– საჭმელს გიმზადებ, ჩემო გულის წიწმატო.

– ვააა და რას მიმზადებ?

– თავიდან სუპი იყო და ბოლოს ვნახოთ, რა გამოვა, მეც მაინტერესებს...

*****

სიტყვა „აეროპლანი“ წარმოიშვა ბერძნული არსებითი სახელისგან „აერო“ – ჰაერი და უზბეკური ზმნისგან „პლანი“ – ფრენა...

*****



სექსი ტელეფონით

– ნელ-ნელა ვიხდი წინდას... ახლა მეორეს... ახლა მესამეს... მეოთხეს... – მოიცა, შენ რა, ჩერნობილიდან ხარ?

– არა, ახალქალაქიდან ვარ, რაღაც უცებ აგვიცივდა დაა...

*****

კოტე ბავშვს აძინებს.

– მამიკო, ძილის წინ ზღაპარი მომიყევი, რააა...

– კარგი, მისმინე: ხვალ მოვალ ფხიზელი, დედაშენს ყვავილების ლამაზ თაიგულს მოვუტან, შენ კიდევ – ველოსიპედს... მორჩა დაიძინე ახლა!..

*****

– თქვენი ცოლის ნევროზული დაავადება საშიში არაა, ასეთი ნევროზით ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ

– კი, მარა, ექიმო, მისი ნევროზის გადამკიდე მე რამდენ ხანს ვიცოცხლებ?!

*****



ცალთვალა პატარა კოტეს უკვე აღარ აინტერესებს, ვინ ცხოვრობს მისი სახლის წინ მდგარი ხის ფუღუროში...

***მოამზადა დავით ახობაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


## ოსტეოპოროზის პროფილაქტიკისთვის ქლიავი გამოიყენეთ



ასაკის მატებასთან ერთად, ბუნებრივია, ძვლების სიმტკიცეც იკლებს და 50 წელს გადაცილებული ადამიანები ოსტეოპოროზის რისკის ჯგუფში ექცევიან, რომლის მთავარი სიმპტომიც ძვლების მტვრევადობა გახლავთ.

სპეციალისტების განმარტებით, დღეისთვის არსებული მედიკამენტები არცთუ სახარბიელო შედეგს იძლევა და მაქსიმუმ პროცესის შენელებას თუ ახერხებენ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ამერიკელი მეცნიერების აღმოჩენა ნამდვილად მნიშვნელოვანია, რადგან საქმე ეხება საკმაოდ ადვილ და რაც მთავარია, მკურნალობის ეფექტურ მეთოდს, რომელსაც ორგანიზმის ოსტეოპოროზისგან დაცვა შეუძლია.

კონტინენტსგაღმელების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქლიავის (განსაკუთრებით სასარგებლო ქლიავის ჩირი აღმოჩნდა) მიღება ადამიანს ძვლის მასის აღდგენის უნიკალურ შესაძლებლობას ანიჭებს.

ექსპერიმენტი ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარდა, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილები. ერთ ჯგუფს ექსპერტები ქლიავის ჩირით რეგულარულად კვებავდნენ, მეორეს რაციონში კი აღნიშნული პროდუქტი საერთოდ არ შედიოდა. 6 თვის გასვლის შემდეგ დადგინდა, რომ თაგვებს, რომლებსაც ქლიავი საერთოდ არ მიუღიათ, ძვლები უფრო მტვრევადი ჰქონდათ. ამასთანავე, ჩირის მიღებით მღრღნელების ძვლების სიმტკიცე მთელი 85 პროცენტით გაიზარდა, საღმა ქლიავმა კი 50-პროცენტიანი მატების შედეგი გამოიღო.

*dr20.ru*

## იტალიელი განგსტერები ცეცხლსასროლი... ტელეფონებით შეიარაღდნენ



ალბათ, ასეთი იარაღი ძველი „კოზა ნოსტრას“ ნებისმიერ წევრს რომ ჰქონოდა, კიდევ უფრო მეტი შავ-ბნელი საქმეების „გაიმასქნებას“ შეძლებდა...

როგორც ირკვევა, მაფიოზურ დაჯგუფებებთან ბრძოლაში კარგად გამოწრთობილმა იტალიელმა სამართალდამცველებმა, კრიმინალების მიერ შესანიშნავად შენიღბული იარაღი აღმოაჩინეს, რომელსაც მობილური ტელეფონის გარეგნობა ჰქონია მიღებული.

იქაური მედიის ინფორმაციით, პოლიციამ უჩვეულო იარაღს ნეაპოლში, ერთ-ერთი კრიმინალის სახლის ჩხრეკისას მიაგნო. კერძოდ, ის კამორას ოჯახის წევრის კუთვნილება გახლდათ, მაფიოზური დაჯგუფებისა, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისიდან იღებს.

22-კალიბრიანი იარაღი გარეგნულად არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ტელეფონისგან, თუმცა, თუკი მას კარგად შეისწავლით, აღმოაჩენთ, რომ კორპუსის უკანა მხარე განკუთვნილია არა ელემენტისთვის, არამედ ტყვიებისთვის.

პოლიციელების განმარტებით, ტელეფონ-პისტოლეტში ოთხი ტყვია ეტევა, რომელთა გასროლა ერთ-ერთ ღილაკზე თითის დაჭერითაა შესაძლებელი.

*factroom.ru*

## უპრობლემო მხედველობის ოქროს წესები



დაგვეთანხმებით, საშინელებაა, როცა სამსახურიდან სახლში გადაღლილი ბრუნდებით, დგახართ გზაზე და ელოდებით „მარშრუტკას“, მაგრამ, სამწუხაროდ, მის ნომერს მხოლოდ მაშინღა ამჩნევთ, როცა მგზავრებით გადატვირთული ავტომობილი გვერდს დიდი სიჩქარით ჩაგივლით.

მოგეხსენებათ, მხედველობის პრობლემები მხოლოდ ამით შემოიფარგლება და შესაძლოა, ჯანმრთელობა კიდევ უფრო მეტად დაიზიანოთ, რაც, ცხადია, არც ერთ შემთხვევაში არ გსურთ.

ჰოდა, მაშ, ყურადღებით გაეცანით ბრიტანელი სპეციალისტების, როგორც თავად უწოდებენ, 4 ოქროს წესს:

მხედველობასთან დაკავშირებითაც, პირველ რიგში, ყურადღება კვებას უნდა დაუთმოთ. კერძოდ, ხშირად უნდა მიიღოთ სტაფილო და მოცვი – სტაფილო დღეში 3-4 ცალი, მოცვის წვენი კი ყოველდღიურად – 1 ლიტრამდე.

მეორე წესი – თვალების ვარჯიში. მათ შორის, ყველაზე ადვილი ასეთია: მზერა შორეულ საგანზე უნდა შეაჩეროთ, შემდეგ კი უცბად ახლო მდებარეზე გადაიტანოთ.

მესამე წესი – 5-წუთიანი შესვენებები. დატვირთული მუშაობის მიუხედავად, ყოველ 1-2 საათში თვალები მინიმუმ 5 წუთით მაინც უნდა დაასვენოთ.

მეოთხე წესი – ჯანსაღი ძილი. მისი დარღვევა უარყოფითად მოქმედებს იმუნურ სისტემაზე და მათ შორის, მხედველობაზეც.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjane.ru*


გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 435 553

რედაქტორი მანანა გიორგაძე



## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

555 125 770; 596 777 773


## ხანგრძლივი სიცოცხლის მყარ გარანტიას... ბავშვები გვაძლევენ?



არავის გაუკვირდება, თუკი ვიტყვით, რომ ზრდასრული ადამიანებისთვის ბავშვებს უდიდესი ძალის, ენერგიისა და სიყვარულის მიცემა შეუძლიათ. უფრო მეტიც, პატარებისგან უფროსები უამრავ სასარგებლო თვისებას იძენენ, ბევრს სწავლობენ და ასე შემდეგ. თუ გგონიათ, რომ ეს მხოლოდ ჩვენი ან ერთეული ადამიანების მოსაზრებაა, ცდებით და ახლავე ყველაფერს მეცნიერულად დაგისაბუთებთ:



როგორც ირკვევა, ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევის შედეგად, დამტკიცდა, რომ ბავშვებს უფროსებისთვის სიცოცხლის გახანგრძლივებაც კი შეძლებიათ, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ.

კერძოდ, კვლევის ფარგლებში, ნორვეგიელმა სწავლულებმა 1,5 მილიონი ადამიანის ბიოგრაფია გააანალიზეს, რომელთა ასაკი 45-დან 68 წლამდე მერყეობდა. გარდა ამისა, მეცნიერებმა განიხილეს გარდაცვალების 60 ათასზე მეტი შემთხვევა, რათა დაედგინათ კავშირი განათლებას, ოჯახურ მდგომარეობასა და შვილების რაოდენობას შორის ერთი მხრივ და მეორე მხრივ, სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის.

შედეგად დაზუსტდა, რომ ე.წ. მშობლის ეფექტი მართლაც არსებობს. ამასთანავე, ეს მოვლენა უდიდეს გავლენას ახდენს არა მხოლოდ დედაზე, არამედ მამაზეც, რაც იმას ნიშნავს, რომ უშვილო ქალებში ადრეულ ასაკში გარდაცვალების რისკი 50 პროცენტით მაღალია, მამაკაცებში – 35 პროცენტით.

– მშობლები, – განმარტავენ ნორვეგიელი მეცნიერები, – გაცილებით იშვიათად მიდიან რისკზე, ვიდრე ადამიანები, რომლებსაც შვილები არ ჰყავთ. გარდა ამისა, მოხუცებულობისას ისინი უდიდეს ძალას იღებენ შვილებისგან, უშვილოები კი მარტოები რჩებიან, რასაც სტრესი და დეპრესიები მოსდევს. ამდენად, შვილების ყოლას ადამიანის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*medkarta.com*



ხშირად მამაკაცი ყურადღებიანია თუ არა, განსაზღვრავენ ხაზების მეშვეობით:

– ერთი ხაზი ნიშნავს, რომ მამაკაცი ყურადღებიანია. ორი ხაზი – ძალზე უყურადღებოა და თან დიდი პრობლემაც აქვს.

*****

განცხადება გაზეთში:

ნათელა უფშვიტინეშვილის დაკარგული მართვის მოწმობის მპოვნელმა, გთხოვთ, სასწრაფოდ დაწვათ და გაანადგუროთ ნაპოვნი მართვის მოწმობა, – პატივისცემით მეუღლე ანზორი.

*****



– ეს თქვენი ვირთხის საყელურია?

– არა, საიდან მოიტანე? მე ამერიკული ჯიშის დაბალბეწვიანი ტაქსას ძაღლი მყავს.

– რა ვიცი, ჩემმა კატამ კი შეჭამა და ესე იგი ვირთხა ყოფილა...

*****

– მაყვალ, გოგო, გუშინ შენი სახლიდან საინტერესო ხმები გამოდიოდა, რაში იყო საქმე?

– არაფერი საინტერესო და უცნაური არ იყო, ეგა ბეთხოვენი იყო.

– რას გქვია საინტერესო არ იყო, იძახი, ბეთხოვენიო და ბოლოს შენი კარის მეზობელი ჯემალა კი გამოვიდა.

*მოამზადა დავით ახობაძემ*

*დავით ახობაძის ნახატი*


გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



ISSN 2346842-4

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.15



სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.